

ბიძინა სავანელი

სამართლის ზოგადი თეორია

სამართლის საფუძვლები.
სამართლის ფილოსოფია და სოციოლოგია

მეექვსე გამოცემა

თბილისი 2009

წიგნი ქართულ ენაზე შესრულებული პირველი სახელმძღვანელოა, რომელშიც თანამედროვე სამართლის ფილოსოფიური, ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და საკუთრივ იურიდიული ასპექტები სისტემაშია მოქცეული და გააზრებულია გლობალური პრობლემების კრილში. სახელმძღვანელოს თემატიკა ძირითადად ჰრიენტირებულია დასავლეთის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებზე.

სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო ლექციების კურსი, რასაც ავტორი ოცდახუთი წელი კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ბოლო შვიდი წელი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის და სხვა ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.

რეცენზენტები: პროფ. ოთარ გამყრელიძე
პროფ. თემურ ქორიძე

“პროფესორი სავანელი არის სამართლის ფილოსოფიის გამოჩენილი ავტორიტეტი და საქართველოში ადამიანის საერთაშორისო უფლებების განათლების დამაარსებელი.”

ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური ჟურნალი “აქდეიტ”. მარტი, 2003.

© ბიძინა სავანელი

<http://www.geocities.com/b.savaneli>

„ისწავლე, სწავლის მიქმნელო“

პროფესორ ბიძინა სავანელის სახელმძღვანელო – „სამართლის ზოგადი თეორია“, რომელიც მეხუთედ გამოდის, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართული იურიდიული განათლების დარგში.

პროფესორი ბიძინა სავანელი სამართლის ზოგადი თეორიის გამოჩენილი სპეციალისტია საქართველოში. მის ნაშრომებს საზრდვარგარეთაც იცნობენ.

პროფესორ ბიძინა სავანელის „სამართლის ზოგადი თეორიის“ მნიშვნელობა ის არის, რომ წიგნი თავისუფალია საბჭოთა კავშირში გაბატონებული, მაგრამ დღემდე ჯერ კიდევ შემორჩენილი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დოგმებისაგან, რომელმაც გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მთელი თაობები დაამახინჯა და ჩვენი იურიდიული აზროვნების განვითარება დიდი ხნით შეაფერხა.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია დასავლეთის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებზე.

პროფესორი ბიძინა სავანელი უპირატესად უცხოურ პირველწყაროებზე დარყნობით სხარტად, სტუდენტისათვის გასაგებ ენაზე გადმოსცემს სამართლის ძირითად ცნებებსა და მეთოდებს, თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ძირითად სამართლებრივ სისტემებს და თეორიებს, ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხებს, დიდ ადგილს უთმობს პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს.

პროფესორი ბიძინა სავანელი სახელმძღვანელოში უხვად იყენებს დასავლურ წყაროებს, მაგრამ მას არც ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომები ავიწყდება. იგი აანალიზებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერების: საქართველოში სამართლის ფილოსოფიის ფუძემდებლის – გ. ნანეიშვილის და სახელმწიფო სამართლის ფუძემდებლის – ირ. სურგულაძის ნაშრომებს, რომლებიც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნდა. საგულისხმოა ისიც, რომ წიგნში გამოყენებულია დიდი ქართველი მოაზროვნის – მიხაკო წერეთლის ცნობილი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“.

ავტორი განიხილავს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. წიგნში სრლყოფილად არის წარმოდგენილი სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე თეორია. პარაგრაფში „გლობალიზაცია, სამართალი და ადამიანი“ ავტორისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით ჩამოყალიბებული და გააზრებულია თანამედროვე კაცობრიობის უწვავესი პრობლემები. მეტად საინტერესოდ იკითხება წიგნის დასკვნითი ნაწილი – „სამართალი, რელიგია, ეკოლოგია“. აქ აშკარად ჩანს ავტორის ფართო ერუდიცია არა მარტო სამართლის მეცნიერებაში, არამედ მისი ღრმა განსწავლულობა ფილოსოფიასა და მეცნიერების სხვა სფეროებში.

ვისწავლოთ სამართალი და დავამკვიდროთ ჩვენს ცხოვრებაში.

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ოთარ გამყრელიძე

სახელმძღვანელო ეძღვნება
საქართველოში სახელმწიფო სამართლის
ფუძემდებლის პროფესორ იროდიონ
სურგულაძის ხსოვნას

შინაარსი

შესავალი

სამართლის თეორიის საგანი და მეთოდი.....7

პირი I. საგართალი

თავი I. საგართლის ცნება

1. სამართლის ძირითადი ნიშნები..... 14
2. სამართლის ნორმა და მისი სტრუქტურა..... 17
3. სამართლის ნორმის სახეები..... 22

თავი II. საგართლის წყაროები

1. სამართლის წყაროს ზოგადი ცნება..... 29
2. საკანონმდებლო სამართალი..... 30
3. ჩვეულებითი სამართალი..... 34
4. სამოსამართლო სამართალი..... 37
5. შედარებითი სამართალმცოდნეობა..... 44

თავი III. საგართლის ძირითადი თეორიები

1. სამართლის სოციოლოგია..... 49
2. პოზიტივიზმი და ნორმატივიზმი..... 58
3. სამართლის მოქმედების თეორია..... 74
4. სამართლიანობის თანამედროვე თეორია..... 81

თავი IV. საგართლის გუნება

1. სამართლის რელიგიური ფესვები..... 87
2. სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის ფილოსოფიური დასაბუთება..... 91
3. სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის სოციოლოგიური ასპექტი..... 101
4. სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის ბიოლოგიური წანამძღვრები..... 106

პირი II. მართლწესრიგი

თავი I. საგართლებრივი ურთიერთობების ურთიერთობანი

1. საგართლებრივი ურთიერთობების ცნება..... 117
2. უფლება და მოვალეობა..... 120
3. სამართლის და საგართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი..... 124
4. საგართლებრივი ურთიერთობის ობიექტი..... 130
5. იურიდიული ფაქტები..... 133

თავი II. სახელმწიფოს სამართალსუბიექტობა

1. სახელმწიფოს ცნება..... 138
2. სამართლებრივი სახელმწიფო..... 144
3. სახელმწიფოს ფუნქციები..... 154
4. სახელმწიფოს შესახებ თანამედროვე თეორიები..... 162

თავი III. ადამიანის სამართალსუბიექტობა

1. მკვიდრი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი..... 168
2. უცხოელი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი..... 170
3. მოქალაქეობის დაცვა..... 173
4. ადამიანი სამართლის უნივერსალური სუბიექტი..... 175

**თავი IV. სამართალდარღვევა და
იურიდიული პასუხისმგებლობა**

1. სამართალდარღვევის ცნება..... 180
2. იურიდიული პასუხისმგებლობა..... 185

**პარი III. სამართლისა და მართლწესრიგის
ურთიერთმოქმედება**

თავი I. სამართლებრივი აქტები

1. ნორმატიული აქტები..... 189
2. ხელშეკრულება..... 206
3. სასამართლო პრეცედენტი..... 213

თავი II. მართლწესრიგის სტრუქტურა

1. მართლწესრიგის ცნება..... 219
2. სამართლის შეფარდება..... 225
3. ნორმატიული ფაქტები..... 232

პარი IV. სამართლის საზრისი

თავი I. სამართლის უფარდების მეთოდები

1. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ხერხები..... 240
2. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ფორმები..... 244
3. ანალოგია სამართალში..... 247

თავი II. სამართლის საზრისის ცნება

1. თანამედროვე სამართლის ფილოსოფია..... 251
2. სამართლის საზრისის წვდომა..... 262

**თავი III. სამართლის განვითარების
პერსპექტივები**

1. სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები..... 271
2. გლობალიზაცია, სამართალი და ადამიანი..... 279
3. სამართალი, რელიგია, ეკოლოგია..... 291

შესავალი

სამართლის ზოგადი თეორიის საგანი და მეთოდი

სამართლის ზოგადი თეორიის შემეცნების საგანი არის სამართლებრივი ნორმები ანუ სამართლებრივი ქცევის წესები. სამართლებრივი ქცევის წესები ორი სახისაა: ზოგადი და კონკრეტული.

1. სამართლის ზოგადი ნორმები სამი ფორმით გვევლინება, ესაა: საკანონმდებლო, ჩვეულებითი და სამოსამართლო ნორმები, რომელნიც შესაბამისად საკანონმდებლო, ჩვეულებით და სამოსამართლო სამართალს ქმნიან.

საკანონმდებლო სამართალი არის სახელმწიფოს ორგანოების მიერ დადგენილი ზოგადნორმატიული აქტების ერთობლიობა. ჩვეულებითი სამართალი საზოგადოებაში თვითდინებით ჩამოყალიბებული ქცევის საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმებია. სამოსამართლო სამართალი სასამართლო ორგანოების მიერ გამომუშავებული ანალოგიური საქმეების გადაწყვეტის ერთგვაროვანი წესებია. საკანონმდებლო სამართალი, ჩვეულებითი სამართალი და სამოსამართლო სამართალი ქმნიან სამართალს ზოგადად.

ამრიგად, სამართლის ზოგადი თეორიის შემეცნების საგანი არის სამართლის ზოგადი ნორმები ანუ სამართალი.

2. სამართლის კონკრეტული ნორმები ასევე სამი ფორმით არსებობს ესენია: სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოტანილი კანონის შეფარდების კონკრეტული აქტები (ინდივიდუალური ნორმატიული აქტები), ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ურთიერთშეთანხმებით გამომუშავებული ინდივიდუალური სამართლებრივი ნორმები (ნორმატიული ფაქტები) და სასამართლო თუ აღმინისტრაციული ორგანოების მიერ მოდავე მხარეთა ან უფლების ხელმყოფი პირის ქცევის განმსაზღვრელი ინდივიდუალური ხასიათის ნორმები (ნორმატიული გადაწყვეტილებანი). კონკრეტული სამართლებრივი ნორმები არის სამართლის ზოგადი ნორმების და ფაქტიური საზოგადოებრივი ურთიერთობების ურთიერთქმედების შედეგი და ამ შედეგს მართლწესრიგს ვუწოდებთ.

ამრიგად, სამართლის ზოგადი თეორიის შემეცნების საგანი არის სამართლის კონკრეტული ნორმები ანუ მართლწესრიგი.

3. სამართლის ზოგადი თეორიის საგანი ამით არ ამოიწურება. სამართლის ზოგადი თეორიის საგანი არის სამართლისა (ზოგადი ნორმებისა) და მართლწესრიგის (კონკრეტული ნორმების) ურთიერთქმედების მექანიზმის ახსნა, როგორც ზოგადად, ისე მათ კონკრეტულ გამოვლინებებში, სახელდობრ, სამართლის და მართლწესრიგის ურთიერთქმედების საერთო კანონზომიერების დადგენა და თითოეულის შესატყვისი ფორმის ურთიერთქმედების მექანიზმის ახსნა: კანონმდებლობისა ინდივიდუალურ ნორმატიულ აქტებთან, ჩვეულებითი სამართლისა ნორმატიულ ფაქტებთან, სამოსამართლო სამართლისა სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების პერსონიფიცირებულ ნორმატიულ გადაწყვეტილებებთან.

ამრიგად, სამართლის თეორიის შემეცნების საგანი არის სამართლისა და მართლწესრიგის ურთიერთქმედების მექანიზმის ახსნა.

4. სამართლის ზოგადი თეორიის საგანი ამით არ ამოიწურება. სამართლისა და მართლწესრიგის და მათი შესაბამისი ფორმების ურთიერთქმედების მექანიზმის ახსნა თვითმიზანი არ არის. სამართლის თეორიამ უნდა გამოიკვლიოს ამ ურთიერთქმედების საბოლოო მიზანი, რომლისთვისაც იღვწის თითოეული მათგანი. სამართლის საზრისი, სამართლის იდეა არის ის პუნქტი, რომლის წვდომისაკენ, აღმოჩენისაკენ პერმანენტულად ისწრაფვიან სამართლის და მართლწესრიგის ანუ ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ნორმების დადგენაში მონაწილე სუბიექტები.

სამართლის იდეა ანუ საზრისი არის ის, რაც არ არის არც სამართალი და არც მართლწესრიგი, იგი არის ახალი ნორმა, რომელიც პერმანენტულად იბადება სამართლისა და მართლწესრიგის მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად. სამართლის საზრისში ჩადებულია კაცობრიობის პროგრესული განვითარების იდეა.

ამრიგად, სამართლის ზოგადი თეორიის შემეცნების საგანი არის სამართლის საზრისი ანუ სამართლის იდეა.

საბოლოოდ განისაზღვრა სამართლებრივი მოვლენების სამი ბლოკი: სამართალი, მართლწესრიგი და სამართლის იდეა, რომლებიც სამართლის ზოგადი თეორიის შესწავლის სამ ძირითად ობიექტს წარმოადგენს. ამიტომ სახელმძღვანელო სამართლებრივი კატეგორიების ამ სამი მსხვილი ბლოკის მოდელზეა აგებული. ეს ბლოკები ერთობლიობაში ქმნიან სამართლებრივ სისტემას.

5. საზოგადოებრივ მეცნიერებათა არც ერთი დარგი, საერთოდ, მეცნიერების არც ერთი დარგი თავისი შესწავლის ობიექტად არ და

ვერ აქცევს სამართლებრივ სისტემას, ამ სისტემის ელემენტებს, მათ შორის მიზნობრივ და ფუნქციურ კავშირებს. ასეთი უნარით აღჭურვილია სამართლის ზოგადი თეორია, რადგან სამართლის ზოგადი თეორია სარგებლობს კვლევის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდით, ე.წ. ფორმალურ-იურიდიული მეთოდით.

სამართლებრივი ნორმები წარმოადგენენ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა იურიდიულ ფორმებს, სამართლის ზოგადი თეორია კი იკვლევს თითოეული იურიდიულ ფორმასა და მის შესაბამის ეკონომიკურ და სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ შინაარსს შორის ურთიერთქმედების მოდელს. ამაში გამოიხატება ფორმალურ-იურიდიული მეთოდის არსი.

სამართლის ზოგადი თეორია იკვლევს იმ ფორმალურ იურიდიულ საზღვრებს, რაც საჭიროა საზოგადოებრივი პროცესების ნორმალური მართვისათვის და, ამავე დროს, აყალიბებს ისეთ ზოგადთეორიულ მოდელებს, რომლებიც ახდენენ საზოგადოებაში ბუნებრივად მოქმედ თვითმართვით სოციალურ სისტემებსა და ინსტიტუტებს შორის კოორდინაციას და მათ შეთანაწყობას სამართლებრივ ღირებულებებთან საზოგადოების მდგრადი განვითარების მისაღწევად.

6. სამართლის ზოგადი თეორია მეცნიერულად აზოგადებს იმ მონაცემებს, რომელთაც გამოიმუშავებენ სამართლის ცალკეული დარგები, აყალიბებს ყველა იურიდიული დარგისათვის საერთო ცნებებსა და დებულებებს, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით სისტემაში მოკყავს მათ მიერ მოწოდებული მასალა და ამ მასალის საფუძველზე გამოიმუშავეს სახელმძღვანელო და მათორიენტირებელ განსაზღვრებებს, საბოლოო ჯამში კი აყალიბებს თეორიული კვლევის მეთოდებს ცალკეული იურიდიული დისციპლინისათვის. სწორედ ამიტომ ქვია საგანს სამართლის ზოგადი თეორია.

სამართლის ზოგადი თეორია აწარმოებს მსოფლიოს სამართლის ერთიანი სურათის კონსტრუირებას. ამ მიზანს ის აღწევს მსოფლიოში არსებული სამართლებრივი ოჯახების შედარებითი ანალიზით და საერთო ნიშნების განზოგადოების გზით. შედარებითი ანალიზი და განზოგადოება სამართლის ზოგადი თეორიის კვლევის დამხმარე მეთოდებია. (იხ. კარი I, თავი 5).

სამართლის თეორია ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, ანთროპოლოგიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, აგრეთვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით ქმნის სამართლის მეცნიერებაში მათი გამოყენების მეთოდოლოგიურ საფუძველებს.

სამართლის ზოგადი თეორია პოლიტიკურ მოძღვრებათა და თანამედროვე პოლიტოლოგიის თეორიული დებულებების გათვალისწინებით აყალიბებს ახალ თეორიებს და მეცნიერულ ჰიპოთეზებს, რითაც საფუძველს უყრის თეორიულ ბაზას სამართლის ცალკეულ დარგებში მათი გამოყენებისათვის საზოგადოებრივი ცნობიერების ჰუმანიზაციისა და ადამიანის უფლებების გარანტირების და სრულყოფის მიმართულებით.

სამართლის ზოგადი თეორია სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული იურიდიული პრაქტიკის განზოგადების შედეგად აყალიბებს გენერალურ მოდელს იურიდიული პრაქტიკის სწორი და სამართლიანი ორიენტაციის მიზნით.

7. სამართლის ზოგადი თეორიის სწავლების მეთოდოლოგიისა და მეთოდის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 70 წელი ისწავლებოდა საგანი “სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“. ასეთი დისციპლინა უცნობია თანამედროვე და კლასიკური იურისპრუდენციისათვის, დასავლეთის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებისათვის. საგნის ასეთი დასახელება შედეგი იყო სამართლის მეცნიერებაზე მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ზეწოლისა, რომლის თანახმადაც სამართალი განიხილებოდა სახელმწიფოს, როგორც გაბატონებული კლასის წარმომადგენელთაგან შემდგარი ოფიციალური აპარატის, შემოქმედების შედეგი, უფრო ზუსტად, გაბატონებული კლასის პოლიტიკური ნება აყვანილი კანონში. ამ თეორიის მიხედვით სამართლის შინაარსი მთლიანად განისაზღვრებოდა პოლიტიკით, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებული იყო გაბატონებული კლასის ეკონომიკური ინტერესებით. გაბატონებული კლასი თავისი სახელმწიფოს მეშვეობით ქმნის მისთვის სასურველ სამართალს. თავის მხრივ, ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ინტერესები უპირისპირდებოდა ეკონომიკურად ჩაგრული კლასის ინტერესებს, რაც იწვევს კლასთა ბრძოლას. იმისათვის, რომ ჩაგრულ კლასს მოეპოვებინა ეკონომიკური ბატონობა, მას ფიზიკურად უნდა მოესპო მჩაგვრელთა კლასი. ამისათვის იგი ამყარებს დიქტატურას, როგორც სახელმწიფოს საქმიანობის ფორმასა და მეთოდს, და ადგენს ისეთ სამართალს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ფიზიკურ განადგურებას კომუნიზმის დასამყარებლად. ეს იყო სწორედ სატანისმი.

არც ეს არ იყო საკმარისი, საჭიროა არასტანდარტულად, არაბიუროკრატიულად და დასავლურად მოაზროვნე პირების ფიზიკური განადგურება მასობრივი რეპრესიების გამოყენების გზით, “წითელი ტერორის“, “რევოლუციური მიზანშეწონილობის“, “სამეუღლების“, “სხვაგვარად მოაზროვნეთა იზოლაციის“ მეთოდების გამოყენებით. თუ რა შედეგები მოუტანა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს, მათ შორის რუს ერს, ამ იდეოლოგიამ, ყველასათვის ცნობილია. მოკლედ, ეს იყო ფაშიზმი საკუთარი ხალხის მიმართ.

კლასიკური და თანამედროვე იურისპრუდენცია სამართალს განიხილავს არა როგორც სახელმწიფოს პროდუქტს, არამედ პირიქით, სახელმწიფოს განიხილავს როგორც სამართალშემოქმედების პროდუქტს, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ანუ მთლიანად სახელმწიფოს სამართლებრივი ორგანიზაციის ფორმას, და რაც მთავარია, სამართლის ფუნქციაა დაპირისპირებულ კლასთა შორის კონფლიქტის არა გამწვევება, არამედ მოხსნა, ხელისუფლებებს, მათ შორის ძალისმიერ სტრუქტურებს შორის უფლება-მოვალეობათა სამართლიანი და გაწონასწორებული განაწილება-გამიჯვნა, ხოლო კონფლიქტის შემთხვევაში მისი განმუხტვა კონფლიქტში მონაწილე მხარეების მორიგების, დარღვეული უფლებების აღდგენის ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაკისრების გზით. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო განიხილება როგორც სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი, რომლის ურთიერთობა სამართლის სხვა სუბიექტებთან წესრიგდება, რეგულირდება, იმართება სამართლებრივი ნორმებით. ამასთან, სამართლის ნორმების ქვეშ იგულისხმება არა მარტო კანონი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, როგორც უზენაესი სამართალი, აგრეთვე სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, კონსტიტუციური ნორმები, მართლმსაჯულების აღიარებული პრინციპები და სახელშეკრულებო სამართლის დამკვიდრებული ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ სამართლის სუბიექტების, მათ შორის, სახელმწიფოს საქმიანობას.

ამრიგად, სამართალს აქვს არა რეპრესიული, არამედ გამაწონასწორებელი, არა “საომარი“, არამედ “სამშვიდობო“ ფუნქცია.

სამართლის ზოგადი თეორია ყველაზე უფრო პასუხობს გლობალიზაციის გამოწვევებს, რადგან ძირითადადში მხოლოდ მას ძალუმს შეასრულოს მედიატორის როლი სამართლის კერძო დარგებსა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის გლობალურ პრობლემებს შორის, იკისროს კორდინატორის როლი თავად სამართლის კერძო დარგებს შორის, შეასრულოს ხიდის როლი სამართლის კერძო დარგებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დაკვეთებს შორის.

ჩვენი მეცადინეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრას გადაერქვა სახელი და მას ეწოდა სამართლის ისტორიის კათედრა, ზოლო საგანს “სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“ ეწოდა “სამართლის ზოგადი თეორია“.

სამართლის თეორიის სწავლების ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამართლის ზოგადი თეორიის სწავლების მეთოდიკას, რაც ცხადად ჩანს სახელმძღვანელოს სარჩევიდან (იხ. შინაარსი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის ზოგადი თეორია სხვადასხვა დასახელებით ისწავლება ორჯერ: პირველ და ბოლო კურსებზე, რაც ძირითადადში ემთხვევა მსოფლიოში მიღებულ საგანმანათლებლო პროგრამებს: პირველ კურსზე საგანს ეწოდება სამართლის საფუძვლები და მეთოდები, ზოლო ბოლო კურსზე – სამართლის ფილოსოფია და სამართლის სოციოლოგია.

“სწავლება სამართლის საფუძვლების შესახებ” და “სწავლება სამართლის მეთოდების შესახებ” გაერთიანებულია ერთ მოდულში, რადგან სამართლის საფუძვლების ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამართლის ნორმათა რეალიზაციის მეთოდების არათუ გააზრება, არამედ გაგებაც კი. (ეს იგოვეა, ანბანის უცოდინარ ბავშვს წიგნის წაკითხვა მოუთხოვთ). ამიტომ, “სწავლებას სამართლის საფუძვლების შესახებ” აკისრია დედა ენის ტოლფასი მეთოდოლოგიური ფუნქცია. ამ დროს, გამოიყენება სამართლის არსის გაგების აღწერილობითი, დარგთაშორისო და პირამიდის ტიპის საფეხუროვანი მეთოდები.

ამასთან, სამართლის საფუძვლების ცოდნა არ არის საკმარისი, თუ ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევები სტუდენტს იმთავითვე არ ჩამოუყალიბდა. “სწავლება სამართლის მეთოდების შესახებ” იძლევა ცოდნას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის დავის გადაწყვეტის სამართლებრივი მეთოდების შესახებ ანუ უფლება-მოვალეობათა სამართლიანი განაწილება-გამიჯვნის მეთოდების შესახებ. ამ დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდუქციის, დედუქციის, ანალოგიის, შედარების, ანალიზის და სინთეზის მეთოდების გამოყენებით მოდავე მხარეთა შორის კონფლიქტის მომწეს-

რიგებელი საკანონმდებლო, სამოსამართლო თუ სახელმეკრულებო ნორმების ახსნა-განმარტების და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

სწავლების ჩვენებური მეთოდი, სამართლის დარგში ქართულ ენაზე გამოცემული ძირითადში პლაგიატური სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, ემყარება მარტივიდან რთულზე და ზოგადიდან კერძოზე თანდათანობითი გადასვლის დასაყვლეთის საგანმანათლებლო პრაქტიკაში აპრობირებულ სწავლების პრინციპს.

„სამართლის საფუძვლების“ მიზანია პირველ სემესტრში ვასწავლოთ სტუდენტს სამართლის დედა ენა ანუ გავაცნოთ „სამართლის შენობა“, ჩამოუყალიბოთ სამართლის ფორმების და შინაარსის ელემენტების გაგების უნარი და გამოუმუშავოთ მათი შეფასების ჩვევები.

„სამართლის საფუძვლების“ მიზანია მეორე სემესტრში სტუდენტს ვასწავლოთ სამართლებრივი აქტების ანალიზის და რეალიზაციის მეთოდები, და გამოუმუშავოთ თეორიული ცოდნის იურიდიულ პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები ანუ სამართლის მეთოდები.¹

ამრიგად, „სამართლის საფუძვლები“ არის სამართლის ზოგადი თეორია სამართლის შექმნების, სამართლის აზრის გაგების და მისი რეალიზაციის მეთოდების შესახებ.

ბაკალავრიატის პირველ კურსზე რეკომენდებულია ისწავლებოდეს სამართლის საფუძვლები და მეთოდები საკითხების ასეთი თანმიმდევრობით:

კარი I, თავი I, „სამართლის ცნება“.

კარი I, თავი II, „სამართლის წყაროები“.

კარი II, თავი I, „სამართლებრივი ურთიერთობანი.“

კარი II, თავი II, „სახელმწიფოს სამართალსუბიექტობა“.

კარი II, თავი III, „ადამიანის სამართალსუბიექტობა“.

კარი II, თავი IV, „სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა“.

კარი III, თავი I, „სამართლებრივი აქტები“.

კარი IV, თავი I, „სამართლის შეფარდების მეთოდები.“

ბოლო კურსზე ან მაგისტრატურის პირველ კურსზე რეკომენდებულია ისწავლებოდეს „სამართლის ფილოსოფია და სოციოლოგია“ საკითხების ასეთი თანმიმდევრობით:

კარი I, თავი IV, „სამართლის ბუნება“.

კარი I, თავი III, „სამართლის ძირითადი თეორიები“.

კარი III, თავი II, „მართლწესრიგის სტრუქტურა“.

კარი IV, თავი II, „სამართლის საზრისის ცნება“.

კარი IV, თავი III, „სამართლის განვითარების პერსპექტივები“.

¹ ბიძინა საყანელი, იურიდიული მეთოდები, მეორე გამოცემა, თბილისი, 2008.

I კარი. სამართალი

I თავი. სამართლის ცნება

1. სამართლის ძირითადი ნიშნები

სამართალი არის ზოგადსავალდებულო ქცევის წესების სისტემა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მათში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით, და რომელთა სამართლებრივი დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სასამართლო წესით იძულების გამოყენების შესაძლებლობით.

1. ადამიანები და მათი კოლექტივები სხვადასხვა ურთიერთობაში შედიან თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციოლოგიური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ იმისათვის, რომ თითოეული სუბიექტის მიერ თავისი ინტერესების დაკმაყოფილება სხვა პირთა ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე არ მოხდეს, საჭიროა ქცევის გარკვეული წესების დადგენა. საქმე ის არის, რომ ყოველ კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ადამიანმა შეიძლება იმოქმედოს მრავალგვარად, ე.ი. ყოველთვის არსებობს ქცევის რამდენიმე ვარიანტი. მაგრამ ყველა ვარიანტი შეიძლება არ იყოს მისაღები პირისათვის ან პირთა გაერთიანებისათვის. ამიტომ საჭიროა ქცევის წესების შემოღება, რომლებიც ქცევის ერთ ვარიანტს ნებადართულად გამოაცხადებს, ხოლო მეორეს აკრძალავს. ამ ფუნქციას ასრულებს სამართლებრივი ნორმები ანუ მთლიანად სამართალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი ნორმების მიზანია ურთიერთობებში სტაბილურობის, წონასწორობის ანუ წესრიგის შეტანა, ე.ი. უფლება-მოვალეობათა მიმართების ისეთი მოდელის შემოღება, რომელსაც ერთიანად დაექვემდებარებიან ურთიერთობებში მონაწილე პირები (ფიზიკური თუ იურიდიული პირი, სახელმწიფო თუ სახელმწიფოთა გაერთიანება, ერთა თანამეგობრობა).

2. სამართლებრივი ნორმები ზოგადსავალდებულო ხასიათისაა, მათში აღწერილი ქცევის წესები აბსტრაქტული სახითაა ჩამოყალიბებული და ვრცელდება განუსაზღვრელ პირთა როდენობაზე. სამართლის თითოეულ ნორმას მხედველობაში არ ჰყავს ინდივიდუალუ-

რად განსაზღვრული პირი, მისი მოქმედების არეალში შეიძლება მოხედეს ნებისმიერი პირი. სამართლის ნორმაში ქცევის წესი, მასშტაბი, საზღვარი, ზომა ჩამოყალიბებულია ზოგადად.

3. რა გზით, რა ხერხით, რა მეთოდით აღწევს სამართალი თავის მიზანს? ამ მიზანს იგი აღწევს ერთი გზით, ერთი ხერხით, ერთი მეთოდით: ურთიერთობაში მონაწილე პირებს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს და ამ უფლებების უზრუნველყოფ მოვალეობებს, ისე, რომ ერთი პირის უფლებას შეესაბამება მეორე პირის მოვალეობა, ხოლო მეორე პირის უფლებას – პირველი პირის მოვალეობა. საქმე ის არის, რომ ერთი პირის მიერ თავისი უფლების განხორციელება ანუ გარკვეული ინტერესის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე პირი შეასრულებს თავის მოვალეობას პირველი პირის სასარგებლოდ.

საბოლოო ჯამში პირები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან უფლება-მოვალეობათა ქსელით.

4. სამართალი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ იგი არ იქნება უზრუნველყოფილი იმ შემთხვევაში, როდესაც პირი გასცდება თავის უფლებამოსილებას ან ვალდებული თავისი ნებით არ ასრულებს მოვალეობას. ამისათვის არსებობს სწორედ სასამართლო იძულება, რომლის მიზანია არა უფლება-მოვალეობათა ჰორიზონტალური განაწილება, არამედ დაცვა. იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირი ბოროტად იყენებს თავის უფლებებს ან ვალდებული პირი თავისი ნებით არ ასრულებს მოვალეობას, მოქმედებაში შედის იძულების გამოყენების სასამართლო წესი, რომლის მიზანია აღადგინოს უწინდელი მდგომარეობა, ე.ი. აიძულებს უფლებამოსილ პირს, იმოქმედოს უფლების ფარგლებში, ხოლო ვალდებულ პირს – შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ამ მიზნით ადამიანმა შექმნა მართლმსაჯულების ორგანოები. საზოგადოებამ დაიჭირა ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც დააკისრა სასამართლებრივი ნორმებით აღიარებული და განაწილებული უფლება-მოვალეობის დაცვა. ასეთი დაცვის განსაკუთრებული ფორმებია სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში ცნობილია ინდივიდუალური და კოლექტიური იძულების სხვადასხვა ფორმები.

ამრიგად, სამართალს აქვს ორი ფუნქცია: მომწესრიგებელი და დაცვითი. პირველი ფუნქციის მეოხებით სამართალი ცდილობს აღ-

კეთოს ძალადობა, ხოლო მეორის საშუალებით ძალადობას უპირისპირებს ძალას.

5. სამართლის ნორმების დამდგენი სუბიექტებია: ა) სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი; ბ) ერი ან ერთა თანამეგობრობა; გ) მართლმსაჯულების სახელმწიფო ან საერთაშორისო სასამართლო ორგანოები.

პირველ შემთხვევაში მხედველობაშია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატიული აქტები ან სახელმწიფოების მიერ ურთიერთშორის დადებული უნივერსალური ხასიათის ხელშეკრულებები (იხ. “ნორმატიული აქტები”).

მეორე შემთხვევაში იგულისხმება საზოგადოებებში გამომუშავებული ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმები, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმები (იხ. “ხელშეკრულება”).

მესამეა სასამართლო ორგანოების მიერ კონკრეტული საქმეების განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობათა დამდგენი პრეცედენტული სამართლებრივი ნორმები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ნორმების შემცველი საერთაშორისო სასამართლოების დადგენილებები (იხ. “სასამართლო პრეცედენტი”).

პირველი ქმნის საჯარო სამართალს, მეორე – კერძო სამართალს, ხოლო მესამე არის საჯარო-კერძო სამართლებრივ ნორმათა სისტემა.

6. ზოგადთეორიული დასკვნა ასეთია: სამართლის სუბიექტების სამართალშემოქმედება ანუ უფლება-მოვალეობათა დამდგენი ნორმების შექმნა არის ფაქტიურიდან ნორმატიულის გამოყვანის პროცესი. ამ თვალსაზრისით სამართალი განსხვავდება ტექნიკური და ზნეობრივი ნორმებისაგან.

ტექნიკური და ზნეობრივი ნორმები ყოველთვის რჩებიან ფაქტიურის ფარგლებში. მეტიც, ისინი გამოირჩევიან კატეგორიული იმპერატიულობით, მათთვის უცხოა თავისუფლება, ისინი ძირითადად მოვალეობათა შესრულების მოთხოვნით ამოიწურებიან. მათთვის უცხოა უფლება, მაშინ, როდესაც სამართლის არსი უფლებაში, უფლების ძიებაში, ფაქტიურიდან უფლების გამოყვანაში მდგომარეობს, სამართლის სუბიექტის უფლებრივი სტატუსის დადგენაში გამოიხატება.

ტექნიკისათვის უცხოა ზნეობა, ხოლო ზნეობისათვის – ტექნიკა, ისინი ერთმანეთს არც კი გულისხმობენ, უბრალოდ, ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. სწორედ ეს დიქოტომია უქმნის გადაუჭრელ

პრობლემებს კაცობრიობას. სამართალი ტრაგიკულ წინააღმდეგობას ტექნიკასა და ზნეობას შორის ხსნის: ტექნიკაში შეაქვს ზნეობრიობა, ხოლო ზნეობას ანიჭებს აქტუალობას. ამ თვალსაზრისით, სამართალი ერთსა და იმავე დროს ზეტექნიკური და ზეზნეობრივი კატეგორიაა.

2. სამართლის ნორმა და მისი სტრუქტურა

სამართალი არის ნორმების ანუ სამართლებრივი წესების ერთობლიობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც ახასიათებს მთლიან სამართალს, ახასიათებს სამართლის ცალკეულ ნორმას.

სამართლის ნორმა არის სამართლის კონკრეტული სუბიექტების მიერ დადგენილი ქცევის წესი, რომელიც აწესრიგებს ერთი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას მასში მონაწილე კონკრეტულ პირებს შორის უფლებების და მოვალეობების აღიარება-გამიჯვნის გზით, და რომელთა სამართლებრივი დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სასამართლო წესით იძულების გამოყენების შესაძლებლობით.

სამართლის ნორმა ჩამოყალიბებულია მსჯელობის სახით. ამ მსჯელობის ფორმულირება შეიძლება შემდეგი სახით: “თუ – მაშინ“, რაც ასე იშიფრება: თუ არსებობს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები, მაშინ პირი უნდა მოიქცეს გარკვეული წესით. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის ძალით, თუ პირმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, ორი ან მეტი პირისა და ა.შ., მაშინ ეს პირი უნდა დაისაჯოს თავის უფლების აღკვეთით. სამართლის ამ ნორმაში ჩამოყალიბებულია, ერთის მხრივ, ფაქტობრივი გარემოებები (ანგარებით მკვლელობა, განსაკუთრებული სისასტიკით, ორი ან მეტი პირის მკვლელობა და ა.შ.), და, მეორე მხრივ, სამართლის სუბიექტის, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს ქცევის წესი ანუ ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დროს. პირველ ნაწილს (“თუ”) უწოდებენ ჰიპოთეზას, ხოლო მეორე ნაწილს (“მაშინ”) დისპოზიციას.

ჰიპოთეზა არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგომის შემთხვევაში იწყებს მოქმედებას ქცევის წესი (დისპოზიცია).

დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია შესაბამისი სუბიექტის ქცევის წესი.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს სამართლის ნორმის მესამე ნაწილს და მას სანქციას უწოდებს. სანქციაში გულისხმობენ სუბიექტის პასუხისმგებლობის ზომას, მაგრამ ფაქტობრივად სანქცია დისპოზიციის ნაირსახეობაა (იხ. ქვემოთ).

ჰიპოთეზა. ჰიპოთეზა სამართლებრივ ნორმებში სხვადასხვა რედაქციული ან ენობრივი ფორმით არის ჩამოყალიბებული. ეს გამოწვეულია იმით, რომ თვით ფაქტობრივი გარემოებები სხვადასხვა ხასიათისაა, რის გამოც სამართლის ნორმაში მათი რედაქციული და ენობრივი ასახვა განსხვავებულია.

განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ სამი ტიპის ანუ სახის ჰიპოთეზას: 1. განსაზღვრულს; 2. შეფარდებით განსაზღვრულს; 3. განუსაზღვრულს.

1. განსაზღვრული ჰიპოთეზის მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნეს ნორმა, რომლის ძალითაც მოქალაქეს უნარი, თვითონ შეიძინოს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო კმედუნარიანობა), უჩნდება 18 წლის ასაკიდან. ამ ნორმაში ჰიპოთეზა აბსოლუტურად განსაზღვრულია (18 წელი); 18 წლის შესრულება არის ფაქტობრივი გარემოება, რომლის შემდეგ პირს შეუძლია ან უნდა იმოქმედოს გარკვეული წესით.¹

2. შეფარდებით განსაზღვრული ჰიპოთეზის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სამოქალაქო კოდექსის ნორმა: “ვალდებულების შესრულებისაგან ცალმხრივი უარის თქმა არ დაიშვება, გარდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ამ ნორმაში “უარის თქმა“ არის ჰიპოთეზა (ფაქტობრივი გარემოება), ხოლო “არ დაიშვება“ – დისპოზიცია. მაგრამ ამავე ნორმის ძალით ვალდებულების შესრულებისაგან ცალმხრივი უარის თქმა დაიშვება (დისპოზიცია), თუ არსებობს კანონით ან ხელშეკრულებით გათ-

1. მაგალითები მოგვყავს უპირატესად კანონმდებლობიდან, რადგან ჩვეულებითი სამართლისა და სასამართლო პრეცედენტულ ნორმებში ყოველთვის მკვეთრად და ნათლად არ ჩანს სამართლის ნორმის სტრუქტურა.

ვალისწინებული გარემოებები (ჰიპოთეზა). ამ ნორმაში ორი ჰიპოთეზაა შერწყმული: ერთი - განსაზღვრული (ცალმხრივი უარი), მეორე - განუსაზღვრელი (კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა). სამართლის ნორმაში მოცემული ეს ორი ჰიპოთეზა გვაძლევს საფუძველს, ერთობლიობაში იგი დავახასიათოთ როგორც შეფარდებით განსაზღვრული ჰიპოთეზა.

3. განუსაზღვრელი ჰიპოთეზა ჩამოყალიბებულია ნორმაში: “სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობიან იმ საფუძველებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, აგრეთვე იმ მოქმედებების საფუძველზე, რომლებიც თუმცა არ არიან გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაგრამ გამომდინარეობენ სამოქალაქო სამართლის ზოგადი საწყისებიდან და აზრიდან“. ე.ი. უფლებები და მოვალეობები შეიძლება წარმოიშვან ისეთი მოქმედებებიდან, რომლებიც კანონმდებლობით ან არიან ან არ არიან გათვალისწინებული.

1. სირთულის ხარისხის მიხედვით არსებობს მარტივი, რთული და ალტერნატიული ჰიპოთეზა.

მარტივი ჰიპოთეზა, მაგალითად, ჩამოყალიბებულია შემდეგ ნორმაში: “ქორწინება ითვლება შეწყვეტილად მძაჩის ბიუროში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან“.

რთული ჰიპოთეზა ჩამოყალიბებულია, მაგალითად, შემდეგ ნორმაში: “ქორწინებისათვის საჭიროა მექორწინეთა თანხმობა და საქორწინო ასაკის მიღწევა“, ანუ ერთზე მეტი ფაქტიური გარემოება.

ალტერნატიული ჰიპოთეზა, მაგალითად, ჩამოყალიბებულია ნორმაში: “ხელშეკრულების დადების წერილობითი ფორმა შეიძლება გამოიხატოს როგორც ერთობლივი დოკუმენტის შედგენაში, ისე წერილების გაცვლის გზით, სატელეგრაფო შეტყობინებით ან სხვა დოკუმენტური ფორმით“ (აქ ჩამოთვლილია ალტერნატიული ვარიანტები).

დისპოზიცია. დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია თავად ქცევის წესი, ესე იგი, მითითებულია იმ უფლება-მოვალეობებზე, რომლებიც წარმოიშობა იმ ფაქტობრივი გარემოების შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია ჰიპოთეზით.

განასხვავებენ მავალბებელ, ამკრძალავ და ნებადამრთველ დისპოზიციებს.

მავალბელი დისპოზიციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნორმა: “ხელშეკრულების დადების დროს გამყიდველი მოვალეა გააფრთხილოს მყიდველი გასაყიდი ნივთის რაიმე არსებული ან მოსალოდნელი დეფექტის გამო.” მავალბელი ფორმით ჩამოყალიბებულ ამ დისპოზიციაში ქცევის წესი ჩამოყალიბებულია ვადლებული სუბიექტის აქტიური მოქმედების ფორმით.

ამკრძალავი დისპოზიციის მაგალითია ნორმა, რომლის თანახმად: “დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დაედოს პირს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ”. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციას ეკრძალება დისციპლინური სასჯელის დადება ანუ აქტიური მოქმედება. ეს ნორმა ადმინისტრაციას უკრძალავს “აქტიურ” მოქმედებას ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

ნებადამრთველი დისპოზიციის მაგალითია შემდეგი ნორმა: “მყიდველს, რომელსაც მიჰყიდეს არაჯეროვანი ხარისხის ნივთი, უფლება აქვს მოითხოვოს: ნივთის შეცვლა ან სასყიდელი ფასის თანაზომიერად შემცირება, ან ნივთის ნაკლოვანებათა უსასყიდლო გამოსწორება ან ხელშეკრულების გაუქმება მყიდველისათვის ზარალის ანაზღაურებით.”

დისპოზიციები შეიძლება განსხვავებოდეს აგრეთვე ქცევის წესის ჩამოყალიბების სირთულის მიხედვით. ამ თვალსაზრისით განსხვავებენ მარტივ, აღწერილობით, მითითებით და ცარიელ დისპოზიციებს.

მარტივი დისპოზიცია ჩამოყალიბებულია, მაგალითად, ნორმაში: “ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის ხელშეკრულებით”. ამ ნორმაში ქცევის წესი მარტივად არის ჩამოყალიბებული, იგი ქცევის ერთ წესს შეიცავს, მისი შინაარსი ნათელია.

აღწერილობითი დისპოზიციის მაგალითად გამოდგება შემდეგი ნორმა: “სამოქალაქო ქმედუნარიანობა არის მოქალაქის უნარი თავისი მოქმედებებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო ვალდებულებანი”. ამ ნორმაში გახსნილია ქმედუნარიანობის შინაარსი, განმარტებულია ქმედუნარიანობა, აღწერილია მისი ნიშნები.

მითითებითი დისპოზიცია აყალიბებს ქცევის წესს, მაგრამ, ამასთან, იშველიებს სხვა ნორმებიდან ქცევის წესებს. მაგალითად, სამოქალაქო

ლაქო უოდექის ძალით: “15-დან 18-წლამდე არასრულწლოვანი პასუხს აგებს მის მიერ მიყენებული ქონებრივი ზიანისათვის საერთო საფუძველზე, გათვალისწინებული ამავე კოდექის მუხლებით“. ამ მუხლში ჩამოყალიბებულია არასრულწლოვანის ვალდებულება ანუ ქცევის წესი - პასუხი აგოს ქონებრივი ზიანისათვის. მაგრამ ამავე დროს კანონმდებელი უთითებს სხვა მუხლებზე, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ზარალის ანაზღაურების კონკრეტული წესები, რომლებიც ვრცელდება სამართლის ყველა სუბიექტზე, როგორც არასრულწლოვანზე, ისე სრულწლოვანზე.

ცარიელი (ბლანკეტური) დისპოზიცია არავითარ ქცევის წესს არ აყალიბებს. მასში პირდაპირ არის მითითებული სხვა ქცევის წესებზე, სწორედ ამიტომ ეძახიან ცარიელ ანუ ბლანკეტურ დისპოზიციას. მაგალითად: “საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის მოწესრიგებისას, სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლებით, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხები“.

არსებობს დისპოზიციის სპეციფიკური სახეობანი: ესენია ქცევის წესები, რომლებიც კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს კი არ განსაზღვრავენ, არამედ აყალიბებენ ზოგად პრინციპებს. მაგალითად, ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია ნორმა, რომელშიც აღიარებულია, რომ პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია კანონით. ანდა ავიღოთ მეორე ნორმა: ყველა ადამიანი თანასწორია უფლებებსა და მოვალეობებში და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სანქცია არის დისპოზიციის ნაირსახეობა, რომელიც ადგენს სასამართლოს ან პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა სუბიექტის ქცევის წესს. მაგრამ ეს ქცევის წესი კანონის ტექსტში რედაქციული თვალსაზრისით ისეა ჩამოყალიბებული, რომ იქმნება ილუზია, თითქოს ის ქცევის წესს კი არ აყალიბებს, არამედ სხვა რაიმეს. სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შედეგი კონკრეტული პირის მიმართ და არა თავად პასუხისმგებლობის ზომა და იგი ჩამოყალიბებულია სამართლის ნორმაში როგორც პასუხისმგებლობის დამდგენი სუბიექტის ქცევის წესი. ასეთ ქცევის წესებს ჩვენ ვუწოდებთ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ დისპოზიციებს. ზოგჯერ მათ ნორმა-სანქციებს უწოდებენ.

განსაზღვრულობის თვალსაზრისით განსაზღვრებენ განსაზღვრულ, შეფარდებით განსაზღვრულ, კუმულაციურ და ალტერნატიულ პასუხისმგებლობის დამდგენ დისპოზიციებს ანუ ნორმა - სანქციებს.

აბსოლუტურად განსაზღვრული ნორმა-სანქცია ზუსტად გამოხატავს პასუხისმგებლობის ზომას. მაგალითად, "სატრანსპორტო საშუალებათა ძძლოლის მიერ მოძრაობის სიჩქარის გადაჭარბება გამოიწვევს და ჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობით".

შეფარდებით განსაზღვრული ნორმა-სანქცია გამოხატავს პასუხისმგებლობის ზომას გარკვეულ ფარგლებში, მაგალითად, "სხეულის განზრახ ნაკლებად მყიფე დაზიანება ჩადენილი ტანჯვით, წამებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ისჯება თავისუფლების აღკვეთით".

კუმულაციური ნორმა-სანქცია განსაზღვრავს პასუხისმგებლობის რამდენიმე სახეს, რომლებიც გამოიყენება ერთდროულად, მაგალითად, "სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით და ქონების კონფისკაციით".

ალტერნატიული სანქციის დროს კანონმდებელი პასუხისმგებლობის დამდგენ სუბიექტს უფლებას ანიჭებს გამოიყენოს პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე. მაგალითად, "ცილისწამება, ესე იგი წინასწარ შეცნობით მონაჭორის გავრცელება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით".

3. სამართლის ნორმის სახეები

1. სამართლის ნორმა ჩვენ განსაზღვრეთ როგორც სამართლის სუბიექტების მიერ დადგენილი ქცევის წესი, რომელიც აწესრიგებს განსაზღვრული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას, მასში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობების აღიარება-გამიჯვნის გზით, და რომელთა სამართლებრივი დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სასამართლო წესით სახელმწიფო იძულების გამოყენების შესაძლებლობით.

ეს განსაზღვრება არსებითად შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი მიგვითითებს, რომ სამართლის ნორმა აწესრიგებს საზოგა-

დობრივ ურთიერთობას, ხოლო მეორე – სასამართლო იცავს ამ ურთიერთობაში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობებს. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ სამართლებრივი ნორმების ორ სახეს: მომწესრიგებელ და დამცველ სამართლის ნორმებს.

მომწესრიგებელი სამართლის ნორმების თავისებურება ისაა, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირებს შორის იგი ანაწილებს უფლებებსა და მოვალეობებს: 1) განსაზღვრავს პირების ზოგადსამართლებრივ სტატუსს, მათ ამოსავალ სამართლებრივ მდგომარეობას, საზოგადოებაში, მათ მდგომარეობას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლამდე; 2) განსაზღვრავს პირების ინდივიდუალურ სტატუსს, მათ მდგომარეობას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში.

პირველ შემთხვევაში სამართლის ნორმები განსაზღვრავს სამართლის ყველა სუბიექტის ძირითად და ფუძემდებლურ უფლება-მოვალეობებს, მათ სამართლებრივ სტატუსს (მაგალითად, მოქალაქეთა თანასწორ კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობებს და სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას). მეორე შემთხვევაში სამართლის ნორმები განსაზღვრავს თითოეული პირის ინდივიდუალურ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მან შეიძლება შეიძინოს კონკრეტულ ურთიერთობებში, რეალური ქცევის პროცესში; მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლებები და მოვალეობები, პარლამენტის თუ მთავრობის კომპეტენცია. მეორე მხრივ, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები განსაზღვრავს სამოქალაქო უფლება-უნარიანობას ანუ იმ უფლება-მოვალეობათა წრეს, რომელიც შეიძლება შეიძინონ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებმა ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ არაქონებრივ ურთიერთობათა დამყარების შედეგად. იგივე ითქმის იმ ურთიერთობის მომწესრიგებელ შრომით სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც შეუძლიათ შეიძინონ შრომითი ხელშეკრულებების მხარეებმა სხვადასხვა სახის შრომით ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში ლაპარაკია შრომით უფლება-უნარიანობაზე. ასეთ სამართლებრივ ნორმებს განეკუთვნებიან აგრეთვე საქორწინო და საოჯახო სამართლის, მიწის საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელი, ატმო-

სვეროს, წყლით და ბუნებრივი სიმდიდრეებით სარგებლობის საკითხების მომწესრიგებელი ნორმები.

ორივე შემთხვევაში მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ძირითადი მიზანი და დანიშნულებაა ურთიერთობების მოწესრიგება ანუ მართვა და მოდელირება შესაბამის უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა-განაწილების გზით და არა იძულებით. ეს ნორმები „იდეოლოგიურ“ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებზე. მათი მიზანია საზოგადოებრივ ურთიერთობებში სტაბილურობის და წესრიგის შეტანა, ისეთი პირობების შექმნა, როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოველი მონაწილის მიერ უფლება-მოვალეობის განხორციელება მიმართულია მისივე ინდივიდუალური მიზნების მისაღწევად, მატერიალური და სულიერი ინტერესების საზოგადოებისათვის მისაღები გზით დასაკმაყოფილებლად.

სამართლის ნორმების მეორე სახეობას წარმოადგენს ე.წ. სამართალდამცავი ნორმები, რომლებიც იცავს მომწესრიგებელი სამართლის ნორმებით უკვე დარეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლება-მოვალეობებს მათი დარღვევის შემთხვევაში. სხვა სიტყვებით, ეს ნორმები არის ე.წ. ნორმა-სანქციები, რომლებიც ადგენს პასუხისმგებლობის ზომას, მასშტაბს იმ პირის მიმართ, ვინც დაარღვევს მომწესრიგებელი ნორმებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობას. ეს ნორმები ძირითადად გაერთიანებულია სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში.

სამართალდამცავი ნორმების ფარგლებში განასხვავებენ სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც იცავენ სხვადასხვა დარგის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ერთსა და იმავე უფლებებს, უფლებების ხელყოფის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებას იცავს შესაბამისი სისხლის, ადმინისტრაციული, შრომისა და სამოქალაქო სამართლის ნორმები. სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პიროვნების ჯანმრთელობის ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის შრომისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში. თავის

მზრივ, შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს მატერიალურ პასუხისმგებლობას მუშაკის დასახიჩრების შემთხვევაში, აგრეთვე, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას ამ დარგში შრომის კანონმდებლობისა და შრომის წესების დარღვევისათვის. სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს ქონებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც ზიანი ადგება ადამიანის ჯანმრთელობას. სახელმწიფო და პირადი საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგის, ტრანსპორტზე მოქმედი წესების, ვაჭრობისა და ფინანსების მომწესრიგებელი წესების დარღვევისათვის. მმართველობის ხელმყოფი ქმედობისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული კანონმდებლობა. უკანასკნელ შემთხვევაში განსხვავება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხშია. სწორედ ამ თვალსაზრისით ასხვავებენ ერთმანეთისაგან სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართლებრივ ნორმებს.

რა არის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი მომწესრიგებელ და დამცავ სამართლებრივ ნორმებს შორის?

არსებითი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მომწესრიგებელი ნორმები ემყარება ობიექტურ მომენტს – რეგულირების საგანს, მაშინ, როდესაც დამცველი ნორმები – სუბიექტურ მომენტს – რეგულირების მეთოდს. მაგალითად, სამოქალაქო, შრომითი და საოჯახო სამართლებრივი ნორმები ძირითადად რეალურად არსებულ ქონებრივ, შრომით და საოჯახო ურთიერთობებს ეყრდნობა, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმები კი შეფასებით კრიტერიუმს – ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, რომელიც ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი არაა.

პასუხისმგებლობის სახე ან ზომა ყოველთვის სუბიექტურია. რას ნიშნავს ეს? ერთი და იგივე ქმედობა გარკვეულ პერიოდში შეიძლება ისჯებოდეს სისხლის სამართლის წესით, ხოლო მოგვიანებით გახდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ობიექტი, ან ერთი და იგივე ქმედობა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება იწვევდეს განსხვავებული ზომის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ან არ იწვევდეს არანაირ პასუხისმგებლობას და ა.შ.

სამართლის ნორმების მომწესრიგებელ და დაცვით ნორმებად დაყოფა პირობითია, რადგან ორივე სახის ნორმა შეიცავს ქცევის წესებს, ორივე აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას; განსხვავება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საგან-

თან და მეთოდთანაა დაკავშირებული. პირველი საზოგადოებრივი ურთიერთობის მხარეებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს კორიზონტალური წესით, მეორე - ვერტიკალურით.

სამართლის ნორმების მომწესრიგებელ და დაცვით ნორმებად დაყოფა ყველაზე ზოგადია.

სამართლის ნორმებს ყოფენ სხვა კრიტერიუმებითაც.

2. სამართლის ნორმები გარკვეული ქცევის მოთხოვნის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: მაგალბელ და უფლებამოსილებით ნორმებად.

მაგალბელი ხასიათის ნორმაში ქცევის წესი ჩამოყალიბებულია მბრძანებლური ფორმით ანუ ისე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს ის მიუთითებს ქცევის მხოლოდ ერთ ვარიანტზე, არ აძლევს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნორმის ძალით: “შოვალემ, რომელმაც გადააცილა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას, უნდა გადაიხადოს გადაცილებული დროის სარგებელი ვადაგადაცილებული თანხის წლიური სამი პროცენტი“.

უფლებამოსილებით ნორმებში ქცევის წესი ჩამოყალიბებულია ალტერნატიული ფორმით ანუ ისე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს უფლებას აძლევს იმოქმედოს თავისი შეხედულებით, შესაძლებლობას აძლევს ქცევის რამდენიმე ვარიანტიდან აირჩიოს ერთ-ერთი, ანუ განსაზღვრავს მოქმედების “N“ რაოდენობას, მაგრამ ამავე დროს ლოგიკურად კრძალავს N+1 მოქმედებას. ასე მაგალითად, სამოქალაქო ნორმის თანახმად: მყიდველს, რომელსაც მიჰყიდეს არაჯეროვანი ხარისხის ნივთი, უფლება აქვს მოითხოვოს: ან შეცვლა ამ ნივთისა ჯეროვანი ხარისხის ნივთით, ან თანაზომიერად შემცირება სასყიდელი ფასის, ან ნივთის ნაკლოვანებათა უსასყიდლოდ გასწორება, ან ხელშეკრულების მოშლა მყიდველისათვის ზარალის ანაზღაურებით.

უფლებამოსილებით ნორმის ნაირსახეობაა ნორმა, რომელიც უფლებას ანიჭებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსი. მაგალითად, სამოქალაქო ნორმის მიხედვით: “სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა იმ საფუძველით, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, აგრეთვე მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედებისაგან, რომელიც თუმცა არ არის გათვალის-

წინებული კანონით, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი საწყისებისა და აზრის გამო სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობებს წარმოშობენ“.

მაველებელი და უფლებამოსილებითი ნორმების გარკვეულ კომბინაციას წარმოადგენენ ე.წ. დისპოზიციური ნორმები. ეს ნორმები მოქმედებენ მაშინ, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი თვითონ არ განსაზღვრავენ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსს. მაგალითად, სამოქალაქო ნორმის ძალით: “როცა ვალდებულების შესრულების ვადა არ არის წინასწარ აღნიშნული ან მოთხოვნის მომენტიტაა განსაზღვრული, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება, როცა კი მოისურვებს, ხოლო მოვალე ვალდებულია შეასრულოს ასეთი ვალდებულება შეიდი დღის ვადაში, თუ დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულება არ გამომდინარეობს კანონის, ხელშეკრულების ან ვალდებულების არსიდან“.

3. სამართლებრივი ნორმების ცალკე ჯგუფს განეკუთვნება ნორმები, რომლებიც უშუალოდ არ აწესრიგებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, არამედ აყალიბებს ზოგად პრინციპებს ან ცნებებს სამართლის ერთი დარგის ფარგლებში სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაგვარებლად.

ამ თვალსაზრისით განსახვავებენ ზოგად და დეფინიციურ ნორმებს. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მის შინაარსს; სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შესამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს; ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული სახდელების სახეებს – ზოგადია, საერთოა შესაბამისი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობათა შიგნით არსებული კონკრეტული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწყესრიგებლად ანუ ზოგადი ნორმებია. (ზოგადი ნორმების ნაირსახეობაა აგრეთვე ე.წ. დეკლარაციული ნორმები).

დეფინიციურია ნორმები, რომლებიც აყალიბებს ცნებებსა და განსაზღვრებებს. მაგალითად, შრომის კანონთა კოდექსი განსაზღვრავს, – რა არის შრომის ხელშეკრულება, სისხლის სამართლის კოდექსი – რა არის დანაშაული, სამოქალაქო კოდექსი – რა არის გარიგება და ა.შ.

თავი II. სამართლის წყაროები

1. სამართლის წყაროს ცნება

ტრადიციული იურისპრუდენცია სამართლის წყაროებად თელის ზოგადი ხასიათის ნორმატიულ წარმონაქმნებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სამართლის სხეულს, “კეებავენ” სამართალს. ესენია: საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატიული აქტები, საზოგადოებაში თვითდინებით ჩამოყალიბებული სამართლებრივი ჩვეულებები და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ გამომუშავებული პრეცედენტული ნორმები. პირველს უწოდებენ საკანონმდებლო სამართალს, მეორეს – ჩვეულებით სამართალს, ხოლო მესამეს – სამოსამართლო სამართალს. თითოეული ცალ-ცალკე და მათი ურთიერთქმედება – ფორმას აძლევს ამა თუ იმ ქვეყნის სამართალს, წარმოადგენს მის შემქმნელ, მაკონსტრუირებელ ძალას, მასაზრდოებელ წყაროს. სამართლის ამ წყაროებს ზოგჯერ სამართლის ფორმებსაც უწოდებენ. ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ის სამი ფორმა, რომელშიც სამართალი, სამართლებრივი ნორმები თავის თავს ავლენენ, ის სამი სახე, რა სახითაც სამართალი გვევლინება.¹

სამართლის სამივე წყარო წარმოდგენილი არის ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. მაგრამ გამასხვავებულაა მათი ზეედრითი წილი შესაბამისი ქვეყნის სამართლის ფორმირებაში. იმ ქვეყანას, სადაც სამართლის წყაროებს შორის გაბატონებული ადგილი უკავია კანონმდებლობას, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყანას უწოდებენ, იქ სადაც ბატონობენ სამართლებრივი ჩვეულებები – ტრადიციული სამართლის სისტემის ქვეყნებს, ხოლო სადაც სამართლის ძირითადი წყარო სამოსამართლოს გადაწყვეტილებაა – სამოსამართლო სამართლის სისტემის ქვეყნებს.

კანონმდებლობას გაბატონებული ადგილი უკავია იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს რომანულ-გერმანული სამართალი ანუ იქ, სადაც უპირატესობა ენიჭება პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს. ჩვეულებით სამართალს გაბატონებული ადგილი უკავია ე.წ. განვითარებად ქვეყნებში, სადაც საგრძნობია ტრადიციის ძალა საზოგადოე-

1. ავტორი უპირატესად ორიენტირებულია ცნობილი ფრანგი მეცნიერის რენე დავიდის შრომებზე, რომლებიც სამართლებრივ ოქსებზე დაყოფის კონცეფციასზე.

ბის სამართლებრივ ცხოვრებაში. სამოსამართლო სამართალი პრივი-
ლეგიურია იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს საქსონური სამართალი
ინგლისური ელექტები, ანუ სადაც უპირატესობა ენიჭება მართ-
ლმსაჯულების ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ ნორმებს.

2. საკანონმდებლო სამართალი

საკანონმდებლო სამართალი ანუ კანონმდებლობა არის
კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილი ზო-
გადსავალდებულო ქცევის წესების (ნორმატიული აქტების)
ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთი-
ერთობათა გარკვეულ ჯგუფს მასში მონაწილე პირების უფ-
ლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით და რომელთა
დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია
სასამართლო წესით იძულების გამოყენების შესაძლებლობით.

კანონმდებლობის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია კანონი.

კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმო-
მადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტი.

რომანულ-გერმანული ტიპის სამართლის ქვეყნებში კანონები ქმნ-
ის გარკვეულ სისტემას იერარქიის ფორმით.

ამ სისტემის ზემო საფეხურზე იმყოფება კონსტიტუცია, როგორც
ფუძემდებლური სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა ანუ ძირ-
ითადი კანონი.

შემდეგ საფეხურზე ადგილს იკავებს კონსტიტუციის ნორმების
დამაკონკრეტებელი და მადეტალიზებული კანონები, მაგალითად, კა-
ნონი პრესის შესახებ, კანონი არჩევნების შესახებ, ადამიანის უფლე-
ბათა ბილი და ა.შ.

კანონთა სისტემის მესამე საფეხური უკავია კოდექსებს, რომლე-
ბიც თავს უყრიან ერთი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომ-
წესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს (მაგალითად, სამოქალაქო კო-
დექსი, შრომის კანონთა კოდექსი, ადამიანისტრაციულ სამართალდარ-
ღვევათა კოდექსი და ა.შ.).

მეოთხე საფეხური მოიცავს ფართო ნორმატიულ კომპლექსს, რო-
მელიც რეგლამენტის სახელით არის ცნობილი. რეგლამენტი გულის-
ხმობს მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებულ ზოგა-

დი ხასიათის ნორმატიულ აქტებს, რომლებიც აწესრიგებენ კანონების ცხოვრებაში განხორციელების პროცესს, ანუ ადგენენ ქცევის წესებს კანონების განხორციელების შესახებ. ფაქტობრივად ეს არის მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ კანონების განხორციელების ორგანიზაცია ნორმატიულ აქტების დადგენის გზით.

მესუთე საფეხური მოცავს უფრო ფართო ნორმატიულ კომპლექსს, რომელიც ინსტრუქციების სახელით არის ცნობილი. ინსტრუქციაში იგულისხმება არა ზოგადი ხასიათის ნორმატიული აქტი, არამედ ინდივიდუალური აქტი, განმარტებანი რეგლამენტის განხორციელების წესისა და თანამიმდევრობის შესახებ, რომელთა ადრესატია რეგლამენტის უშუალო განმახორციელებელი ბიუროკრატია.

იმ ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია რომანულ-გერმანული სამართლებრივი ნორმები, კანონში იგულისხმება მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული აქტი. ყველა სხვა ითვლება ქვეკანონურ აქტად. ამასთან, კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს იმ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ არის დადგენილი კონსტიტუციით. დანარჩენ საკითხზე ნორმატიული აქტის მიღების უფლება აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის ფუნქციაა კანონმდებლობის აღსრულება.

იმ ქვეყნებში, სადაც უპირატესად გავრცელებულია ინგლისურ-საქსონური სამართლებრივი ნორმები, განასხვავებენ კანონს ვიწრო და ფართო გაგებით.

კანონი ვიწრო გაგებით არის მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელსაც უწოდებენ სტატუტს. ასეთი აქტების ერთობლიობა ქმნის სტატუტურ სამართალს.

კანონის ქვეშ ფართო გაგებით იგულისხმება ყოველგვარი სამართლებრივი ნორმა, რომლის დაცვაც მისი დარღვევის შემთხვევაში შეიძლება სასამართლო წესით. მათ მიეკუთვნება როგორც სტატუტები, ისე ჩვეულებები და სასამართლო პრეცედენტი.

უფრო ფართო აზრი არის ჩადებული ტერმინში კანონმდებლობა, რომელიც, გარდა ზემოაღნიშნულისა, მოიცავს სახელმწიფოს მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებულ აქტებსაც, ე.წ. დელეგირებულ კანონმდებლობას. გარდა ამისა, მასში შედის ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული ქვეკანონიური აქტები, ე.წ. სუბსიდიური კანონმდებლობა.

ინგლისურ-საქსონური ტიპის სამართლის ქვეყნებში კანონებსა და რეგლამენტებს ფაქტიურად არა აქვთ სამართლის ძირითადი წყა-

როს მნიშვნელობა, ისინი პრაქტიკაში მეორეხარისხოვან სამართლის წყაროდ არიან აღიარებული. ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით ეს ითქმის ინგლისის შესახებ, ამავე დროს აღიარებულია, რომ ამ შეზღუდულ ფუნქციურ ფარგლებშიც კანონი სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუმცა მისი ფაქტობრივი ძალა საბოლოო ჯამში იმაზეა დამოკიდებული, აღიქვამს და მიიღებს თუ არა მას სასამართლო პრაქტიკა, იქცევა თუ არა იგი პრეცედენტულ ნორმად. თუმცა უკანასკნელ წლებში კანონის როლი გაიზარდა უპირატესად იმ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ არ არის სასამართლოს დაქვემდებარებაში: კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ. და უპირატესად დაკავშირებულია მმართველობის სფეროსთან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონმდებლობა სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. თუკი სასამართლომ ჩათვალა, რომ შტატის კანონი გასცდა თავის კომპენტენციას, მას შეუძლია არ გამოიყენოს იგი. რაც შეეხება ფედერალურ კანონებს, მასზე შეზღუდვების ახორციელებს უმაღლესი სასამართლო, რომელსაც შეუძლია ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადოს ეს თუ ის ფედერალური, და რა თქმა უნდა, შტატის კანონიც.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ი ინგლისური ტიპის სამართლის სისტემის ქვეყანაა, სადაც მოსამართლეების მიერ შექმნილ სამართალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ქვეყანაში ძირითად კანონად მაინც კონსტიტუცია არის აღიარებული და ამ თვალსაზრისით ის განსხვავდება ინგლისის სამართლისაგან, სადაც დაწერილი, ერთ კონსოლიდირებულ აქტად ჩამოყალიბებული კონსტიტუცია არ არსებობს. ამასთან, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ დიდი ხანია აღიარა, რომ ამ ქვეყნის კონსტიტუცია განსაკუთრებული, ყველა სხვა აქტზე უმაღლესი აქტია. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის კონსტიტუცია არის რომანულ-გერმანული ელემენტი ინგლისური სამართლის სისტემაში.

აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნებში, სადაც სამართლის სფეროში პრიმატი ენიჭება ჩვეულებით სამართალს, გაჯერებულს რელიგიური დოგმებით, კანონმდებლობის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების პროცესების მართვაში ძალიან მცირეა. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ქვეყნებზე, სადაც სახელმწიფო რელიგიად აღიარებულია ისლამი. ამ ქვეყნებში სამართლის ძირითადი წყაროა ყურანი, რომელმაც მიხი ხანგრძლივი გამოყენების გამო ჩვეულებითი სამა-

როთლის ძალა მიიღო. მიუხედავად ამისა, თანამედროვე რეალებმა ბევრი ისლამური სახელმწიფო აიძულა მოეხდინა დასავლეთის სამართლებრივი სისტემების ნაწილობრივი რეცეფცია. ამ მხრივ ყველაზე ნიშანდობლივია თურქეთის მაგალითი. 1926 წელს თურქეთის პრეზიდენტმა ათათურქმა გამოსცა დეკრეტი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის თურქეთის ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ. ეგვიპტეში, პაკისტანში, მაროკოში, ლიბანში თანდათანობით გაბატონდა რომანულ-გერმანული სამართლებრივი ნორმები ინგლისური სამართლის სისტემის ზოგიერთი ელემენტის შემოტანით.

და მაინც, რადგან ისლამის ძალა დღესაც საკმაოდ საგრძნობია, ამ ქვეყნებში თავს არიდებენ მსხვილი კოდიფიცირებული აქტების მიღებას და ამ ხარვეზს ავსებენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული რეგლამენტებით, რის გამოც ამ ქვეყნებში საკმაოდ განვითარებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობა. ამავე მიზეზის გამო სახე იცვალა სასამართლოებმაც. ტრადიციული მუსულმანური სასამართლოები გაუქმდა თურქეთში, ტუნისში, პაკისტანში, ინდონეზიაში და დასავლეთზე ორიენტირებულ ზოგიერთი არაბულ ქვეყანაში; მათი ადგილი დაიკავა სხვადასხვა სახის დასავლური ტიპის სასამართლოებმა.

ისლამურ ქვეყნებში კანონს დაქვემდებარებული როლი და მნიშვნელობა აქვს. აქ პარლამენტს კანონის მიღება შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ურთიერთობა არ არის მოწესრიგებული ყურანით. რეალურად კანონზე მეტი იურიდიული ძალა აქვს რეგლამენტს, რომელსაც “ნიზამი” ეწოდება. ამ რეგლამენტს მთავრობა გამოსცემს და იგი ძალაში შედის მონარქის დეკრეტით.

მაგრამ ისლამურმა ქვეყნებმა მაინც ვერ აუარეს გვერდი, მაგალითად, საპატენტო, სააქციო და საზღვაო კანონმდებლობას, ფასიანი ქაღალდების შესახებ ნორმატიული აქტების კოდიფიცირებას. ეს ითქმის აფრიკის ბევრ ქვეყანაზე, სადაც ძლიერია ევროპული ცივილიზაციის გავლენა. სხვა გზა არც იყო. მათთვის ადრე უცნობი, მაგრამ ცივილიზებულ სამყაროში მკვიდრად ჩამოყალიბებული ის ურთიერთობანი, რომლებიც ფეხს იკიდებდა ამ ქვეყნებში, საჭიროებდა ადეკვატურ სამართლებრივ ფორმას. იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებდა და ნაწილობრივ ახლაც მოქმედებს, მაგალითად ფრანგული ან ინგლისური სამართალი, კანონმდებლებს დათქმა შეაქვთ იმის შესახებ, რომ სხვა ქვეყნის სამართალი მოქმედებს, თუ იგი პირ-

დაპირ არ ეწინააღმდეგება ჩვეულებას ან ადგილობრივ პირობებს. ძირითადად კი ტენდენცია ევროპული სამართლის დამკვიდრებისა უფრო მყარია (განსაკუთრებით აფრიკულ ქვეყნებში), ვიდრე ჩვეულებითი სამართლის შენარჩუნებისა.

3. ჩვეულებითი სამართალი

ჩვეულებითი სამართალი არის შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვითდინებით ჩამოყალიბებული, საზოგადოების წევრების მიერ ზოგადსავალდებულო ნორმებად აღიარებული, ქცევის მუდმივად განმეორებადი, ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ ჯგუფს, მათში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით, და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სასამართლო წესით იძულების გამოყენების შესაძლებლობით.

ჩვეულებითი სამართლის პირველი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ქცევის ერთგვაროვანი, მუდმივად განმეორებადი და დამკვიდრებული პრაქტიკა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მიერ აღიარებულია სამართლად. მხედველობაში გვაქვს ზოგადი ხასიათის ქცევის წესები, რომელთა შესრულება ჩვეულებად იქცა.

ჩვეულებითი სამართლის ნორმებს გამოიმუშავენ საზოგადოება და არა მისი ნაწილი, ორგანო ან ცალკეული პირი. საზოგადოების წევრები ერთმანეთს შორის ურთიერთობის დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას უნებურად აღიარებენ, როგორც ყველასთვის სავალდებულო ქცევის წესს.

ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმის მიღება გამოიხატება მდუმარე აღიარებაში. ჩვეულებითი სამართლის ნორმების სპეციფიკა მათ კონსერვატულ ხასიათში ვლინდება. ჩვეულებითი სამართლის ნორმები აფიქსირებენ ქცევის არსებულ პრაქტიკას, მოდელს და ამ გზით სპონტანურად, თვითდინებით აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ჩვეულებითი სამართლის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით, ისლამურ ქვეყნებში ჩვეულებითი

სამართალი უპირატესად შერწყმულია ტრადიციასთან ან რელიგიურ დოგმებთან, ხოლო დასავლეთის ქვეყნებში მან განიცადა ტრანსფორმაცია სახელშეკრულებო სამართალში.

შემდეგი დამახასიათებელი ნიშანი დაკავშირებულია ჩვეულებითი სამართლის ყოფითი ჩვეულებისაგან გამიჯვნასთან. ჩვეულებითი სამართლის ნორმა იმით განსხვავდება სხვა ყოფითი ხასიათის ნორმისაგან, რომ მასში ჩამოყალიბებულ ქცევის წესში აღიარებული და გამიჯნულია უფლება-მოვალეობები. სამართლებრივია ჩვეულება, თუ იგი გამოირჩევა ქცევის წესის მაღალი ხარისხის ნორმატიულობით და, ამასთანავე, გამოიყენება სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომ არაფერი ვთქვათ მათ სანქციონირებაზე სახელმწიფოს მიერ.

სამართლებრივ ჩვეულებასთან მაშინაც გვაქვს საქმე, როდესაც კანონმდებელი კანონის ტექსტში უთითოებს შესაბამის შემთხვევაში ჩვეულების გამოყენების შესაძლებლობაზე ან სავალდებულობაზე. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ალჟირის სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი, რომელშიც ვკითხულობთ: “შესაბამისი კანონის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო საქმეს განიხილავს მუსულმანური სამართლის პრინციპების შესაბამისად, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – თანახმად ჩვეულებისა”.

ამასთან, არის ქვეყნები, სადაც კანონსა და ჩვეულებას თანაბარფასოვანი იურიდიული ძალა აქვს და მათი კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც უფრო ახლოს იმყოფება კონკრეტულ შემთხვევასთან (ნიგერია, ჩადი, სენეგალი). ანალოგიური პრინციპით წყდება საკითხი მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა სამართლებრივი ჩვეულების კოლიზიასთან (კამერუნი, კონგო). უფრო მეტი, მაგალითად, ტანზანიაში სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სამართლებრივ ჩვეულებას. ინდონეზიაში ჩვეულებითი სამართალი კანონის მიერ აღიარებულია აგრარული კანონმდებლობის საფუძველად. ზოგჯერ, როგორც ეს, მაგალითად, სენეგალშია, კანონი უფლებას ანიჭებს მხარეებს, კერძო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას წინასწარ თვითონ განსაზღვრონ, სამართლის რომელ წყაროს მიანიჭონ უპირატესობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ტენდენცია ევროპეიზმისაკენ. ბევრ შემთხვევაში ადგილობრივ უხუცესებს ცვლიან ადგილობრივი მოსამართლეები. ამის გამო სასამართლოებში იძულებულნი არიან სპეციალური

შტატი დაუშვან ჩვეულებითი სამართლის სპეციალისტებისა. ნიშანდობლივია ერთი მომენტიც, სახელდობრ ის, რომ, ძირითადად ჩვეულებითი სამართალი გამოიყენება საოჯახო, მიწის და სამემკვიდრეო, ნაწილობრივ შრომითი და ვალდებულებითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

მაგრამ მთავარი და ძირითადია ის, თუ რომელი ტიპის სამართალს ეკუთვნის ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა.

რომანულ-გერმანული ტიპის სამართლის ქვეყნებში ჩვეულებით სამართლებრივ ნორმას ამჟამად აქვს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია, კანონის განხორციელების პროცესში მისი შინაარსის შევსების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი ჩვეულების როლი იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებელი ხმარობს შეფასებით ცნებებს კანონის ტექსტში, რომელთა შევსება და ახსნა-განმარტება კანონის განხორციელების პროცესში შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნებში ან გარკვეულ, რეგიონში ამ ცნების გაგების ჩამოყალიბებული ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმით შესაბამისი სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის ფარგლებში. მაგალითად, შეუძლებელია ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმის გაუთვალისწინებლად გადავწყვიტოთ ქონებრივი დავა ამა თუ იმ ნივთის კულტურული ღირებულების, ანდა საოჯახო დავა მზითვების შესახებ, ასევე შეუძლებელია გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, გარდა კანონით გათვალისწინებულისა; იგივე შეიძლება ითქვას კეთილი ნების კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულების დადებისას და ა.შ. ბევრ შემთხვევაში მოსამართლეები თვითონ ვერ ამჩნევენ, რომ კონკრეტული სიტუაციის გადასაწყვეტად კონკრეტული ნორმის გამომუშავებისას ან გადაწყვეტილების მიღებისას ინსტინქტურად ჩამოყალიბებული ჩვეულების ჩარჩოებში იმყოფებიან.

სამართლებრივი ჩვეულების მნიშვნელობა ისაა, რომ იგი გვეხმარება სამართლიან გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ იმის გამო, რომ რომანულ-გერმანული ტიპის ცალკეული თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები, როგორც წესი, ერთმანეთთან აიგივებენ სამართალს და კანონმდებლობას, ჩვეულებითი სამართლის უგულებელყოფა ბევრ შემთხვევაში აზიანებს სამართლიანობის პრინციპის დაცვას საზოგადოებაში.

უფრო შეზღუდული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ჩვეულებას ინგლისურ-საქსონური ტიპის სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, ინგლისში დღეს არსებული ტრადიციის მიხედვით სამართლებრივი ჩვეულება მაშინ არის სავალდებულო, როდესაც ის უძველესია. ფორმალურად უძველესად ითვლება სამართლებრივი ჩვეულება, რომელიც არსებობდა 1189 წლამდე, ე.ი. რიჩარდ ლომგულის მეფობის პირველ წლამდე. მაგრამ ფაქტობრივად ბევრი ჩვეულება ფარულად სამართლის წყაროს მნიშვნელობას იძენს, რადგან მას აფიქსირებს სასამართლო პრაქტიკა, იქცევა სასამართლოებისათვის სავალდებულო ძალის მქონე ქცევის წესად. ამის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითია მეფისა და სასამართლო მსაჯულთა ინსტიტუტები, და საერთოდ, ტრადიციის როლი თითოეული ინგლისელის ცხოვრებაში უდავო ფაქტია.

4. სამოსამართლო სამართალი

სამოსამართლო სამართალი არის ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტიტუციების მიერ კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ფიქსირებული ანალოგიურ საქმეებზე სასამართლოებისათვის სავალდებულო ნორმები – სასამართლო პრეცედენტები, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფს, მათში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით, და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია კონკრეტული სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების გზით.

სასამართლო პრეცედენტი სამართლის ძირითად წყაროდ აღიარებულია ინგლისში. ამიტომ საკითხის არსი შეიძლება გაირკვეს სამოსამართლო სამართლის ინგლისური სისტემის მოკლე მიმოხილვით.

ინგლისში მოქმედებს სამი უმაღლესი სასამართლო ინსტიტუცია: ლორდთა პალატა, სააპელაციო სასამართლო და მაღალი სასამართლო. მიღებული წესის თანახმად:

1. ლორდთა პალატის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ნორმის ძალა აქვთ თვით ლორდთა პალატისათვის და ყველა სხვა სასამართლოსათვის;

2. სააპელაციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ნორმის ძალა აქვს თვით სააპელაციო და ყველა სხვა სასამართლოსათვის, გარდა ლორდთა პალატისა;

3. მაღალი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ნორმის ძალა აქვს თვით მაღალი და ყველა სხვა სასამართლოსათვის, გარდა ლორდთა პალატისა და სააპელაციო სასამართლოსი.

4. ყველა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებებს სავალდებულო ნორმის ძალა აქვს ნებისმიერი მმართველობის ორგანოსათვის.

ყველა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სავალდებულო ნორმის ძალა აქვთ ამ გადაწყვეტილებებში ფორმირებულ ქცევის წესებს და სამართლებრივ დებულებებს „ratio decidendi“, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სამოსამართლო სამართალს. თითოეულ სამართლებრივ დებულებას აქვს ქცევის ზოგადი სავალდებულო წესის, ნორმის, ეტალონის, მასშტაბის, მოდელის მნიშვნელობა სამართლის ყველა იმ სუბიექტისათვის, რომელიც ანალოგიურ სამართლებრივ სიტუაციაში მოხვდება. აქედან გამომდინარე, შესაბამის სამართლებრივ დებულებაში მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების აღიარება-გამიჯვნას ნორმატიული ძალა აქვს.

ინგლისში ზოგადსავალდებულო ნორმის ძალა აქვს არა მარტო უმაღლესი სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებებში ფიქსირებულ სამართლებრივ დებულებებს, არამედ აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმოების პროცედურას.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ინგლისური სამართლის თავისებურება. ინგლისური სამართალი არის არა სამართლის აბსტრაქტული პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, არა სამართალი, რომელსაც უნივერსიტეტებში ასწავლიან, არამედ იგი არის პრაქტიკოს იურისტთა სამართალი. ინგლისში მსხვილ იურისტად ითვლება არა კანონმდებელი ან უნივერსიტეტის პროფესორი, არამედ მოსამართლე, რომელმაც თავის კოლეგათა წრეში მოიხვეჭა ავტორიტეტი სასამართლო პროცესის ლაბირინთებში გზის გაკვლევის უნარით. დიდია მოსამართლე, რომელიც დიდი პროცესუალისტი ანუ სასამართლო პროცესის საუკეთესო მცოდნეა. ინგლისელი იურისტისათვის მთავა-

რია არა უფლებათა და თავისუფლებათა ზოგადი დეკლარირება, არამედ მისი რეალური დაცვა საპროცესო ხერხებით.

ინგლისელი ადვოკატი იბრძვის იმისათვის, რომ არა მარტო მოსამართლემ, არამედ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაიცვან საქმის განხილვის პროცედურა, რომელიც გულისხმობს მოდავე მხარეების და მათი ინტერესების დამცველთა მოტივების ზედმიწევნით ყურადღებიან მოსმენას, საქმის გარემოებათა სრულყოფილ და ყოველმხრივ გამოკვლევას. ინგლისელ იურისტებს მიაჩნიათ, რომ საქმის განხილვის პროცედურის მკაცრი რეგლამენტირება და დაცვა არის ამ საქმეზე სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანის გარანტია. ამიტომ ინგლისში მთელი ყურადღება გადატანილია საქმის განხილვის პროცედურაზე, საქმის განხილვის პროცესის წარმართვის ხელოვნებაზე, პროცესუალურ მოქმედებათა თანამიმდევრობის დაცვასა და მხარეთა საპროცესო უფლებების უზრუნველყოფაზე, როგორც ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთ მეთოდზე. ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ გამარტივებული და იაფი მართლმსაჯულება ძვირი უჯდება საზოგადოებას და სახელმწიფოს, რადგან ის ვერ უზრუნველყოფს საქმის არსებითად განმხილველი ორგანოს მიერ ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, რის გამოც ამით უკმაყოფილო მხარე იწყებს სხვადასხვა ინსტანციების მოცდენას. ინგლისში მთელი ყურადღება გადატანილია საქმის არსებითად განმხილველი ნებისმიერი ორგანოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივ და სრულყოფილ გამოკვლევაზე და არა გასაჩივრების ძვირადღირებულ და დამქანცველ სისტემაზე, როგორც ეს კონტინენტურ ევროპაშია. ასე მაგალითად, უმაღლეს სასამართლოს და ლორდთა პალატას შეუძლიათ განიხილონ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, მაგრამ ისე, რომ საქმე არ დააბრუნონ უკან და საბოლოო გადაწყვეტილება თვითონ გამოიტანონ.

განუზომლად დიდია მოსამართლეთა გავლენა მმართველობის ორგანოებზე. ინგლისში მოსამართლის ბრძანების (სწორედ რომ ბრძანების და არა შეამდგომლობის) შეუსრულებლობა ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ, შეიძლება შეფასდეს როგორც უპატივცემულობა მართლმსაჯულების მიმართ, რაც მძიმე კატეგორიის დანაშაულად არის აღიარებული და, როგორც წესი, პატიმრობას ითვა-

ლისწინებს. ინგლისისათვის უცხო და მიუღებელია სასამართლოებზე ზედამხედველი მმართველობის ისეთი ორგანოს არსებობა, როგორც იუსტიციის სამინისტრო და იუსტიციის საბჭოა, რადგან იგი ქვეგანაყოფია მთავრობისა, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მართლმსაჯულებაზე. ეს კი ინგლისელისათვის ძნელი წარმოსადგენია.

სამოსამართლო სამართლის ნორმები გავლენას ახდენს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების განხორციელების პროცესზეც სასამართლო ახსნა-განმარტების თვალსაზრისით. სასამართლოებისათვის სავალდებულო პრეცედენტების პარალელურად კანონის შეფარდების პროცესში ფაქტობრივად კანონის მოდიფიკაცია ხდება შესაბამისი სავალდებულო პრეცედენტის ზეგავლენით, რის გამოც საბოლოო ჯამში კანონი პრაქტიკაში სასამართლო პრეცედენტის ელემენტად იქცევა.

საერთოდ, ინგლისში მოსამართლეს ძალზე მაღალი მოთხოვნები წარედგინება. მისი ვალია დიდი პასუხისმგებლობით და რუდუნებით მოეკიდოს საქმის განხილვას, რადგან შესაძლებელია მისმა გადაწყვეტილებამ პრეცედენტის როლი ითამაშოს სხვა სასამართლოებისათვის.

სამართლის ინგლისური სისტემა ძირითადად გადაიღო აშშ-მა. აშშ-ის იურისტებიც თვლიან, რომ სამართალი არის სასამართლო პრაქტიკით გამომუშავებული სამართლის ნორმები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ აშშ-ის სასამართლო ინსტანციები არ არის შებოჭილი მათ მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებებით. ასეთი პრინციპი განაპირობა აშშ-ის სახელმწიფო წყობილების ფედერალურმა ფორმამ. ამ ქვეყანაში ორი უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა. ესენია: ფედერალური უმაღლესი სასამართლო და შტატების უმაღლესი სასამართლო. საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიკა და ტრადიციის შედარებითი სისუსტე აშშ-ში, პრეცედენტის სავალდებულოობას დამოკიდებულს ხდის თითოეული მოსამართლის შეხედულებისაგან - აირჩიოს ნოვატორული ან კონსერვატორული გზა გადაწყვეტილების მიღებისას.

სხვა ქვეყნებში სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის ძირითადი წყაროს გაბატონებული მდგომარეობა განპირობებულია ადრე აქ ინგლისის ბატონობით. ეს ქვეყნებია: ინდოეთი, ნიგერ-

ია, განა, შრილანკა, იამაიკა, ბოტსვანა, ზიმბაბვე და აგრეთვე სომალის, სუდანის და კამერუნის ზოგიერთი ადმინისტრაციული რაიონი. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პრეცედენტული სამართლის მოქმედების მოცულობა და მასშტაბი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული იყო. ზოგიერთ ქვეყანაში სამოსამართლო სამართლის მოქმედების ფარგლები დაკავშირებული იყო მოსახლეობის მართლშეგნებასა და ადგილობრივ პირობებთან. მიუხედავად ამისა; დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც სამოსამართლო სამართალი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში საკანონმდებლო სანქცირებაც კი მიიღო სასამართლო პრაქტიკის იურიდიული ძალის საკითხმა. უფრო მეტიც, მიუხედავად ზოგიერთი საზოგადოებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო რეგლამენტირებისა, მოსამართლენი ძირითადად მაინც სასამართლო პრაქტიკაზე იღებენ ორიენტაციას. პრეცედენტულ სამართალს თითქმის მთლიანად აქვს დაპყრობილი საპროცესო და მტკიცებითი სისხლისა და სამოქალაქო სამართალი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სამართლის თეორეტიკოსთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სასამართლოს სამართალშემოქმედება უფრო ესადაგება თავისუფალი ეკონომიკის საფუძვლებს და გასაქმნა აძლევს კერძო ინიციატივას, ვიდრე საპარლამენტო შემოქმედება.

რა ადგილი უჭირავს სასამართლო პრეცედენტს რომანულ-გერმანული ტიპის სამართლის სისტემაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ორიენტაცია ავიღოთ არა კანონმდებლობის შესახებ მეცნიერ-იურისტთა პოზიციაზე, არამედ გავეცნოთ მოსამართლეთა რეალურ საქმიანობას, და იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სასამართლო პრაქტიკის შემოქმედებითი როლი კონტინენტურ ევროპაში შენიღბულია მოსამართლეების მიერ კანონის შეფარდებისას კანონის ახსნა-განმარტების აუცილებლობით.

დასავლეთ ევროპის მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში აღარ ფარავენ იმას, რომ ფაქტობრივად ისინი ქმნიან სამართლის ნორმებს.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომანულ-გერმანული ტიპის სამართლებრივი სისტემა თანდათან ინგლისურ-საქსონური ტიპის სამართლებრივ სისტემას უახლოვდება. იგივე მოსამართლეები იმასაც აღიარებენ, რომ მათი სამართალშემოქმედება ასე თუ ისე კანონის საზღვრების ზეწოლას განიცდის. რომანულ-გერმანული ტიპის სამართლის სისტემაში, განსხვავებით პრეცედენტული ნორ-

მებისაგან, რომლებსაც ავტორიტეტის ძალა გააჩნია, კანონს აქვს ძალის ავტორიტეტი. სწორედ ეს თვისება განასხვავებს სამართლის ამ ორ სისტემას ერთმანეთისაგან. სასამართლო პრაქტიკა ფორმალურად არ არის შებოჭილი მის მიერ ადრე გამომუშავებული ნორმებით, მაშინ, როდესაც ინგლისურ-საქსონური სამართლის სისტემაში ამ პრინციპს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საერთოდ ცნობილია, რომ პრეცედენტის სავალდებულობა ეწინააღმდეგება რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ტრადიციას, რადგან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში რომის სამართალი აღიარებულ იქნა საერთოდ სამართლის ნიმუშად. სამართლის ამ სისტემის ქვეყნებში მიაჩნიათ, რომ სამართლის ნორმა უნდა იყოს მეცნიერთა და პარლამენტის წევრთა გულდასმითი მოღვაწეობის შედეგი. მხოლოდ ასეთი წესით შექმნილ ნორმას შეუძლია სრულყოფილად გაითვალისწინოს ყველა ის შესაძლო შემთხვევა, რომელსაც ვერ ამოწურავს კონკრეტული სასამართლო საქმეები ან კაზუსები.

და მაინც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად კანონის ძალის ავტორიტეტისა, რომანულ-გერმანული ტიპის სამართლის სისტემის ქვეყნებში სასამართლოთა პრაქტიკა ანუ სამოსამართლო სამართალი ფაქტობრივად უნდა ჩაითვალოს სამართლის დამოუკიდებელ წყაროდ, რადგან მას აქვს ავტორიტეტის რეალური ძალა. ამ დასკვნას აძლიერებს ისიც, რომ ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მოსამართლის პოსტი, როგორც წესი, უჭირავს პროფესიონალ (ამ სიტყვის ფართო გაგებით) იურისტს და, რაც მთავარია, ამ ქვეყნებში მკაცრად არის დაცული ხელისუფლებათა განცალკევების პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. მოსამართლეები არ თვლიან, რომ ისინი სახელმწიფოს საშსახურში არიან. ამ უკანასკნელი დებულების დასაბუთება არც ისე ძნელია, რადგან მოსამართლეთა ხელფასი იმ ბეგარის ნაწილს შეადგენს, რომელსაც მოსახლეობა იხდის სასამართლო მომსახურებისათვის.

პოზიტივისტების მიერ სასამართლო პრაქტიკით გამომუშავებული ზოგადი სამართლებრივი დებულებების სავალდებულო ძალის უარყოფა არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ეს დებულებები ფაქტობრივად ასრულებენ სამართლის ნორმის ფუნქციას და მხოლოდ ფორმალურად განსხვავდებიან პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისაგან. ასეთი ნორმები, მით უმეტეს, როდესაც ისინი დადგენ-

ილია უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მიერ, უშუალოდ სავალდებულონი არიან სამართალშემფარდებელი ორგანოებისათვის; უფრო მეტი, ისინი არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ფიზიკური და იურიდიული პირების ქცევის მოდელის ფორმირებაზეც.

ჯერ კიდევ დიურკჰეიმში აღნიშნავდა, რომ სამართალი ერთვება სოციალურ პროცესებში სასამართლო გადაწყვეტილებების მეოხებით. გ. ბრედმაიერი ავითარებს ამ დებულებას და ამტკიცებს, რომ სამართალი აყალიბებს სოციალურ ურთიერთობათა ნიმუშებს მართლმსაჯულების მიერ წინასწარ დამზადებული ფორმების მოქმედების მოტივებში ჩართვის გზით.

გამომდინარე აქედან, სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია არის სამართლის ნორმის შემუშავება ანუ უფლება-მოვალეობათა აღიარება, გამიჯვნა და განაწილება, და არა ჭეშმარიტების დადგენა. იურისპრუდენციაში უმნიშვნელოვანესია სტაბილურობა და წონასწორობა, ვიდრე ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ერთ-ერთი საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად, რადგან სასამართლომ უნდა ეძებოს და დაადგინოს ჭეშმარიტება მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას მოითხოვენ მოდავე მხარეები და სამართლის პრეცედენტული ნორმა.

სამოსამართლო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის წყაროს ფუნქციას, ადასტურებს სასამართლო პრაქტიკის კრებულებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების სიმრავლე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. აღნიშნული კრებულები და კომენტარები რეალურ ზეგავლენას ახდენენ სასამართლოების საქმიანობის მიმართულების განსაზღვრაზე. გარდა ამისა, უმაღლესი სასამართლო ორგანოები ადგენენ პრინციპული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე, რითაც ორიენტაციას აძლევენ მოსამართლეებს ანალოგიურ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. იგივე სასამართლოები ქვემდგომი სასამართლოების პრაქტიკის განზოგადებასაც ახდენენ. უფრო მეტი, ესპანეთში სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების ერთ-ერთი მოტივია კონკრეტული კატეგორიის საქმეებზე უმაღლესი სასამართლოს მიერ ოფიციალურად აღიარებული სასამართლო პრაქტიკის გაუთვალისწინებლობა.

ამრიგად, ჩვენ დავახსიათეთ სამართლის სამი წყარო, სამი მკვებავი “ფესვი“. ესენია: საკანონმდებლო, ჩვეულებითი და სამოსამართლო სამართალი.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. საკანონმდებლო, ჩვეულებითი და სამოსამართლო სამართალი არა მარტო სამართლის წყაროებია, არამედ არის საერთოდ სამართლის აზრის, სამართლის იდეის წედომის, აღმოჩენის სამი გზა, სამი ხერხი, სამი ფორმა, იმ აზრის და იმ იდეისა, რომლისკენაც მუდმივად მიისწრაფვის თითოეული მათგანი, უფრო ზუსტად, მათი დამდგენი სუბიექტები.

ამ სამი წყაროს გამაერთიანებელი კატეგორია არის სამართლებრივი სისტემის ცნება /იხ. შესავალი/.

5. შედარებითი სამართალმცოდნეობა

სამართალი პლანეტალური მოვლენაა. ის დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის, კულტურული განვითარების რა დონეზე ისინი არ უნდა იმყოფებოდნენ. ყველა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში წარმოდგენილია საკანონმდებლო სამართალი, სამოსამართლო სამართალი და ჩვეულებითი სამართალი, თუმცა სხვადასხვა ძალით და ხარისხით. ამისდა მიხედვით, ქვეყნები ჯგუფდებიან ოჯახებად. ქვეყნების ოჯახებად დაჯგუფების კრიტერიუმია ქვეყნების „სამართლების“ შედარებითი ანალიზი. სამართლებრივი ოჯახების შედარებით ანალიზს უწოდებენ შედარებით სამართალმცოდნეობას.


რენე დავიდისეულ დიდი სამართლებრივი ოჯახების შედარებით ანალიზს მიეძღვნა ამ თავის წინა ოთხი პარაგრაფი. ახლა საჭიროა შემაჯამებელი დასკვნების გაკეთება და მათი გააზრება თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივი რეალიების ასპექტში.

1. სამართლის წარმოშობის მრავალფაქტორიანობამ და მრავალკონცეფტუალობამ წარმოშვა განსხვავებული სამართლებრივი ოჯახები, რაც ძირითადად ემყარება განსხვავებას საკანონმდებლო, სამოსამართლო და ჩვეულებით „სამართლებს“ შორის. ამასთან ეს განსხვავება არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული სამართლებრივი ოჯახის ამოსავალი ერთ-ერთი მათგანია: ან კანონი ან პრეცედენტი ან ჩვეულებაა. სამივე სამართლებრივი ფენომენი წარმოდგენილია თითოეულ ოჯახში და მათ შორის განსხვავება ერთ-ერთის „პრივილეგიურ“ მდგომარეობაშია. ასე მაგალითად, თუ ინგლისურ-ამერიკელ სამართლებრივ ოჯახში სამოსამართლო სამართლის ხვედრითი წილი მეტია ვიდრე კანონის ან ჩვეულებისა, კონტინენტური ევროპის სამართალში – კა-

ნონი სჭარბობს პრეცედენტს და ჩვეულებას, მაშინ როდესაც ტრადიციულ სამართლებრივ ოჯახში ჩვეულება „სჯაბნის“ კანონსა და პრეცედენტს.

სამართლის მრავალფეროვნება, რაც დაკავშირებულია განსხვავებასთან საკანონმდებლო, სამოსამართლო და ჩვეულებით „სამართლებს“ შორის, გავლენას ახდენს თვითიულის პრაქტიკაში განხორციელების შედეგის მრავალფეროვნებაზე ანუ მართლწესრიგზე.¹ ასე, საკანონმდებლო სამართლის განხორციელების შედეგია კანონის აღსრულების კონკრეტული აქტები, სამოსამართლო სამართლის განხორციელების შედეგია კონკრეტული მოსამართლეთა მიერ კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, ჩვეულებითი სამართლის განხორციელების შედეგია კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მოქმედებები ანუ ნორმატიული ფაქტები. სქემატურად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

ამასთან, თითოეული „სამართალი“ გავლენას ახდენს დანარჩენი ორი „სამართლის“ ფორმირებაზე, ისევე როგორც თითოეულის შედეგზე ანუ მთლიანად მართლწესრიგზე:



საკანონმდებლო სამართალი - სამოსამართლო სამართალზე და ჩვეულებით სამართალზე;

სამოსამართლო სამართალი - საკანონმდებლო სამართალზე და ჩვეულებით სამართალზე;

ჩვეულებით სამართალი - საკანონმდებლო სამართალზე და სამოსამართლო სამართალზე;

¹ ბიძინა სავანელი, მართლწესრიგი და იურიდიული პრაქტიკა, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1981, გვ., 52-75.

საკანონმდებლო სამართალი-მოსამართლეთა ნორმატიულ აქტებზე და ფიზიკური და იურიდიული პირთა ნორმატიულ აქტებზე;

სამოსამართლო სამართალი აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიულ აქტებზე და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნორმატიულ აქტებზე; ჩვეულებითი სამართალი აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიულ აქტებზე და მოსამართლეთა ნორმატიურ აქტებზე.

2. კლასიკური და თანამედროვე იურისპრუდენცია ანსხვავებს სამართლის ზოგად თეორიას (General Jurisprudence) და სამართლის კერძო თეორიას (Particular Jurisprudence).

სამართლის ზოგადი თეორია ახდენს მსოფლიოს ყველა სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი საერთო ცნებების და მეთოდების განზოგადოებას.

სამართლის კერძო თეორია ახდენს მსოფლიოს ერთ-ერთი სამართლებრივი სისტემისათვის (ან კონტინენტური ევროპის ან ინგლისურ-ამერიკული ან ისლამური ან აფრიკული ან აღმოსავლური და ა.შ.) დამახასიათებელი ცნებების და კატეგორიების განზოგადოებას. (საქართველო მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ოჯახს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით).

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოს სამართლის სისტემა სრულად რომ გავიგოთ, საჭიროა ჩატარდეს თითოეული დიდი სამართლებრივი ოჯახების შიგნით არსებული სამართლებრივი სივრცეების უფრო დეტალური ანალიზი და მისი გააზრება თანამედროვე სამართლებრივი რეალიების ასპექტში.

ამ თვალსაზრისით, შედარებითი სამართალმცოდნეობის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია კონრად ცვაიგარტის და ჰელმუტ კიოტცის სახელებთან. ცვაიგარტი და კიოტცი სამართლებრივ ოჯახებად დაყოფის კრიტერიუმად იყენებენ არა ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობას, ან სამართლებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებულ სისტემას ან იდეოლოგიას, არამედ არსებული სამართლებრივი სისტემების აზროვნების თავისებურ სტილს.

ცვაიგარტმა და კიოტცმა სამართლებრივი ოჯახის საიდენტიფიკაციო ხუთ ძირითადი ფაქტორი განსაზღვრეს:

- ისტორიული წინამძღვრები და განვითარების დონე;
- სამართლებრივ საკითხებში აზროვნების დომინანტური სტილი;
- სამართლებრივი ინსტიტუტების მექანიზმის სპეციფიკა;
- სამართლის წყაროების თანაფარდობის ხარისხი;
- სამართლებრივი იდეოლოგია.

ამ კრიტიკურიუმების საფუძველზე ცვაიგარტმა და კიტცმა ქვეყნების სამართლებრივი სისტემები დააჯგუფეს რვა სამართლებრივ ოჯახად. ესენია: რომანისტული, გერმანიკული, ნორდიკული, ინგლისურ-საქსონური, აფრიკული, ინდუისური, შორეული აღმოსავლეთის და ისლამური ოჯახები.¹

ზემოაღნიშნული ოჯახები შეადგენენ თანამედროვე მსოფლიოს დიდ- ანუ მაკრო-სამართლებრივ სისტემას.

თანამედროვე შედარებითი სამართალმცოდნეობა იცნობს მეორე სამართლებრივ დონეს და მას უწოდებს მსოფლიოს მცირე- ანუ მიკრო-სამართლებრივ სისტემას. მსოფლიოს მცირე- ანუ მიკრო-სამართლებრივ სისტემის შემსწავლელი შედარებითი სამართალმცოდნეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ის შეისწავლის ეროვნული სახელმწიფოების პოზიტიურ „სამართლებს“.

- ის ფოკუსირებულია მხოლოდ დასავლეთი ევროპის ქვეყნებზე და ამერიკის კონტინენტზე, და ნაწილობრივ აღმოსავლეთზე.

- ის დაკავშირებულია ძირითადადში საერთო სამართლის და სამოქალაქო სამართლის მსგავსებასთან და განსხვავებასთან, ერთის მხრივ საფრანგეთის და გერმანიისა, და მეორეს მხრივ, შეერთებული შტატებისა და ინგლისისა.

- ის მთლიანად ფოკუსირებულია სამართლებრივ დოქტრინებზე.

- ის ორიენტირებულია სამართლებრივი ნორმების აღწერაზე, ანალიზზე და განმარტებაზე.²

მსოფლიოს მცირე ანუ მიკრო-სამართლებრივი სისტემის შემსწავლელი შედარებითი სამართალმცოდნეობის კვლევის მეთოდებია:

- პარალელური კვლევები;

- ერთი სამართლებრივი სისტემის ახსნა სხვა სისტემების მეოხებით;

- ერთი სამართლებრივი სისტემის ხედვა „უცხო თვალით“;

- საზღვარგარეთის სამართლებრივი სისტემების ხედვა „საკუთარი თვალით“;

¹ K. Zweigert and H. Kotz, Introduction to Comparative Law, 3rd ed., Tony Weir, 2 vols, 1998. p. 5, 69-75

² J. Barton. JI. Gibbs. Jh. Merryman, Law in Radically Different Cultures, 1983

- საზღვარგარეთის სამართლებრივი თეორიების და იდეების და-
წერვა საკუთარ სამართლებრივ სისტემაში.¹

შედარებითი სამართალმცოდნეობას, მის მიკრო (ვიწრო) თუ მაკრო (ფართო) ასპექტში, ჩვენ ვიყენებთ მსოფლიოს სამართლის ყოველისმომცველი სურათის კონსტრუირებისთვის. სამართლის ეს ყოველისმომცველი სურათი ჩვენი აზრით შედეგებული სახით გამოიყურება შემდეგნაირად:

- გლობალური სამართალი;
- ტრანსნაციონალური სამართალი;
- საერთაშორისო სამართალი;
- რეგიონალური სამართალი;
- სახელმწიფო სამართალი;
- ადგილობრივი სამართალი.

3. თანამედროვე სამართლის მრავალფეროვნების გამოვლენა ასევე დაკავშირებულია სამართლის გააზრებასთან გლობალურ, ეროვნულ და ინდივიდუალურ ასპექტებში.

გლობალურ ასპექტში სამართლის გააზრება დაკავშირებულია ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის დარგის ჩამოყალიბებასთან, როგორც თეორიის ისე პრაქტიკის დონეზე. ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის თეორიული გააზრება დაკავშირებულია ზესაერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც საერთაშორისო, ისე კონტინენტურ დონეებზე (ევროპულ, პან-ამერიკული და პან-აფრიკულ დონეებზე). ადამიანის საყოველთაო უფლებათა პრაქტიკული გააზრება დაკავშირებულია საერთაშორისო სასამართლოებთან და ტრიბუნალებთან, მათ შორის კონტინენტურ დონეებზე-ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან და ადამიანის უფლებათა პანამერიკულ სასამართლოსთან.

ეროვნულ ასპექტში სამართლის მრავალფეროვნების გააზრება დაკავშირებულია ეროვნული სახელმწიფოს და მის შიგნით არსებულ ეთნიკურ მრავალფეროვნებასთანაც. ეროვნულ დონეზე სამართლის მრავალფეროვნების მაგალითებად გამოდგებოდა მკვიდრი მოსახლეობის და ეროვნულ უმცირესობათა განსხვავებული უფლებრივი ორიენტირები და მართლშეგნება. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენ-

¹ N. MacCormic, R. Summers, *Interpreting Statutes: A Comparative Study* (1991); *Interpreting Precedents: A Comparative Study* (1997); F. Lawson, *A Common Lawyer Looks at the Civil Law* (1997); Hans Crombag and others, *Anchored Narratives* (1993)

ლები სულაც არ ღიოთხოვენ სამართლებრივ გამორჩეულობას, მაგრამ მოითხოვენ მათ სამართლებრივ და სხვა თავისებურებათა აღიარებას და დაცვას. იგივე შეიძლება ითქვას ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებზე.

ინდივიდუალურ ასპექტში სამართლის მრავალფეროვნება გამოიხატება ადამიანთა ინდივიდუალურ სამართლებრივ სტატუსებს შორის განსხვავებაში, რაც გულისხმობს ადამიანთა შორის უთანასწორობას კონკრეტულ უფლებების მოცულობაში იმ პირობით, რომ ისინი თანასწორად ისარგებლებენ საერთო, (ფუნდამენტური) უფლებებით მინიმალურ სიკეთეებზე. უთანასწორობა კონკრეტულ უფლებების მოცულობაში უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარებას (დინამიკას), ხოლო თანასწორობა საერთო უფლებებში უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრადობას (სტაბილურობას).¹ საუბარია ჯანსაღი უფლებების უთანასწორობასა და უთანასწორობას, საჯარო და კერძო უფლებებს შორის ადგილობრივი, რეგიონული და პლანეტალური მასშტაბით. ეს არის სამართლის დონეების სქემა.

აქა თან, სამართლის იერარქიის მწვერვალია ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი როგორც ზენაციონალური ანუ საკაცობრივი სამართალი.

¹ ბიბინა ფხალაძე (საკანელი), პიროვნების მდგომარეობის იურიდიული ფორმები საზოგადოებაში, (რუსულად), გამომცემლობა მეცნიერება, თბ., 1969 წ., გვ. 60-85. იხ. ასევე, პროფესორ მიშელ ფრიდიფის რეცენზია ჩვენ ნაშრომზე ჟურნალში: *Revue International de Droit Compare*, Vingt-Troisième Année N1, Janvier-Mars, 1971, p. 271-272. ანალოგიური კონცეფცია მოგვიანებით განვითარა ჯონ როულსმა. იხ. J. Rawls, *Political Liberalism*, (1993)

თავი III. სამართლის ძირითადი თემორიები

1. სამართლის სოციოლოგია

დასავლეთის იურისპრუდენციის ერთ-ერთი წამყვან თეორიად აღიარებულია სამართლის სოციოლოგია. ამ თეორიის ფუძემდებელია ცნობილი გერმანელი მეცნიერი ევგენი ერლიხი, რომელიც მოღვაწეობდა XX საუკუნის I ნახევარში.

ერლიხის აზრით, წინამორბედი თეორიების ცდა სამართლის ბუნების ახსნისა მარცხით დამთავრდა, რადგან მათი ამოსავალი პოზიცია იყო სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმები და არა წესრიგი, რომელიც ყალიბდება საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ჯგუფებში. იმისათვის, რომ გავიგოთ სამართლის წყარო, მისი განვითარება და არსი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევისწავლოთ წესრიგი, რომელიც არსებობს ადამიანთა გაერთიანებებში თუ კავშირებში: ოჯახებში, ამხანაგობებში, კორპორაციებში, სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ეს კავშირები პირველადი უჯრედებია, რომლებშიც ჩვენ აღმოვაჩინებთ სამართლებრივ ნორმებს. ეს ნორმები აწესრიგებს ამ კავშირის წევრებს შორის ურთიერთობებს ანუ ქმნის ნორმატიულ წესრიგს კავშირებში. სახელმწიფოს მიერ გამოცემულ ნორმატიული აქტები არსებითად სამართლის მცირე ნაწილია. სამართლის ნორმების ძირითად მასას წარმოადგენს ადამიანთა გაერთიანებებში არსებული შინაგანი ნორმატიული წესრიგი, ამ გაერთიანების წევრებს შორის განაწილებული უფლება-მოვალეობანი. სამართალი უნდა ვეძებოთ ყიდვა-გაყიდვის, საქორწინო, საკრედიტო ხელშეკრულებებში, სავაჭრო კომპანიებისა და სხვადასხვა გაერთიანებების წესდებებში და არა კანონის აბსტრაქტულ პარაგრაფებში. ასეთია ერლიხის აზრი.

სამართლის ნორმების ამ ძირითად მასას ერლიხი უწოდებს „პირველად“ სამართლებრივ ნორმებს, ხოლო სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლის ნორმებს — „მეორად“ სამართლის ნორმებს. თუკი „პირველადი“ სამართლებრივი ნორმები მოიცავს ადამიანთა კავშირებში არსებული ქონებრივი, შრომითი, ორგანიზაციული ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, „მეორადია“ — სახელმწიფო სამა-

რთლის, სისხლისა და ადმინისტრაციულ პროცესუალური სამართლის ნორმები. “პირველადი” სამართლებრივი ნორმები ჭეშმარიტი სამართალია, რადგან ის მუდმივად განვითარებადი, “ცოცხალი” ნორმებია, მაშინ, როდესაც “მეორადი” ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმები გაქვეავებული, უძრავი ხასიათისაა.

რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს „პირველადი“ სამართლის ნორმები? ერლიხის აზრით, ადამიანთა უდიდესი მასა იქცევა გარკვეულად არა იმიტომ, რომ რაღაც აკრძალული ან ნებადართულია კანონით, არამედ ამ კავშირებში არსებულ წესებთან ადაპტირების გამო, სადაც მათ უხდებათ არსებობა და ურთიერთობა აკენიდან სამარემდე. ქცევის მოდელს ისინი იღებენ არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებიდან, არამედ ჯგუფებში ჩამოყალიბებული ნორმებიდან.

ფაქტია, რომ ჩვენ ხშირად აღმოვაჩენთ, რომ ჩვეულება, კომერციული პრაქტიკა და მორალი თამაშობს მნიშვნელოვანი წყაროს როლს იმ ნორმებისათვის, რომლებსაც ხალხი აქტუალურად მიჰყვება, და შესაბამისად, ამ სფეროებში პოზიტიური სამართლის ნორმები პრაქტიკულად უგულველყოფილი რჩებიან. და ეს უდაოა. უფრო მეტი: თუ პოზიტიური სამართლის ნორმები პრაქტიკაში უგულველყოფილი რჩებიან მოქალაქეთა და იურიდიული პირების მიერ, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ პოზიტიური სამართლის ნორმები არ წარმოადგენენ (ცოცხალი სამართლის) ნაწილს.

ერლიხი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოეტების, მხატვრების და მოაზროვნეთა ფანტაზიაა; ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი ფილისტერია, რომელსაც ცოტა რამ ესმის ამ ცნებებისა. მას უყვარს ჩვეულება, ინსტინქტურობა და არაფერი ისე არ სძულს, როგორც გონებრივი ძალდატანება. კავშირის წევრები ინსტინქტურად ეჩვევიან კავშირის შიგნით ჩამოყალიბებულ ნორმებს. ეს ნორმები მიმართულია გამორჩენაზე დამყარებულ წევრთა ურთიერთვალდებულებების შესრულებისაკენ. თითოეული კავშირი განუყოფელია თავის სახეობაში და ერთობლიობაში ქმნის საზოგადოებას, ხოლო თითოეულ კავშირში არსებული წესრიგი საბოლოო ჯამში ქმნის საზოგადოებრივ სამართალს ანუ ჭეშმარიტ სამართალს.

ამრიგად, ერლიხის თანახმად, კავშირში არსებული ნორმატული წესრიგი არსებითად სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, სამართლის მეცნიერების ძირითადი ცნება

არის არა პოზიტიური სამართალი, არამედ სამართლებრივი ურთიერთობა. მაგრამ რადგანაც სახელმწიფოს ხელშია ოფიციალური სამართალშემოქმედების მონოპოლიური უფლება, ერლიხი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას საზოგადოებრივი სამართლის სანქციებისა ანუ კავშირებში არსებული ნორმატიული წესრიგის ფიქსაციისა. თუ სამართლის სისტემაში, განაგრძობს ერლიხი, სჭარბობს არა სანქციირებული საზოგადოებრივი სამართლის ნორმები, არამედ სახელმწიფო კანონმდებლობა, მაშინ ვიღებთ ბიუროკრატიულ საზოგადოებას, რადგან სახელმწიფოს საერთოდ მიდრეკილება აქვს ბიუროკრატიზაციისაკენ.

თუ სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო ინსტიტუტი, მუზეუმი, კონსერვატორია სახელმწიფოს ექვემდებარებიან და არ წარმოადგენენ თვითმყოფ საზოგადოებრივ წარმონაქმნებს იმანენტური ნორმატიული წესრიგით, მაშინ ისინი რეგრესიულ როლს თამაშობენ საზოგადოებაში, რადგან არ ძალუძთ შეეგუონ კულტურის განვითარებას. მხოლოდ ცხოვრების წიაღში ჩასახულ კავშირებს შესწევთ უნარი მუდმივად ეგუებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზმის კულტურულ განვითარებას. სახელმწიფო კანონმდებლობა ყოველთვის იმის საშიშროების წინაშეა, რომ მას არ გაუსწროს საზოგადოებრივმა სამართალმა და სწორედ ამიტომ არის, რომ სახელმწიფო იღებს ზომებს საზოგადოებრივი სამართლის დამუხრუჭებისათვის საზოგადოებრივ კავშირებში არსებული ნორმატიული წესრიგის სანქციებაზე უარის თქმის გზით.

მხოლოდ სამართალი, რომელიც სპონტანურად, თანამიმდევრულად ყალიბდება საზოგადოებრივ ჯგუფებში, როგორც თვითმოქმედი, არა სახელმწიფოს მიერ ცალმხრივად დადგენილი, არა უძრავი, არამედ მუდმივქმნადი “ცოცხალი სამართალი” – არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჭეშმარიტი მომწესრიგებელი.

სახელმწიფო, სისხლის და ადმინისტრაციულ-პოლიციური სამართალი არ არის საკუთრივ სამართალი, არამედ წარმოადგენს სამართლის გარსში არსებულ პოლიტიკურ ნორმებს.

სამართალს, როგორც კანონმდებლის ნების გამოხატულებას, ერლიხი თვლის ძალზე ვიწრო გაგებად. აქედან გამომდინარე, იური-სპრუდენციის ამოცანაა კანონმდებლობა გამოიყენოს საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში ახალი სამართლებრივი ჩანასახების აღმოსაჩენ მასალად. ეს ჩანასახები არსებობს სამართლებრივ ადათებში, მრავალფეროვან საკუთრებით ურთიერთობებში, სხვადასხვა ხელშეკრულე-

ბებში, ხელისუფლებასა და ქვეშევრდომთა ურთიერთობებში, თანაც-ხოვრების წესებში ანუ სამართლებრივ ფაქტებში, ე.ი. ფაქტებში, რომლებსაც აქვთ ნორმატიული ძალა განსაზღვრონ შესაბამისი ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობები. სწორედ ეს ნორმატიული ფაქტები ქმნის “ცოცხალ სამართალს“, ხალხის სამართლებრივ ყოფას.

იურისტი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს კანონმდებლობის, როგორც ლოგიკურად დამთავრებული და უხარვეზო სისტემის შესახებ მოძველებული წარმოდგენიდან. კანონმდებლის ნებიდან გამომდინარე, ყველა იურიდიული ცნება, კონსტრუქცია, განმარტება, ანალოგია და სხვა იურიდიული ფიქციები – არ არიან ყოვლისშემძლენი. ჩვენ, აღნიშნავდა ერლიხი, ბოლოს და ბოლოს, უნდა მივეჩვიოთ იმ აზრს, რომ მოქმედი სამართლის შეფარდების არავითარ თეორიას არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ ზოგადი სამართლებრივი წესების მტკიცედ დადგენილ ყოველგვარ სისტემას აქვს ხარვეზი და რომ არსებითად ის მოძველებულია მისი დადგენისთანავე. ასე რომ, მას არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს, მთლიანად ფლობდეს აწმყოს და, მით უმეტეს, მომაკვალს.

სამართლის ანალოგიას და სამართლის ნორმის განვრცობით ახსნა-განმარტებას არ შეუძლია იხსნას პოზიტივიზმი, რადგან პოზიტიური სამართლის შეფარდების ყველა შემთხვევაში სამართალშემფარდებელი რჩება მოქმედი სამართლის ფარგლებში და ის უძლურია მოხსნას დაძაბულობა სამართლის უძრაობასა და საზოგადოებრივი პროცესების მუდმივ ცვალებადობას შორის. და საერთოდ, მოძღვრება ჩაკეტილი, უხარვეზო სამართლის სისტემის შესახებ სათავეს იღებს XVIII საუკუნის პოლიციური სახელმწიფო წყობისაგან, სადაც სამართალი განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოს უბრალო დანამატი, ხოლო მოსამართლე – როგორც სახელმწიფოს რიგითი მოხელე, რომელიც თავის გადაწყვეტილებას ამყარებდა კანონად ქცეულ სახელმწიფოს უტილიტარულ პოლიტიკაზე და არა სამართალშემოქმედებაზე.

პოლიციურ სახელმწიფოს პირობებში სამართალშემფარდებელი თავის საქმიანობას ყოველთვის ასაბუთებს მოქმედი სამართლის ნორმით როგორც საკითხის ერთადერთი და სამართლიანი გადაწყვეტის საშუალებას, მაშინ, როდესაც ჭეშმარიტ ნორმასთან პოზიტიური სამართლის ნორმას, გარდა სახელისა, არაფერი აკავშირებს. იგი საერ-

თოდ არ არის ნორმა, არამედ მხოლოდ “ტექნიკა“, “ტექნიკა“, რომელიც განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ მოსამართლის ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ყოველ ფაქტს მუდმივად ეძლევა ფართო იურიდიული დასაბუთება. ამიტომ იურისტი უნდა გავათავისუფლოთ კანონის ტექსტისადმი მონური მორჩილებისაგან, მას უნდა პქონდეს თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაძლებლობა და თავის გადაწყვეტილებას არ უნდა მალავდეს პოზიტიური სამართლის საფარველქვეშ თუნდაც მისი განვრცობითი ან შეზღუდვითი ახსნა-განმარტების, უფრო მეტი, კანონის ან სამართლის ანალოგიის გზით. კლასიკურმა გერმანულმა იურისპრუდენციამ უგულებელყო ის გარემოება, რომ ნებისმიერი სახის ახსნა-განმარტების თუ ანალოგიის გამოყენება თვითმიზანი არ უნდა გახდეს, არამედ მისადაგებული უნდა იყოს ფაქტობრივ ურთიერთობასთან. მოსამართლე სამართალს თავისუფლად უნდა ეძებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უნდა შეეძლოს სამართლის ნორმის გამოყვანა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობიდან.

ფაქტია, რომ ჩვენ ხშირად აღმოვაჩინთ, რომ ჩვეულება, კომერციული პრაქტიკა და მორალი თამაშობს მნიშვნელოვანი წყაროს როლს იმ ნორმებისათვის, რომლებსაც ხალხი აქტუალურად მიჰყვება, და შესაბამისად, ამ სფეროებში პოზიტიური სამართლის ნორმები პრაქტიკულად უგულებელყოფილი რჩებიან. და ეს უდაოა. უფრო მეტი, თუ პოზიტიური სამართლის ნორმები პრაქტიკაში უგულებელყოფილი რჩებიან მოქალაქეთა და იურიდიული პირების მიერ, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ პოზიტიური სამართლის ნორმები არ წარმოადგენენ „ცოცხალი სამართლის“ ნაწილს.

ერლიხის “თავისუფალი სამართლის“ კონცეფციას ეხმაურება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ცნობილი ფრანგი სოციოლოგის გურვიჩის თეორია ე. წ. “სპონტანური ნორმატიული ფაქტების“ შესახებ. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელისათვის უცნობი იყო მისი წინამორბედის, 20-იანი წლების დიდი ქართველი მეცნიერის – გ. ნანეიშვილის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა ნორმატიული ფაქტების შესახებ.

სოციოლოგიური იურისპრუდენციის კონტექსტში პროფ. გ. ნანეიშვილის კონცეფცია შემდეგში მდგომარეობს: საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრება არ ამოიწურება სამართლის წმინდა იდეით, პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეული სამართლის იდეით და

მისი განხორციელებით. ადამიანი არა მარტო ამ იდეის განმახორციელებელია, არამედ თვით არის სამართლის კონკრეტული იდეის შემოქმედი: საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეები თვით ქმნიან ურთიერთშორის გარკვეულ ნორმატიულ ატმოსფეროს კანონის ნორმებისაგან დამოუკიდებლად და მათ პარალელურად. ლაპარაკია ე.წ. ნორმატიულ ფაქტებზე, ე.ი. ფაქტებზე, რომლებთაც კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებში შეუძლიათ შექმნან აზრთა ისეთი კომპლექსი, რომელიც ამ ურთიერთობების მონაწილეებს განაწყოებს ერთმანეთის მიმართ უფლებამოსილს და ვალდებულს. ასეთი ფაქტებია, მაგალითად სამართლის სუბიექტების მიერ დადებული რაიმე ხელშეკრულება, როგორც მათი თავისუფალი ნების გამოხატვა, დამოუკიდებლად იმისა, სცნობს თუ არა მას კანონი, ე.ი. ეწინააღმდეგება თუ არა იგი პოზიტიური სამართლის ნორმას. პოზიტიურ სამართალს შეუძლია ბათილად სცნოს, მაგალითად, რაიმე ხელშეკრულება, ან უკანონოდ გამოაცხადოს ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია (თუნდაც დანაშაულებრივი), მაგრამ პოზიტიური სამართალი ამით ვერ მოსპობს აზრთა კომპლექსს, იმ იდეას, რომლითაც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ხელშეკრულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილენი. რაიმე ხელშეკრულების ან რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის არსებობა ფაქტია და, ამავე დროს, ამ ფაქტს აქვს ნორმატიული ძალა პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად და მის პარალელურად, რადგან ისინი აკავშირებენ მათ მონაწილეებს, როგორც ურთიერთ უფლება-მოვალეობების მატარებლებს. კანონიერია თუ არა ხელშეკრულება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ეს მომავალში გაირკვევა, მანამდე კი მათ მონაწილეთა ურთიერთობებს მთელი ისტორია აქვთ, რაშიც ისინი ერთმანეთს განიხილავენ გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების მატარებლებად.

ნორმატიული ფაქტები შეიძლება გამოყენებული იქნეს პოზიტიური სამართლის მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ან პირიქით, შეუძლია შექმნას დაბრკოლება მათი ჩამოყალიბების პროცესში, მაგრამ მას არ შეუძლია მოსპოს იდეა, აზრთა ის კომპლექსი, ის განწყობა, რასაც მისი მონაწილეები განიცდიდნენ ურთიერთის მიმართ ნორმატიული ფაქტის აღმოცენებისთანავე. როდესაც, მაგალითად, ხელშეკრულება არ სრულდება, მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულების შეუსრულებლობა აკრძალულია კანონით,

სწორედ ეს შეუსრულებლობა განსაზღვრავს ხელშეკრულების მონაწილის დამოკიდებულებას არა სამართლის ნორმისადმი, არამედ იმი-სადმი, რაც “უნდა” შესრულებულიყო და არ შესრულდა. ეს არის ადამიანის ლოგიკური დამოკიდებულება იმ ღირებულებისადმი, რაც აკუმულირებულია “უნდა“-ში.

ამრიგად, ნორმატიულობა არის განსაზღვრული სოციალური ფაქტების ობიექტური თვისება, რომლის ძალითაც საზოგადოებრივი ურთიერთობების თითოეული მონაწილე ერთმანეთს განიხილავს, როგორც გარკვეული ღირებულებითი აქტების მატარებელს ანუ ქმნის აზრთა ისეთ კომპლექსს, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს ლოგიკურად განაწყობს ერთმანეთის მიმართ როგორც უფლებამოსილს და ვალდებულს.

პოზიტიური სამართლის სივრციდან ნორმატიული ფაქტების მეცნიერულმა გამოყოფამ, ჩვენის აზრით, შემდგომში ბიძგი მისცა სამართლის ახალი მიმართულების ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებას უწოდეს ეგზისტენციალური მიმართულება სამართალში. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელია მაიჰოფერი. ამ მიმართულებისათვის სამართლის ამოსავალი არის თითოეული ინდივიდის მდგომარეობა ყოველ მომენტში მეორე ინდივიდთან დამოკიდებულების ასპექტში. ინდივიდები, რომლებიც მოხვდებიან ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, როდესაც ერთმანეთისათვის წარმოადგენენ გარკვეულ ღირებულებას, აღმოჩნდებიან თითოეულისაგან გარკვეული ღირებულებითი ხასიათის ქცევის მოლოდინში. ეს სიტუაციური ურთიერთდამოკიდებულება ნორმატიულია, რადგან წარმოშობს მოთხოვნას თითოეული პირის სათანადო ქცევის შესახებ, ანუ ურთიერთვალდებულებას. ამ სიტუაციურ ურთიერთობაში, უფლება-მოვალეობების კოლერაციაში ისახება ადამიანის სამართლებრივი ეგზისტენცია, ანუ სამართალი. სამართალი არის თითოეული ადამიანის სამართლებრივი ეგზისტენცია. მაიჰოფერი პირდაპირ აცხადებს: “ყოველი სამართალი წარმოიშობა სიტუაციის საფუძველზე“. სიტუაციის მიერ შექმნილი სამართალი ჭეშმარიტი სამართალია, რადგან მისი ამოსავალი ადამიანის ეგზისტენციაა, ხოლო პოზიტიური ანუ “გაქვავებული სამართალი“ განხილული უნდა იქნეს როგორც სავალდებულო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ემთხვევა “ჭეშმარიტ სამართალს“. ამისათვის ის ყოველ შემთხვევაში უნდა მოწმდებოდეს მოცემული სიტუაციის თვალთახედვით, რადგან სიტუაცია ყოველთვის განუმეორებელი და ინდივიდუალურია.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა არის სიტუაციის სწორი გადაწყვეტის კრიტერიუმი? მაიპოფერის აზრით ეს კრიტერიუმი "საგანთა ბუნებაა". "თითოეული ურთიერთობა თავის თავში შეიცავს თავის ზომასა და წესრიგს". აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ეგზისტენციალიზმისათვის სამართალი ამოწურავს თავის თავს სიტუაციის ერთჯერადი განმუხტვით. სამართლებრივი ეგზისტენციალიზმისათვის უცხოა სამართლის როგორც სოციალურ ურთიერთობათა მომწესრიგებელი მოდელის გაგება, რადგან ეგზისტენციალური ფილოსოფიის თვალსაზრისით არავითარ სოციალურ ტრანსფორმაციებს და ევოლუციურ გარდაქმნებს არ შეუძლიათ მონური გახადონ ადამიანის ცხოვრება. მონურობას სიტუაცია ბადებს და მითივე ამოიწურება.

ყურადღებით გავაანალიზებთ რა სამართლებრივი ეგზისტენციალიზმის თეორიას, უდავოდ მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ ობიექტურად ნორმატული ფაქტების ნაწიში შეიქმნეული კონცეფცია უნდა ვადიაროთ ამ თეორიის ამოსავალ პოზიციად, ოღონდ მისი ინდივიდუალისტური შეფერილობით.

სამართლის სოციოლოგიის გავლენიანი წარმომადგენელი ჟ. კარბონიე ასავე უპერსპექტივოს უწოდებს დოგმატიკოსი იურისტების, მათ შორის პოზიტივისტების და ნორმატივისტების, ცდას თვალები დახუჭონ სამართლის ნორმის განხორციელების პრაქტიკაზე. რეალურად ეს მათ არც გამოუდით. „თანამედროვე პირობებში დოგმატური წყობის იურისტიკა კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ და ვერ იზღუდება ნორმის ანალიზით და აწარმოებს ამ ნორმის განხორციელების პრაქტიკის შეფასებას. სამართლის ნორმის შეფარდების მიზნით, ის მხედველობაში იღებს კანონის შემუშავების და მიღების ისტორიას, გრამატიკის წესების მოშველიებით ანალიზებს კანონის ტექსტს და აწარმოებს ტექსტის ლოგიკურ ანალიზს, ავლენს მასში ჩადებულ აზრს, გაიაზრებს და უსადაგებს მას საქმის ფაქტიურ გარემოებებს, იძლევა ნორმის ინტერპრეტაციას, ითვალისწინებს მისი განხორციელების სოციალურ შედეგებს“.¹

სამართლის ნორმაში ჩადებული იდეის გახსნის მიზნით, თითქმის იგივე ოპერაციას აწარმოებს მეცნიერ-იურისტი. მეცნიერ-იურისტი ვერ ჩაიკეტება კანონის ტექსტის ჩარჩოებში, რადგან მისი ამოცანაა იზრუნოს სამართლის განვითარებაზე. სამართლის განვი-

¹ Carbonnier J., Sociologie juridique, Paris, 1972, p. 19-20

თარებაზე ზრუნვა კი ნიშნავს არა მარტო კანონის კომენტარს, არამედ კანონის განხორციელების პრაქტიკის, განსაკუთრებით სასამართლო პრაქტიკის შესწავლას და ანალიზს კანონთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონების „კრიტიკას“ მათი ეფექტურობის, განსაკუთრებით მათი არაეფექტურობის ხარისხის დასადგენად. (მაგალითად, კონკრეტული სასჯელის არაეფექტურობის ხარისხის დასადგენად).¹

ამრიგად, იურიდიული მეცნიერების კვლევის საგანია არა მარტო ის, თუ როგორია სამართალი ანუ თუ ზოგადად როგორ უნდა მოიქცეს სამართლის თვითეული სუბიექტი, არამედ ის, თუ როგორია მართლ-წესრიგი ანუ კონკრეტულად როგორ იქცევა სამართლის სუბიექტი. ფილოსოფიურ ენაზე იურიდიული მეცნიერების კვლევის საგანია „სამართლებრივი ჯერარსობა“ და „სამართლებრივი არსობა“ ანუ ქცევის თეორიული და პრაქტიკული მოდელები.

სამართლის სოციოლოგიურმა მიმართულებამ თავისი გავლენის პიკს მიაღწია 70-იანი წლების პირველ ნახევარში. 70-იანი წლების მეორე ნახევარში იგი ნაწილობრივ ადგილს უთმობს სამართალში სოციოლოგიური მიმდინარეობის მეორე მიმართულებას – იურიდიულ სოციოლოგიას. ამ მიმართულების მთავარი მიზანია სამართლის სფეროში ემპირიული კვლევის წარმოება. მის წარმომადგენელთა აზრით იურიდიული სოციოლოგია არ არის არც სამართალმცოდნეობის და არც სოციოლოგიის ნაწილი. იგი მათ მიჯნაზე იმყოფება და არის დამოუკიდებელი მეცნიერული მიმართულება. იურიდიული სოციოლოგიის ამოსავალი და ძირითადი ფუნქციაა კონკრეტული სოციოლოგიური მეთოდების გამოყენება იმ პრობლემების დასაძლევად, რომელთაც აქვთ გამოყენებითი მნიშვნელობა სამართლის მეცნიერებისა და იურიდიული პრაქტიკისათვის. ასეთი საკითხებია, მაგალითად, მოსამართლის გადაწყვეტილების მოტივაცია, კანონის შეფასება საზოგადოებრივი აზრის მიერ, იურიდიული პროფესიების კარიერის გამოკვლევა და ა.შ. ამ მიზნით გამოიყენება ანალიზის ემპირიული მეთოდები: ანკეტირება, ინტერვიუ, ტესტი, სტატისტიკა და სხვა წმინდა ტექნიკური მეთოდები. კვლევის ასეთმა მეთოდმა საბოლოო ჯამში გამოიწვია იურისპრუდენციის “ფსიქოლოგიზაცია”. სამართალშემოქმედების სფეროში ყურადღება გადატანილი იქნა იმ

¹ Carbonnier J., Flexible droit, Paris, 1971, p. 91-92

სოციალურ ძალებზე, რომლებიც მეტ ზეწოლას ახდენენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის ფორმირებაზე; მართლმსაჯულების სფეროში ყურადღება უპირატესად ექცევა მოსამართლის პოზიციისა და ფაქტობრივი ქცევის კვლევას; სისხლის სამართლის სფეროში მთელი ყურადღება გადატანილია დამნაშავეის ფსიქიკის შესწავლაზე და ა.შ.

პროგრესულმა ფრანგმა მეცნიერმა კარბონიემ ზუსტად შეაფასა იურიდიული სოციოლოგიის ნეგატიური როლი სამართლის მეცნიერებაში. მისი აზრით: “ფსიქოლოგიზმი არა მარტო ფიტავს და არღვევს სამართალმცოდნეობაში ცნებათა სისტემას, არამედ ახდენს მთლიანად სამართლის კოროზიას“. რა თქმა უნდა, ამ მიმართულების მიერ გამოქმუნებული მეთოდების დანერგვის შედეგად მიღებული დასკვნების ღირებულება ძალზე დიდია, მაგრამ ისინი ვერ ამოწურავენ სამართლის მრავალწახნაგოვნებას და სიღრმეს. იურიდიული სოციოლოგია ფაქტობრივად სოციოლოგიის ნაწილია და მას მხოლოდ გამოყენებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. არსებითად, იურიდიული სოციოლოგია ემსახურება სოციოლოგიურ იურისპრუდენციას და იგი დამოუკიდებელ მეცნიერულ მიმართულებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სოციოლოგიური იურისპრუდენცია არის ჩვეულებითი სამართლის თეორიული ფუნდამენტი.

2. პოზიტივიზმი და ნორმატივიზმი

კლასიკური იურიდიული პოზიტივიზმის ფუძემდებელია იერემია ბენტამი.

ბენტამის აზრით იურისპრუდენცია იყოფა ორ დარგად: პირველს ეწოდება ექსპოზიტორული (აღწერილობითი) იურისპრუდენცია, მეორეს – ცენზორული (საზედამხედველო) იურისპრუდენცია. ექსპოზიტორული (აღწერილობითი) იურისპრუდენცია განმარტავს თუ რა არის სამართალი, ხოლო ცენზორული (საზედამხედველო) იურისპრუდენცია მეთვალყურეობს იმას თუ როგორი უნდა იყოს სამართალი. იურისპრუდენციის ეს ორმაგი ბუნება დამახასიათებელია როგორც ლოკალური იურისპრუდენციისათვის, რომელიც დაკავშირებულია ერთი კონკრე-

ტული ქვეყნის სამართალთან, ისე უნივერსალური იურისპრუდენციისათვის, რომელიც დაკავშირებულია ყველა ერის სამართალთან.

განსხვავება ლოკალურ და უნივერსალურ იურისპრუდენციას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ლოკალური იურისპრუდენცია არის ეროვნული კანონმდებლობის შემოქმედებითი გააზრების პროდუქტი და იგი ეროვნული კანონმდებლობის ძირითად ნიშნად იძულებას მიიჩნევს, ხოლო უნივერსალურ იურისპრუდენცია არის საყოველთაოდ ცნობილ ცნებათა ერთობლიობა, როგორც არის უფლება, მოვალეობა, მფლობელობა, ტიტული, იმუნიტეტი, პრივილეგია, ბათილობა და ა.შ. მეორე მხრივ, ლოკალური იურისპრუდენცია ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა, ხოლო უნივერსალური იურისპრუდენცია ცენზორული ბუნებისაა. უნივერსალური იურისპრუდენცია მოითხოვს, რომ საყოველთაოდ ცნობილი ცნებები შეტანილი იქნენ ეროვნულ კანონმდებლობაში. უფრო მეტი, აღმწერელი უნდა იყოს ცენზორის მსახური, ხოლო ცენზორი აღმწერელის მრჩეველი. ინდივიდთან მიმართებაში ეს მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: ადამიანი როგორც კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე არის აღმწერელი, ხოლო როგორც მსოფლიოს მოქალაქე არის ცენზორი.

შემდგომ ბენტამი დაასკვნის: სამართალი სხვადასხვა არის სხვადასხვა ქვეყნისათვის, მაგრამ როგორი უნდა იყოს სამართალი - ერთი მსოფლიოსათვის. მაგალითად, მკვლელობის, ყაჩაღობის ან სხვა დანაშაულთა ცნებები და ტერმინები საერთოა ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონები განსხვავდებიან ამ დანაშაულთა გამო სასჯელის სხვადასხვა ზომით. აქედან გამომდინარე, უნივერსალური იურისპრუდენციის ფუნქციაა მეთვალყურეობა გაუწიოს ქვეყნების კანონმდებელთ, რათა თავიანთი ქვეყნების კანონმდებლობაში მათ საყოველთაოდ ცნობილი ცნებები და ტერმინები დანერგონ.

ბენტამის საბოლოო მიზანი მიმართულია კანონშემქმედებითი მეცნიერების შექმნისაკენ, რომელიც არა მარტო ცენზორული, არამედ უნივერსალურიც გახდებოდა. საწყის ეტაპზე ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საყოველთაო საკანონმდებლო ლექსიკონის შექმნა, რომელიც უნივერსალური ცენზორის ფუნქციას შეასრულებდა.

პოზიტივიზმის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია იერემია ბენტამის მოწაფის ჯონ ოსტინის სახელთან.

ჯონ ოსტინმა განავითარა თავისი მასწავლებლის მოძღვრება-სამი მიმართულებით. ესენია:

- მკვეთრი განსხვავება სამართალს რაც არის, და სამართალსა როგორც ის უნდა იყოს;

- დაქვემდებარებული განსხვავება კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შესწავლასა და ზოგადი სამართლებრივი სისტემის შესწავლას შორის;

- სამართლის შესახებ კონცეფციების ანალიზის შედეგების სისტემატიზაცია, როგორც შესწავლის განსხვავებული ობიექტისა, რომელიც აღემატება კონკრეტული ქვეყნის სამართლის შესწავლას.

დანარჩენ ნაწილში ბენტამსა და ოსტინს შორის განსხვავება საგრძნობია. თუ ბენტამის მიზანია განავითაროს პოლიტიკურად რადიკალური მეცნიერება კანონმდებლობის შესახებ, ოსტინის ზრუნვის მთავარი საგანია ჩამოაყალიბოს სწავლება პოზიტიური სამართლის შესახებ, როგორც ავტონომიური სამეცნიერო დისციპლინისა, სრულიად განსხვავებულისა ცენზორული იურიპრუდენციისაგან ან კანონმდებლობის შესახებ მეცნიერებისაგან. თუ ბენტამი განასხვავებს იმას რა არის სამართალი, იმისაგან თუ როგორი უნდა იყოს სამართალი, ოსტინი სამართალში გამოყოფს მხოლოდ უნდას და შეასაბამისად იურისპრუდენციის შესწავლის ერთადერთ ობიექტად ცნობს პოზიტიურ სამართალში ჩადებულ ამ უნდას.

ოსტინის მოძღვრებაში მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ზღუდავს იურისპრუდენციას პოზიტიური სამართლის ანალიზის და აღწერით. ამიტომ კანონმდებლობის ფილოსოფია მისი აზრით არ წარმოადგენს იურისპრუდენციის ნაწილს, არამედ იგი განსხვავებული და დამოუკიდებელი დისციპლინაა.

ამასთან, ბენტამიც და ოსტინიც ანსხვავებენ ზოგად და კერძო იურიპრუდენციას. ორივე ხაზს უსვამს იმას, რომ ზოგადი იურისპრუდენციის შესწავლის ობიექტია ძირითადი სამართლებრივი კონცეფციები, ხოლო კერძო იურიპრუდენციისა – ინდივიდუალური სუვერენული სახელმწიფოს კანონმდებლობა. ოსტინის სიტყვები, რომ მისი „მიზანია აჩვენოს ის კი არა თუ რა არის სამართალი აქ ან იქ, არამედ თუ რა არის ზოგადი სამართალი“, ლაკონურად გამოხატავს ბენტამის და ოსტინის თანმთხვევ პოზიციას.

ოსტინი ავითარებს რა ბენტამის კონცეფციას, უფრო ღრმად იკვლევს განსხვავებას ზოგად (უნივერსალურ) და ლოკალურ (ეროვნულ)

იურიპრუდენციას შორის. მისი აზრით, ზოგადი იურისპრუდენცია არის მეცნიერება, რომელიც დაკავშირებულია იმ პრინციპებთან და ცნებებთან, რაც საერთოა სამართლის ყველა სისტემისათვის. პრინციპების ქვეშ ის გულისხმობს სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ცნებების მაგალითად მას მოყავს: უფლება, მოვალეობა, თავისუფლება, ზიანი, ზარალი, სასჯელი, რესტიტუცია, სუვერენიტეტი, დაწერილი და დაუწერელი სამართალი, სახელშეკრულებო ვალდებულებები და ა.შ.

ოსტინის კონცეფციის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია პოლანდის და გრეის სახელებთან. კერძოდ, გრეი ზოგადი და ლოკალური იურისპრუდენციის გვერდით მოიხსენიებს შედარებით იურისპრუდენციას და სამივეს განიხილავს როგორც იურისპრუდენციის დონეებს. (შედარებით იურისპრუდენციის შესახებ იხ. კარი I, თავი II, პარაგრაფი 5). აქვე აღსანიშნავია მათი მიმდევრების ჰარტის და დვორკინის პოზიცია ზოგადი (უნივერსალური) და ლოკალური (ეროვნულ) იურისპრუდენციის შესახებ. თუმცა ორივე გამიჯნავს ერთმანეთისაგან ზოგად (უნივერსალურ) და ლოკალურ (ეროვნულ) იურიპრუდენციას, მაგრამ ჰარტის აზრით სამართლის საზრისი ჩადებულია ზოგად (უნივერსალურ) იურიპრუდენციაში, მაშინ როდესაც დვორკინის აზრით სამართლის საზრისი იმდენია, რამდენი პოზიტიური სამართალი არსებობს ანუ სამართლის საზრისი ჩადებულია ლოკალურ (ეროვნულ) იურიპრუდენციებში.

პოზიტივიზმმა თავისი შემდგომი განვითარება მიიღო გამოჩენილი ავსტრიელი მეცნიერის ჰანს კელზენის ნაშრომებში, რომლის სახელთან არის დაკავშირებული სამართლის ნორმატული ბუნების სიღრმისეული კვლევა, რაც მანამდე არავის უწარმოებია, რის გამოც

¹ჰანს კელზენი აღიარებულია როგორც: სამართლის წმინდა თეორიის დამაარსებელი, სამართლის პოზიტივიზმის წამყვანი წარმომადგენელი, სამართლის ფილოსოფიის ავტორიტეტი, სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის გამოჩენილი საეკოლოსტი, ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციის შემქმნელი, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო საპატიო დოქტორის ხარისხის 11 გზის მფლობელი, კენის, პრადის, კოლნის, გენტის უნივერსიტეტების პროფესორი, აგრეთვე, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. მისი ძირითადი ნაშრომებია: „სამართლის წმინდა თეორია“, „სახელმწიფო სამართლის თეორია“, „სახელმწიფოს ზოგადი თეორია“ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართალი“ „რა არის

იგი მიჩნეულია ნორმატივიზმის ფუძემდებლად სამართლის მეცნიერებაში.

დასავლეთის იურისპრუდენციის ერთ-ერთი წამყვანი თეორია ნორმატივიზმია. მის დამაარსებლად ითვლება ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ჰანს კელზენი.¹

ნორმატივიზმის წარმოშობა, თვით კელზენის აზრით, შემდეგმა ისტორიულმა წანამძღვრებმა განაპირობა: XX საუკუნის მიჯნაზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა სამართლებრივი მიმდინარეობა, რომლებიც სამართლის არსს უკავშირებდნენ უპირატესად არასამართლებრივ ფაქტორებს. ამ მდგომარეობამ კითხვის ქვეშ დააყენა იურისპრუდენციის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი. კელზენი წერდა: “ზრულიად არამეცნიერული სახით მოხდა იურისპრუდენციის აღრევა ფსიქოლოგიასთან, ბიოლოგიასთან, ეთიკასთან, თეოლოგიასთან და, ამან უცილობლად გამოიწვია სამართლის ჭეშმარიტი მეცნიერების კრახი“. ამიტომ მეცნიერმა გადაწყვიტა გაეწმინდა იურისპრუდენცია მეტაფიზიკისაგან, ე.ი. მისთვის უცხო დანაშრევებისაგან და ჩამოაყალიბა ყოველგვარი მინარევებისაგან თავისუფალი “სამართლის წმინდა თეორია“.

უპირველეს ყოვლისა, კელზენმა გამორიცხა სამართლისადმი სოციოლოგიური მიდგომა. კელზენის აზრით, სოციალური ფაქტორები თუმცა გავლენას ახდენს კანონმდებლობასა და მართლმსაჯულებაზე, მაგრამ ისინი მეტაიურიდიული მოვლენებია და ამიტომ მათ არ შეუძლიათ გასცენ პასუხი კითხვას – რა არის სამართალი. საქმე ისაა, რომ ამ კითხვაზე პასუხი სხვადასხვა იქნება შესაბამისი მოვლენის ბუნებიდან გამომდინარე, ე.ი. სამართლის განმაპირობებელი რამდენი სოციალური ფაქტორიცაა, სამართლის იმდენ განსაზღვრებას მივიღებთ. რა თქმა უნდა, კელზენი არ უარყოფს სამართლის სოციოლოგიური ფაქტორების შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ ასეთ შესწავლას, მისი აზრით, არ შეუძლია ახსნას, თუ რა არის სამართალში მთავარი, ძირითადი და მდგრადი, ე.ი. რა არის სამართლის არსი. კელზენის აზრით, პოლიტიკა, იდეოლოგია და მორალი აბინძურებენ სამართლის ბუნებას, რადგანაც ყველა ისინი ერთსა და იმავე სოციალურ მოვ-

სამართლიანობა“, „სამართლის კომუნისტური თეორია“. კელზენი გარდაიცვალა 1973 წელს. მის სხონვას ავტორმა მიუძღვნა თავისი ნაშრომი, იხ. Bidzina Savancli, Ius Cogens Character of International Human Rights Law, Tb. 2003.

ლენებს და ინსტიტუტებს აძლევენ დიამეტრულად საწინააღმდეგო შეფასებას.

მეცნიერებანი, რომლებიც სოციალურ მოვლენებს და ინსტიტუტებს შეისწავლის, არსებითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებია. ისინი ეფუძნება მიზეზობრიობის, ე.ი. მოვლენების მიზეზშედეგობრივი თანამიმდევრობის პრინციპს. მხოლოდ მეცნიერების ორი დარგია თავისუფალი მიზეზობრიობის პრინციპისაგან – მათემატიკა და იურისპრუდენცია. ისინი ექვემდებარება არა მიზეზობრიობის, არამედ ნორმატიულობის პრინციპს.

სამართლის წმინდა თეორია არის მოქმედი (პოზიტიური) სამართლის თეორია, რომლის კვლევის საგანია მოქმედი სამართალი. ის უპასუხებს კითხვაზე – რა არის მოქმედი სამართალი, და არა – როგორი უნდა იყოს სამართალი. ის არის სამართალმცოდნეობა. სამართლის ეს თეორია “წმინდა” თეორიაა, რადგან დაკავებულია მხოლოდ მოქმედი სამართალით და “ასუფთავებს” შესწავლის საგანს ყველა იმ სოციალური თუ ბუნებრივი მინარევებისაგან, რომელიც განაპირობებს მის წარმოშობას თუ განხორციელებას. ამრიგად, სამართლის წმინდა თეორია ემიჯნება სამართლის სოციოლოგიას, უფრო მეტი, ის ემიჯნება პოლიტოლოგიას და ეთიკას, რადგან იკვლევს მოქმედ სამართალს დამოუკიდებლად იმისა, რამდენად არის ის სამართლიანი, მიზანშეწონილი, დასაბუთებული და ა.შ. ამ თვალსაზრისით სამართლის წმინდა თეორია არის ანტიიდეოლოგიური და ანტიპოლიტიკური მეცნიერება. სამართლის წმინდა თეორიას სურს წარმოაჩინოს სამართალი ისე, როგორც ის არის, და არა ისე, როგორც ის უნდა იყოს; მას აინტერესებს რეალური და არა იდეალური სამართალი. ამ თვალსაზრისით სამართლის წმინდა თეორია რადიკალურად რეალისტური ანუ სამართლებრივი პოზიტივიზმის თეორიაა. სამართლის წმინდა თეორიის თანახმად, ნებისმიერი მოქმედი სამართალი არის სამართალი, რადგან ყველა შემთხვევაში ის გამოხატავს “ჯერარსს“.

კელზენი არ უარყოფს, რომ კანონმდებელი გარკვეული სოციალური მასალიდან იწყებს შემოქმედებას, მაგრამ როგორც კი აზროვნება შეუდგება ამ მასალის მოწესრიგებას, ის იარაღდება ნორმატიულობის პრინციპით, “ჯერარსის“ კატეგორიით და აყალიბებს ნორმებს მოვლენათა ჯერარსობრივი განვითარების ლოგიკით. ამ დონეზე კანონმდებელი ოპერირებს წმინდა გონებით. კანონმდებელი ვერ დაექვემდებარება მიზეზობრიობის პრინციპს, რამდენადაც სა-

ზოგადობაში მეფობს თავისუფალი ნება, რამდენადაც კანონმდებელი ვერ იწინასწარმეტყველებს ქცევის რა ვარიანტს აირჩევს თითოეული ადამიანი, როგორ განვითარდება მოვლენათა მიზეზშედეგობრიობის ჯაჭვი. ამიტომ კანონმდებელს შეუძლია მხოლოდ მისდიოს ნორმატიულობის პრინციპს, ე.ი. ჩამოაყალიბოს ქცევის ზოგადი წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, აყალიბებს მოვლენათა განვითარების მისეულ ვარიანტს. ერთი სიტყვით, ის იძულებულია შემოიფარგლოს სამართლებრივი ჯერარსით. განხორციელება თუ არა ასეთი ჯერარსი პრაქტიკულად, ეს სამართლის სოციოლოგიის საკითხია და არა თეორიის. კანონის ტექსტში მოხსენებულ სოციალურ ფაქტებს არავითარი კავშირი არ აქვთ მოქმედების სავალდებულობასთან, რადგან ფაქტები უკვე მომხდარი მოვლენებია, ხოლო სავალდებულობა ნიშნავს იმას, რაც უნდა იყოს, თუმცა სინამდვილეში შეიძლება არც იყოს. ფაქტობრივი არ შეიძლება იყოს სავალდებულო ანუ ჯერარსობრივი, რამდენადაც ის უკვე არის, როგორც მომხდარი; ფაქტის არსებობა გამორიცხავს მისი დადგომის შესაძლებლობას, რადგან ის უკვე არის, ხოლო სავალდებულობა არ არის ფაქტი, რადგან ის უნდა იყოს, ე.ი. მისი არსებობის საკითხი გადატანილია მომავალში, ის ჯერარსია ანუ ის ჯერარსებულია.

მსჯელობა ფაქტზე და მსჯელობა ჯერარსზე სრულიად განსხვავებული რიგის მსჯელობებია. მსჯელობა ჯერარსზე (რაც უნდა იყოს) არ შეიძლება ლოგიკურად გამოვიყვანოთ ფაქტიდან, რადგან “უნდას” გადავყავართ მომავალში, მომავალი კი თავისუფალი ნების პირობებში არ შეიძლება ერთსახოვნად განვსაზღვროთ, ე.ი. შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, როგორ მოიქცევა პირი მომავალში. ამიტომ კანონმდებელი იფარგლება მხოლოდ ლოგიკური მსჯელობით მოქმედებათა შესაძლებელი, ჯერარსობრივი განვითარების შესახებ. მსჯელობა – “პირმა უნდა...” – არ არის ლოგიკური დასკვნა ფაქტიდან, ხოლო ფაქტი არ არის მსჯელობა იმაზე, რაც “პირმა უნდა...”. კელზენი დაასკვნის: “იქიდან, რომ რაღაც არსებობს, არ შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ ის უნდა იყოს, ხოლო იქიდან, რომ რაღაც უნდა იყოს, არ შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ ის არსებობს. ამიტომ სამართალს აქვს იდეალური არსებობა ჯერარსის სახით“. ასე აქვს წარმოდგენილი კელზენს სამართლის არსი.

სამართლის არსისაგან კელზენი განასხვავებს სამართლის შინაარსს. კელზენის აზრით, სამართლის შინაარსი მოიცავს არა მარტო

კანონებს და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც ის უწოდებს “ზოგად ნორმებს“, არამედ აგრეთვე ე.წ. “ინდივიდუალურ ნორმებს“: სასამართლო გადაწყვეტილებებს, ადმინისტრაციულ დადგენილებებს, ხელშეკრულებებს და ა.შ. “ზოგადი“ და “ინდივიდუალური“ ნორმების მთელი ეს კომპლექსი ქმნის პირამიდის ტიპის სისტემას. ამ პირამიდის ფუნდამენტს შეადგენს “ინდივიდუალური ნორმები“, შემდეგაა “ზოგადი ნორმები“, მერე კონსტიტუცია, და საერთაშორისო სამართალი, ხოლო ამ პირამიდას კეტავს ძირითადი ნორმა. ძირითადი ნორმიდან იღებს სათავეს ყველა არსებული ნორმა.

ამრიგად, კელზენმა ააგო ნორმების იერარქია, რომელსაც მისმა მოწაფემ – მერკელმა “საფეხუროვანი თეორია“ უწოდა. მერკელმა დახვეწა და უფრო სრულყოფილი სახე მისცა თეორიას ნორმათა იერარქიის შესახებ. სქემატურად ეს თეორია შემდეგნაირად აგებს ნორმათა პირამიდას: “ინდივიდუალური ნორმები“ გამოიყვანება კანონებიდან, კანონები – კონსტიტუციური ნორმებიდან, კონსტიტუციური ნორმები – საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან. ამ სისტემის ამოსავალი წერტილია “ჯერარსის პრინციპი“ ანუ ძირითადი ნორმა.

ისმის მეორე უმნიშვნელოვანესი კითხვა: რა ადგილს მიუჩენს კელზენი სახელმწიფოს? კელზენის მიხედვით სახელმწიფო არის ნორმების პერსონიფიკაცია; სახელმწიფო სამართლის ნორმების ერთობლიობაა. სამართალი მოიცავს სახელმწიფოს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლებრივი. სამართლებრივი ნორმების გარეშე სახელმწიფო არარაობაა. კელზენის მეორე ცნობილი მოწაფე მარჩინი ასე ასაბუთებდა ამ იდეას: “თუკი სახელმწიფო არასამართლებრივია, მაშინ იგი სახელმწიფოს იმიტაციაა. ასეთი იყო ყველი დესპოტური, ფეოდალური, აბსოლუტური და ფაშისტური ტიპის სახელმწიფოები“.

კელზენი ანალოგიურად წყვეტს საკითხს სამართლის სხვა სუბიექტების მიმართაც. მისი აზრით, ფიზიკური თუ იურიდიული პირი არის სამართლის ნორმის შემოქმედება, ე.ი. სხვა სიტყვებით, ინდივიდის ან ინდივიდთა გაერთიანების სამართლის სუბიექტად ცნობა დამოკიდებულია არა მათი ობიექტური თვისებებიდან, არამედ კანონმდებლის სუბიექტური შეხედულებებისაგან. ასევე უდგება კელზენი სხვა იურიდიულ კატეგორიებს, როგორცაა, მაგალითად: ხელშეკრულება, შერაცხადობა, თანამონაწილეობა, ნების ცალმხრივი გამოხატვა და ა.შ.

კელზენს ედავებოდნენ მისი ოპონენტები: როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სამართალი არ არის დამოკიდებული სინამდვილის ფაქტებზე, რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და მათში მონაწილე პირების ობიექტურ თვისებებზე? თუ ეს ასეა, მაშინ საიდან იღებს ნორმა თავის შინაარსს, რა განაპირობებს ნორმის შინაარსს?

კელზენმა ამ კითხვას პასუხი გასცა მოგვიანებით, ნეოკანტიანური პრინციპის პოზიციიდან: ჯერარსი შეიძლება გამოყვანილი იქნეს მხოლოდ ჯერარსიდან, კანონი – კონსტიტუციიდან, კონსტიტუცია – საერთაშორისო სამართლიდან, საერთაშორისო სამართალი – ძირითადი ნორმიდან.

კელზენის ასეთ პასუხს მოჰყვა შეპასუხება: თუკი ნორმა მხოლოდ ნორმიდან შეიძლება იქნეს გამოყვანილი, მაშინ საიდან გამოიყვანება ძირითადი ნორმა? ამ კითხვაზე კელზენმა მოკლედ უპასუხა: ძირითადი ნორმა არ შეიძლება გამოყვანილი იქნეს სხვა ნორმიდან, რადგან ის არის ჯერარსის უმაღლესი წერტილი, საიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა ნორმა. ძირითადი ნორმის თავისებურება ყველა სხვა ნორმისაგან განსხვავებით ისაა, რომ იგი არ იქმნება სამართლებრივი პროცედურის მეშვეობით, ის არის სამართლის მუდმივი ნორმა. სწორედ ამ თავისებურების გამო ძირითადი ნორმა არც ერთი სხვა ნორმიდან არ გამომიყვანება. ძირითადი ნორმა არის ტრანსცენდენტურ-ლოგიკური კატეგორია.

ამრიგად, კელზენმა ჩამოაყალიბა სამართლის მწყობრი და დასრულებული სისტემა, რითაც სამართლის მეცნიერებას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია: დაასაბუთა მისი თვითმყოფობა და ავტონომიურობა, აღუდგინა ავტორიტეტი, მიუჩინა ცენტრალური ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის, ხოლო თვით სამართალი აღიარა კაცობრიობის მაკონსტრუირებელ ფენომენად.

კელზენის აზრით არსსა და ჯერარსს შორის უფსკრულია, თითოეული მათგანი ჩაკეტილი სამყაროა. უფრო მეტი, ისინი არა მტრული, არამედ ინდიფერენტულია ერთმანეთის მიმართ, რადგან არსი ექვემდებარება მიზეზობრიობის, ხოლო ჯერარსი – ნორმატიულობის კანონზომიერებას.

არსისა და ჯერარსის დაპირისპირებულობა კელზენის აზრით ასაბუთებს განსხვავებას ექსპლიკატურ და ნორმატიულ მეცნიერებებს შორის. აქედან გამომდინარე, იურიდიული აზროვნების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლის ნორმა. სახელმწიფო, იურიდ-

იული და ფიზიკური პირები არა რეალური პირებია, არამედ ნორმების ერთობლიობაა, ნორმების შემოქმედებაა. საკმარისია სახელმწიფო, იურიდიული თუ ფიზიკური პირი განვიხილოთ ნორმების გარეშე, იმწუთსავე ისინი არარაობად იქცევა, ხელში შეგვეკრება სულისაგან დაცლილი ფიზიკური სხეულები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მიზეზშედეგობრივი ურთიერთქმედებით.

აქვე შეუძლებელია არ აღინიშნოს შემდეგი: არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს კელზენი საერთოდ უარყოფდეს სოციალური კავშირების არსებობის ფაქტს, მაგრამ სოციალური კავშირების არსს მათ ნორმატიულობაში ხედავს და ამიტომ ყველა პრობლემა, რომელიც ისტორიულად სახელმწიფოს და საზოგადოებრიობის პრობლემად მიიჩნეოდა, არსებითად ნორმატიულის პრობლემა იყო.

იურისტს უნდა აინტერესებდეს კითხვა “როგორ” და არა “რატომ”. იურისტი იკვლევს შემდეგ საკითხებს: როგორია ის ნორმები, რომლებიც სამართლის სუბიექტებმა უნდა შეასრულონ? როგორია სამართლის ნორმების ლოგიკური ფორმა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კელზენის აზრით, სამართლის ნორმა არის მსჯელობა იმის შესახებ, რაც უნდა იყოს, ე. ი. სამართლის ნორმა ჯერარსს გამოხატავს. მაგრამ ამ თვალსაზრისით თითქოს შეუძლებელია გავმიჯნოთ სამართალი ზნეობისაგან, რადგან ზნეობაც მსჯელობს იმაზე, რაც უნდა იყოს, ე. ი. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. ორივე – სამართალი და ზნეობა – თითქოს მთლიანად დამყარებულია ჯერარსის პრინციპზე. მაგრამ მათ შორის, კელზენის აზრით, არსებობს განსხვავებაც: სამართალი – ჰეტერონომიულია, ხოლო ზნეობა – ავტონომიურობით ხასიათდება.

სამართლის ჰეტერონომიულობა შემდეგში გამოიხატება: მე შემიძლია მქონდეს რაიმე ვალდებულება, მაგრამ არ მსურდეს იგი, ან შეიძლება მსურდეს რაიმე და, იმავე დროს, არ მქონდეს სათანადო უფლება. სამართლის ნორმა, რომელიც უკარნახებს ადამიანს ამა თუ იმ მოქმედებას, არა საკუთარი, არა მისი ნებისყოფიდან გამომდინარე მსჯელობაა, არამედ უცხოა მისთვის, ე. ი. გარედან ევლინება. სამართლის სფეროში კანონი არ ეყრდნობა ადამიანის ნებას, თვით ადამიანი არ ადგენს თავის კანონს.

ზნეობის ავტონომიურობა ასე გამოიხატება: მე შემიძლია მქონდეს ვალდებულება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მსურს. ზნეობის ავტონომიურობა ისაა, რომ აქ თვით ვალდებულების სუბიექტია საკუ-

თარი თავის კანონმდებელი, მაშასადამე, ზნეობაში ნება გამოხატავს ვალდებულებას.

სამართლის სფეროში ადამიანის ნება გამოდევნილია: ემთხვევა თუ არა ადამიანის ნება იმას, რაც უნდა შესრულდეს, სამართლის ნორმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველა შემთხვევაში, ე.ი. დამოუკიდებლად იმისა, სურს თუ არა ადამიანს რაიმე მოქმედების შესრულება, მან ეს უნდა შეასრულოს. აქედან გამომდინარე, რადგან ზნეობა ნებას ემყარება, ნება როგორც ფსიქიკური მოვლენა ფაქტების სამყაროს განეკუთვნება, ხოლო ეთიკა, როგორც მეცნიერების დარგი არსის შემსწავლელი მეცნიერებაა. რადგან ზნეობისაგან განსხვავებით სამართალი ნებისაგან თავისუფალია, ის წმინდა ჯერარსს გამოხატავს, ხოლო იურიდიული მეცნიერება, ისევე როგორც მათემატიკა, ჯერარსის შემსწავლელი მეცნიერებაა. სურს თუ არა ადამიანს, ჰიპოტენუზის კვადრატი ყოველთვის უდრის კათეტების კვადრატების ჯამს. ასევე, მსოფლიო მიზიდულობის კანონის არსებობა – არარსებობა არ არის დამოკიდებული, აღიარებს თუ არა მას ადამიანი, მან ის “უნდა” აღიაროს. არ აღიარებს?! – მით უარესი მისთვის – მის მიერ ასროლილი ქვა, თუ არ მოერიდა – თავში მოხვდება. განა იცვლება სამართლის ნორმის ბუნება, ე. ი. ჯერარსი იმით, რომ კონკრეტული პირი არ ასრულებს ნორმის მოთხოვნას? ნორმა ამით განა წყვეტს მოქმედებას? პირიქით, ნორმის სავალდებულობა, მისი მუდმივი ჯერარსობრივი ხასიათი განსაკუთრებული რელიეფურობით უფრო მაშინ გამოიკვეთება და შეიგრძნობა სუბიექტის მიერ, როდესაც სუბიექტს არ სურს მისი შესრულება ან არღვევს მოთხოვნას. როგორც გ. ნანეიშვილი აღნიშნავს, ფსიქიკური აღიარებისა თუ არაღიარების შემთხვევაში სამართლის ნორმა ლოგიკურად აღიარებული რჩება.

სამართლის მიზანი ადამიანის ნებისა და მოქმედების ახსნა არ არის, ის მხოლოდ აწესებს იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანი. რატომ იმოქმედა და ისურვა ადამიანმა რაიმე – ფსიქოლოგიის კვლევის საგანია. როგორც კი სამართალი იწყებს ამის ახსნას, ის უნებურად სხვა მეცნიერების სფეროში იჭრება.

ამ თვალსაზრისით, იძულება, როგორც არსობრივი მოვლენა, სახელმწიფოს ნიშანს არ წარმოადგენს, რადგან, ჯერ ერთი, სახელმწიფო არის არა ძალა, არამედ პერსონიფიცირებული ნორმა, რომელსაც ჩვენ სახელმწიფო სამართალს ვუწოდებთ. სახელმწიფო სამართალი ნორმების პერსონიფიცირებაა.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი: თუ სახელმწიფოს განვიხილავთ როგორც ძალას, მაშინ სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტებს შორის დამოკიდებულება ბატონობასა და მორჩილებას უნდა დავუქვემდებაროთ, ე.ი. გამოდის, რომ სუბიექტთა ურთიერთობა დამყარებულია სახელმწიფოს ფაქტობრივ ძლიერებაზე. მაგრამ სამართლის ნორმა მხოლოდ სოციოლოგისთვისაა ძალა, იურისტისათვის კი ის სახელმწიფოს, როგორც პერსონიფიცირებული სამართლებრივი ნორმების ფორმალური გამოხატულებაა, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს სამართლის ანუ უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტს. ძალა გამოიხატება მსჯელობაში და არა მოქმედებაში. “იმოქმედე ასე“, “არ იმოქმედო ისე“ – ამ სიტყვებშია ძალა. სახელმწიფოსთან, როგორც სამართლის სუბიექტთან მიმართებით სამართლის ნორმა მსჯელობაა: “თუ მოიქცევი ასე, სახელმწიფო იმოქმედებს ასე“. იგივე მოდელი მოქმედებს სამართლის სხვა სუბიექტებს შორისაც.

როგორ ესმის კელზენს იურიდიული უფლება და მოვალეობა? მისი აზრით, უფლება და მოვალეობა არის იურიდიული ნორმის სუბიექტური ფორმა, პერსონიფიცირებული სამართლის ნორმა. იურიდიული უფლება და მოვალეობა განსხვავდება ზნეობრივი უფლებებისა და მოვალეობისაგან ისევე, როგორც სამართალი და ზნეობა. იურიდიული უფლება და მოვალეობა ჰეტერონომიულია, ხოლო ზნეობრივი უფლება-მოვალეობა – ავტონომიური. სუბიექტმა შეიძლება უარი თქვას უფლება-მოვალეობის განხორციელებაზე, მაგრამ მას არ შეუძლია თვით უფლებასა და მოვალეობაზე განაცხადოს უარი. უფლება-მოვალეობის მატერებელნი არიან სუბიექტები იმისდა მიუხედავად, სურთ თუ არა ეს მათ. სუბიექტს შეუძლია უარი თქვას ზნეობრივ უფლება-მოვალეობაზე, ე.ი. ზნეობრივი უფლება-მოვალეობის არსებობა-არარსებობა დამოკიდებულია იმაზე, აღიარებს თუ არა მას სუბიექტი.

უფლება-მოვალეობის ჰეტერონომიული ხასიათი განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება მაშინ, როდესაც ლაპარაკია არასრულწლოვანის, სულით ავადმყოფის თუ სხვა არაქმედითუნარიანის სამართლებრივ სტატუსზე, აგრეთვე მაშინ, როდესაც ქმედითუნარიან სუბიექტს არ სურს იყოს რაიმე უფლების თუ მოვალეობის მატარებელი. იურიდიული უფლება-მოვალეობის გამაერთიანებელი სამართლებრივი კატეგორიაა უფლებაუნარიანობა. სუბიექტი უფლებაუნარიანია არა იმიტომ, რომ მას ეს სურს, არამედ იმიტომ, რომ ის არის სამართ-

ლის სუბიექტი. სუბიექტს არ შეუძლია უარი განაცხადოს უფლებ-
ხაუნარიანობაზე. უფლებაუნარიანობა არის პირის ობიექტური, პეტე-
რონომიული თვისება. ამიტომ, სამართლის ნებისმიერი სუბიექტი არ-
სებითად არის იურიდიული კონსტრუქცია. სახელმწიფო არ ქმნის
სამართალს, სახელმწიფო მხოლოდ სამართლის მატარებელია (*Treger
das Recht*).

რა ადგილს მიუჩენს კელზენი კანონმდებლობას? საკანონმდებლო
ფუნქცია მას სახელმწიფო ფუნქციად არ მიაჩნია. კელზენის აზრით,
საკანონმდებლო ფუნქცია თვით ქმნის სახელმწიფოს პერსონას, რო-
გორც სამართლის სუბიექტს. საკანონმდებლო ფუნქცია არის ის პუნქ-
ტი, სადაც აუცილებლობა გადადის სახელმწიფოში, სადაც რეალური
გადადის ნორმატიულში, არსი - ჯერარსში, მაგრამ არა მიზეზმდე-
გობრივი დამოკიდებულების თვალსაზრისით. კელზენი ამტკიცებს, რომ
კანონმდებლობა სოციალური პროცესია. ამ თვალსაზრისით იგი კა-
ნონმდებელს სახელმწიფო ორგანოს მნიშვნელობას არ ანიჭებს.
მსჯელობა, რომ ვინმე სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს და მისი
მოქმედება სახელმწიფოს ფუნქციაა, შესაძლებელია მხოლოდ უკვე არ-
სებული იურიდიული ნორმის საფუძველზე. აქედან კელზენი დაასკვ-
ნის, რომ ის პროცესი, რომელიც წინ უსწრებს იურიდიული ნორმის
არსებობას, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სახელმწიფო ფუნქციად.

ამრიგად, კელზენის თეორია უნაკლოდ ასაბუთებს საკანონმდე-
ბლო სამართლის ნორმატიულ ბუნებას და ამ თვალსაზრისით მას ბადა-
ლი არა ჰყავს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს შემდეგი: სტუდენტობა, მთლიანად
ქართული იურიდიული საზოგადოების პროგრესული ნაწილი სრუ-
ლიად არ არის ინფორმირებული ჰანს კელზენის 30-იანი წლების
და შემდგომი პერიოდის (ვიდრე 1973 წელს მის გარდაცვალებამ-
დე) ნაშრომების შესახებ, ერთი მიზეზის გამო: 1931 წელს დასავ-
ლეთის კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული პროფე-
სორების - გ. ნანეიშვილის, ირ. სურგულაძის და ალ. ვაჩიშვილის
წინააღმდეგ „წითელი პროფესორების“ მონაწილეობით კომუ-
ნისტური პარტიის მიერ ჩატარებული „ლიტერატურული“ გასა-
მართლების შემდეგ აიკრძალა იურიდიული აზროვნების მსოფლიო
კორიფეების ნაშრომთა არა მარტო ანალიზი, არამედ ღრმა მეც-
ნიერული კრიტიკაც კი იმის შიშით, რომ კრიტიკის დროს შეიძ-
ლებოდა „გაპარულიყო“ შესაბამისი თეორიის არსი, რაც საშიშ-

როებას შეუქმნიდა მარქსიზმ-ლენინიზმს ანუ დიადი მომავლის - კომუნიზმის მშენებლობის იდეოლოგიას. დაიწყო წმენდა: პროფ. გიორგი ნანეიშვილი 1937 წელს დახვრიტეს, ხოლო პროფესორებს - ირ. სურგულაძეს და ალ.ვაჩიშვილს „მონანებებინეს(!) დანაშაული“ და სანაცვლოდ აიძულეს შეეცვალათ სპეციალობა, უნივერსიტეტი დააკომპლექტეს იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებლად კურსდამთავრებული პარტიული კადრებით და შარლ-ატანი სტალინისტი კომკავშირელებით ომის შემდეგაც.¹ არადა, კელზენმა თავისი თეორია დასრულებული და სრულყოფილი სახით სწორედ 1934 წელს ჩამოაყალიბა ფუნდამენტურ ნაშრომში *Reine Rechtslehre*, ე.ი. მაშინ როდესაც კომუნისტურმა რეჟიმმა უკვე გაწმინდა მეცნიერება ე.წ. „ხალხის მტრებისაგან“ და დაამყარა უკიდუგანო მონოპოლია სიტყვის, აზრის და მეცნიერული შეხედულების გამოხატვის თავისუფლებაზე.

ასევე სრულიად უცნობია ჰანს კელზენის ომისდროინდელი და ომისშემდგომი წლების ის ნაშრომები, რომლებშიც იგი წარმოგიდგება როგორც წამყვანი მეცნიერი საერთაშორისო სამართლის დარგშიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1997 წელს ევროპული სამართლის აკადემიის მიერ ჩატარებულ სიმპოზიუმზე კელზენს უწოდეს სამართლის თეორიის და საერთაშორისო სამართლის გიგანტი.²

კელზენი საბოლოოდ გმობს სახელმწიფოს ორმაგ გაგებას. სახელმწიფოს ის აიგივებს სამართალთან. ამ თვალსაზრისით ნაცისტების ხელისუფლებას ის ადარებს ყაჩაღთა ბანდას, რადგან მათი „სახელმწიფო“ მომდინარეობდა არა ძირითადი ნორმიდან (*Grundnorm*), არამედ ფიურერის ნებიდან, ნება კი კელზენისათვის მე-

¹ იხ. ბ. სავანელი, დისკუსია თუ ავანტიურა ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ. ჟურნ. „სამართალი“, 1987, №5 და 6.

² იხ. *European Journal of International Law*, N7, September 22, 1999. კელზენის ომისდროინდელი და ომისშემდგომი წლების ნაშრომებიდან ლირშესანიშნავია: H.Kelsen, *Society and Nature, A Sociological Inquiry*. 1943. ასევე, H.Kelsen, *Law and Peace in International Relations, The Oliver Wendell Holmes Lectures* (1942). H.Kelsen, *Peace through Law* (1944). H.Kelsen, *The Law of the United Nations* (1950). H.Kelsen, *Sovereignty and International Law, The Georgetown Law Journal*, 48 (1960) 627. H. Kelsen, *The Pure Theory of Law*. Translation from the 2nd rev. ed. of *Reine Rechtslehre* (1960), by M.Knight, 1970. H.Kelsen, *Principles of International Law*, 3rd. ed., 1967. H.Kelsen, *What is Justice? Justice, Law, and Politics in the Mirror of Science*, 1971.

ტაიურიდიული მოვლენაა. ნება ანგრევს სამართლის პირამიდას და ნორმათა მწყობრ იერარქიულ სისტემას, რის გამოც ხელისუფლება იძენს ანარქიულ ხასიათს, დამყარებულს შეუზღუდავ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე, რაც თვითნებობის ტოლფასია. ნორმა არ არის სამართლებრივი, თუ ის მომდინარეობს არა ნორმიდან, არამედ ინდივიდიდან. 'სწორედ ამიტომ, კელზენისათვის როგორც ნაცისტური, ისე კომუნისტური სახელისუფლო სტრუქტურები განასახიერებდნენ უწესრიგობას და არა წესრიგს.'

კელზენის აზრით, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, როგორც სამართლებრივ ნორმათა იერარქიის ნაწილი, სახელმწიფოსაგან მათი დარღვევის შემთხვევაში ითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოს ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მათ დაცვას. ამ თვალსაზრისით არ არსებობს არსებითი განსხვავება კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის რეგულირების ობიექტში. კელზენის ამ იდეამ დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც იზეიმა, და დღეს რეალურად წარმოგვიდგა საერთაშორისო კრიმინალური სასამართლის სახით. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის აღჭურვილი მანდატით, დაგმოს წევრი სახელმწიფოს მართლწესრიგი, მაგრამ ევროსაბჭოს შეუძლია შეუჩეროს ან შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების სისტემატური დარღვევის გამო.

მეორე მსოფლიო ომის უმძიმესმა შედეგებმა კელზენს მისცა საკმაო საფუძველი განვეითარებინა "სამართლიანი ომის" დოქტრინა (ბელლუმ ისტრუმ), როგორც სანქცია ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის ნორმების დარღვევისათვის. ჩვენი აზრით, ამ დოქტრინის ერთ-ერთი პოზიტიური ასპექტი ის არის, რომ ნებისმიერი ადამიანური სიტუაცია შეიძლება ინტერნაციონალიზებულ იქნას.

სწორედ ადამიანის უფლებებმა შეარყია სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტის ცნება და ხაზი გაუსვა ხელისუფლების საერთაშორისო ვალდებულებებს თავისი მოქალაქეების და სხვა სახელმწიფოების მიმართ.

¹ H.Kelsen. *Communist Theory of Law*. Reprint in 1988.

კელზენის თეორია განსაკვიფრებლად ეხმაურება თანამედროვეობის გლობალურ პოლიტიკურ პრობლემებს. სწორედ იმიტომ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ არის მოწყობილი სახელმწიფო სამართლის კელზენისეულ მოდელზე, საერთაშორისო სამართალი დღემდე რჩება „სამართლის პრიმიტიულ სისტემად“, (როგორც მას ამის გამო თავის დროზე უწოდებდა კელზენი), და რომელსაც „არათუ ყეფა, კენაც კი არ შეუძლია“ (ბენჯამინ ბარბერი). საბჭოთა იმპერიის რღვევის, და 11 სექტებრის შემდეგ განვითარებული მოვლენები ამის უტყუარი დადასტურებაა. ორპოლიუსიან მსოფლიოს ჩაენაცვლა ერთპოლიუსიანი მსოფლიო, რამაც პრობლემები არ შეამცირა. ამ პოლიუსის წვერი ანუ ძირითადი ნორმის ადგილი ისევ ინდივიდუალურმა ნებამ დაიკავა - ამჯერად აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახით.

სწორედ კელზენის მონისტურმა თეორიამ, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართალსა და საერთაშორისო სამართალს აქვთ რეგულირების ერთი ობიექტი, ნიადაგი შეუმზადა და გზა გაუხსნა ახალი დოქტრინის დამკვიდრებას, რომელმაც მოიცვა პლანეტაზე ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტი. ეს არის ადამიანის უფლებების სამართალი, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების სამართლებრივი დაცვა ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისაგან, და რომელიც ზღვარს უდებს თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამბიციებს.

ამრიგად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნორმატივიზმი არის საკანონმდებლო სამართლის თეორიული ფუნდამენტი.

ნორმატივიზმის თეორია შეიძლება დახასიათდეს როგორც სახელმწიფო სამართლის თეორია. კელზენმა თავის პირველ ფუნდამენტურ ნაშრომს სწორედ, რომ „სახელმწიფო სამართლის მოძღვრება“ უწოდა.

საქართველოში სახელმწიფო სამართლის ფუძემდებლად აღიარებული უნდა იქნას პროფ. იროდიონ სურგულაძე (1893 - 1945).

ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის სისტემა შედგება სახელმწიფო სამართლის ნორმათა ერთობლიობისაგან ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმებისაგან, რომლებიც ქმნიან სპეციფიკურ სინამდვილეს. ეს სინამდვილე უნდა გამოავლინოს და შეისწავლოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ.

ირ. სურგულაძე ეყრდნობა რა კელზენის მოძღვრებას განმარტავს: „ამოსავალი დებულება, რომელსაც უნდა დაეფუძვნოს სახელ-

მწიფო სამართლისათვის სპეციფიკური მეთოდოლოგია, გახლავთ წინააღმდეგობა არსობასა და ჯერარსობას შორის, წინააღმდეგობა ნორმასა და სამართლის მეცნიერების მიერ აღიარებულ კანონსა და ბუნების მეცნიერების მიერ გაგებულ კანონს შორის. თუ ბუნების მეცნიერება იკვლევს რეალურ ყოფიერებასა და მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მოვლენათა შორის, სამართალმცოდნეობის ამოცანას შეადგენს ისეთი ნორმების, ისეთი ჰიპოთეტური წესების ახსნა, რომელთა შინაარსს ჯერარსობა წარმოადგენს და რომლებიც ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებას არეგულირებენ. სწორედ ადამიანური მიზნების და ღირებულებების სამყაროში პოულობს თავის ადგილს სამართლის სისტემა. თავის მხრივ სამართლის სისტემა შედგება იმ პრინციპებისაგან, რომლებიც სინამდვილეს ემსახურებიან არა შემეცნების, არამედ შეფასების მეშვეობით. ეს პრინციპული წინააღმდეგობა არსობას და ჯერარსობას შორის განაპირობებს განსხვავებას, ერთის მხრივ ექსპლიკაციურ მეცნიერებასა, ესე იგი ისეთ მეცნიერებასა, რომელიც ყოფიერების და სინამდვილის მოვლენათა კაუზალურ ურთიერთმოქმედების ახსნისკენ არის მიმართული, და, მეორე მხრივ ნორმატიულ მეცნიერებას შორის.“¹

გამომდინარე ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური საფუძვლიდან, ირ. სურგულაძე განასხვავებს სახელმწიფოს როგორც სოციალურ ფენომენს, რომელიც სოციოლოგიური მეცნიერების კვლევის საგანია, და სახელმწიფოს როგორც ნორმატულ ფენომენს, რაც სამართლის მეცნიერების შესწავლი ობიექტია. „ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფო როგორც სამართლებრივი ნორმების სისტემა – წმინდა იურიდიული ცნებაა.“²

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ირ. სურგულაძის კონცეფციას სახელმწიფოსთან მიმართებაში და ჩვენი მხრივ ვასაბუთებთ იდეას იმის შესახებ, რომ ერთია სახელმწიფო როგორც ადამიანთა სოციალური ყოფიერება, და მეორეა სახელმწიფო როგორც ადამიანთა ნორმატიული ყოფიერება, სტრუქტურისათვის გასაგები ენით: სახელმწიფო არის თანამდებობის პირთა ნორმატიულად დაკავშირებული ერთობლიობა.

¹ იროლიონ სურგულაძე, ზელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა პროფ. ოთარ გამყრელიძემ. თბ. 2002, გვ. 49

² იქვე, გვ. 47

3. სამართლის მოქმედების თეორია

სამართლის მოქმედების თეორიამ ფართო გავრცელება მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: პრაგმატისტული და რეალისტური.

სამართლის პრაგმატისტული თეორიის ფუძემდებელია როსკუე პაუნდი. მისი აზრით, XIX საუკუნის დასასრულს საბოლოოდ დაეცა როგორც ბუნებითი სამართლის თეორია, ისე პოზიტივიზმი. უნივერსიტეტებში აგრძელებდნენ ცხოვრებიდან მოწყვეტილ როგორც სამართლის ფილოსოფიის, ისე სამართლის მშრალი ნორმების სწავლებას. ორივე თეორია ქმნიდა სამართლის შესახებ ცოდნის ილუზიას, რადგან უგულვებელყოფდა საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებას, ფაქტს იმის შესახებ, რომ სამართლის ბუნებრივ პრინციპებსა და პოზიტიური სამართლის ნორმებს მუდმივად შორდება იურიდიული პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, სამართლის მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა შეისწავლოს ის, თუ როგორ ფუნქციონირებს სამართლებრივი ნორმა და როგორ უნდა იქნეს ის კონსტრუირებული, რომ მათი მეოხებით შესაბამის შედეგს მივაღწიოთ.

პაუნდი თავისი თეორიის ამოსავალ დებულებად მიიჩნევს განსხვავებას, რომელიც არსებობს ორი სახის სამართალს შორის, ესაა: “სამართალი წიგნებში” და “სამართალი მოქმედებაში” (“**Law in the books**” და “**Law in the actions.**“). აქედან გამომდინარე, მართლწესრიგის მარადიული პრობლემა ისაა, რომ მოახდინოს საზოგადოებაში სტაბილურობის აუცილებლობისა და ცვლილების გარდაუვალობის მორიგება ანუ კომპრომისი სამართლებრივ ნორმებსა და იურიდიულ პრაქტიკას შორის. ისტორიული მაგალითების ილუსტრაციის გზით პაუნდი ამტკიცებს, რომ სამართლის თეორია ყოველთვის ემსახურებოდა სოციალური განვითარების კონკრეტულ მიზნებს.

თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში “სამართლის ისტორიის ახსნა“ პაუნდი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართლის თეორია წარმოშვა სამართლის სტაბილურობასა და სამართლის განვითარებას შორის ჰარმონიის მიღწევის აუცილებლობის პრობლემამ. მეტიც, არსებითად ამ პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტისაკენ არის მიმართული მთელი საკანონმდებლო და სასამართლო სამართალმე მოქმედება. აქედან გამომდინარე, სამართლის ბუნების შესახებ დისკუსია ფუჭი მეცადინეობაა, სქოლასტიკაა. პაუნდმა პირდაპირ განაცხადა, რომ მას სურს არა დისკუსია სამართლის ბუნების შესახებ, არ-

ამედ მართლწესრიგის შესწავლა, სახელდობრ, სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სამართლებრივი დოქტრინების რეალური ყოფიერების ანალიზი, სამართლებრივი ფაქტების და იმ მეთოდის შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული სიტუაციის ოპერატიულ და გონიერ გადაწყვეტას არა აბსტრაქტული სამართლებრივი ნორმებისა და აბსტრაქტული სამართლიანობის პრინციპების მოშველიებით, არამედ თითოეულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით. პაუნდის მიმდევარი კერნსი ასე ასაბუთებს ამ თეზისს: “ტექნიზებული და ურბანიზებული საზოგადოება საჭიროებს სხვა სამართალს და არა სამართალს, რომელიც მომდინარეობს წინარე პერიოდიდან, რადგან იგი მოკვდა და ბევრ შემთხვევაში იქცა კულტურულ გადმონაშთად“. კერნსი მხარს უჭერს პაუნდის ფორმულას იმის შესახებ, რომ სამართალი არის “სოციალური ინჟინერია“.

ამრიგად, პაუნდის სამართლის თეორიის ცენტრია არა ზოგადი, აბსტრაქტული საკანონმდებლო ნორმები, არამედ იურიდიული პრაქტიკა, კერძოდ, სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, უფრო ზუსტად, მათი სისტემა. სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა ემყარება უტილიტარულ, პრაგმატულ მიზნებს და არა სამართლის საზრისის ახსნის აუცილებლობას, ფილოსოფიური საკითხის გადაწყვეტას.

პაუნდი, უპირველეს ყოვლისა, თვლის, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაცული იქნება თავდასხმისაგან, თავისუფლად განკარგავს თავისი შრომით შექმნილ ღირებულებებს; ისინი, ვისთანაც ურთიერთობა აქვს, მოიქცევიან კეთილსინდისიერად, შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, აუნაზღაურებენ ზარალს არამართლზომიერი ქცევის შემთხვევაში და ა.შ. აღნიშნული, და საერთოდ საყოველთაოდ აღიარებული პოსტულატები, პაუნდის აზრით, ასაბუთებს ადამიანთა შორის ურთიერთობების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობას, როგორც საზოგადოებაში სტაბილურობისა და წონასწორობის პირობას.

პაუნდის შეხედულებით სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიზანია გამიჯნოს და მოყვანილი იქნეს წონასწორობაში ინდივიდუალური, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინ-

ტერესები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მონიხოს მათი მოსარიგებელი მოდელი.

განსხვავებით ერლიხსისაგან, რომელიც პოზიტიურ სამართალს უპირისპირებს მართლწესრიგს, პაუნდი გარკვეულწილად ხსნის ამ დაპირისპირებულობას, რადგან მისთვის სახელმწიფოს (მათ შორის, მართლმსაჯულების) ორგანოების ნებისმიერი საქმიანობაც სამართალია. მაგრამ სამართლის ერთიანი გაგების ფარგლებში ის მაინც მიჯნავს სამართლის ორ მხარეს: სტატიკურს და დინამიკურს. უსაფრთხოების ინტერესმა აიძულა ადამიანი, შეექმნა რაღაც ფიქსირებული საფუძველი ადამიანთა საქმიანობის დასარეგულირებლად, რომლისთვისაც საჭიროა მტკიცე და სტაბილური სოციალური წესრიგი. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები მუდმივად იცვლება; მაშასადამე, მართლწესრიგი უნდა იყოს იმდენადვე ცვალებადი, რამდენადაც სტაბილური. ის მუდმივად უნდა გადაისინჯებოდეს იმ საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებათა შესაბამისად, რომელსაც ის აწესრიგებს. თუკი ვაძგენთ პრინციპებს, უნდა დავადგინოთ ის არა მარტო სტაბილურობისათვის, არამედ დინამიკურობისთვისაც. აქედან გამომდინარე, პაუნდმა ჩამოაყალიბა მეორე ფორმულა: სამართალი უნდა იყოს სტაბილური, და ამავე დროს, არ შეიძლება ჩერდებოდეს ადგილზე.

პაუნდის პრაგმატივიზმმა თუმც თავისებური, მაგრამ მაინც მხარდაჭერა მოიპოვა საფრანგეთში, კეროდ, ამ თეორიის მიმდევრის – კარბონიეს ნაშრომებში. კარბონიემ სცადა და ნაწილობრივ მიაღწია კიდევ დაესაბუთებინა იდეა იმის შესახებ, რომ თითქოს ბრძენ კანონმდებელს განმანათლებელთან ერთად შეუძლია აღმოფხვრას ადამიანთა ყველა მანკი და დაუდევრობა – ილუზია აღმოჩნდა და სრული კრაზი განიცადა. ასეთ პირობებში წარმოიშვა სერიოზული ფილოსოფიურ-სამართლებრივ-ზნეობრივი პრობლემა: რა ზომით არის თავისუფალი ადამიანი როგორც პიროვნება მოქმედების ნიმუშის არჩევანში და ადეკვატურად არის თუ არა ეს ნიმუში ასახული სამართლის ნორმაში? თუ ასეთი ნიმუშები იქმნება უპირატესად იმ კოლექტივების მიერ გამომუშავებული იმპერატივებისაგან, რომლებშიც მოღვაწეობა უხდება ინდივიდს? კარბონიე იხრება მეორისაკენ. და საერთოდ, კარბონიეს მეცნიერულ მოდელში თავისი ანარეკლი პოვა ერლიხის თეორიამ კოლექტივებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმების შესახებ.

სამართლის მოქმედების თეორიამ რადიკალიზმს მიაღწია ამერიკის რეალისტური სკოლის მიერ წამოყენებულ თეორიაში. ნორმატივიზმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება რეალისტურმა სკოლამ გამოხატა პოზიტიური სამართლის ფუნქციის საერთოდ უარყოფაში. ასეთ მიდგომას აქვს თავისი ისტორიული წანამძღვრები ამერიკაში. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ამერიკის პრეზიდენტმა უუდრო ვილსონმა ასე გამოხატა ამერიკელების დამოკიდებულება სამართლის მიმართ: ამერიკელები ყოველთვის შეზღუდულად გრძნობდნენ თავს არა კანონის ტექსტით, არამედ მხოლოდ მათი პრაქტიკული გაგებით, რაც წინარე ხანგრძლივი გამოცდილების შედეგია. ამ რასისათვის კანონი ნებისმიერ შემთხვევაში ისაა, რაც მათ ამ მომენტში ესმით კანონის ქვეშ, და ეს გაგება ყოველთვის გარემოებიდან გამომდინარეობს.

პირველი, ვინც იურისპრუდენციაში შემოიტანა რეალისტური მსოფლმხედველობა მისი რადიკალური ფორმით, იყო გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი და მოსამართლე ჰოლმსი. მან სამართლის რეალისტური კონცეფცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: სამართალი ცოცხლობს არა ლოგიკაში, არამედ გამოცდილებაში. მოსამართლეში დროის საჭირობოროტო მოთხოვნების შეგრძნება, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინტუიციური გაგება, ცნობიერი და არაცნობიერი, ცრურწმენებიც კი გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობის მატარებელი არიან, ვიდრე სამართლებრივი სილოგიზმები.

ამ თეორიულმა წანამძღვრებმა თავისი საკანონმდებლო გამოხატულება პოვა ამერიკული სამართლის სისტემაში, რომლის ღერძია ე.წ. **“Common Law”**. სამართლის ამ სისტემის მთავარი განსხვავებული ნიშანია პრეცედენტული და საკანონმდებლო ნორმების შეთანაწყობა პირველის აშკარა უპირატესობის პირობებში. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია რეალისტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის – გრეის თეზისი: ამტკიცებენ, რომ სამართალი შედგება ორი ნაწილისაგან: კანონმდებლობისა და მოსამართლის მიერ შექმნილი სამართალისაგან. მაგრამ სინამდვილეში მთელ სამართალს ქმნიან მოსამართლეები, ხოლო კანონმდებლობა არის ნედლი მასალა, რომლისგანაც სასამართლო აშენებს სამართალს. რეალისტური მიმდინარეობის წამყვანი თეორეტიკოსი კ. ლეველინი თვლის, რომ საკანონმდებლო ნორმა სხვა არაფერია, თუ არა ვარაუდი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოიქცეს მოსამართლე ან ადმინისტრატორი.

უფრო შორს მიდის ამ მიმდინარეობის მეორე წარმომადგენელი ფრენკი, რომლის აზრით სამართლის ზოგადი ნორმები წარმოადგენს კონკრეტული გადაწყვეტილების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს, რადგან თითოეული ფაქტი განუმეორებელია თავის სახეობაში და მისდამი მხოლოდ ინდივიდუალური, შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. თანამედროვე ეპოქაში, მისი აზრით, სრულიად მიუღებელია სტატიკურობისაკენ სწრაფვა, ასეთი მოსაზრება მხოლოდ სამართლებრივი მითია, იგი ადამიანის ემბრიონული მდგომარეობის ანარეკლია. ყველა საზოგადოებას და ადამიანთა ჯგუფებს ახასიათებს დაეები და განიცდის საჭიროებას აღკვეთოს და გადაწყვიტოს ისინი. პრაქტიკულად ამ მიზნის მიღწევის რეალურ შანსს იძლევა არა იმდენად კანონმდებელი, რამდენად მოსამართლე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ დიურკჰეიმში მიუთითებდა: სამართალი ერწყმის საზოგადოებრივ ურთიერთობებს სასამართლო გადაწყვეტილებების მეოხებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების, მოწესრიგების ძირითად და უშუალო არხს.

რეალისტები ხშირად იმეორებენ გამოჩენილი მწერლის – უორენის სიტყვებს: კანონები – ის შარვალაია, რომელიც ბიჭს უყიდეს გასულ წელს, ახლა კი მიმდინარე წელია და ის ირღვევა ნაკერებზე. კანონები ყოველთვის ვიწროა მზარდი კაცობრიობისათვის.

რეალისტური სკოლის აზრით სტაბილურობისა და განსაზღვრულობისადმი მიდრეკილება გასული საუკუნის იურისტების მიერ გამოგონილი მითია, რომელიც ემყარება მამის ხელსუფლების პირველყოფილ ტრადიციას. ისინი ასევე უარყოფენ ადამიანის უფლებების არსებობას სასამართლოს გადაწყვეტილებამდე. კანონებში მოხსენებული უფლებები და თავისუფლებები არაფრისმთქმელი სიტყვებია, თუკი ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებებით არ არის აღიარებული.

რა არის მედიცინა? – კითხულობენ რეალისტები და უპასუხებენ, რომ მედიცინა უპირველეს ყოვლისა ექიმის საქმიანობაა, რომელიც ავადმყოფს მკურნალობს, ესაა მისი აზრი და დანიშნულება. ანალოგიურად სამართალიც, თუკი მას აქვს სოციალური ეფექტის პრეტენზია, განხილული უნდა იქნეს როგორც იმ პირთა საქმიანობა, რომელიც მიმართულია კონფლიქტების და სხვა საკითხების გადაწყვეტისაკენ,

როგორც მოსამართლისა და ადმინისტრატორის აქტები. აქედან რეალისტური სკოლის ძირითადი თეზისი: სამართალი არის ის, რასაც თითოეული მოსამართლე ქმნის თავისი საქმიანობის შედეგად.

რეალიზმი ისეთივე ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენს პრეცედენტის მიმართ, როგორც კანონისადმი. ნებისმიერი ფორმა, იქნება ის კანონი თუ პრეცედენტი, ხელს უშლის სამართალს, და საერთოდ, საზოგადოების პროგრესს. რეალისტების ამოსავალია სამართლის გააზრება იმ მოვლენად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად მუდმივ მოძრაობაშია. სამართალი მუდმივად უნდა იცვლებოდეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თითოეული მოსამართლე შექმნის სამართალს. ამრიგად, რეალიზმის პოზიციებიდან სამართალი შედგება არა ქცევის წესებისაგან (იქნება ეს კანონი თუ პრეცედენტი), არამედ სასამართლოს ემპირიული გადაწყვეტილებებისაგან. უფლებასა და მოვალეობას ქმნის არა კანონმდებელი, არამედ მოსამართლე და ადმინისტრატორი. ამრიგად, სამართალი არის მოსამართლის ან ადმინისტრატორის საქმიანობა, რომელიც მუდმივად ეგუება ცვალებად სოციალურ პირობებს. საბოლოო ჯამში სამართალი დაიყვანება კონფლიქტების სისტემატურ გადაწყვეტაზე.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუკი კანონი და პრეცედენტი არ განასახიერებენ სამართალს, მაშინ რას ეყრდნობა მოსამართლე კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას? რეალისტები ამ კითხვას ცნობილი ამერიკელი მოსამართლის – ჰატჩისონის სიტყვებით უპასუხებენ: გავეცნობი რა ფაქტებს, მივეცემი წარმოდგენათა ნაკადს. ამის მერე საქმეს ვწყვეტ ინტუიციის, შინაგანი იმპულსების საფუძველზე და არა ლოგიკური მსჯელობების გზით. ლოგიკურ, შემდეგ კი იურიდიულ არგუმენტებს და კონსტრუქციებს მოვიზიდავ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიწყებ გადაწყვეტილებების გაფორმებას. ეს აზრი შემდგომში განავითარა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ფრენკმა. მისი აზრით, მოსამართლის გადაწყვეტილების წყარო და, საერთოდ, სამართლის წყარო არის არა კანონი ან პრეცედენტი, არამედ ადამიანის თავის ტვინის ირაციონალური მექანიზმები. გადაწყვეტილება არსებითად მიიღება ირაციონალურად, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება რაციონალიზაციის პროცესი, ანუ იურიდიული არგუმენტების ძიება ირაციონალური გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

რეალისტურმა მიმართულებამ ევროპაში მხარდაჭერა მხოლოდ სამართლის სკანდინავიური სკოლის წარმომადგენლებში პოვა. ისინი

მთლიანად იზიარებენ ამერიკელი რეალისტების კონცეფციას. უფრო მეტი, რეალისტური მიმართულება მათ რადიკალიზმამდე მიჰყავთ. მაგალითად, სკანდინავიური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი როსი ასე სვამს კითხვას: “რატომ მხოლოდ მოსამართლე ან ადმინისტრატორი ქმნის სამართალს?” მისი აზრით სამართალი არის ორდინარული პირების ფსიქოლოგიური იმპულსები მეორე სუბიექტის სამართლებრივი პოზიციის გამო. ყველა სამართლებრივი მოვლენა განისაზღვრება “დაინტერესებულობის იმპულსების” და “დაუინტერესებლობის იმპულსების” ფსიქოლოგიური ურთიერთდაქვემდებარებით. როსის აზრით ძირითადი სამართლებრივი კატეგორიების ფსიქოლოგიური ახსნა დღის წესრიგიდან ხსნის დღემდე არსებულ და გადაუჭრელ დუალიზმს არსსა და ჯერარსს შორის, და ამითაც ასაბუთებს რეალისტური მიმდინარეობის მართებულობას.

უკანასკნელ წლებში რეალისტები ცდილობენ დასძლიონ ასეთი რადიკალიზმი და იურიდიულ პრაქტიკაში ეძებენ და იკვლევენ ზოგად ტენდენციებს და კანონზომიერებებს. საქმე ისაა, რომ იურისპრუდენცია საბოლოოდ მაინც ვერ უკლის გვერდს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებს და ნორმებს. ამ ტენდენციამ თავისი გამოხატულება პოვა სამართლის თეორიის ახალი მიმართულების ჩამოყალიბებაში, რომელსაც ეწოდა სამართლის სოციალური ფუნქციის თეორია (იხ. “სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის სოციოლოგიური დასაბუთება”).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს სამართლის მოქმედების შესახებ თეორიებს თუმცა მოწინავე მდგომარეობა არ უჭირავს სამართლის ზოგად თეორიაში, მაგრამ ისინი განუხრელად ბატონობენ იურიდიულ პრაქტიკაში და ეს გარემოება ამ თეორიების სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს.

ამრიგად, ჩვენ მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ სამართლის მოქმედების თეორია არის სამოსამართლო სამართლის თეორიული ფუნდამენტი.

4. სამართლიანობის თანამედროვე თეორია

სამართლიანობის თეორია მომდინარეობს ბერძნულ-რომაული ტრადიციიდან.

ბერძნულ-რომაული ტრადიცია ემყარება პრინციპს: „იცხოვრე ღირსეულად, არავის არ ავნო, მიუზღვე დამსახურებისამებრ“.

ძველ საბერძნეთში სწამდათ, რომ სამართლიანობა დაკავშირებულია წესრიგთან საზოგადოებაში: მოწესრიგებული საზოგადოება ამკვიდრებს სამართლიანობას, ხოლო სამართლიანობა თავის მხრივ ამკვიდრებს წესრიგს საზოგადოებაში. ასე, პლატონის აზრით სამართლიანობა ამკვიდრებს სიკეთეს ადამიანთა შორის ურთიერთობაში. სამართლიანობა არის ძალა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს. არისტოტელე თვლის, რომ სამართლიანობა არის სიკეთე, რომლის მეოხებითაც თვითეული პირი სარგებლობს პირადი საკუთრებით სამართლიანი კანონების შესაბამისად, და არავის არ აძლევს უფლებას იჭურდოს ანდა გადაანაწილოს საკუთრება პირებს შორის. ბუნებითი და უნივერსალური სამართლიანობა წინ უნდა უსწრებდეს და უქმნიდეს კანონს საფუძველს. ბუნებითი და უნივერსალური სამართლიანობა უზენაესია ვიდრე ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი სამართლიანობა, რადგან მთავრობა შემოფარგლურია თავისი მიზნებით და საჭიროებით. ინდივიდუალურ დონეზე, სამართლიანობა ნიშნავს თანასწორობა თანასწორად შეფასებას, და უთანასწორობა უთანასწოროდ შეფასებას.

რომაელების წვლილი სამართლიანობის კონცეფციის განვითარებაში მნიშვნელოვანია. რომაული მსოფლმხედველობა სამართლიანობას უკავშირებს პიროვნების უფლებების მოცულობას. სამართლიანობა განიხილება, როგორც მუდმივი მოთხოვნა და პრეტენზია აღიარებული და დაცული იქნას ხელისუფლების მიერ ადამიანის პირადი უფლებები. ადამიანის პირად უფლებებს რომაელები განიხილავდნენ საზოგადოების სამართლიანობის კრიტერიუმად.

ავგუსტინეს აზრით არსებობს მუდმივი და უცვლელი სამართალი, რომელიც განასახიერებს ღვთიურ გონს და ღმერთის ნებას, რომელიც მოითხოვს ბუნებაში არსებული წესრიგის შენარჩუნებას და დაცვას. ღვთიური გონი და ღმერთის ნება მოუწოდებს ადამიანს სათანადოდ გაიგოს სამყაროს ბუნებითი სამართლის ღმერთის მიერ დადგ-

ენილი პრინციპები. ამიტომ ავგუსტინესათვის სამართლიანობა წინ უსწრებს სახელმწიფოს. სახელმწიფოს მიერ დადგენილი არაადამიანური კანონები სრულიადაც არ არიან კანონები: კანონის მორალური ძალა დამოკიდებულია სამართლიანობის ხარისხზე. სამართლიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილე არა სახელმწიფო, არამედ ღმერთი და ადამიანია.

აქვინელი სამართლიანობის სიკეთეს ხედავს მყარ და მუდმივ მოთხოვნაში, რომელიც აკისრებს თითოეულს შეასრულოს თავისი ვალი. აქვინელისათვის სამართლიანობა არის კეთლსინდისიერი აზროვნება იმ დროს, როდესაც ადამიანი აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს მისთვის არასაურველ გარემოებაში.

რუსთაველი აღიარებს მხოლოდ სამართლიან სამართალს. უფრო მეტი, სამართლიანი სამართლის „ქმნას“ ანუ სამართლის სამართლიანად განხორციელებას ის მიაწერს სასწაულმოქმედ ძალას: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნელადა“.

ჯონ ლოკის მოძღვრებაში სამართლიანობას უკავია უმთავრესი ადგილი, ვიდრე მის პოლიტიკურ შეხედულებებს. ლოკისათვის, ბუნებითი სამართლიანობა უდგენს ზღვარს და მიმართულებას აძლევს სამოქალაქო სამართლიანობას ბუნებით უფლებებზე მისი ორიენტირებით.

სამართლიანობის შესახებ საინტერესო და მნიშვნეულოვანი აზრები აქვთ გამოთქმული იერემია ბენტამს, ჯონ სტიუარტ მილსს და სხვა დიდ მოაზროვნეებს.

სამართლიანობის თანამედროვე თეორიის წამყვან სპეციალისტად დასაველეთში მიიჩნევენ ჯონ როულსს. უფრო მეტი როულსის სამართლიანობის თეორიას განიხილავენ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თეორიათა რიგში. ამ თეორიამ თუმცა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ამოსავალი პოზიცია დარჩა უცვლელი. ამ პოზიციის არსს როულსის სიტყვებით გადმოვცემთ: „სამართლიანობის ჩემეული კონცეფცია განაზოგადებს და აბსტრაქციის უმაღლეს დონეზე აყავს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია, რაც დასაბუთებელია კანტის, ლოკი და რუსოს მიერ. ამასთან, ჩვენ არ განვიხილავთ საზოგადოებრივი ხელშეკრულებას ისე, თითქოს ის დაიდება კონკრეტულ საზოგადოებაში ან კონკრეტულ მთავრობასთან მიმართებაში. უმთავრესი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი მოწყობის სამართლიანობის პრინციპები წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივი ე. წ. „პიპოტეტური ხელშეკრულების“ შედეგს. ამ

პრინციპების შესაბამისად თავისუფალი და გონიერი ადამიანები საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად თანხმდებიან თანასწორობის ამოსავალი პოზიციების შესახებ. ეს პრინციპები აწესრიგებენ მათ შემდგომ შეთანხმებებს, განსაზღვრავენ იმ სოციალური დონეს, რაც გამოიხატება შესაბამისი მთავრობის ფორმირებაში. მათ მე უწოდებდი სამართლიანი სამართლიანობის პრინციპებს. საწყის ეტაპზე საზოგადოება ირჩევს ორ პრინციპს.

პირველი პრინციპი: თითოეულ პირს გააჩნია თანასწორი უფლება თანასწორ ძირითად თავისუფლებების ფართო და ყოვლისმომცველ სისტემაზე, რაც შეთავსებადია ყველას თავისუფლებების მსგავსი სისტემისათვის.

მეორე პრინციპი: სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა - მცირე უპირატესობის პირობებში უზრუნველყოფს დიდი სიკეთეების მოპოვებას:

მესამე პრინციპი: უზრუნველყოფს თანამდებობის ან მდგომარეობის მიღწევას შესაძლებლობათა თანასწორობის პირობებში¹.

როულსის თეორია ეხმაურება ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 60-იან წლებში შემუშავებულ კონცეფციას. ძირითადი უფლებების, უფლებაუნარიანობის და კერძო უფლებების თანაფარდობის შესახებ. ჩვენთვის სამართლიანობის ამოსავალია ძირითადი უფლებები, რომლებსაც ფლობს ყველა თანასწორად, დამოუკიდებლად იმისა, ცნობს მას თუ არა სახელმწიფო. ასევე ჩვენთვის სამართლიანობის ამოსავალია უფლებაუნარიანობა ანუ ყველა ადამიანის თანასწორი უფლება იქონიოს არათანასწორი კერძო უფლებები კონკრეტულ ეკონომიურ და სოციალურ სიკეთეებზე.

ამრიგად, ძირითადი უფლებები და უფლებაუნარიანობა ერთობლიობაში ახასიათებს თითოეულ ადამიანს როგორც სამართლის სუბიექტს ანუ განსაზღვრავს მის ზოგად, ამოსავალ სამართლებრივ პოზიციას საზოგადოებაში.

ამასთან, უფლებაუნარიანობა ნიშნავს ყველა ადამიანის თანასწორ უფლებას იქონიოს არათანასწორი კერძო უფლებები კონკრეტულ ეკ-

¹ Rawls John. A Theory of Justice. Cambridge MA: Harvard University Press (1971). როულს ბუკრი მიმდევარი ჰყავს. მათ შორის გამორჩეულნი არიან: ბრიუს აკერმანი, ბრაიან ბარი, ვილ კიბლიკა, თომას ნაგელი, თომას პოგე, ჯერემი ვალდრომი.

ონომიურ და სოციალურ სიკეთეებზე. ასეთი უთანასწორობა განპირობებულია იმით, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიჭით, ცოდნით, გამოცდილებით, შრომის უნარით, ზნეობით, გერგილიანობით, ფხიანობით და სხვა ინდივიდუალური თვისებებით, რომლებშიც სამართალი ადამიანებს ვერ გაათანასწორებს. სამართალს შეუძლია და აკეთებს მხოლოდ იმას, რომ ყველას აღიარებს უფლებაუნარიანად ანუ ყველას აძლევს თანაბარ სამართლებრივ შანსს მოიპოვოს კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური უფლებები, დაიკმაყოფილოს განსხვავებული და მრავალგვარი კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ინტერესები. დანარჩენი დამოკიდებულია პირზე, მის ინდივიდუალურ, განსხვავებულ, არათანასწორ თვისებებზე და ნიშნებზე. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო პირები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსით ანუ კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური უფლებების არათანასწორი მოცულობით. ამ შემთხვევაში უთანასწორობა სამართლიანობის პრინციპის დაცვას ემსახურება, რადგან სრული უსამართლობა იქნებოდა ერთნაირ, თანასწორ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო ზნეობრივი და უზნეო, შრომის მოყვარე და უქნარა, ფხიანი და უფხო, გერგილიანი და უგერგილო, გამოცდილი და გამოუცდელი ადამიანები.

ამდენად, ინდივიდუალურად არათანასწორ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბუნებრივად აქვთ კერძო უფლებების არათანასწორი მოცულობა, მაგრამ აქვთ ძირითადი უფლებების თანასწორი მოცულობა. ნებისმიერი სახელმწიფოს იურიდიული ვალდებულებაა შეინარჩუნოს, ერთი მხრივ, სამართლიანი ბალანსი პირთა კერძო უფლებების მოცულობებს შორის, და მეორე მხრივ, ბალანსი ძირითადი და კერძო უფლებების მოცულობებს შორის, როგორც საზოგადოების მდგრადი განვითარების გარანტია.

ამრიგად, კონკრეტული უფლებების მოცულობა ახასიათებს თითოეულ ადამიანს როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს ანუ განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ, სხვებისაგან განსხვავებულ, არათანასწორ სამართლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში, მაშინ როდესაც ძირითადი უფლებების და უფლებაუნარიანობის მოცულობა ახასიათებს თითოეულ ადამიანს როგორც სამართლის სუბიექტს ანუ

განსაზღვრავს მის ზოგად, სხვებისაგან განუხზავებელ, თანასწორ სამართლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში.¹

თუ კი პრინციპულად შევადარებთ და შევაფასებთ როულსის და ჩვენ თეორიებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ როულსის თეორია არ არის სამართალთან უშუალოდ დაკავშირებული სამართლიანობის თეორია, არამედ ის პოლიტიკასთან მიმართებაში მყოფი სამართლიანობის თეორიაა, რომელიც აყალიბებს პოლიტიკური ინსტიტუტების მორალურ ვალდებულებებს სამართლიანობის პრინციპებისადმი. თუ კი ჩვენ სამართლიანობის იდეას ვიხილავთ სამართლებრივი ინსტიტუტების და ცნებების ფარგლებში, როულსი სამართლიანობის იდეას იაზრებს საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მრავალფეროვნების ჭრილში, რაც სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის და ეკონომეტრიის კვლევის და არა იურიპრუდენციის შესწავლის ობიექტია. თუ კი ჩვენ სამართლებრივი კატეგორიებით ვოპერირებთ ადამიანს და სახელმწიფოს შორის უფლება-მოვალეობათა ნორმატული კორელაციის ასპექტში, როულსი სამართლიანობას განიხილავს დაპირისპირებულ რელიგიურ, მორალურ და ფილოსოფიურ რწმენათა შორის კონსესუსის მიღწევის თვალსაზრისით. მოკლედ, როულსმა ჩამოაყალიბა პოლიტიკური სამართლიანობის თეორია, ჩვენ კი განვავითარებთ სამართლის სამართლიანობის თეორიას.

სამართლის სამართლიანობის კრიტერიუმში არ შეიძლება იყოს კონკრეტული ქვეყნის პოზიტიური სამართალი, რადგან მისი პარამეტრები არამდგრადია და დაკავშირებულია ამ ქვეყნის კონკრეტულ პოლიტიკურ, აგრეთვე სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობების მუდმივ ცვლილებებთან.

სამართლის სამართლიანობის მყარ კრიტერიუმს წარმოადგენს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, რაც ჩამოყალიბებულია საერთაშორისო პაქტებში მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

¹ დაწერილებით იხ. ჩვენი მონოგრაფია: პიროვნების მდგომარეობის იურიდიული ფორმები საზოგადოებაში. გამომცემლობა "მეცნიერება", თბ. 1969 (რუსულად). აგრეთვე, ამავე მონოგრაფიაზე რეცენზიები: J. Frideef, "Revue Internationale de Droit Compare", Vingt-Troisième Année N 1, Janvier-Mars 1971, Paris; A. Mikhalska, "Ruch Prawniczy, Economiczny i Sociologiczny". Kwartal Trzeci. 1971, Warszawa-Poznan; S. Alekseef, "Jurisprudence", N 3, 1970, Sanct-Petersbourg.

სამართლის სამართლიანობის თეორია ადამიანის უფლებების ჭრილში ჩვენი მეცადინეობით აისახა საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე მუხლში და ჩამოყალიბებულია სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში.¹ (სამართლიანობის თეორიის დეტალური მიმოხილვა ადამიანის უფლებებთან მიმართებაში იხ. კარი II, თავი I, პარაგრაფი 3).

¹ საქართველოს კონსტიტუციის სამართლიანობის კრიტერიუმია საქართველოს კონსტიტუციის დებულებების და კანონმდებლობის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე მუხლთან ანუ ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალთან.

IV თავი. სამართლის ბუნება

1. სამართლის რელიგიური ფესვები

სამართლის რელიგიური ფესვები სამყაროს გაგების მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით უნდა განვასხვაოთ სამართლის სამი რელიგიური ფესვი: ჩინურ-ინდური, ეგვიპტურ-აფრიკული და ქრისტიანულ-ისლამური.

ჩინური სამართლის რელიგიური ფესვები დაკავშირებულია კონფუციუსის ფილოსოფიურ მოძღვრებასთან. ამ მოძღვრების თანახმად სამყარო უსასრულოა დროში და სივრცეში, და შინაგანი დინამიზმის მეოხებით იგი მუდმივად ქრება და კვლავ განახლდება უზარმაზარ კოსმიურ პერიოდებში. არ არსებობს სამყაროს წარმართველი კანონი. სამყარო სპონტანურად გამოავლენს თავის თავს იინ-ის და იანგ-ის ჰარმონიული ურთიერთმოქმედების შედეგად. სამყაროს ასეთი გააზრების მიხედვით ადამიანური და კოსმიური წესრიგი ურთიერთმართებაში იმყოფებიან. თვითმოწესრიგების უნარის წყალობით, რაც ადამიანის კოსმოსის ნაწილად ყოფნის შედეგია, მათ შორის ჰარმონია მიღწევადია. თვითმოწესრიგება, რაც აუცილებელია თვითოეულის სრულყოფისთვის, მიიღწევა განათლების და ჩვეულებების შეთანაწყობის მეოხებით. სამართალი ანუ „ფა“, როგორც იძულებითი წესრიგის დაკისრება, ასრულებს ნაკლებ როლს ადამიანური ურთიერთობების განმრტკიცებისთვის. სამართალი შემონახულია იმ უვიცთათვის, რომლებმაც ან არ იციან ჩვეულებები ან იციან, მაგრამ პატივს არ სცემენ მათ. ჩინური სამართლის რელიგიური ფესვი ენათესავება ინდური სამართლის რელიგიურ ფესვს.

ინდური სამართლის რელიგიური ფესვია მოძღვრება დჰარმას შესახებ. დჰარმა არის კოსმოსის და სიციოცხლის სტრუქტურული პრინციპი: დჰარმა არის ის, რაც ინარჩუნებს, აკავშირებს და ამდენად განამტკიცებს არსებულს. კოსმიურ დონეზე, დჰარმა არის პროცესი, რომელშიც თითოეული მოვლენა დანარჩენს ინახავს, და რის გამოც, ბალანსი კოსმოსში შენარჩუნებულია. მიკრო დონეზე, დჰარმა არის პროცესი, რომლის შემადგენელ თითოეულ ელემენტს თავისი წვლილი შეაქვს საყოველთაო ბალანსის შენარჩუნებაში. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი დჰარმა ანუ სვადჰარმა. თუ კოსმოსის თითოეული ელემენტი ასრულებს თავის სპეციფიურ სვადჰარმას ანუ ფუნქციას,

საყოველთაო ბალანსი უსაფრთხოა. თუ ერთ-ერთი ელემენტი გადაუხვევს თავის კურსს ანუ ხელყოფს დპარმას, მაშინ ბალანსი ირღვევა.

ადამიანთან მიმართებაში დპარმა გამოიყურება შედეგნაირად: რელიგიური ადამიანი დპარმაში დაინახავს ღმერთის კანონს; მორალური ადამიანი მასში დაინახავს შინაგან პრინციპს, რომელიც საშუალებას მისცემს მას განასხვაოს კეთილი და ბოროტი; იურისტი მასში დაინახავს სამართალს; ფსიქოლოგი გამოყოფს მასში ტრადიციას, ჩვეულებას, სოციალურ შინაარსს; ფილოსოფოსი მასში დაინახავს სულიერებას, რომელიც აიძულებს ადამიანს იყოს სინდისიერი; იდეალისტი მასში დაინახავს იდეალს; პრაქტიკოსი მასში დაინახავს ძალას, რომელსაც მთლიანში შეაქვს პარმონია. ამ თვალსაზრისით, პიროვნულობას აქვს ფუნქციური და არა სუბსტანციური ხასიათი, რაც შესაბამისად განაპირობებს ადამიანთა განსხვავებულ სამართლებრივ სტატუსებს და განსაზღვრავს მათ ურთიერთ უფლება-მოვალეობებს.

ჩინურ-ინდური სამართლის რელიგიური ფესვი შეიძლება დახასიათდეს როგორც „თვითიღენტიფიკაციის“ („თვითდადასტურების“) მსოფლმხედველობა.

ეგვიპტურ-აფრიკული სამართლის რელიგიური ფესვი დაკავშირებულია ქაოსის ფილოსოფიურ მოძღვრებასთან. ამ მოძღვრების თანახმად სამყაროს შექმნამდე არსებობდა ქაოსი. ამ ქაოსიდან წარმოქმნილმა განსხვავებულმა ძალებმა საბოლოო ჯამში სამყარო მიიყვანა ხილულ მსოფლიომდე და ბოლოს ადამიანამდე. მრავალფეროვნება არის სამყაროს წარმოშობის წყარო. პარმონია არ არის მდგრადი წონასწორობა მაგრამ ის უსასრულოა, თუმცა ამავე დროს მყიფე, რადგან წარმოადგენს ძალების ურთიერთმოქმედების შედეგს. ადამიანი ასრულებს მნიშვნელოვან როლს სამყაროში პარმონიულობის დამკვიდრებაში. წესრიგი საზოგადოებაში სჩანს არის საზოგადოებაში არსებული განსხვავებულ ჯგუფებს შორის პარმონიული ურთიერთობების რეზულტატი. იდეალი ყოველთვის მდგომარეობს ჯგუფის შიგნით პრობლემების გადაწყვეტაში აღდგენილი იქნას პარმონია მოლაპარაკებების გზით. აღნიშნული მოძღვრება შეიძლება დახასიათდეს როგორც „დიფერენციაციის“ მსოფლმხედველობა.

ქრისტიანულ-ისლამური სამართლის რელიგიური ფესვი დაკავშირებულია „გარეშე ძალის“ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან. ამ მოძღვრების თანახმად სამყარო შექმნილია „გარედან“ უზენაესი და

შეუცვლელი შემოქმედის მიერ და იგი იმართება მისი კანონებით. ეს კანონები ყველასათვის ერთი და იგივეა, და მსოფლიო წესრიგი ყალიბდება მათდამი ყველას მორჩილებით. საზოგადოება არის რაღაც დეცენტრალიზებული და მისი მომავლისათვის პასუხისმგებელია უმაღლესი ინსტანცია ღმერთის სახით, ხოლო დედამიწაზე ხელისუფლების სახით, რომელიც გამოსცემს კანონებს და რომელთაც ჩვენ უსიტყვოდ უნდა ვმორჩილებდეთ. ამ თვალსაზრისით ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები ცვლიან ღმერთს დედამიწაზე. ამიტომ იწამო ღმერთი, ნიშნავს იწამო კანონები. აღნიშნული მოძღვრება შეიძლება დახასიათდეს როგორც რელიგიური „უნიფიკაციის“ მსოფლმხედველობა.

სამართლის სამი რელიგიური ფესვებიდან აღმოცენდა სამართლის სამი ისტორიული ტიპი, რომელიც მოგვიანებით გახდა სამი კულტურული სივრცის ინტეგრალური ნაწილი.

ყველა შემთხვევაში, მიუხედავად განსხვავებისა, სამართალი როგორც მოვლენა უნივერსალურია ყველა ხალხებისათვის, თუმცა განსხვავებული რელიგიური ფესვებით, რაც არ გამორიცხავს, არამედ პირიქით გულისხმობს „დიאלოგს“ და სამართლებრივ ღირებულებათა „გაცვლას“ კულტურებს შორის, და ეს ისტორიულად ასეც ხდებოდა. დღეს მითუმეტეს, როდესაც სახეზეა ზოგადად ღირებულებათა, მათ შორის სამართლებრივ ღირებულებათა ინტეგრაცია და სტანდარტიზაცია გლობალიზაციის მიმართულებით. ეს არის სამართლისადმი ეპისტემოლოგიური მიდგომა, სხვა სიტყვებით მულტილენგალიზმი. ისევე როგორც არც ერთ რელიგიას, ტრადიციის და იდეოლოგიის არ შეუძლია ილაპარაკოს კაცობრიობის სახელით, ასევე არც ერთ პოზიტიურ სამართალს არ შეუძლია განუზომლად იბატონოს მსოფლიოში, რადგან არ არსებობს ერთსახოვანი რეალობა ანუ რეალობა არ შეიძლება გამოყვანილი იქნას გაგების ერთი ცენტრიდან.

ამდენად, ერთი უნივერსალური სამართლის თეორიის არსებობის შესაძლებლობა გამოირიცხება. დასაშვებია მხოლოდ ვილაპარაკოთ კულტურათაშორისო სამართლის თეორიაზე და თუ ჩვენ გვინდა მიუდგეთ სამართალს კულტურათაშორისო პოზიციიდან, საჭიროა ჩავერთოთ დიალოგში სხვა კულტურებთან, რომლებიც თვითეულს სამართლებრივი ხედვა და მითოსი ორიგინალური და განუმეორებელია. მაგრამ თვითეულის სამართლებრივი ხედვის და მითოსის ორიგინალურობა და განუმეორებლობა ემყარება არა მარტო კონცეპტუალურ

განსხვავებას, არამედ განსხვავებას თვითოულის წარმოშობის ფაქტორებს შორის, რომლებიც მოცულობით სხვადასხვა დოზით არიან წამოდგენილი. ბუნებრივია აქ გამოირიცხება სამართლის წარმოშობის ერთფაქტორიანობა (როგორც ეს არის მარქსიზმ-ლენინისმისათვის დამახასიათებელი), ისევე როგორც ერთკონცეფტუალურობა (როგორც ეს პოზიტივიზმისთვის არის დამახასიათებელი, რაც სახელმწიფო სამართლამდე მთლიანად სამართლის დაყვანასთან არის დაკავშირებული). ამ დედებულებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ისლამურ, აფრიკულ და ინდუსიურ სამართალს განმარტავენ, როგორც იმ პრინციპების და ცნებების სიტემას, რომელიც ემყარება ჩვეულებით სამართალს, მაშინ როდესაც მსოფლიოს დანარჩენი სამართლებრივი ოჯახების წყარო საკანონმდებო ანდა სამოსამართლო სამართალია. სამართლის მრავალფეროვნება ფაქტია და მისი უგულვებელყოფა აზროვნების დეფექტზე მიუთითებს.

2. სამართლის მომჭმსრიბებელი

ფუნქციის ფილოსოფიური დასაბუთება

თავისუფლებას განსაზღვრავდნენ როგორც შეცნობილ აუცილებლობას, მაგრამ უგულვებელყოფდნენ იმას, რომ თვით აუცილებლობას რთული სტრუქტურა აქვს. ცნობილია, რომ მას ახასიათებს დინამიკურობა, გამოვლინების მრავალგვარობა, შემთხვევითობათა მასობრიობა; რაც მთავარია, აუცილებლობის სფეროში შეგნებით და ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანთა ძალებია ჩართული. აუცილებლობა ადამიანთა მოქმედებაში თავისი გამოვლენის სხვადასხვა შესაძლებლობებს შეიცავს. ადამიანი შეიცნობს აუცილებლობის კონკრეტულ გამოვლინებას და თავისი შეხედულებით მოქმედების რამდენიმე ვარიანტიდან შეუძლია აირჩიოს ერთი. ადამიანი აუცილებლობას ზოგადად კი არ შეიცნობს, არამედ კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის სახით. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანს შეუძლია მრავალნაირად მოიქცეს, დამოუკიდებლად იმისა, შეესაბამება თუ არა მის მიერ შერჩეული ვარიანტი საზოგადოების ან ცალკეული პირის ინტერესებს.

პრინციპულად რომ ვიმსჯელოთ, ადამიანს შეუძლია იმოქმედოს როგორც საზოგადოების სასარგებლოდ, ისე მის საზიანოდ. ამიტომ მხოლოდ აუცილებლობის თვალსაზრისით არ არსებობს რაიმე წინასწარ დადგენილი კრიტერიუმი ადამიანის ქცევის განსაზღვრული მნიშვნელობით შეფასებისა, რადგან ადამიანის ყოველი მოქმედება, როგორც საბოლოო ჯამში აუცილებლობის გამოვლენა, თავისუფალია. საქმე ისაა, რომ სინამდვილის წინააღმდეგობრივი ხასიათი ქმნის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილებისა და მოქმედების განსხვავებული ვარიანტების შესაძლებლობებს, ადამიანი კი შეგნებისა და ნებელობის მეშვეობით იყენებს ამ შესაძლებლობებს, იღებს გადაწყვეტილებას და აკეთებს არჩევანს.

მაგრამ ასეთი “თავისუფლება“ მხოლოდ ბუნებრივი აუცილებლობის გამოვლენას ემყარება. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, ის ცხოვრობს სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში, ამიტომ არ შეიძლება ყველა მიზანდასახული მოქმედება და არჩევანი შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, ე.ი. ადამიანის ყოველგვარი მოქმედება არ არის თავისუფალი საზოგადოების თვალსაზრისით; მაგრამ მეორე მხრივ – არჩევანი უკვე თავისუფლებაა სუბიექტური აზრით. რაც შეეხება არჩევანის სისწორეს, ეს შეფასების საკითხია. სწორედ აქ გამოიკვეთება ინდივიდუალური თავისუფლებისა და საზოგადოებრივი აუცილებლობის ურთიერთმიმართება.

რამდენადაც აუცილებლობის შესაძლებლობებს ადამიანები იყენებენ საზოგადოების სასარგებლოდ ან საზიანოდ, ამდენად საჭირო ხდება საზოგადოებაში ბუნებრივი აუცილებლობის გამოვლენის მიზეზობრივი კავშირების ჯაჭვში ხელოვნური ჩარევა, ადამიანთა მოქმედებების განსაზღვრული ეტალონების, მასშტაბების შემუშავება-დადგენის გზით. ასეთი ეტალონების მასშტაბებია ადამიანთა ქცევის ნორმები – სოციალური ნორმები, რომელთა შესაბამისად მოქმედება მთელი საზოგადოების თვალსაზრისით წარმოადგენს თავისუფალ მოქმედებას.

ამდენად, თავისუფლება შეფასებითი კატეგორიაა, შეფასების კრიტერიუმი კი სოციალური ნორმა, კერძოდ, სამართლებრივი ნორმაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემყარება რა ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას, სამართალი აწესრიგებს ნებისყოფის თავისუფლების მოქმედების თავისუფლებაში გამოვლენის პროცესს.

ნათქვამი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართლებრივი ნორმების გარეშე საზოგადოებაში არავითარი წესრიგი არ იარსებებდა. ნეოკანტიანური მიმართულებისათვის რეალური სინამდვილე არის პასიური და ამორფული, რომლის მოწესრიგებაც საჭიროა შემშეცნებელი სუბიექტის მიერ აპრიორული ბუნების მქონე პრინციპებისა და კატეგორიების საშუალებით. ეს არის სინამდვილის მიმართ ცალმხრივი, პიპერტროფირებული მიდგომა. “ჩვენ ისე შევეჩვიეთ ყველაფერი პოზიტიური სამართლის სამოსში ვიგულისხმობთ და ყოველივეს სამართალში მივუჩინოთ ადგილი, რომ გვეგონია, საკმარისია სამყაროს უფლებრივი სამოსი მოსძვრეს და იგი მაშინვე ქაოსისა და საშინელი არეულობის ბნელ მორევში ჩაიფლობა. ჩვენ გვეგონია, საკმარისია ცხოვრება თავისი უფლებრივი გარსიდან ამოვაგდოთ და იგი “ბნელ ღამეში ზანგთა ბრძოლად” გადაიქცევა. მაგრამ ეს სრულიადაც არაა ასე. შესაძლებელია უფლებრივი კალაპოტიდან ამოვარდნილი ცხოვრება აღარ იქნება ის ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ იგი არ იქნება ქაოსი, მასში იქნება ახალი წესრიგი, მასში თითოეული ჩვენი მოქმედება რაიმე მოვლენით იქნება განსაზღვრული...”¹

თანამედროვე მეცნიერებამ ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე შეძლო დაედგინა შინაგანი, იმანენტური, ბუნებრივი წესრიგი თვით სინამდვილეში, ადამიანთა შორის, ადამიანსა და კოლექტივს შორის, კოლექტივებს შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს შინაგანი იმანენტური, ბუნებრივი წესრიგი ობიექტურად მოითხოვს გარედან მოწესრიგებას, ბუნებრივად დარეგულირებული ურთიერთობების დამატებით ხელოვნურ მოწესრიგებას. აქედან შეიძლება გაკეთდეს ზოგადი დასკვნა: გარეგანი, ხელოვნური წესრიგი არის შინაგანი, ბუნებრივი წესრიგის იმანენტური ფორმა.

ადამიანის მიერ აუცილებლობის შეცნობა გაშუალებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებით, მათ შორის, სამართლის ნორმებით. ადამიანის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას, საზოგადოების თვალსაზრისით არ არის თავისუფალი, თუმცა ასეთი მოქმედება აუცილებლობის გამოვლენის შესაძლებელი ფორმაა. ამ აზრით სამართალი, როგორც მთელი საზოგადოების თვალსაზრისის კონცენტრირებული გამოვლენა, განასახიერებს თავისუფ-

¹ გ. ნანეიშვილი. „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ თბ., 1928. გვ. 24.

ლების უფრო მაღალ საფეხურს, რადგან ადგენს ადამიანის მოქმედების ისეთ ზომას, მასშტაბს, რომელიც არ ზღუდავს სხვა ადამიანთა თავისუფლებას, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი სწორად ასახავს აუცილებლობის გამოვლენის საზოგადოებრივად სასარგებლო ტენდენციებს.

განსაზღვრავს რა ადამიანთა მოქმედების მასშტაბს, სამართალი აწესრიგებს მათ შედეგად წარმოშობილ შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეთა შორის ამყარებს გარკვეულ წესრიგს, აუცილებლობის შესაძლებლობების ისეთი სახით ან მასშტაბით გამოყენებისათვის, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის ბუნებრივ უფლებებს.

ეს აზრი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართალი ავტომატურად აღწევს იმ ეფექტს, რომელსაც ის მიზნად ისახავს. სამართალს შეუძლია მხოლოდ ხელი შეუშალოს ისეთი ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებას, რაც არ შეესაბამება მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ მართლშეგნებას და მისთვის სასურველი ურთიერთობების დამყარებას. საქმე ისაა, რომ, სამართლის ნორმების ზემოქმედება გაშუალებულია ადამიანის ინდივიდუალური ნებით. ქცევის რა ვარიანტს აირჩევს ესა თუ ის პირი კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, სამართალი ვერ იწინასწარმეტყველებს და ამას იგი არც აკეთებს. სამართლის ნორმა მხოლოდ მიუთითებს, რაც უნდა შესრულდეს. ამიტომ, სამართლის ნორმას აქვს იდეალური არსებობა ჯერარსის სახით, ეს უკანასკნელი კი ეყრდნობა აუცილებლობის იმ ტენდენციას, რომლის განხორციელებაც საზოგადოების იდეალია. სამართალი არის ძალა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის მოქმედებაში აუცილებლობის ერთი ტენდენციის გამოვლენას და უპირისპირდება აუცილებლობის გამოვლენის სხვა ტენდენციებს. ასეთი დაპირისპირების შედეგად საზოგადოებაში მყარდება განსაზღვრული მართლწესრიგი. მართლწესრიგი საზოგადოებრივი ცხოვრების სინთეზური სფეროა. სადაც ადამიანთა მოქმედებაში სამართლის ნორმებით გამოზატული აუცილებლობის გამოვლენის ერთი ტენდენციის სხვა ტენდენციებთან დაპირისპირება ხდება. ამდენად, ადამიანი განიცდის ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის - ბუნებრივად აუცილებელის და იდეალურად აუცილებელის მოქმედებას.

სინამდვილის გაცნობიერება სამართლის თვითმიზანი არ არის. ის ეშსახურება სინამდვილის გარდაქმნას, აქედან გამომდინარე.

სამართალი სხვა არა არის რა, თუ არა თავისებური შეფასება, ამ სინამდვილის ახალი ინტერპრეტაცია. სამართალს “არ აკმაყოფილებს” სინამდვილის ცალკეული ასპექტი და ის მიიღტვის მათი გარდაქმნისაკენ. აქ სამართალი ასახიერებს ადამიანის ფუნდამენტურ სწრაფვას, მიმართულს გარემომცველი სამყაროს გარდაქმნისაკენ.

სამართალი არ მსჯელობს იმაზე, რაც არის, იყო და იქნება, არამედ იმაზე, რაც უნდა იყოს. ამგვარადვე, სამართალს არ აინტერესებს, თუ როგორ იქცეოდნენ, ან მოიქცევიან მომავალში ადამიანები ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში, ამა თუ იმ ისტორიულ და ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რადგანაც ეს ყველაფერი მხოლოდ არსებულს ეხება.

ადამიანის სოციალური შემოქმედებით-გარდამქმნელი ბუნებით არის გაპირობებული ის, რომ არსებობს მუდმივი წინააღმდეგობა არსსა და ჯერარსს შორის, რადგანაც თანაფარდობა, რომელიც არსებობს სოციალური ცხოვრების სტატიკურ და დინამიკურ მხარეებს შორის, მას არ აკმაყოფილებს. სამართლის, როგორც ჯერარსის, სოციალური ფუნქცია გულისხმობს ამ მხარეებს შორის ბუნებრივად არსებული თანაფარდობის გარკვეულ უარყოფას.

მარქსისტულ იურიდიულ მეცნიერებაში, მათ შორის, ქართველ ავტორთა ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში, უდავოდ არის მიჩნეული, რომ სამართალი განპირობებულია საზოგადოებრივი (მათ შორის მატერიალური) ურთიერთობებით. ეს დებულება მისაღებია მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც ძალზე შეზღუდულ ფარგლებში.¹

სამართლის განპირობებულობა საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ჩვენი აზრით, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული ნაწილი ობიექტურად ითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას. სხვა სიტყვებით, გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ

¹ შედეგობაში არ გყავს 20-იანი წლების ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, სახელობრ, პროფესორები გ. ნანეიშვილი, ა. ვაჩიშვილი და ირ. სურგულაძე, რომელთა ნაშრომები უსაფუძვლოდ იქნა დაგმობილი, და რამაც ათეული წლებით შეაჩერა სამართლის თეორიის განვითარება საქართველოში. იხ. ჩვენი წერილი „დისკუსია თუ ავანტიურა ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ“. „საბჭოთა სამართალი“, №5, 6. 1989 წ. ქართული იურიდიული მეცნიერების კორიფეების იდეოლოგიურ რეაბილიტაციას არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ავტორმა, ხოლო „წითელი პროფესორის“ გადმონაშთების შილობას - სასამართლო პროცესი. იხ. „სასამართლო საქმე: პროფესორი ბიძინა საენელი წითელი პროფესორების წინააღმდეგ“ თბ., 2003. (ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი).

აზრის წარმოშობა ყოველთვის მიზეზობრივად არის განპირობებული სამართლებრივი მოწესრიგების საზოგადოებრივი მოთხოვნის მიხედვით. ამით ამოიწურება სამართლის მოზეზობრივი განპირობებულობა. ამის შემდეგ იწყება სამართალშემოქმედება ანუ სამართლებრივი რეგულირების იდეის ძიება, სამართლის აზრის წვდომა სამართლებრივი ნორმის ზოგადი მოდელის შემუშავების გზით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებისათვის საერთო ქცევის სამართლებრივი წესების დადგენა.

“ჩვენ ხშირად ვამბობთ, წერდა პროფ. გ. ნანეიშვილი, რომ ეკონომიკური პირობებისა და საწარმოო ძალების ხასიათი განსაზღვრავს სამართლის ნორმებს. ეს უდავო ფაქტია. ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ სამართლის ისეთი სისტემა, რომელიც შექმნილია აბსოლუტურად თავისუფალი და ავტონომიური ნებით. ბედნიერებაა, რომ ეს ასეა. საწინააღმდეგო შემთხვევაში შეუზღუდავი ნების მიერ შექმნილი ნორმების სისტემა იმდენად დაშორებული იქნებოდა რეალური ცხოვრებისეული პირობებიდან, რომ ნორმის განხორციელება კი არ იქნებოდა თავისუფალი აღიარების (ფსიქოლოგიური აზრით) შედეგი, არამედ უხეში მექანიკური წნევის პროდუქტი. მსოფლიოსათვის უცნობია სამართალი, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა ადგილის, სოციალური გარემოს, დროის და ბუნებრივი პირობებისაგან... მაგრამ როდესაც ამბობენ, რომ სამართალი არის ისტორიისა და კულტურული განვითარების პროდუქტი, და რომ სამართალი არ არის კანონმდებლის თვითნებობის შედეგი, ეს სულაც არ ამტკიცებს იმას, რომ ისტორიული და სხვა პირობების გავლენით შექმნილ სამართალს იგივე სტრუქტურა და კანონზომიერება აქვს, რაც ემპირიულად ხილულ სამყაროს. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ნორმის ობიექტი არსებობს, ე.ი. რაც უნდა იყოს უკვე არის, მაშინ ნორმა, როგორც ასეთი, კარგავს აზრს... ჯერარსი არ შეიძლება იყოს მოცემული, მისი არსებობა მოსპობდა იმას, რაც უნდა იყოს. თუ ადამიანი თავისი არსით არის ის, რაც უნდა იყოს ეთიკური თვალსაზრისით, მაშინ ის არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორც უნდა იყოს, რადგანაც ის უბრალოდ არის ის რაც არის...”

ფაქტისა და სამართლის განსხვავება სახეზეა. მართლაც, ის, რაც არის უკვე რაღაც კონკრეტულ ინდივიდუალური, როგორც რაღაც მომხდარი, ამ მიმართულებით ფაქტის დადგომის შესაძლებლობა ან მისი აუცილებლობა თავისთავად მოხსნილია. ფაქტი და ფაქტიური

თვით სპობენ თავის შეუძლებლობას, ე.ი. მათი წარმოშობის შეუძლებლობას აუცილებლობის ძალით... ასეთი მნიშვნელობით აუცილებლობა და შესაძლებლობა იფარება ფაქტით. ფაქტიური ყველა შემთხვევაში თავიდანვე გულისხმობს თავისი არსებობის შესაძლებლობას, საწინააღმდეგოდ ამისა, ნორმაში მოცემული ჯერარსი თავიდანვე უდავოდ სპობს იმის ფაქტიურობას, რაც უნდა იყოს. ამიტომ ნორმაში ჩადებული აზრი არ შეიძლება იყოს ფაქტი... თუ ჩვენ ავიღებთ სამართლის ნორმას და განვიხილავთ მას, როგორც განსაზღვრულ ჯერარსს, რომელიც გამოხატავს გარკვეულ აზრს, მაშინ ამ აზრის როგორც განხორციელება ისე განუხორციელებლობა გამომჟღავნდება ისტორიულად, ე.ი. ჯერ ნორმა და მით გამოხატული აზრი (ჯერარსი), შემდეგ კი მისი განხორციელების ან განუხორციელებლობის შესაძლებლობა...

ამრიგად, სამართლის ნორმაში მოქმედებს არა ფაქტი ან ფაქტიური, არამედ სამართლის განსაზღვრული აზრი, ისევე როგორც ყოველ ესთეტიკურ ნაწარმოებში მოქმედია არა სურათი, როგორც ფიზიკური სხეული, არამედ მასში გამოხატული აზრი. თუ სამართალს აქვს ისტორიად ქცევის ტენდენცია, ფაქტი და ფაქტიური ასეთ ტენდენციას მიკლებულნი არიან. ფაქტს არ შეუძლია წარმოშვას თავისი განხორციელების შესაძლებლობა ანუ აუცილებლობა, რადგან ფაქტი უკვე განხორციელებულია, მაშინ როცა სამართალი შეიცავს განხორციელების მუდმივ პრეტენზიას, დამოუკიდებლად იმისა, ხორციელდება თუ არა ის სინამდვილეში. აქედან დასკვნა იმის შესახებ, რომ პოზიტიური სამართალი არის ის, რაც ასაგნობრივებს სამართლის აზრს... არსებითად სამართლის პოზიტიურობა არის სამართლის აზრის პოზიტიურობა ანუ ნამდვილობა. სამართლის აზრის პოზიტიურობის მეოხებით შეიძლება დასაბუთდეს სამართლის საკვლადებულო ძალა.

სამართლის საკვლადებულო ძალა ჩვენ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სამართალი იწვევდეს იმ ეფექტს, რომელსაც ის გულისხმობს. პოზიტიური სამართლის საკვლადებულო ძალა, უფრო ზუსტად, მასში ჩადებული სამართლის აზრი მდგომარეობს ამ ეფექტის დადგომის აუცილებლობის წარმოდგენაში. ის, რაც ჯერარსია – უნდა მოხდეს, ის რაც აუცილებელია, წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც აუცილებლობა“!

სამართალს და მამასადამე, მის მიზნებს საფუძველად უღევს არა მარტო გარეგანი პირობები, არა მარტო ბუნება და საზოგადოება, როგორც ასეთი, არამედ უპირატესად ადამიანის მიერ ბუნების, საზოგადოების და თავისი თავის გარდაქმნისაკენ ლტოლვა.

ადამიანი სინამდვილის გარდაქმნის პროცესში ქმნის ყოფიერების ისეთ სახეობას, რომელიც მანამდე რეალურად არ არსებობდა, ეს არის ჯერჯერობით არარეალიზებული ყოფიერების ახალი სახეობა. ადამიანი, რომელიც მიისწრაფვის იქეთკენ, რომ სინამდვილეს მისცეს ახალი სახე, წინასწარ თავის ცნობიერებაში აყალიბებს მას იდეალურად, როგორც იდეას და “პროექტს“. პიროვნება გამოიმუშავებს და ირჩევს ყოფიერების ისეთ ფორმას, რომელიც, მისი აზრით, იმდენად შეესაბამება სინამდვილეს, რომ იძლევა მისი განხორციელების და ადამიანის მიერ სინამდვილის გარდაქმნის გარანტიას.

ასევეა სამართალშიც. სამართალი არის ადამიანის მიერ ბუნების, საზოგადოების და თავისი თავის გარდაქმნის ერთ-ერთი საშუალება. ის არა მარტო განიცდის გარეგანი ფაქტორების ზეგავლენას, არამედ თვითონაც მოქმედებს მათზე, ურთიერთქმედებს ბუნებასთან, საზოგადოებასთან და პიროვნებასთან. სამართალი თავის შინაარსში შეიცავს არა იმდენად იმის ცოდნას რაც არის, არამედ უფრო იმას, რაც უნდა იყოს; ამიტომ სამართალი თავისი შინაარსით წარმოადგენს ადამიანის მომავალი მოღვაწეობის წინაპირობას, სტიმულს, და ამდენად, ის არის ამ მოღვაწეობის ერთ-ერთი საფუძველი, მოღვაწეობისა, რომელიც მიმართულია წინააღმდეგობის მოხსნისაკენ, სინამდვილის უკმარისობის გადალახვისაკენ, ყოფიერების ახალი სახეობის – მართლწესრიგის შექმნისაკენ. ამ ასპექტში სამართალი ყოფიერების ახალი სახეობის იდეის მატარებლად გვევლინება.

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ სამართლის ორ მომენტზე: ერთია – ასახვითი (“შემეცნება“) და მეორე ზემოქმედებითი (“მისწრაფება და წადილი“). როდესაც ვიკვლევთ, თუ როგორ ერთიანდება სამართალში შემეცნება და მისი იდეალური გარდასახვა, მივდივართ იმ დასკვნემდე, რომ სამართალი არ არის ორი აღნიშნული ელემენტის კონგლომერატი, არამედ მასში მოცემულია სინამდვილის ასახვისა და მისი გარდაქმნის სურვილის, შემეცნებისა და ახალი რეალობის შექმნისაკენ მისწრაფების ორგანული შეერთება და შერწყმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართალი არის ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კონცეპტუალური ინტერპრეტაცია. ამრიგად, სამართალი, რომელიც მხოლოდ საწყის ეტაპზე ყოფიერებით

განისაზღვრება, უკუ ზემოქმედებას ახდენს და გარდაქმნის მას. სამართლის იდეა პირველ რიგში გულისხმობს სინამდვილისადმი დაუმორჩილებლობას, და გარკვეული აზრით წარმოადგენს პროტესტს მოვლენების სტიქიური განვითარების წინააღმდეგ.

იდეა იმის შესახებ, რომ სინამდვილე არ აკმაყოფილებს ადამიანს და რომ ადამიანი ცდილობს გარდაქმნას იგი, შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის სოციალური ფუნქციის დახასიათებისათვის. ამ მხრივ, სამართალი, რომელიც გარკვეული აზრით “უარყოფს” სინამდვილეს და მის უკმარობას ასაბუთებს, ადამიანისა და საზოგადოების ჰუმანური იდეალების განხორციელების საშუალებაა, რის გამოც უმნიშვნელოვანესი კულტურული ღირებულება ენიჭება.

ამრიგად, სამართალი არის არა იმდენად სინამდვილის ასახვა, რამდენადაც ახალი სინამდვილის დამკვიდრების ცდა. სამართალში ყოფიერება თავისებურ ინტერპრეტაციას განიცდის, რამდენადაც სამართალში იქმნება ჯერარსითი ყოფიერების მოდელი. სწორედ ამიტომ იძენს სამართალი მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულ ხასიათს. იგი აბსტრაქტული მიზნისაგან იმით განსხვავდება, რომ არაა რაღაც იდეალი, რომლისკენაც შეიძლება მხოლოდ ისწრაფვოდე და მუდმივად უახლოვდებოდე. აბსტრაქტული მიზნისაგან განსხვავებით, სამართალი თავის კონკრეტულ ობიექტზე ზემოქმედების პრაქტიკულ მოდელს იძლევა. სამართლის ნორმები ზუსტად აყალიბებენ ქვეყნის კონკრეტულ წესებს და არა აბსტრაქტულ მიზანს.

სამართლის ნორმა დროის გარკვეულ მონაკვეთში აღარ წარმოადგენს მიზანს, ის იცვლება ან უქმდება. სამართლის ნორმა წყვეტს არსებობას, იქცევა ფაქტად, მაშინ როდესაც ხდება მისი სრული რეალიზაცია. ასეთი რეზულტატი ავსებს ყოფიერების უკმარობას; ამით ადამიანი უახლოვდება მორალურ-პოლიტიკური იდეალების განხორციელებას. მაგრამ სამართალზე ზემოქმედება არ მთავრდება ამ შედეგით, რადგან ერთი სინამდვილის ადგილს იჭერს მეორე, ახალი სინამდვილე. ამ აზრით სამართლის მუდმივი “აღწარმოება” ხდება.

სამართალი თავისი ფორმით სუბიექტურია, ხოლო შინაარსით ობიექტური. იგი ადამიანის მიერ შემეცნებული ყოფიერებისა და ცნობიერების, სინამდვილისა და იდეალის წინააღმდეგობის დაძლევის აზრობრივი გამოხატულება, იდეალური ფორმაა.

ამრიგად, სამართალსა და სინამდვილეს შორის არსებობს საკმაოდ რთული ურთიერთობები, მის წყაროს წარმოადგენს არა მარტო საესებით რეალური ურთიერთობების შინაარსი, განსაზღვრულია არა

მარტო სავსებით რეალური მოთხოვნილებებით, არამედ გულისხმობს აგრეთვე რეალურ მოღვაწეობას, რეალიზაციის პროცესს. და როგორც ასეთი, სამართალი არის არა მუდმივი იდეა, არამედ ისეთი იდეა, რომელიც უნდა განხორციელდეს ახლა, აწმყო დროში და იქცეს აქტუალურ სინამდვილედ. ამ აზრით, სამართალი არის ისეთი იდეალური, რომელიც სცილდება იდეალურის ფარგლებს და რეალურში დაბრუნების თავისებური საფეხური და აუცილებელი მომენტი. ამრიგად, სამართალი არ არის წმინდა ჯერარსი როგორც იდეოლოგია, არ არის ცოდნის უბრალო შემადგენელი ნაწილი, არამედ იგი ღირებულებათა სისტემა, ცოდნიდან პრაქტიკაზე გადასვლის რგოლია. სამართალი, როგორც ნორმების სისტემა, არის საზოგადოებრივი მართლშეგნების არა უბრალო შემადგენელი ნაწილი, არამედ მართლშეგნებიდან იურიდიულ პრაქტიკაში, მართლწესრიგში გადასვლის რგოლი.

აქედან გამომდინარე, სამართლისა და სინამდვილის მიმართება შეიძლება დახასიათდეს მიზეზობრივი და მიზნობრივი მოძრაობის თვალსაზრისით.

ამასთან დაკავშირებით არ არის ინტერესმოკლებილი, რას ფიქრობდა კანტი აღნიშნულ საკითხზე. კანტისათვის მოზეზობრივი მოძრაობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთეულიდან ზოგადზე გადასვლა. ამ გადასვლაში დაფიქსირებულია ყოფიერების აუცილებლობის იდეა, არსებულის იდეა, ზოლო მიზნობრივი მოძრაობა პირიქით, გამოდის უკვე არსებული ზოგადობიდან, გაცნობიერებული კანონიდან და ამდენად, ჯერარსიდან, ზოლო შემდეგ ზდება გადასვლა ერთეულ საგნებზე. მაგრამ კანონის მიხედვით, მიზნობრივი მოძრაობა, მიზეზობრივი წესრიგისაგან განსხვავებით, მიზეზობრივი მიმართების განსაკუთრებული ფორმაა. ამ ფორმის სპეციფიკა იმით გამოიხატება, რომ აქ მიმართულების რეალიზაცია ზდება არა სტიქიურად, არსებულის აუცილებლობისა და შემთხვევითობის საფუძველზე, არამედ ადამიანის რაციონალური მიზნის მოღვაწეობის გააზრების გზით. ამიტომ მიზნისა და მოქმედების რეალური მიმართების გარდა, ეს წესრიგი თავის შინაარსში გულისხმობს აგრეთვე იდეალურ მომართებას მიზანსა და რეზულტატს შორის. ამრიგად, კანტის მიხედვით მიზნობრივი მიმართულება განსაკუთრებული ფორმაა მიზეზობრიობისა, რომელიც გამოდის არა აუცილებლობიდან, არამედ თავისუფლებიდან.

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სამართლის სფეროში. სამართალი, როგორც მიზანი, რომლისაკენაც უნდა ისწრაფოდნენ სამართლის სუბიექტები, მიზეზობრიობის განსაკუთრებულ ფორმად

გვეკლინება. სამართლის სპეციფიკა ისაა, რომ იგი თავისი მოქმედების რეზულტატის იდეალური მიზეზი ხდება. სამართალი რეალურად არ ამოძრავებს საშუალებას. სამართალი, როგორც მიზნის მოძრაობა, წარმოადგენს აზროვნებით მოძრაობას, იდეალურ მოძრაობას და არა რეალურ მოქმედებას. რეალურად მოქმედებს ადამიანი. სამართალი იღებს მონაწილეობას ადამიანის მიზნობრივ მოღვაწეობაში, ოღონდ არა როგორც მისი რეალური, არამედ როგორც იდეალური, ლოგიკური კომპონენტი, როგორც ამ მოღვაწეობის “კანონი“. მაგრამ სამართალი, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არის თვითონ ეს მოღვაწეობა. ამიტომ ამბობენ, რომ სამართლის რეალიზაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება ადამიანთა მოღვაწეობის საშუალებით, მათი ქცევის რეგულირების საშუალებით. სხვა სიტყვებით, სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ადამიანთა ნებელობითი მოქმედების იდეალური მოწესრიგების გზით.

3. სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის სოციალური ასპექტი

სოციოლოგიაში ფართოდ გავრცელებულია აზრი ადამიანთა შორის ურთიერთობის სამი სახის შესახებ: თანამშრომლობა, მეტოქეობა და კონფლიქტი. სოციოლოგები გამოყოფენ თითოეული მათგანის მოწესრიგების სამ საშუალებას: მორალი, პოლიტიკა და სამართალი. ეს სამი საშუალება უნდა ემყარებოდეს სამ ამოსავალ, პირველსაწყის პრინციპს, რაც ჯერ კიდევ ულპიანეს დროიდან იღებს სათავეს. ესენია: “იცხოვრე პატიოსნად“ (*honeste vivere*), “არ ავნო სხვას“ (*alterum non laedere*) და “თითოეულს მიუზღე დამსახურებისამებრ“ (*suum cuique tribuere*).

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამი სახიდან: თანამშრომლობიდან, მეტოქეობიდან და კონფლიქტიდან, ეს უკანასკნელი სამართლის, სამართლებრივი აზროვნების ზრუნვის საგანია. უფრო მეტი, არსებითად სამართლებრივი სისტემა არის კონფლიქტების აღმკვეთი ან მომწესრიგებელი ნორმების ერთობლიობა. სწორედ ამიტომ, მოკლედ მიმოვიხილავთ კონფლიქტის არსს.

ადამიანები შედიან სხვადასხვა სახის ურთიერთობებში ერთმანეთთან, ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებთან, სახელმწიფო

სტრუქტურებთან თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან. ამ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტები ორიენტირებულნი არიან მათ მიერ დახარჯული მატერიალური სახსრების თუ სულიერი ენერჯის კომპენსაციის მოლოდინზე. თუ დახარჯული სახსრები ან ენერჯია ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარის აზრით ადეკვატურად არ კონპენსირდება, მაშინ წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაცია.

თანამედროვე სოციოლოგია განასხვავებს კონფლიქტების წყაროთა ორ ჯგუფს: სუბიექტურს და ობიექტურს. პირველ ჯგუფს ქმნიან შინაგანი ინდივიდის წინააღმდეგობანი, ასე ვთქვათ, თავის თავთან, მეორეს კი, წინააღმდეგობანი სოციალური ურთიერთქმედების პროცესში.

კონფლიქტების პირველი ჯგუფი თავის მხრივ სამ სახედ იყოფა:

1. კონფლიქტი, როგორც გადაწყვეტილების მიღების რეზულტატი. მოცემულ შემთხვევაში ირჩევს რა ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტს, პიროვნება ექცევა დისონანსში თავის თავთან იმის გამო, რომ უარყო პოზიტიური მნიშვნელობის მქონე ბევრი ვარიანტი და შეჩერდა სწორედ ამ ვარიანტზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელშიც ჩადებული იყო ზოგიერთი პოზიტიური ასპექტი.

2. კონფლიქტი, როგორც ცდუნების რეზულტატი. თუ პიროვნება ჩაიდენს ამორალურ საქციელს და ამასთან მიიღებს კმაყოფილებას ან გამორჩენას, მაშინ ეს ორი საწყისი აღმოჩნდება ერთმანეთთან დისონანსში.

3. კონფლიქტი, როგორც დახარჯული სახსრების ან ენერჯის არაეფექტურობის რეზულტატი. თუ დიდი ძალისხმევის მიუხედავად მიზანი მიღწეული ვერ იქნა, მაშინ პოზიტიური რეზულტატის არარსებობა აღმოჩნდება დისონანსში უქმად დახარჯულ სახსრებთან ან ენერჯიასთან.

კონფლიქტების მეორე ჯგუფი თავის მხრივ ასევე სამ სახედ იყოფა:

1. კონფლიქტი, როგორც აზრთა სხვადასხვაობის რეზულტატი. თუ პიროვნება, რომელსაც სხვა პიროვნებებისაგან განსხვავებული საკუთარი აზრი აქვს, ურთიერთმოქმედებს მასთან, მაშინ წარმოიშობა დისონანსი მის რწმენასა და რეალურ მოქმედებებს შორის.

2. კონფლიქტი, როგორც პიროვნების მოქმედებებსა და სხვა პიროვნებათა მოლოდინს შორის წინააღმდეგობის რეზულ-

ტატი. თუ პიროვნება, იცის რა სხვა პიროვნების მოლოდინი მისი ქმედობის შესახებ, მაინც იქცევა საპირისპიროდ, წარმოიშობა დისონანსი.

3. კონფლიქტი, როგორც პიროვნების მოლოდინსა და სხვა პიროვნების მოქმედებათა შორის წინააღმდეგობის შედეგი. თუ სხვა პიროვნებები პიროვნების მოლოდინის მიუხედავად, იქცევიან საპირისპიროდ, წარმოიშობა დისონანსი.

საზოგადოებისათვის კონფლიქტური დაძაბულობის მოსახსნელად საჭიროა საკონტროლო მექანიზმის შექმნა. საქმე ისაა, რომ ადამიანში ბუნებრივად ჩადებულია ორი საწყისი: აგრესიული ანუ ინდივიდუალისტური და კონფორმული ანუ კოლექტივისტური. პირველი ემყარება თავდაცვის ინსტინქტს, ხოლო მეორე – თანამშრომლობას. ორივე ინსტინქტის გამოვლენა საჭიროებს მოწესრიგებას ადამიანთა ქცევაზე სოციალური კონტროლს დაწესების გზით საზოგადოებაში წონასწორობის უზრუნველსაყოფად.

სოციალური კონტროლის მექანიზმი გამოირჩევა სირთულით და მრავალგვარობით, მაგრამ ზოგადად და საერთო ჯამში მას ორი ასპექტი აქვს: ინსტიტუციური და ნორმატიული.

ინსტიტუციური ასპექტი მოიცავს სოციალური კონტროლის სუბიექტებს, დაწესებულებებს და აგენტებს, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ კონტროლს საზოგადოებაში. ეს სუბიექტები, თავის მხრივ, იყოფიან ორ ჯგუფად, ოფიციალურ და არაოფიციალურ სუბიექტებად. ოფიციალურ სუბიექტებს განეკუთვნებიან: სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოები, ხოლო არაოფიციალურ სუბიექტებს: ოჯახი, კორპორაციები, პროფესიული კავშირები და პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე, გამოჩენილი პიროვნებები. აღნიშნული სუბიექტები ახორციელებენ სოციალურ კონტროლს სოციალური ცხოვრების შესაბამის სფეროში.

ზემოაღნიშნული მაკონტროლებელი სუბიექტები ერთობლიობაში ქმნიან ინსტიტუციურ სისტემას, რომელთა უმთავრესი მიზანია სოციალური კონფლიქტების რეგულირება.

სოციალური კონტროლის ნორმატიული ასპექტის უმთავრესი გამოვლენაა სამართალი. სამართალი არის სოციალურ კონტროლის ანუ კონფლიქტების აღკვეთის და დარეგულირების ცენტრალური და უმთავრესი პუნქტი, რომელიც ნორმატიულად აკავშირებს ერთ-

მანეთთან სხვა მრავალფეროვან მაკონტროლებელ სუბიექტებს, ბალანსში მოყავს სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები.

სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ გამოიკვეთა სამი მიმართულება. ამერიკელი ბიჰევიორისტების აზრით, სამართალს შეუძლია ყველა სოციალურ მოთხოვნას მისცეს ერთიანი მიმართულება, ნორმატიული განსაზღვრულობა და დამოუკიდებელი ღირებულება, მოახდინოს დაპირისპირებული ინტერესების გაწონასწორება. ამ თვალსაზრისით სამართალი არის საზოგადოებრივი პროცესების მოწესრიგების ნეიტრალური ინსტრუმენტი. სამართალს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ზოგიერთი ბუნებრივი ინსტინქტის შეზღუდვაშიც და ამ გზით (არაპირდაპირ) დადებითი მიდრეკილებების გამოვლენაში.

მეცნიერთა მეორე ჯგუფი სამართალს არ ანიჭებს სოციალური კონტროლის ანუ სოციალური კონფლიქტების დარეგულირების გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამ მეცნიერთათვის სამართლის რეგულაციური ფუნქცია თავის მიზანს აღწევს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თავისი მოქმედების პროცესში კოორდინირებულია სოციალური კონტროლის სხვა ნორმატიულ ასპექტებთან, კერძოდ, რელიგიასთან და ზნეობასთან. ცნობილი ამერიკელი სამართალმცოდნე-ფილოსოფოსის - ჰარდინგის აზრით, ადამიანთა საზოგადოებაში წესრიგს ქმნის სამი უდიდესი ძალა: რელიგია, ზნეობა და სამართალი, რომლებიც შესაბამისად განასახიერებენ სამ უდიდეს ღირებულებას: ჭეშმარიტებას, სიკეთეს და სამართლიანობას. რელიგიის გარეშე, ამტკიცებს ჰარდინგი, არ არსებობს ზნეობა, ხოლო ზნეობის გარეშე სამართალი. ეს აზრი გარკვეულად ეხმაურება დღეს უკვე აქსიომად ქცეულ დებულებას იმის შესახებ, რომ ევროპული ცივილიზაციის საფუძველია ბერძნული ფილოსოფია, ებრაული ქრისტიანობა და რომაული სამართალი.

მეცნიერთა მესამე ჯგუფი საზოგადოებაში წესრიგისა და ჰარმონიის პირობად თვლის ბალანსს, წონასწორობას ადამიანთა ქცევის გარე და შინაგან ფაქტორებს შორის, გარედან რეგულირებად და თვითრეგულირებად ძალებს შორის. ამ ორი საწყისის ურთიერთქმედების პროცესში მეცნიერთა ეს ჯგუფი პრიორიტეტს თვითრეგულირებად ფაქტორებს ანიჭებს (მხედველობაში აქვთ, მაგალითად, კოლექტივიზმ არაფორმალურად ჩამოყალიბებული ქცევის სტერეოტიპები). ამ უკან-

ასკნელ ფაქტორებს შორის ყველაზე ძლიერი მუხტის მატარებელია ტრადიცია.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე უდავო დასკვნა. უპირველეს ყოვლისა, სამართალი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების, მათ შორის სოციალური კონფლიქტების აღკვეთისა და მოგვარების უმთავრესი ძალა; მეორე, სამართლის ეს სოციალური ღირებულება არ რეალიზდება, თუ იგი კოორდინირებული არ არის სოციალური კონტროლოს სხვა გარეგან ფორმებთან; მესამე, სამართალი ყოველთვის მისადაგებული უნდა იქნეს კოლექტივების შინაგან მამოძრავებელ, თვითრეგულირებად პროცესებთან და შიდა ნორმატულ ფაქტორებთან.

ყველა შემთხვევაში, სამართალი არის სოციალური კონტროლის სისტემატიზებული და მაღალსპეციალიზირებული ფორმა, რომელიც აკავშირებს და ადუღაბებს ისეთ მაკონტროლებელ ფენომენებს, როგორცაა პოლიტიკა, იდეოლოგია და მორალი. გარდა ამისა იგი სოციალურ მოთხოვნებს აძლევს ერთიან მიმართულებას და ანიჭებს მათ ერთიან ნორმატულ განსაზღვრულობას და დამოუკიდებელ ღირებულობას, საერთოდ ხსნის ან ამცირებს კონფლიქტს.

საერთოდ და ძირითადად სამართლებრივი ნორმები ჯგუფდებიან ინტერესთა კონფლიქტების ირგვლივ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართალი აღმოცენდება ინტერესთა კონფლიქტებიდან და თანსდევს მათ გაღრმავებას და გაფართოებას, ეტაპობრივად გამოიმუშავებს რა მათი გადაჭრის მოდელებს, ვარიანტებს.

ამრიგად, სამართალს აქვს ინტეგრალური ხასიათი, მიმართულია არსებული და მოსალოდნელი კონფლიქტების შემცირების ან აღკვეთისაკენ, სოციალური კონტაქტების მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესებისაკენ. ამ აზრით, სამართალი წარმოადგენს “მესამე ძალას”, მედიატორს კონფლიქტის მხარეებს შორის საზოგადოებაში წონასწორობის და სტაბილიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიზანს იგი აღწევს ორი საშუალებით, ორი მეთოდით. პირველი საშუალება – ეს არის სამართლის გამაწონასწორებელი ფუნქცია ანუ კონფლიქტის მხარეებს შორის უფლება-მოვალეობათა მშვიდობიანი გზით აღიარება-განაწილება. მეორე – სამართალდამცავი ფუნქცია ანუ უფლება-მოვალეობათა დამრღვევი პირის იძულება ანუ ძალის გამოყენების გზით აღრინდელი მდგომარეობის აღდგენა.

ამრიგად, სამართლის მიზანია კომპრომისის და მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების მოძიება და დადგენა ავტორიტეტული გადაწყვეტების მიღების გზით, მათ შორის იძულებითი ზომებით. ამ შემთხვევაში იძულება ზნეობრივად გამართლებულია, თუ, რა თქმა უნდა, იგი მიმართულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლება-თავისუფლებათა დაცვისაკენ. სამართალი აერთიანებს თავის თავში ძალის ავტორიტეტს და ავტორიტეტის ძალას.

4. სამართლის მომწესრიგებელი

ფუნქციის ბიოლოგიური წანამკვრები

დღეს, როდესაც მეცნიერები სვამენ კითხვას: “რა არის ადამიანი“, ხშირად პასუხს ამყარებენ ადამიანის ტვინსა და ბოისფეროს სხვა მკვიდრთა ტვინს შორის პრინციპულ განსხვავებაზე. მაგრამ უჯრედოვან ან მოლეკულურ დონეზე იმ მატერიალური სუბსტრატის გამოვლენის ცდა, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა მხოლოდ ადამიანისათვის, მარცხით დამთავრდა. ნერვული ქსოვილის შესახებ ფაქტობრივი მონაცემების სიუხვის მიუხედავად, დღემდე უცნობია – რაშია ადამიანის ტვინის პრინციპული განსხვავება ბოისფეროს სხვა მკვიდრთა ტვინისაგან, დღემდე დაუდგენელია – რა მატერიალური ცვლილებები ხდება, მაგალითად, ბავშვის ტვინში, როდესაც ის ლაპარაკს და აზროვნებას იწყებს.

ადამიანის ტვინსა და ბოისფეროს სხვა მკვიდრთა ტვინს შორის განსხვავება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ადამიანისა და ცხოველის გარეგანი ქცევების გამოიჯვისის, თითოეულის ქცევის რეზულტატის ფიქსირების გზით. მაგრამ ჩვენი ასეთი დასკვნა რჩება გონებაჭვრეტით, აბსტრაქტულ, ლოგიკურ დონეზე და უფრო ვარაუდია ფაქტის შესახებ, ვიდრე თვით ფაქტის კონსტატაცია; ექსპერიმენტის გზით კი, ვიმეორებთ, უჯრედოვან ან მოლეკულურ დონეზე, დღეს მოკლებული ვართ ასეთ შესაძლებლობას. ლაკონურად რომ ვთქვათ: თივაში ნემსის ძებნა უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ადამიანის ტვინის მოქმედების სტრუქტურული და ფუნქციური საფუძვლების კვლევა, რადგან რაც უფრო ღრმად ვიძიებთ ცოცხალი მატერიის სიღრმეში, მით უფრო ცოტა შანსია ადამიანის არსის დადგენისა.

ამ მდგომარეობამ განაპირობა დასავლეთის ფილოსოფიაში ადამიანის არსის დუალისტური გააზრების გაძლიერება, რომლის მიხედვითაც ადამიანის სული და სხეული არ არიან ერთმანეთთან კავშირში, მოწყვეტილნი არიან ერთმანეთისაგან; სული არ გამოიყვანება ადამიანის ტვინის მატერიალური სუბსტრატიდან. მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ ცხოველებს დაუდგინდათ აზროვნების ელემენტები და ქცევის არჩევის, თუმცა შეზღუდული, მაგრამ მაინც შესაძლებლობა, უნარი.

ჩვენი საუკუნის შუა ხანებში ბევრი ბიოლოგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცხოველთა სამყაროში წესრიგი ემყარება ძალას, ძლიერის სტატუსს, ერთის მეორეზე ბატონობის ფაქტორს. მაგრამ უახლესმა ექსპერიმენტებმა ეს დასკვნა უკუაგდეს და შექმნეს ერთი შეხედვით კურიოზული სიტუაცია. აღმოჩნდა, რომ ჭამის დროს ფიზიკურად ძლიერი თაგვი გზას უთმობდა შედარებით სუსტს. მეორე მაგალითი: როდესაც ფიზიკურად სუსტი შიმპანზე დაეუფლებოდა მაიმუნებისათვის უგემრიელეს საკვებს, ჯოგის სხვა წევრები შორიახლოს წრეს შეკრავდნენ და ითხოვდნენ საჭმელს. ამ შინაპანზეზე ძლიერები არც კი ცდილობდნენ ნადავლის ძალით წართმევას. ასევე იქცევიან მგლები, განსაკუთრებით სამხრეთამერიკული მგელი და ზოგიერთი სხვა ცხოველი. იაპონურ მაკაკებში “ბელადები” ისეთები არიან, რომლებიც სულაც არ გამოირჩევიან სხვებისაგან ფიზიკური მონაცემებით. უფრო მეტი, ერთ-ერთ ჯოგში ლიდერობდა მომცრო ტანის მაკაკა, რომელსაც არც ეშვები ჰქონდა და კოჭლიც იყო. საერთოდ კი, ცხოველთა სამყაროში ლიდერს არა აქვს აბსოლუტური მონარქის ძალაუფლება.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს იერარქია, ხელისუფლების თავისებური განაწილება ჯოგის წევრებს შორის. ეს ფაქტორი მაშინაც კი ვლინდება, როდესაც ერთმანეთისათვის უცნობ ერთი სახეობის ცხოველებს მოათავსებენ საერთო სადგომში. დასაწყისში აგრესიული დამოკიდებულება ადგილს უთმობს ურთიერთდაქვემდებარებას, ფუნქციების განაწილებას. დაქვემდებარებული წევრები ჯოგში წესრიგის დამყარების საქმეში უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ვიდრე ლიდერები; ისინი გამუდმებით უთვალთვალებენ ერთმანეთს და აქტიურად ზრუნავენ იერარქიული სტრუქტურის შენარჩუნებისათვის, ორიენტაცია აღებული აქვთ ლიდერებზე, ასე რომ, თანაცხოვრების არსებული სტრუქტურა ხელს აძლევთ როგორც

ლიდერებს, ისე ქვეშევრდომთ. ერთმა პრიმატოლოგმა შენიშნა: “ზოგიერთი მაიმუნი თავისი მომაბეზრებლად დემონსტრაციული მორჩილებით მშვენიერ ცხოვრებას იქმნის“.

ამრიგად, ცხოველთა სამყაროს ფუნქციური ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავადგინოთ ანალოგია ადამიანთა საზოგადოებასთან, მის წევრებს შორის ურთიერთობაბა რეგულირებისა და უფლება-მოვალეობათა განაწილების თუმც სტიქიური, მაგრამ მკაცრი დეტერმინაციის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, გამოირიცხა უჯრედოვან, მოლეკულურ დონეზე სამყაროს სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავებული ადამიანის იმანენტური თვისებების დადგენა, რომელიც საფუძველს მოგვცემდა გაგვემართლებინა და დაგვესაბუთებინა სამართლის, ანუ ადამიანის ქცევის გარეგანი, ხელოვნური მოწესრიგების აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ უდაკოდ დადგინდა საზოგადოებრივი ურთიერთობების წიაღში ბუნებრივი, სტიქიური, თვითმართვითი ნორმატიული მექანიზმები, რომლებსაც ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე შეუძლიათ დაძაბულობის განმუხტვა საზოგადოებრივი ურთიერთობის ავტომატური, ინდივიდის ნებისაგან დამოუკიდებელი თვითმოწესრიგება..

ამიტომ მეცნიერები იძულებულნი იყვნენ კვლევის ობიექტად გაეხადათ საკუთრივ ადამიანი, შემოესაზღვრათ თავისი კვლევის საგანი ადამიანით, ხელოვნურად გამოეყოთ იგი სამყაროდან, მეცნიერების ყველა დარგი ჩაეყენებინათ ადამიანის სამსახურში.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ კლასიკურმა საზოგადოებათმცოდნეობამ მკვეთრად გაყო ადამიანის გარემომცველი სამყარო – საზოგადოება და ბუნება, რის გამოც წარმოიქმნა უფსკრული ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა (ფილოსოფია, სოციოლოგია, იურისპრუდენცია, ისტორია) და ბუნების შესახებ მეცნიერებებს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ნეიროფიზიოლოგია) შორის, მაშინ, როდესაც ადამიანში ორივე საწისი სოციალური და ბუნებრივი ქმნიან ერთ განუყოფელ მთელს: ადამიანი არის ბიოსოციალური მოვლენა. ამრიგად, მოხდა ადამიანის ხელოვნური გახლეჩა ორ ნაწილად და ამ ნაწილების ერთმანეთისაგან გაუცხოება.

მეცნიერების ისტორიამ იცის მაგალითები ხიდის გადების მცდელობისა ამ ორ მეცნიერულ სამყაროს შორის: ანთროპოლოგიზმი, გეოგრაფიული გარემოს თეორია და სხვა. მაგრამ ეს თეორიები, რო-

მელთა ავტორები დილეტანტები იყვნენ ბუნებისმეტყველებაში, ბავ-
შვივით გულუბრყვილოდ გამოიყურებოდნენ, რამდენადაც ცდილობ-
დნენ ბუნების ცალკეული კანონების მექანიკურ მისადაგებას სოცია-
ლურ პროცესებთან.

დღეს საკითხი აკადემიურად დგას: ჰუმანიტარულმა და საბუნე-
ბისმეტყველო მეცნიერებებმა კურსი უნდა აიღონ ერთი მიმართუ-
ლებით ადამიანისაკენ. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ამ პრიზმაში
უნდა გადატეხონ თავიანთი პრობლემატიკა, გადასინჯონ ყველა მიღ-
წევა ამ პრაქტიკული თვალთახედვით და ამ მიმართულებით გააგრ-
ძელონ კვლევა, ამასთან, ბუნებრივია, არ უღალატონ მათთვის დამახა-
სიათებელ კვლევის ხერხებს. ამრიგად, უნდა შეიქმნას არა ერთი
მეცნიერება, არამედ უნდა შეიქმნას ერთი მეცნიერული მიმართუ-
ლება ორი პოზიციიდან. ამ ორი პოზიციის შეხვედრის პუნქტი ადამი-
ანია და ამ პუნქტამდე თითოეულმა უნდა მიიტანოს ყველა ის ღირე-
ბული, რასაც მათ მიაღწიეს კვლევის პროცესში.

ამ თვალთახედვით თითოეული ადამიანი ჩვენს წინაშე წარმოს-
დგება როგორც ინდივიდი, ე.ი. არსება, რომელშიც სოციალური და
ბუნებრივი ქმნიან განუმეორებელ გამას. ადამიანის, როგორც ინდივი-
დის განუმეორებლობა გამომდინარეობს იმ თვისებიდან, რომლის
ძალითაც იგი არის ბიოსოციალურად ღია სისტემა, თითოეულ ადამი-
ანს ახასიათებს ნებელობა, რომელიც არ არის თანასწორი, ერთმნი-
შვნელოვანი და ერთსახოვანი ყველასათვის.

კლასიკური სამართალმცოდნეობა ადამიანთა ინდივიდუალური
თავისებურებების ნიველირებას ახდენს, რადგან სამართალს განი-
ხილავს, როგორც ფორმალურად ყველასათვის თანაბარი ქცევის წე-
სების ერთობლიობას ფაქტობრივად არათანაბარი ინდივიდუალური
თავისებურებების მქონე ადამიანთა მიმართ. ჩვენ ისე გავგიტაცა სა-
ზოგადოებისა და ადამიანის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების
ახსნამ ინდივიდის სუბიექტური ნებისა და ყოფის გარეშე არსებული
სოციალური ფაქტორებით, რომ ინდივიდი იქცა ამ ფაქტორების
რეფლექსიად ანუ სოციალურ ფუნქციად. ამის გამო სამართალი იმდ-
ენად გაუცხოვდა ინდივიდისაგან, რომ თავად აღმოჩნდა მისი ნებისა
და ცნობიერების გარეშე და იქცა მასზე ტლანქი ზემოქმედების სო-
ციალურ ძალად, ხოლო ინდივიდუალური თავისუფლება – თავისუფლ-
ად მონებე კანონმდებლის მანიპულირების ობიექტი, თვით ინდივიდი
კი კანონმდებლის ნების განხორციელების მექანიზმის ერთ-ერთი ავ-

რეგატი გახდა. ამრიგად, მოხდა სამართლის დეკუმანიზაცია, მისი ადამიანისაგან გაუცხოება.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა როგორც ღირსშესანიშნავი აღმოჩენების ეპოქა საერთოდ ბიოლოგიაში, და კერძოდ, ადამიანის ბიოლოგიაში. აღნიშნული ისტორიული ფაქტი არავითარი ზომით არ შეეხო სამართალმცოდნეობას. მისთვის დღემდე უგულვებელყოფილია ადამიანის განვითარების გენეტიკური კანონზომიერებანი, გენეტიკური ინფორმაციის შენახვის, შერჩევის და გადაცემის პროცესი, მაშინ, როდესაც აღიარებული განსაზღვრებით სამართალი აწესრიგებს ადამიანის ქცევას. თუ ადამიანის თავისუფალი ნების გამოვლენაში ჩართულია გენეტიკური ფაქტორები, ხოლო ამ ფაქტორების მოქმედების მექანიზმი ჩვენთვის უცნობია, მაშინ იქმნება კურიოზული სიტუაცია: ჩვენ ვაწესრიგებთ იმას, რაც ჩვენთვის უცნობია, ე.ი., ბოლოს და ბოლოს, არაფერს არ ვაწესრიგებთ, უბრალოდ, ვქმნით მოწესრიგების ილუზიას, და ეს მაშინ, როდესაც სამართალი განაგებს მილიონობით ადამიანთა ბედს.

სამართალმცოდნეობის კავშირი ადამიანის ბიოლოგიურ საწყისთან ამოიწურება მხოლოდ არასრულწლოვანის ან სულით ავადმყოფის არაქმედუნარიანობის ცნებით ან დამნაშავეობის გენეტიკური ფაქტორების შესწავლით, მაშინ, როდესაც კაცობრიობის მრავალფეროვანი სამართლებრივი ყოფა მეცნიერული შესწავლის გარეთ აღმოჩნდა. სამართალი აფასებს ადამიანის მხოლოდ გარეგნულ გამოვლენას - ქცევას, მაშინ, როდესაც იგი ადამიანის ინდივიდუალური სამყაროს ემანაციაა და სხვა არაფერი. სამართალმცოდნეობამ ხელოვნურად გაკვეთა ადამიანის შინაგანი ბუნება და გარეგნული გამოვლინება მაშინ, როდესაც ადამიანის კონკრეტული ქცევა მისი ინდივიდუალური სამყაროს ერთ-ერთი შესაძლო ფრაგმენტია, გამოვლენაა.

ამ მეთოდოლოგიური დაშვების გარეშე შეუძლებელია სამართლის არსებობის დასაბუთება, რამეთუ სამართალი ემყარება მხოლოდ ნების თავისუფლებას ანუ სხვაგვარად ქცევის უნარს. სამართალს მხოლოდ იმიტომ ძალუძს მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომ ადამიანს შეუძლია არაერთგვაროვნად იმოქმედოს ერთსა და იმავე ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ე. ი. ადამიანთა ქცევები ასიმეტრიულობით ხასიათდება. სწორედ ასიმეტრია ასაბუთებს და ამართლებს სამართლის არსებობას.

ადამიანისაგან განსხვავებით, ბუნების ყველა ქმნილება სიმეტრიულია, მოლეკულის სტრუქტურიდან დაწყებული მაღალორგანიზე-

ბული მატერიის სტრუქტურით დამთავრებული, სიმეტრიული აგებულებით ხასიათდება. სიმეტრიის კანონების დაცვით ქმნის ადამიანი ხელოვნურ სამყაროს. ატომური ბომბი თუ მაგნიტოფონი, ავტომანქანა თუ კომპიუტერი, სიმეტრიის კანონების გათვალისწინებით შექმნა ადამიანმა.

მაგრამ საკმარისია, კვლევის ობიექტად ვაქციოთ თვით ადამიანი, რომ სიმეტრიულობა პირობითი ხდება. სამყაროს მოვლენათა შორის მხოლოდ ადამიანი აღმოჩნდა ასიმეტრიული. თვით ისეთი ხელთუქმნელი მხატვრული სახეები, როგორცაა ვენერა მილოსელი ან ჯოკონდა, გარკვეული ასიმეტრიულობით ხასიათდება. საკმარისია ეს სახეები გეომეტრიული პრინციპით გარდაექმნათ, მივიღებთ ადამიანის უსულო სტანდარტიზებულ სახეს. სწორედ ეს გეომეტრიული ასიმეტრია ქმნის იმ ჰარმონიას, რომელიც ვენერასა და ჯოკონდას აქცევს ღვთიურ ქმნილებად. ადამიანის ტვინის გარეგნული აგებულება ერთი შეხედვით მკაცრი სიმეტრიის ნიმუშად გამოდგება, მაგრამ მისი ფუნქციის კვლევის დაწყებისთანავე აღმოჩნდება, რომ ადამიანის ტვინი პირიქით ასიმეტრიის კლასიკური ნიმუშია. ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა მედიკოსებმა – ჰეროფილმა და გალენმა შეამჩნიეს ფუნქციური ასიმეტრია თავის ტვინის ორ ნახევარსფეროს შორის. მიუხედავად ამისა, ორი ათასწლეული დასჭირდა მეცნიერებს, რომ ეცნო ორი ნახევარსფეროს ასიმეტრიულობა.

ყველა ძირითადი მონაცემი ადამიანის ტვინის ნახევარსფეროების განსხვავებული ფუნქციების შესახებ მიღებული იქნა ავადმყოფებზე დაკვირვების შედეგად. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების დაზიანების გამო ფსიქიკისა და ორგანიზმის მოტორული სფეროს ცვლილებებზე კლინიკურმა დაკვირვებამ მეცნიერებს საშუალება მისცა, დაედგინა ამ სფეროებს შორის ფუნქციების განაწილება, უფრო მეტი, გასაოცარი ასიმეტრია. მაგრამ ჭეშმარიტად მეცნიერული გარკვევა ამ პრობლემაში შესაძლებელი გახდა დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების, მიკროქირურგიული და თერაპიული მკურნალობის შედეგად.

ასიმეტრია მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებს შორის ცხადად ვლინდება ადამიანის მარჯვენა და მარცხენა ხელებს შორის ფუნქციურ განსხვავებაში. სამედიცინო მეთოდებით დადგინდა, რომ მარჯვენა ხელის მმართველი ცენტრი მდებარეობს მარცხენა ნახევარსფეროში, ხოლო მარცხენა ხელისა – მარჯვენა ნახევარსფეროში. კაცობრიობა, როგორც წესი, ხმარობს მარჯვენა ხელს, ხოლო ე.წ.

ცაციები გამონაკლის შეადგენენ. ასევე დადგინდა, რომ ბავშვებს ორ წლამდე ორივე ხელი ერთნაირად აქვთ განვითარებული. მხოლოდ 5 წლიდან მარჯვენა ხელი თანდათანობით იღებს თავის თავზე თითქმის მთელ დატვირთვას. ეს პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და თავდება სრულწლოვანების ასაკში, ე.ი. მაშინ, როდესაც ადამიანს უყალიბდება ნებელობა ანუ სხვაგვარად ქცევის უნარი, არჩევანის თავისუფლება. მეცნიერთა აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ სრულწლოვანებამდე ორ ნახევარსფეროს შორის ჯერ კიდევ არსებობს სიმეტრია. მოცემულ შემთხვევაში სიმეტრია განხილულია როგორც თავისებური ანომალია. მეცნიერებისათვის ცნობილია ადამიანის ტიპი, რომელსაც ამბიდექს უწოდებენ, ე.ი. არსებას, რომელსაც ორივე ხელი ერთნაირად აქვს განვითარებული. ასეთ ადამიანს არა აქვს უნარი ლურსმანი დააჭედოს, ნორმალურად წეროს და ა.შ., ე.ი. მის ტვინში ორ ნახევარსფეროს შორის სიმეტრიაა. ამ ტიპის ადამიანთა შორის ხშირია სულიერი დაავადებანი.

ამრიგად, ირკვევა, რომ თავისუფლად მონებეა ადამიანი, რომლის თავის ტვინში ორი ნახევარსფერო ასიმეტრიულ დამოკიდებულებაშია, და ბუნებრივია, მხოლოდ ასეთ პირს შეიძლება მოვთხოვოთ პასუხი, დავაკისროთ პასუხისმგებლობა. როდესაც ადამიანზე ორივე ნახევარსფერო თანაბრად ზემოქმედებს, მის ქცევას მხოლოდ ერთი გასასვლელი აქვს, ხოლო როდესაც ზეწოლა არათანაბარია, ადამიანი უპირატესობას ანიჭებს უფრო ძლიერს და თავის მოქმედებას მას უმორჩილებს, თუმცა, ნებისყოფის მოხმობით რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს სუსტი ზეწოლითი ფაქტორი.

ამრიგად, ნების თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის თავის ტვინის ასიმეტრიულობის გარე გამოვლინება.

დღეს მეცნიერული აზრი იმ უდავო დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანში ფუნქციური ასიმეტრია უნივერსალური მოვლენაა. მარცხენა ნახევარსფეროში კონცენტრირებულია აბსტრაქტული ცნებითი, ხოლო მარჯვენა ნახევარსფეროში – კონკრეტული საგნობრივი აზროვნების მექანიზმები. ეს ორი ფუნქციური მახასიათებელი ერთმანეთს აესებს, ერთმანეთზე ზემოქმედებს და აყალიბებს ადამიანს. ორივე ნახევარსფეროს მეშვეობით ადამიანი ახდენს თავისი მოქმედების კოორდინაციას. ამიტომ ვამბობთ, რომ ქმედუნარიანი ადამიანი პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე, განსხვავებით არასრულწლოვანისა და სულით ავადმყოფისაგან.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა, როგორც ადამიანთა ნების გამოვლენა, ანალოგური ასიმეტრიულობით ხასიათდება. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში თითოეულ ადამიანს შეუძლია მრავალგვარად იმოქმედოს, ანუ იმოქმედოს ასიმეტრიულად, ე. ი. იმოქმედოს თავისუფლად. ამ თვალსაზრისით ასიმეტრიულობა და თავისუფლება იდენტური ცნებებია.

მაგრამ ასეთი “თავისუფლება“ არ აკმაყოფილებს ადამიანს, რადგან იგი მრავალგვარი ინტერესის მატარებელი არსებაა. მას არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ინდივიდუალური ინტერესი სხვაგვარად, თუ არა სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარების გზით. მეორე ადამიანი ყოველთვის ინტერესის დაკმაყოფილების საშუალებაა და პირიქით. აქედან გამომდინარე, ადამიანს ბუნებრივად ებადება მოთხოვნილება, თავისუფალი ქცევის ასიმეტრიულობა დაუქვემდებაროს რაღაც ხელლოვნურ სიმეტრიას, თუნდაც ღრობითს, მაგრამ მაინც სიმეტრიას. ამ მიზნით საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილენი თავიანთი ინტერესების დასაკმაყოფილებად მათთვის საერთო წესებს (ნორმებს) ქმნიან ანუ ქმნიან ინტერესების დაკმაყოფილების წესებს. საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილენი გამოიმუშავენ ურთიერთქცევის ისეთ სიმეტრიულ ვარიანტს, რომელიც ერთნაირად მისაღებია ორივე მხარისათვის, ანუ აწესრიგებენ ურთიერთობებს შესაბამისი ინტერესის უკონფლიქტო დაკმაყოფილების მიზნით.

რა არის ინტერესის დაკმაყოფილების უკონფლიქტობა?

ინფორმაციის თეორიის თანახმად, მოწესრიგება ნიშნავს იმ უწესრიგობის (ენტროპიის) შემცირებას, რომელიც მოწესრიგების გარეშე თვითდინებით იზრდება ყოველგვარ რთულ სისტემაში. ასეთ პირობებში იქმნება აუცილებლობა მართვის სისტემის მოდელის შექმნისა, რომელიც მოწოდებულია წინააღმდეგობა გაუწიოს უწესრიგობას, ასიმეტრიის უზომო განვითარებას. მართვის ასეთ სისტემად ანუ უწესრიგობის შემცირების ერთ-ერთ მოდელად გვევლინება სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც გამოიმუშავენ ადამიანები მათ ურთიერთობებში უზომო უწესრიგობის აღსაკვეთად, რათა შესაძლებელი გახდეს თითოეულის ინტერესის ურთიერთმისაღები დაკმაყოფილება. სამართალი ქმნის რწმენას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი ურთიერთობის თითოეული მონაწილე განიხილავს ერთმანეთს, როგორც მისი ინტერესების დაკმაყოფილების გარანტიას, შანსს. ასეთი რწმენის გარეშე, ასეთი სიმეტრიული მოდელის გარეშე შეუძლებელია

ინტერესის დაკმაყოფილება, რამეთუ, ვიმეორებთ, ინდივიდს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ინტერესი თავისი ძალებით, ამას აკეთებს მხოლოდ სხვა პირის მეშვეობით. ამ რწმენას ქმნის სამართალი, ამ საერთო რწმენის შექმნის მეშვეობით წესრიგდება საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამ რწმენის სამართლებრივი გამოხატულებაა უფლება და მოვალეობა, როგორც მიზნის მიღწევის ანუ ინტერესის დაკმაყოფილების ოპტიმალური, პიროვნებისა და საზოგადოებისათვის ურთიერთმისაღები ხერხი.

ამრიგად, სამართლის ზოგადი თეორიის პოზიციებიდან, ჩვენის აზრით, დასაბუთდა ადამიანის ერთიანი ბიოსოციალური ბუნება, მაგრამ ესეც არა კმარა, ადამიანის უმთავრესი ნიშანი სხვაა.

ადამიანის არსებითი ნიშანია მისი სწრაფვა საზრისის წვდომისაკენ. საზრისის წვდომის პროცესის ახსნა შეუძლებელია მხოლოდ ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური მექანიზმებით, აგრეთვე, ტრადიციული სოციოლოგიური მეთოდით. ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ფსიქიკა და სხეული ან მათი ერთიანობა. ადამიანი არის სული, – აღნიშნავს ცნობილი ავსტრიელი ფსიქოლოგი ვ. ფრანკი. იმავე ვ.ფრანკის აზრით საკითხი სწორად ისმის მაშინ, როდესაც საუბარია არა საერთოდ ცხოვრების საზრისის შესახებ. თითოეული ცხოვრებისეული სიტუაცია თავის თავში შეიცავს საკუთარ საზრისს, განსხვავებულს სხვადასხვა ადამიანისათვის, მაგრამ თითოეულისათვის ის არის ერთადერთი ჭეშმარიტება. ამის გამო საზრისი არ არის წინასწარ მოცემული, უფრო მეტიც, ადამიანს არ შეუძლია საზრისის არჩევა, მას შეუძლია მხოლოდ ისწრაფოს საზრისისაკენ ანუ საზრისის ძიებისა და მოპოვებისაკენ.

საზრისის წვდომისაკენ სწრაფვა ჩაძირულია არაცნობიერში და არ შეიძლება მისი მექანიკური რეფლექსირება. ამ თვალსაზრისით სწრაფვა საზრისის წვდომისაკენ ირაციონალურია, ლოგოსის წინარე სფეროა, თუმცა ის ლიგიკის გზით დედუცირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნობიერების ობიექტი “არსია“ ანუ ჩვენს გარეთაა, ხოლო საზრისის წვდომის ობიექტი არის არა ის, რაც არის, არამედ რაც უნდა იყოს, ანუ “ჯერარსი“, ე.ი. ის, რაც არის ჩვენში. საზრისის წვდომისაკენ სწრაფვა ვლინდება ჭვრეტის აქტში, რაც ასაბუთებს ადამიანის ინდივიდუალურ ყოფიერებასაც.

სამართალი, ისევე როგორც სხვა ნორმატიული სტრუქტურები, ქმნიან ადამიანის ჯერარსობრივ სურათს; ამიტომ ადამიანი, როგორც

კულტურული არსება, ჯერარსი, უსასრულოა, მაშინ, როდესაც ადამიანი, როგორც ბიოსოციალური არსება, არ არის გამოყოფილი ბუნებიდან და ამიტომ მთლიანობაში ვერ განიხილება, რადგან მთელის ნაწილია. ადამიანი, როგორც კულტურული არსება, გამოყოფილია ბუნებიდან და ამიტომ მთლიანია.

ჯერარსობრივი ნორმატიული აზროვნებისათვის დამახასიათებელია ჰერმენევტიკული პრობლემატიკა, რაც გამოიხატება საზრისის, მიზნისა და ინტენციულობის წვდომაში. ეს არის ადამიანის სულის ევრისტიკა ანუ ლოგიკურის მიღმა არსებული საზრისის რესურსების წვდომისაკენ და მათი ამოქმედებისაკენ სწრაფვა. საზრისი ნიშნავს არაცნობიერ სწრაფვას იდეალისაკენ. ჰუსერლმა განასხვავა ნება საზრისისაგან: ყოველი ნება განსაზღვრულია დროითა და განსაზღვრული რეფლექსებით, მაშინ როდესაც საზრისისაკენ სწრაფვა ზედროულია და არამიზეზობრივი. რიკერტის სიტყვებით რომ ვთქვათ, საზრისი, როგორც ღირებულება არსებულს არ მიეკუთვნება, ის მხოლოდ მნიშვნელობს. არსებითად საზრისის წვდომა არის ადამიანის პერმანენტული და ამიტომ უნივერსალური ლტოლვა საკუთარი არსის გააზრებისაკენ. სხვა საკითხია, ილუზიაა თუ არა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სწრაფვა, რადგან ღირებულება არა შედეგი ამ სწრაფვისა, არამედ თვით სწრაფვა. ეს ძიება მნიშვნელობს სწორედ და იგი ყოველთვის ინდივიდუალური და განუმეორებელია.

ასეთი ფილოსოფიური ორიენტაცია სრულად პასუხობს კაცობრიობის პერსპექტივებს. სწორედ აღნიშნავენ, რომ ისტორიული დრო თანდათან ჩქარდება, რაც თანდათან უფრო და უფრო შეუძლებელს ხდის ხვალისდელი დღის განსაზღვრას. უფრო მეტი, ზოგიერთის აზრით, არა მარტო მომავლის განჭვრეტა გახდა ძნელი, არამედ ბურუსმა მოიცვა აწმყოც. ეს გამოწვეულია ახალი, წარსულში არნახული და განუმეორებელი სიტუაციებით, რადგან აწმყო წარსულის რიტმის დარღვევა უფროა, ვიდრე გაგრძელება. ამიტომ 21-ე საუკუნეში სულ უფრო ძალუმად ჟღერს იასპერსის სიტყვები: “სად ვიმყოფებით ჩვენ დღეს, ისტორიული გზის დასაწყისში თუ დასასრულში”? სწორედ ამიტომ, რომ ზოგადი ღირებულებები თანდათანობით კარგავენ მნიშვნელობას ინდივიდისათვის, პირიქით, ინდივიდი როგორც ღირებულება, იკავებს მათ ადგილს, ინდივიდი ხდება ისტორიის საზრისი. ამ თვალსაზრისით კაცობრიობა იმყოფება ისტორიული გზის დასაწყისში.

სწორია დასავლეთის იმ მოაზროვნეთა დასკვნა, რომლებიც თვლიან, რომ ისტორიის საწყისი არ განხორციელებულა, იგი არაა აწმყოში, იგი უნდა იშვას მომავალში. ამ პროცესის სიღრმისეული მიზეზი, როთაკერის სიტყვები რომ ვიხმართ, შემდეგშია: “როგორც ჭადრაკში არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სვლები და ყოველი ახალი სვლა ახალ სიტუაციას ქმნის, ისტორიაშიც ადამიანთა რეაქცია შექმნილ ვითარებაზე ახალი ისტორიული სიტუაციის შემქმნელია”. ამიტომ ამბობენ, რომ ადამიანის ღვწა საზრისისაკენ მარადიულია, რადგან იგი მიმდინარეა, წამიერია, წარმავალია, მომენტთა ურთიერთცვლაა. მომენტთა ამ ურთიერთცვლას განაპირობებს თავისუფლება.

ობიექტური სამყარო მიზეზობრივია და ამიტომ მასში თავისუფლება არ არის - აღნიშნავს იასპერსი. არც ატომის მოძრაობა და არც მოვლენათა განსაზღვრულობის სტატისტიკური ხასიათი არაა თავისუფლების მაჩვენებელი. თავისუფლება მხოლოდ სუბიექტურია და ამდენად არამიზეზობრივი, ის არის მუდმივი ქმნადობა, შემოქმედება, რომლის მიმართულების განსაზღვრა შეუძლებელია.

დებულება იმის შესახებ, რომ თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა - მცდარია. ისმის კითხვა: განა შესაძლებელია აუცილებლობის შეცნობა, თუ კი აუცილებლობა სწორედ ის არის, რასაც თუნდაც კაცობრიობა მიიჩნევს დღეს ასეთად? ხომ შეიძლება (და ეს ასეც არის), რომ დღეს შეცნობილი აუცილებლობა, სწორედ ზვალ აღმოჩნდეს ილუზია ან თუნდაც ნაწილობრივ სრული? ვინ არის მსაჯული იმისა, რომ მე ნამდვილად შევიმეცნე აუცილებლობა ან რომ მე შეცდომა არ დაუშვი? (“მე“-ში კაცობრიობაც რომ ვიგულისხმო თუნდაც).

მაშ, რაშია ცხოვრების საზრისი? ცხოვრების საზრისი თავისუფლების ძიებაშია. ბერდიაევი წერდა: “შესაძლოა მე არც კი ვიცოდე ცხოვრების საზრისი, მაგრამ ჩემს ცხოვრებას მივუძღვნი ამ საზრისის ძიებას“.

II კარი. მართლწესრიგი

I თავი. სამართლებრივი

ურთიერთობანი

1. სამართლებრივი ურთიერთობების ცნება

1. თავიანთი მრავალმხრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ადამიანები და მათი გაერთიანებები ერთმანეთთან ამყარებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, სოციალურ და სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივი ურთიერთობების მეშვეობით აღნიშნული ინტერესების დაკმაყოფილებისათვის სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი პირობების შესაქმნელად - ე.ი. იმისათვის, რომ ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ შესაბამისი ინტერესის დაკმაყოფილება მეორე პირის ან პირთა ჯგუფის ინტერესის ხელყოფის ხარჯზე არ ხდებოდეს - ანუ საზოგადოებაში წონასწორობის შესანარჩუნებლად საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირები და პირთა ჯგუფები ქმნიან სამართლებრივ ნორმებს. ამ მიზნის მისაღწევად სამართლებრივ ნორმაში ჩამოყალიბებულია ამ პირებისა და პირთა ჯგუფების ქცევის წესები (მოქმედების ფარგლები) მათ შორის უფლებებისა და მოვალეობების გამოჯენა-განაწილების გზით, ისე, რომ ყოველი პირის ან პირთა ჯგუფის უფლებასა და მოვალეობას შეესაბამება მეორე პირის ან პირთა ჯგუფის მოვალეობა უფლება და. ეს უფლება-მოვალეობანი ერთობლიობაში ქმნის შესაბამისი სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის გარსს, რის შედეგადაც ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი იღებს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმას. ამიტომაც ამბობენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არის მატერიალური შინაარსისა (ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობა) და იურიდიული ფორმის (უფლება-მოვალეობა) ერთიანობა. შედეგად ყალიბდება სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელსაც მართლწესრიგს ვუწოდებთ.

მაგრამ არა ყველა ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობა სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ ისეთი, რომლის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ურთიერთ უფლება-მოვალეობანი, რომლ-

ის მონაწილეები იმყოფებიან უფლება-მოვალეობით კავშირში. უფრო მეტი, არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთა მხოლოდ ზოგიერთი მხარე, ნაწილი შეიძლება დახასიათდეს როგორც სამართლებრივი ურთიერთობა, ანუ ერთი სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის შიგნით არსებულ ასეთივე ურთიერთობათა მხოლოდ ერთ ნაწილში, ერთ ჯგუფში მონაწილე პირები შეიძლება იმყოფებოდნენ უფლება-მოვალეობით ურთიერთობაში.

ამრიგად, სამართლებრივი ურთიერთობა არის ისეთი ფაქტობრივი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალური ურთიერთობა, რომლის მონაწილეები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ურთიერთ უფლებებითა და მოვალეობებით.

აქ მატერიალური შინაარსი და იურიდიული ფორმა მხოლოდ ლოგიკურად შეიძლება გაიმიჯნოს, რეალურ ცხოვრებაში კი ისინი განუყოფელია. მხოლოდ მეცნიერული კვლევის და იურიდიული პრაქტიკის სწორი ორიენტაციის მიზნით ზდება საჭირო იურიდიული ფორმის გამოყოფა მისი შინაარსიდან. რაც მთავარია, ასეთი გამოყოფა საშუალებას იძლევა ხაზი, გავუსვათ სამართლებრივი ნორმების, მთლიანად სამართლის აქტიურ როლს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების პროცესში, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის მიმართულების, გზისმკვლევის მნიშვნელობის მქონეს.

2. ნორმატიულობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებაა, საზოგადოებრივ ურთიერთობაშია ჩაწნული, მათი იმანენტური ნიშანია, და სწორედ ამიტომ ვიწოდებთ მათ სამართლებრივ ურთიერთობებს. პროფ. გ. ნანეიშვილის ნორმატიული ფაქტების თეორიიდან გამომდინარე, ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეული ჯგუფის ნორმატიულობა მოქმედი სამართლისაგან (კანონმდებლობისაგან) დამოუკიდებელი თვისებაა ანუ ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობანი სპონტანურად ყალიბდება. მოქმედი სამართალი (კანონმდებლობა) მათ მხოლოდ აღმოაჩენს, შეარჩევს, განაზოგადებს და გადაამუშავებს საკანონმდებლო ტექნიკის მიხედვით, საბოლოოდ საკანონმდებლო პროცესის შედეგად ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებულ წესრიგს ანუ უფლება-მოვალეობათა სპონტანურად ჩამოყალიბებულ კავშირს ნებადართულად ან აკრძალულად გამოაცხადებს. მაგრამ ყველა შემთხვევაში მოქმედი სამართალი (კანონმდებლობა) არსებითად ვერ შეცვლის ფაქტობრივ სა-

ზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩადებულ კანონზომიერებას, რადგან ის ბუნებრივი კანონზომიერების გამოვლენაა, ბუნებრივი აუცილებლობის ფრაგმენტი. მოქმედ სამართალს შეუძლია და რეალურად აკეთებს მხოლოდ იმას, რომ ადამიანის ჯგუფებში ბუნებრივი აუცილებლობის გამოვლენის პროცესში ხელოვნურად ერევა პირების სათანადო ქცევის ზოგადი მოდელის შემუშავების გზით. მაგრამ ამ ჩარევას ახორციელებს არა რეალურად, არამედ უპირატესად იდეალურად: კანონმდებელი მიუთითებს, რაც უნდა შესრულდეს ანუ აყალიბებს ახალი, ჯერარსობრივი სინამდვილის მოდელს.

3. რას წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული ფორმა და მატერიალური შინაარსი?

პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული ფორმა არის საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ერთმანეთთან ისეთი დამოკიდებულება, რომლის დროსაც ისინი ერთმანეთს სცნობენ როგორც ურთიერთ უფლება-მოვალეობათა მატარებელს, ისეთი კავშირია, რომლის დროსაც ერთმანეთისაგან გარკვეული სამართლებრივი ხასიათის აქტების შესრულების მოლოდინში იმყოფებიან. ასეთი აქტების მოსალოდნელობის ლოგიკური სიტუაციაა სწორედ სამართლებრივი ურთიერთობის ის ატმოსფერო, რომელსაც ქმნის უფლება-მოვალეობა. სხვა სიტყვებით, უფლებისა და მოვალეობის განხორციელების მოლოდინი ქმნის იმ ლოგიკურ ატმოსფეროს, რომელსაც ჩვენ სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ ფორმას ვუწოდებთ. ხოლო თვით უფლება-მოვალეობა არის სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შინაარსი, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის იდეალურ მოდელს.

სამართლებრივი ურთიერთობის მატერიალური შინაარსი არის საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა რეალური ქცევა, ფაქტობრივი მოქმედებანი სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული ფორმის ფარგლებში.

სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობასა და შეწყვეტას შორის, ე.ი. ორ ძირითად იურიდიულ ფაქტს შორის მდებარეობს ფართო ველი, რომელ ზედაც სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსია გაშლილი. სწორედ ეს ველი შეიცავს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედებებს, რომლებიც შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მატერიალური შინაარსის განმსაზღვრელია. თუკი

უგულებელყოფთ მოქმედებებს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მატერიალურ შინაარსს, შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილენი მთლიანად დარჩებიან ჯერარსის სფეროში, სამართლის ნორმის ფარგლებში. ძირითადად სამართლებრივ ურთიერთობებს აქვს განგრძობადი და შედარებით მყარი კავშირების ხასიათი, რომლებიც მოქმედებათა მთელი ჯაჭვისაგან შედგება. რეალურ ცხოვრებაში ქონებრივი და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობანი კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, სახელმწიფოს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის და ამ უკანასკნელებისა სამართლის სხვა სუბიექტებთან არ ამოიწურება მათი ერთჯერადი ქცევით, არამედ უმრავლეს შემთხვევაში მოიცავს მოქმედებათა მთელ ციკლს, რომლებიც ერთმანეთს ცვლის და გარკვეული ხანგრძლივობით გამოირჩევა. იგივე შეიძლება ითქვას პროცესულ სამართლებრივ ურთიერთობებზე კონკრეტულ პირებს შორის, რომლებიც მოიცავს პროცესის მონაწილეების მოქმედებათა მთელ წყებას.

2. უფლება და მოვალეობა

უფლება არის სამართლის ნორმით განსაზღვრული მოქმედების ზომა, მასშტაბი, საზღვარი ანუ სამართლის ნორმით განსაზღვრული პირის იურიდიული შესაძლებლობა.

უფლება, როგორც სამართლის ნორმით განსაზღვრული პირის იურიდიული შესაძლებლობა, ორი სახისაა: აბსოლუტური და შეფარდებითი.

აბსოლუტური უფლება არის სუბიექტის იურიდიული შესაძლებლობა როგორც საკუთარ აქტიურ მოქმედებაზე, ასევე იურიდიული შესაძლებლობა, მოსთხოვოს მეორე სუბიექტს აქტიური მოქმედება. მაგ., შრომის უფლება მოიცავს პირის იურიდიულ შესაძლებლობას, აირჩიოს პროფესია და მოსთხოვოს სახელმწიფოს, რომ არ დატოვოს იგი უმუშევარი მისი პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ამრიგად, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო უფლებამოსილი პირის, არამედ აგრეთვე მეორე პირის - სახელმწიფოს აქტიურობაზეც.

შეფარდებითი უფლება, როგორც პირის სამართლებრივი შე-
საძლებლობა, გულისხმობს უფლებას სამართლებრივი ურთიერთობის
მხოლოდ მეორე მონაწილის აქტიურ მოქმედებაზე, ანუ უფლებას,
მოსთხოვოს მეორე პირს აქტიურობა პირველი პირის სასარგებლოდ.
მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილი პირის ინტერესის დაკმაყოფილება არა იმდენად მის აქტიურ მოქმედებაზე დამოკიდებული, რამდენადაც მეორე პირის მოქმედებაზე, ანუ მისი უფლება ეფარდება მეორე პირის მოვალეობას. ამიტომ ჰქვია მას შეფარდებითი უფლება. შეფარდებითი უფლების მაგალითია ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება, რომლის თანახმადაც, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, ტვირთის გადაზიდვის, საკომისიო და სხვა სახის ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს აქტიური მოქმედება.

იურიდიულ ლიტერატურაში ლაპარაკობენ უფლების მესამე სახეზეც – სარჩელის უფლებაზე, ე.ი. უფლებაზე სასამართლოს წესით მოსარჩელემ აღიდგინოს დარღვეული უფლება. არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ სარჩელის უფლება არის უფლების განვითარების სტადია – როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი უფლებისა. მაგალითად, შრომის უფლებისა თუ პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვის დროს ისევე, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, უფლებადარღვეულ პირს შეუძლია სასამართლოს წესით აღიდგინოს დარღვეული უფლება (*restitutio in integrum*).¹

აბსოლუტური და შეფარდებითი უფლებები გარკვეულ ურთიერთქმედებაში არიან ერთმანეთთან. სანიმუშოდ ავიღოთ შრომის აბსოლუტური უფლება და შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული შრომის შეფარდებითი უფლებები.

შრომის აბსოლუტურ უფლებას თავისი დამოუკიდებელი შინაარსი აქვს. იგი გულისხმობს შრომითი საქმიანობის სახეობის არჩევის უფლებას და უფლებას, მოსთხოვოს სახელმწიფოს, გამოუძებნოს შესაბამისი ადგილი, და უფლებას სასამართლოს წესით გაასაჩივროს სახელმწიფოს უარი სამუშაოთი დაკმაყოფილებაზე. შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული შრომის შეფარდებითი უფლებები გულისხმობს შრომითი ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილ უფლებებს, რაც

¹ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ძალით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“

დაკავშირებულია სამუშაო დროის ხანგრძლივობასთან, დასვენების ვადებთან, შრომის ანაზღაურების პირობებთან და წესებთან, შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფასთან, შრომის დისციპლინის წესების დაცვასთან, შრომის დავების განხილვის პირობებთან და წესებთან და ა.შ.

შრომის აბსოლუტურ უფლებასა და შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებულ შრომის შეფარდებით უფლებებს ერთმანეთთან აკავშირებს შრომითი უფლებაუნარიანობა. შრომითი უფლებაუნარიანობა, ერთი მხრივ, არის პირობა შრომის კონსტიტუციური უფლების განხორციელებისა, რაც დაკავშირებულია სამუშაო ადგილის რეალურ მიღებასთან, და მეორე მხრივ, განასახიერებს იმ შეფარდებითი უფლებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით და კანონით გათვალისწინებული შრომის პირობების უზრუნველყოფას ადმინისტრაციის მიერ.

უფლებაუნარიანობას, მისი ამ ორი თვისების (აბსოლუტურ და შეფარდებით უფლებებთან ორსახოვანი დამოკიდებულების) გამო, უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და სოციალური მისია აკისრია. ერთი მხრივ, ის სამართლებრივად უზრუნველყოფს აბსოლუტური უფლების განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურად უზრუნველყოფს განხორციელებული აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. საქმე ისაა, რომ არ არის საკმარისი კონსტიტუციური უფლებით გათვალისწინებული სიკეთის აღიარება, საჭიროა ამ სიკეთით ეფექტურად სარგებლობის პირობების უზრუნველყოფა კონკრეტული უფლებების სახით.

უფლებაუნარიანობა არის იმ უფლებების აბსტრაქტული, ზოგადი გამოხატულება, რომელნიც სამართლის სუბიექტებმა შეუძლიათ შეიძინონ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში.

ვალდებულება (მოვალეობა) არის სამართლის ნორმით განსაზღვრული ფიზიკური ანუ იურიდიული პირის აუცილებელი ქცევის ზომა, მასშტაბი, საზღვარი ანუ ვალდებულება გულისხმობს პირის მოქმედების სამართლებრივ აუცილებლობას.

სამართლებრივი აუცილებლობა რამდენიმე სახისაა.

ვალდებულების ანუ სამართლებრივი აუცილებლობის პირველი სახეა აბსოლუტური ვალდებულება. აბსოლუტური ვალდებულების

მქონე პირის მოქმედება ეფარდება აბსოლუტური უფლების მატარებელი პირის მოქმედებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი ვალდებულება გამომდინარეობს აბსოლუტური უფლებისაგან. მაგალითად, შრომის უფლებას, როგორც აბსოლუტურ უფლებას, შეესაბამება სახელმწიფოს აბსოლუტური ვალდებულება, ხელი შეუწყოს პირს ამ უფლების განხორციელებაში. იმისათვის, რომ პირმა განახორციელოს თავისი შრომის უფლება, არ არის საკმარისი მისი აქტიურობა, თუ სახელმწიფო არ შეასრულებს თავის ვალდებულებას უმუშევართა დასაქმების, მათი სოციალური დაცვისათვის, პერიოდულად არ მოახდენს ხელფასის მინიმალური დონის ინდექსაციას ინფლაციისა და ფასების მატების თანაზომიერად. ამავე თვალსაზრისით ფიქციაა სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, დემონსტრაციების თავისუფლების დეკლარირება, თუ სახელმწიფო არ შეასრულებს თავის მოვალეობას და მოქალაქეებს და მათ გაერთიანებებს პერიოდულად არ დაუთმობს შენობებს, ქუჩებსა და მოედნებს; რეალურ საშუალებას არ მისცემს გამოიყენონ პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებები.

მეორე სახის ვალდებულება შეფარდებითი ხასიათისაა. ამ შემთხვევაში ერთი პირის შეფარდებით ვალდებულებას შეესაბამება მეორე პირის შეფარდებითი ვალდებულება. აქ მხედველობაშია პირებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ძალით გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს, გადასცეს ნივთი მყიდველს საკუთრებაში, ხოლო მყიდველი ვალდებულებას იღებს, მიიღოს ნივთი და გადაიხადოს მასში შესაბამისი საფასური. მოცემულ შემთხვევაში ერთი პირის ვალდებულებას შეეფარდება მეორე პირის ვალდებულება, ხოლო მეორე პირისას – პირველი პირის ვალდებულება. გარდა ამისა, ამ სახის ვალდებულების ფარდობითობა იმითაც გამოიხატება, რომ ამ ურთიერთობის არსს უფლება არ წარმოადგენს ანუ უფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის არსობრივი ნიშანი არ არის. სახელშეკრულებო ურთიერთობაში თუ უფლებას აქვს რაიმე მნიშვნელობა, ეს მნიშვნელობა ვალდებულებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, გამყიდველის ვალდებულებიდან – გადასცეს ნივთი მყიდველს იგულისხმება მისი უფლება – მოსთხოვოს მყიდველს ანაზღაურება, ისევე, როგორც მყიდველის ვალდებულებიდან – გადაუხადოს საფასური გამყიდველს, გამომდინარეობს მისი უფლება, მოსთხოვოს გამყიდველს ნივთის გადაცემა.

ვალდებულების მესამე სახე გულისხმობს პირის ვალდებულებას, პასუხი აგოს იმ შემთხვევაში, თუკი ის დაარღვევს მეორე პირის აბსო-

ლუტურ ან შეფარდებით უფლებას. ლაპარაკია პირის ვალდებულებაზე, განიცადოს გარკვეული მატერიალური თუ სულიერი შეზღუდვები, როგორც შედეგი სამართლის ნორმის დარღვევისა. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, თუ ნაქირავეები ქონება დამქირავებლის ბრალით გაფუჭდა ან გაუფასურდა, დამქირავებელი მოვალეა აუნაზღაუროს გამქირავებელს ამით მიყენებული ზარალი. ეს არის პირის მატერიალური ვალდებულების ანუ მატერიალური პასუხისმგებლობის სახე.

პირის პასუხისმგებლობის მეორე სახეა იდეალური პასუხისმგებლობა.

ამ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება ანუ მატერიალური ვალდებულების შესრულება არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის მთელი სისრულით განცდისათვის. მაგალითად, სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სამართალდამრღვევი, როგორც წესი, სულიერ, იდეალურ პასუხისმგებლობას განიცდის. მკვლელობის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ზარალის ანაზღაურებით ადამიანი არ გაცოცხლდება. თავისუფლების აღკვეთა ერთადერთი საშუალებაა მოცემულ შემთხვევაში, რომ დაბალანსდეს მიყენებული ზარალი და ის სულიერი განცდები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო თავის თავზე იღებს სარჩელის უფლებას და შედის სასამართლოში თავისი პრეტენზიებით, დამოუკიდებლად იმისა, სურს თუ არა დაზარალებულ მხარეს ესა თუ ის პირი დასაჯოს. საქმე ის არის, რომ სისხლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არა მარტო ცალკეულ ინდივიდს აზარალებს, არამედ საზოგადოებრივად საშიშია, ამ საშიშროების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

3. სამართლის და სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი

სამართლებრივი ურთიერთობები ორი სახისაა: ზოგადი და კონკრეტული. ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობები მოიცავს ყველასათვის საერთო და თანასწორ უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები – არათანასწორ და განსხვავებული მოცულობის უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაბა-

მისად, ზოგად სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირები ხასიათდებიან ზოგადი სამართლებრივი სტატუსით, ხოლო კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილენი – ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსით. ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს პირობითად ვუწოდებთ სამართლის სუბიექტს, ხოლო კონკრეტულისას – სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს.

სამართლის სუბიექტი არის პირი, რომელიც ფლობს აბსოლუტურ უფლებებს და პირიქით, აბსოლუტური უფლებები მათ ერთობლიობაში ახასიათებენ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს, ქმნიან სამართალსუბიექტობის ცნებას, შეადგენენ მისი შინაარსის ელემენტებს.

აბსოლუტური უფლებები იყოფა სამ ჯგუფად: უფლებები უმაღლეს ღირებულებებზე, უფლებები ძირითადი თავისუფლებების განხორციელებაზე და უფლებები მინიმალური სიკეთეების მოპოვებაზე.

1. უფლებები უმაღლეს ღირებულებებზე შემდეგია:

უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და პიროვნების უსაფრთხოებაზე; უფლება სამართლის სუბიექტად აღიარებაზე; უფლება ცხოვრების ღირსეულ დონეზე; უფლება კანონის წინაშე თანასწორობაზე; უფლება განვითარებაზე; უფლება ჯანმრთელობაზე და ჯანსაღ გარემოზე; უფლება დარღვეული უფლებების ეფექტურ აღდგენაზე.

უფლებები უმაღლეს ღირებულებებზე გულისხმობენ უფლებას სახელმწიფოს აქტიურ მოქმედებაზე, ანუ სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნული უფლებებით სარგებლობას,

2. უფლებები ძირითადი თავისუფლებების განხორციელებაზე შემდეგია:

უფლება აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებაზე; რწმენის თავისუფლებაზე და მის თავისუფალ გამოხატვაზე; მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების თავისუფლებაზე; მონობისა და მონური შრომისაგან თავისუფლებაზე; წამებისა და სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლებაზე; თვითნებური დაპატიმრების ან დაკავებისაგან თავისუფლებაზე. პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისაგან თავისუფლებაზე; საცხოვრისის ან კორესპონდენციის ხელშეუხებლობის ხელყოფისაგან თავისუფლებაზე; გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებაზე.

უფლებები ძირითადი თავისუფლებების განხორციელებაზე გულისხმობენ პირის უფლებას სახელმწიფოს პასიურ მოქმედებაზე

(უმოქმედობაზე) ანუ სახელმწიფოს ვალდებულებას, არ ხელყოს პირის მიერ ზემოაღნიშნული თავისუფლების განხორციელება.

3. უფლებები მინიმალური სიკეთეების მოპოვებაზე შემდეგია:

უფლება მოქალაქეობის მიღებაზე; უფლება თავშესაფრის მიღებაზე; ქონების მოპოვებაზე; ოჯახის შექმნაზე; სამუშაოს მიღებაზე და შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე; დასვენებასა და მოცალეობაზე; განათლების მიღებაზე; ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღებაზე.

უფლებები მინიმალური სიკეთეების მოპოვებაზე გულისხმობს პირის უფლებას როგორც სახელმწიფოს აქტიურ, ისე პასიურ მოქმედებაზე ანუ სახელმწიფოს, როგორც აქტიური ხელშეწყობის, ისე ხელის არშეშლის ვალდებულებას, პირის მიერ ზემოაღნიშნული სიკეთეების მოპოვებისას.

ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნული უფლება გულისხმობს, როგორც პირის უფლებას თავის მოქმედებაზე, ისე მის უფლებას სახელმწიფოს მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე.

აქ ისახება სწორედ ადამიანის უფლებების ზოგადსაკაცობრიო, ზესახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. (იხ. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 7).

ჯერ კიდევ გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა ორიუმ გამოთქვა აზრი, რომ ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის 1789 წლის დეკლარაციაში აღიარებული უფლებები შეადგენენ “სუპერკონსტიტუციურ სამართალს”. ისინი მოქმედებენ მაშინაც, როდესაც არ არიან ფიქსირებული კონსტიტუციაში და წარმოადგენენ სახელმწიფოს კანონების კონსტიტუციურობის კრიტერიუმს. ანალოგიურ პოზიციაზე იდგა ასევე ცნობილი ფრანგი მეცნიერი დიუგი. უფრო მეტი, იგი თვლიდა, რომ კანონმდებელი მხოლოდ აღმოაჩენს საზოგადოებაში უკვე არსებულ სამართლის ნორმებს, და რომ სასამართლოებმა უნდა მისდიონ დაწერილ კონსტიტუციაზე მაღლა მდგომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპებს. ვოლტერისა და რუსოს გაეღენით უფრო შორს წავიდნენ შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორები - ჯეფერსონი და ფრანკლინი. დეკლარაციის შესავალში ვკითხულობთ: “ყველა ადამიანი შექმნილია როგორც თანასწორი და ყველანი დაჯილდოებულნი არიან განსაზღვრული გაუსხვისებელი უფლებებით. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხებმა დააწესეს მთავრობები. თუ მმართველობის მოცემული ფორმა

აღმოჩნდება დამლუპველი ამ მიზნის მისაღწევად, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს იგი და აირჩიოს ისეთ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი მთავრობა, რომელსაც უფრო მეტად შეუძლია ხელი შეუწყოს ხალხის უსაფრთხოებას და კეთილდღეობას“.

მაგრამ ადამიანის სამართალსუბიექტობის აღიარება არ არის საკმარისი. ფუნდამენტური, თანდაყოლილი, გაუსხვისებელი საარსებო უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური დეკლარირება და მათი შესაბამისი მოვალებების განსაზღვრა ადამიანის პიროვნებად ცნობის და მისი დაცვის პირველი ეტაპია. საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-16 მუხლში მითითებული იყო, რომ “საზოგადოებას, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი უფლებებით სარგებლობა, კონსტიტუცია არა აქვს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმალურად არსებული კონსტიტუცია ფაქტობრივად ფიქციაა, თუ მასში ჩაწერილი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება რეალურად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ადამიანის სამართლის სუბიექტად ცნობა გულისხმობს არა მარტო ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, არამედ იმ შესაძლებლობების აღიარებასაც, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნული არსის რეალურ და ეფექტურ გამოვლენას. ასეთი ინსტიტუტია უფლებაუნარიანობა, როგორც კონკრეტული შეფარდებითი უფლება-მოვალებების მოპოვების იურიდიული უნარი. საერთოდ, უფლებაუნარიანობა არის ადამიანის თავისუფლების ამოსავალი პოზიცია, საწყისი. ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სფერო, იმ შესაძლებლობათა სამყარო, სადაც ბატონობს ადამიანის ნიჭი, უნარი, ინიციატივა, გამჭრიახობა, ფხიანობა, გერგილიანობა და სხვა თვისებები, რომლებსაც ადამიანები სხვადასხვა ხარისხითა და მოცულობით ფლობენ (ამიტომ მათი კოლექტივებიც), და რომელთა გამო თანასწორობა სამართალს არ შეუძლია შექმნას. სამართალს შეუძლია და რეალურადაც აკეთებს იმას, რომ სცნობს, აღიარებს ამ შესაძლებლობათა გამოვლენის უნარს და ქმნის ამ გამოვლენისათვის თანასწორ ზოგად კონსტიტუციურ გარანტიებს. რაც შეეხება კონკრეტულ უფლებებსა და მოვალებებს, მათი მოცულობა დამოკიდებულია თითოეულის ინდივიდუალურ უნარზე, ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.

რაც შეეხება ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აქ სიმძიმის ცენტრი გადატანილია არა ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გამოვლენაზე, არამედ სახელმწიფოზე, ადამიანის, როგორც ფიზიკური და სულიერი ერთეულის არსებობის შენარჩუნ-

ნების გარანტზე, იმ მინიმალური საარსებო პირობების შექმნის ვალდებულებაზე, რომლის გარეშეც ადამიანი ადამიანურობას კარგავს, მის უფლებაუნარიანობას საფუძველს აცლის. საუბარია იმ საარსებო მინიმუმზე, რომელიც ელემენტარულ მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა დაცვას უზრუნველყოფს, იქნება ეს ფუნდამენტური თავისუფლებანი თუ ადამიანის ცნორების ინტიმური სფერო.

უფლებაუნარიანობა არის პირის იურიდიული შესაძლებლობის აღიარება, ძირითადი უფლებების საფუძველზე იქონიოს კონკრეტული, შეფარდებითი უფლებები სამართლის ცალკეული დარგებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. არ არის საკმარისი შრომის ან დასვენების უფლების, პოლიტიკური ან პირადი თავისუფლებების ფორმალური აღიარება, საჭიროა არსებობდეს ისეთი იურიდიული მექანიზმი, ანუ ისეთი კონკრეტული დეტალიზებული უფლებების კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალურ თავისებურებათა რეალურ გამოვლენას, კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროში. უფლებაუნარიანობა არის ის კრებადი კატეგორია, რომელიც თავს უყრის იმ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ანუ ქმნიან იურიდიულ შესაძლებლობას ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის. მაგალითად, შრომის სამართალში არსებობს ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ხელშეკრულების დადებასთან და შრომის ანაზღაურებასთან, დასვენების უფლების გამოყენებასთან და ა.შ. ამ ნორმებში ფიქსირებული უნდა იქნეს კონკრეტული უფლებების ისეთი კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ თავისი შრომისა და დასვენების ძირითადი კონსტიტუციური უფლებების რეალურ განხორციელებას. ასეთი კონკრეტული უფლებების შექმნის შესაძლებლობათა აღიარება კი სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ამრიგად, უფლებაუნარიანობა არ არის მარტო ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენის სფერო, არამედ გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს ამ ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენის პროცესს.

ჯერ კიდევ კანტი გვასწავლიდა: სახელმწიფოს დანიშნულება თავისუფლების უზრუნველყოფაა და არა კეთილდღეობისა. და მართლაც ეს ასეა, რადგან კეთილდღეობის შექმნა მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ.

საბოლოო ჯამში მივიღეთ სამართლის სუბიექტის სამართლებრივი სახე, სტატუსი, რომელიც მოიცავს ორ კატეგორიას: 1. ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; 2. უფლებაუნარიანობას.

თუ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და უფლებაუნარიანობა წარმოადგენენ სუბიექტის ზოგად, ყველასათვის თანასწორ სამართლებრივ სტატუსს და პირს ახასიათებენ როგორც ზოგადად სამართლის სუბიექტს, უფლებაუნარიანობის საფუძველზე ძირითადი უფლება-თავისუფლებების განხორციელების შედეგად წარმოშობილი კონკრეტული უფლებები და მოვალეობანი შეადგენენ პირის ინდივიდუალურ სამართლებრივ სტატუსს, ანუ ახასიათებენ მას, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტს.

ზოგადი სამართლებრივი სტატუსით პირები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, ისინი თანასწორად ფლობენ ძირითად უფლება-თავისუფლებებს და უფლებაუნარიანობას, მაშინ, როდესაც ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსით პირები განსხვავდებიან კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების მოცულობით, განსხვავებული ნიჭის, უნარის, პროფესიონალიზმის და სხვა ინდივიდუალური თვისებების გამო. ამავდროულად ფაქტორების ზეგავლენით იურიდიული პირების ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამრიგად, ინდივიდის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი და უფლებაუნარიანობა, ანუ პირის სამართალსუბიექტობა გამოხატავს მასსა და სახელმწიფოს შორის ზოგად სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის ძალითაც სახელმწიფოს იურიდიული ვალდებულებებია: ჯერ ერთი, ადამიანის საარსებო უფლებების უშუალო აღიარება და დაცვა და, მეორე, ისეთი ნორმატიული მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კაცობრიობის ჰუმანიტარული იდეალების შესაბამის, ადამიანის ინდივიდუალური უნარის და თავისებურების თავისუფალ გამოვლენას. უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია უფლებაუნარიანობაზე, რომელიც მოიცავს იმ ნორმატიულ მექანიზმს, ანუ იმ მატერიალური და პროცესუალური უფლებების მოპოვების შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის ფუნდამენტური ძირითადი უფლებების გამოვლენას კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში და შეპირობებულია არა სახელმწიფოს აქტივობით, არამედ თითოეული ინდივიდის უნარის ხარისხით. რამდენადაც ინდივიდები განსხვავდებიან უნარის ხარისხით, ამდენად იმ მატერიალური და პროცესუალური უფ-

ლებების წრე, რომელიც შეიძლება მოიპოვოს ინდივიდმა სამართლის სხვადასხვა დარგით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ანუ უფლებაუნარიანობის განხორციელების შედეგი, განსხვავებული იქნება თითოეული ადამიანისათვის, ე.ი. თითოეულ ადამიანს მისი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ექნება განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი.

ამრიგად, უნდა განვასხვაოთ ინდივიდის ზოგადი სამართლებრივი სტატუსი, რომელიც ახასიათებს მას, როგორც სამართლის სუბიექტს, და ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მას ახასიათებს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს. ზოგადი სამართლებრივი სტატუსი სტატიკურობით ხასიათდება, ხოლო ინდივიდუალური – დინამიკურობით. საზოგადოებაში სამართლებრივი სტატიკურობისა და დინამიკურობის შეწყობა-შეხამება არის მთლიანად საზოგადოების პროგრესული განვითარების უმთავრესი პირობა.

4. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამ ინტერესების დაკმაყოფილებისათვის სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი პირობების შესაქმნელად სამართლებრივი ნორმების მეშვეობით საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთათვის წესდება მოქმედების ფარგლები მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური უფლებებისა და მოვალეობების აღიარება-განაწილების გზით. ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელების პროცესში შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამართლებრივ ფორმას იძენს, რის გამოც ისინი სამართლებრივ ურთიერთობად იწოდებიან. სამართლებრივ ურთიერთობათა ანუ მათში მონაწილე სუბიექტთა ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური უფლებებისა და მოვალეობების ობიექტია შესაბამისი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და პირადი ინტერესები, ე.ი. ყველაფერი ის, რისკენაც არის მიმართული სამართ-

ლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების ნება, ანუ ყოველივე, რის გამოც სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი ერთმანეთთან ამყარებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ შეხედულებას იმის შესახებ, თითქოს სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი იყოს ნივთი, მოქმედება, მოქმედების შედეგი ან მათი კომბინაცია. ჩვენი პოზიცია მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ნივთი არის ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება, ანუ არა ნივთი თავისთავად, არამედ ინტერესი, რომელსაც აკმაყოფილებს ეს ნივთი, არის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი. იგივე ითქმის მოქმედებაზე. ერთი შეხედვით ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ნივთი, მაგრამ თუ დაუკვირდებით, ნივთს თავისთავად არავითარი ღირებულება არა აქვს. ნივთი იმდენად შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, რამდენადაც მის მიმართ ადამიანს აქვს ინტერესი, რამდენადაც ნივთი საზოგადოებრივი ღირებულების მქონეა. ნებისმიერი დიდი ხელოვანის ნაწარმოებში მთავარია არა მისი ფიზიკური, სხეულებრივი არსი, არამედ ის ესთეტიკური იდეა, რომელიც მასშია რეალიზებული, იდეა, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის ინტერესს. ასევე ხეს ან ყვავილს თავისთავად არავითარი სოციალური ღირებულება არ გააჩნია, სანამ ასეთ ღირებულებას თვით ადამიანი არ მიანიჭებს. ვიმეორებთ, არა ნივთია საკუთრების უფლების ობიექტი, არამედ ის ინტერესი, რომელსაც ეს ნივთი აკმაყოფილებს. ასევე ისტორიული თუ არქიტექტურული ძეგლი, მხატვრული ნაწარმოები თუ ტექნიკური გამოგონება კი არ არის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, არამედ ის შესაბამისი კულტურული ინტერესები, რომელიც ადამიანის სულიერი მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. ავიღოთ მაგალითად, რემბრანტის ან მოდილიანის ფერწერული ტილოები. ისინი შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი ურთიერთობის “ობიექტები“, მაგრამ არსებითად ამ ურთიერთობის ობიექტია არა სურათი თავისთავად (ნაჭერი, საღებავი და ჩარჩო), არამედ ის კულტურული ინტერესი, რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერი ცივილიზებული ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებას.

რა არის მაგალითად შრომის უფლების ობიექტი? შრომა? შრომის, როგორც ადამიანის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენის პროცესს თავისთავად არავითარი ღირებულება არა აქვს, თუ ის ადამიანის ეკონომიკური და სულიერი ინტერესებიდან

არ გამოძინარეობს. დეკუმანიზებული შრომა მექანიკური შრომაა, იგი მოაზროვნე ავტომატის კიბერნეტიზებული შრომის ანალოგიაა. სახელმწიფოს მიერ შრომის უფლების განხორციელების უზრუნველმყოფი კონსტიტუციური ვალდებულებები სწორედ რომ ამ ინტერესების დაცვას ემსახურება.

რა არის დასვენების უფლების ობიექტი? დასვენება? დასვენების პროცესი თავისთავად არაფერია, თუ იგი ადამიანის მიერ დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ენერჯის რეაბილიტაციის ინტერესს არ აკმაყოფილებს. სახელმწიფოს მიერ დასვენების უფლების უზრუნველმყოფი კონსტიტუციური ვალდებულებანი დახარჯული ენერჯის რეაბილიტაციის ინტერესის დაცვას უნდა ემსახურებოდეს. იგივე ითქმის მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე.

რა არის განათლების უფლება? განათლება? არა! განათლება თვითმიზანი არ არის. განათლება ემსახურება ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსებისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ ინტერესს, მუდმივად შეიმეცნოს სამყარო (მათ შორის - თავისი თავი) ინფორმაციის მიღების გზით. განათლების უფლების ობიექტია სამყაროს შესწავლის ბუნებრივი, ზოგჯერ გაუთვითცნობიერებელი ინტერესი. სახელმწიფოს მიერ განათლების უფლების უზრუნველმყოფი კონსტიტუციური ვალდებულებანი ამ ინტერესის დაკმაყოფილებისათვის ხელშემწყობი პირობის შექმნას უნდა ემსახურებოდეს.

რა არის მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ობიექტი? შემოქმედების თავისუფლება? არა! შემოქმედების პოტენციური თავისუფლების შეგრძნება და გაცნობიერება შემოქმედისაგან თავისთავად სიკეთეა, მაგრამ მთავარია ადამიანის იმ ბუნებრივი ინტერესის დაკმაყოფილება, რომელიც მიმართულია გარე სამყაროს (მათ შორის, თავისი თავის) გარდაქმნისაკენ. მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ობიექტი არის ამ ბუნებრივი ინტერესის დაკმაყოფილება. სახელმწიფოს მიერ შემოქმედების თავისუფლების უზრუნველმყოფი კონსტიტუციური ვალდებულებანი ამ ინტერესის დაკმაყოფილებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაში უნდა გამოიხატოს.

რა არის სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლების ობიექტი? აღნიშნული თავისუფლებანი ემსახურება ადამიანის თანდაყოლილი ინტერესის - აზრის გარეგანი გამოხატვის მოთხოვნების და-

კმაყოფილებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას, მიიღოს მონაწილეობა თავისი ქვეყნის უშუალოდ მართვაში. სახელმწიფოს მიერ ამ თავისუფლებების უზრუნველმყოფი კონსტიტუციური ვალდებულებანი აზრის გამოხატვის ხელშემწყობი პირობების შექმნაში უნდა გამოვლინდეს.

რა არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის ან მათში მონაწილეობის უფლების ობიექტი? ამ უფლების ობიექტი არის იმ ინტერესის დაკმაყოფილება, რომელიც ადამიანის სხვა ადამიანებთან გაერთიანების ბუნებრივ მიდრეკილებაში ვლინდება.

იგივე შეიძლება ითქვას ადამიანისა და მოქალაქის სხვა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების და მათი შესაბამისი სახელმწიფო ვალდებულებების ობიექტების ანუ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტების თაობაზე.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულებითი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია არა თვით ქონება, არამედ ის სარგებელი, რომელიც დააკმაყოფილებს დამქირავებლის შესაბამის ინტერესს. მაგალითად, ტელევიზორის ან ვიდეოკასეტის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია არა ტელევიზორი ან ვიდეოკასეტა, არამედ ის მხატვრული, ემოციური თუ ესთეტიკური სიამოვნება (ინტერესი), რომელსაც იგი ანიჭებს დამქირავებელს. საერთოდ იქ, სადაც სამართლებრივ ურთიერთობაში ფიგურირებს ნივთი, საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი და სამართლებრივი ურთიერთობის საგანი.

5. იურიდიული ფაქტები

ფაქტი არის სინამდვილის, რეალობის ის ნაწილი (ფრაგმენტი), მოვლენა, რომელსაც ცვლილება შეაქვს სამყაროში. შესაბამისად, იურიდიული ფაქტი არის სინამდვილის, რეალობის ის ნაწილი, ფრაგმენტი, მოვლენა, რომელსაც ცვლილება შეაქვს სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ანუ სამართლებრივ ურთიერთობებში, და რომელიც აკავშირებს სამართალს (საკანონმდებლოს, ჩვეულებითს და პრეცედენტულს) მართლწესრიგთან, ანუ სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემასთან, და საერთოდ, ამოძრავებს საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებას, მთელ სამართლებრივ სისტემას.

იურიდიული ფაქტი არის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის მოძრაობას: წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

1. იურიდიული ფაქტის ძირითადი თვისება ისაა, რომ იგი სამართლებრივი ურთიერთობის მოძრაობის აუცილებელი წანამძღვარია.

როგორც ცნობილია, სამართლებრივ ურთიერთობებს ყოფენ ზოგად და კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობად. ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობის წანამძღვარი იურიდიული ფაქტის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ადამიანის დაბადება ან სიკვდილი, რომელიც აღნიშნავს სახელმწიფოსთან ადამიანის ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას ან შეწყვეტას, რაც დაკავშირებულია სამართალსუბიექტობის ანუ ზოგადი სამართლებრივი სტატუსის წარმოშობას ან შეწყვეტასთან; აგრეთვე, მაგალითად, გარკვეული ასაკის მიღწევა, რაც აღნიშნავს სახელმწიფოსთან ადამიანის სამართლებრივი ურთიერთობის ანუ სამართალსუბიექტობის მოცულობის შეცვლას. იგივე შეიძლება ითქვას იურიდიული პირის წარმოშობის ან შეწყვეტის ფაქტის შესახებ, რაც გულისხმობს მისი სამართალსუბიექტობის (უფლება-ქმედუნარიანობის) წარმოშობას ან გაუქმებას და ა.შ.

კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წანამძღვარი იურიდიული ფაქტის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქონებრივი ხელშეკრულების დადება ან ადმინისტრაციული ინდივიდუალური აქტის გამოცემა.

სამართლებრივ ურთიერთობებს ყოფენ აგრეთვე მომწესრიგებელ და დამცავ ურთიერთობად. მომწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობის წანამძღვარი იურიდიული ფაქტის მაგალითი შეიძლება იყოს ნებისმიერი მართლზომიერი ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნავს ხელშეკრულების მონაწილეთა შორის უფლება-მოვალეობების (აღიარება-გამიჯვნის) წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ასეთივე მნიშვნელობის იურიდიული ფაქტის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნავს უფლება-მოვალეობების მოცულობის გამო მოდავე მხარეთა შორის ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. დამცავი სამართლებრივი ურთიერთობის წანამძღვარი იურიდიული ფაქტის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნებისმიერი სამართალდარღვევა, რომელიც აღნიშნავს შესაბამისი ზოგადი თუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის ზიანის მიყენების გამო თუ ზარალის ანაზღაურებასთან დაკავ-

შირებულ უფლება-მოვალეობათა წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ასეთივე მნიშვნელობის იურიდიული ფაქტის მაგალითია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს სამართალდამრღვევის მოვალეობის მოცულობას (პასუხისმგებლობის ზომას).

2. იურიდიული ფაქტები მათი ადამიანთა ნებასთან დამოკიდებულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ხდომილებად და მოქმედებად.

ხდომილება არის ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ფაქტი, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ძალით ადამიანის დაბადება არის მისი უფლებაუნარიანობის წარმოშობის საფუძველი, ხოლო ბავშვის დაბადების მომენტიდან მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მოვალეობა ეკისრებათ მშობლებს. სამოქალაქო სამართალი ადამიანის 18 წლის ასაკის მიღწევა უკავშირებს სრულ სამოქალაქო ქმედუნარიანობას, ხოლო სრულწლოვნობასთან არის დაკავშირებული შვილის მოვალეობა, არჩინოს შრომისუუნარო მშობლები. სამოქალაქო სამართლის ძალით კანონიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეებს სამკვიდროზე უფლება ეძლევათ სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების დღიდან, რაც, თავის მხრივ, გარდაცვლილის უფლებაუნარიანობის შეწყვეტასაც აღნიშნავს.

ხდომილების ნაირსახეობაა ე.წ. დაუძლეველი ძალა ანუ ისეთი გარემოება, რომლის თავიდან აცილება ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება და რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ძალით ორგანიზაციები და მოქალაქენი თავისუფლდებიან მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით.

ხდომილებათა ნაირსახეობაა სტიქიური ძალების მოქმედება, რომელსაც სამართლის ნორმა შეიძლება უკავშირებდეს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. მაგალითად, შრომის სამართლის ძალით სტიქიური უბედურება შეიძლება გახდეს საფუძველი მუშა-მოსამსახურის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის ან საზეგანაკეთო სამუშაოების შესრულების მოვალეობის დაკისრებისა. წყალდიდობის ან მიწისძვრის შედეგად სახლის განადგურება არის, მაგალითად, სახლზე საკუთრების უფლების შეწყვეტის და, ამავე დროს, სადაზღვევო ორგანოსთან შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი და ა.შ.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა ზოგიერთი პრობლემა, რაც დაკავშირებულია სტიქიურ მოვლენათა წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობასთან. თუკი, მაგალითად, ზარალი გამოიწვია მეწყერმა ან ზეკვამა, რომლის შესახებაც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული სახელმწიფო ორგანიზაციები, მათ კი არ მიიღეს შესაბამისი ზომები ქონების გადასარჩენად, მაშინ მათ დაეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

მოქმედება არის იურიდიული ფაქტის ძირითადი ნაირსახეობა. მოქმედება, როგორც იურიდიული ფაქტი, არის ადამიანის ნებისაგან დამოკიდებული ფაქტი, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

მოქმედება, როგორც იურიდიული ფაქტი იყოფა ორ სახედ: მართლზომიერ და არამართლზომიერ მოქმედებად. მართლზომიერი მოქმედება თავის მხრივ იყოფა ცალმხრივ და ორმხრივ იურიდიულ აქტად (არამართლზომიერი აქტების შესახებ იხ. კარი III, თავი IV, §1).

ცალმხრივი იურიდიული აქტები წარმოშობს იურიდიულ შედეგებს სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარის ნებისგან დამოუკიდებლად. იურიდიული აქტების ამ ჯგუფს უპირატესად განეკუთვნება: ადმინისტრაციული გადაწყვეტილებანი, სასამართლო დადგენილებები და მისთანანი.

ხასიათის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის ცალმხრივ იურიდიულ აქტებს.

1. დამაკონკრეტებელი: სამუშაოზე მიღება, მიწის გამოყოფა, ნივთის გადაცემა და ა.შ.

2. სარეგისტრაციო: საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ორგანიზაციის ან ქორწინების რეგისტრაცია და ა.შ.

3. აღიარებითი: პირის არაქმედუნარიანად ცნობა, მამობის დადგენა, უკვალოდ დაკარგულად ცნობა და ა.შ.

4. ნებადამრთველი: მოქალაქეობის მინიჭება, კერძომეწარმეობითი საქმიანობის ნებართვა, საზღვარგარეთ გასვლის ნებართვის გაცემა და ა.შ.

ორმხრივი იურიდიული აქტები გულისხმობს შეთანხმებას, ანუ ორმხრივი ნების გამოვლენას სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან (იხ. კარი III, თავი I, §2).

სამართლებრივი ურთიერთობის მოძრაობისათვის ხშირად აქვს მნიშვნელობა არა ერთ იურიდიულ ფაქტს, არამედ რამდენიმეს, რომელსაც იურიდიული ფაქტების შემადგენლობას უწოდებენ. მაგალითად, მოხუცებულობის პენსიის მისაღებად საჭიროა: გარკვეული ასა-

კის მიღწევა, განსაზღვრული შრომითი სტაჟის არსებობა, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ. მშობლის უფლების აღდგენისათვის საჭიროა: მშობლის ყოფაქცევის შეცვლა, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ბავშვის ობიექტური ინტერესები, მშობლის უნარი აღზარდოს შვილი. იმისათვის, რომ დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა, საჭიროა იგი იყოს განზრახი, ჩადენილი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ამასთან დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ, სახეზე უნდა იყოს უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა დაზარალებულის მხრიდან. სისხლის სამართალში იურიდიული ფაქტების შემადგენლობას დანაშაულის შემადგენლობას უწოდებენ.

II თავი. სახელმწიფოს სამართალსუბიექტობა

1. სახელმწიფოს ცნება

სახელმწიფო არის სამართლებრივი ნორმებით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული მოვალეობებით შეკავშირებულ ადამიანთა (თანამდებობის პირთა) სამართლებრივი ურთიერთობების სისტემა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სამართალი სხვა არაფერია, თუ არა სამართლის ნორმებით განსაზღვრული თანამდებობის პირთა მოვალეობების ერთობლიობა. ამ მოვალეობათა ერთობლიობას კომპეტენციას უწოდებენ.

შეიძლება შეგვეკვასუხონ: როგორ, განა სახელმწიფოს არსებობა ფაქტი არ არის? განა სახელმწიფოს სუბსტრატს ხალხი არ შეადგენს? განა ფაქტი არ არის ის, რომ ყოველდღიურად განვიცდით ხელისუფლების ზეწოლასა და ძალას? დიახ, ეს ასეა, მაგრამ ერთი არსებითი შენიშვნით: ეს ძალა სამართლის ნორმებით შემოფარგლული ანუ კომპეტენციით აღჭურვილ პირთა მოქმედების შედეგია და არა სამართლის ნორმების გარეთ არსებული ძალის მოქმედება. სწორედ აქ იკვეთება სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია. სახელმწიფო მხოლოდ სამართლებრივი შეიძლება იყოს! ამოსავალი პრინციპი ასეთია: "სახელმწიფო სამართლებრივ ჩარჩოებში". ლუდოვიკო XIV-ის საფრანგეთი და ვილჰელმ III-ის პრუსია, პიტლერის გერმანია და ლენინ-სტალინის იმპერია – ისეთი რეჟიმები იყო, რომლებიც განასახიერებდა სამართლით შეუზღუდავ შიშველ ძალას და ამ ძალას ფორმალურად სახელმწიფო ერქვა. ამ ტოტალიტარულ რეჟიმებს ჰქონდა სამართალი, მაგრამ როგორც იარაღი შეუზღუდავი ძალადობისა და არა როგორც ძალადობის შემზღუდავი ძალა.

1. სახელმწიფო არის იურიდიული კონსტრუქცია, სხვა შემთხვევაში იგი სახელმწიფოს იმიტაციაა. კელზენის აზრით სახელმწიფო არის ცენტრალიზებული მართლწესრიგი.

ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნებია: ტერიტორია, საჯარო ხელისუფლება, სუვერენიტეტი და ბეგარა. ეს ნამ-

დვილად ასეა, მაგრამ ისინი სახელმწიფოს და სამართლის განმასხვავებელ არგუმენტად არ გამოდგება, პირიქით.

რას ნიშნავს ტერიტორია როგორც სახელმწიფო ნიშანი, თუ არა იმას, რომ გარკვეულ საზღვრებში ვრცელდება სახელმწიფოს უფლებამოსილება ანუ სამართლის ნორმებით, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული სახელმწიფოს მოვალეობანი. სხვა სიტყვებით, თანამდებობის პირები თავის კომპეტენციას გარკვეულ ტერიტორიაზე სამართლის ნორმების საფუძველზე და მის ფარგლებში ახორციელებს. ქართული სიტყვა “ხელისუფლება“ ზუსტად ასახავს მოვლენის არსს: ხელის უფლება არის უფლებით განსაზღვრული ძალა. უფლება კი მხოლოდ სამართლის ჩარჩოებში მოიაზრება. სახელმწიფო თავის კომპეტენციას გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში ახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ მოცემული ქვეყნის სამართლის ნორმები არ ვრცელდება. სახელმწიფოს საზღვარი არის ამ სახელმწიფოს კანონების მოქმედების საზღვარი. ხელისუფლება და სახელმწიფო იდენტური ცნებებია.

რას ნიშნავს საჯარო ხელისუფლება როგორც სახელმწიფოს ნიშანი, თუ არა სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული თანამდებობის პირების, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ელემენტების მოვალეობებს? რა არის სახელმწიფო თანამდებობის პირთა იერარქია ვერტიკალური დაქვემდებარების წესით საკანონმდებლო და მმართველობის უმაღლესი ორგანოებიდან დაწყებული ადგილობრივით დამთავრებული, თუ არა მათი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების იერარქია. საკმარისია ამ პირებს ჩამოვაშოროთ სამართლებრივი “სამოსი“ ანუ სამართლებრივი ნორმები რომ ჩვენს წინაშე აღმოჩნდებიან რიგითი მოქალაქენი. რა აკავშირებს ადამიანებს (როგორც მოხელეებს) სახელმწიფოში, თუ არა სამართლის ნორმები. სწორედ ამ ნორმების ერთობლიობას სახელმწიფო სამართალს უწოდებენ. მოკლედ, სახელმწიფო სამართალი არის თანამდებობის პირთა საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა.

რას ნიშნავს სუვერენიტეტი როგორც სახელმწიფოს ნიშანი, თუ არა სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ მისი კომპეტენციის უზენაესობას საზოგადოებაში არსებულ სხვა სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებთან შედარებით? მაგრამ უზენაესობა აბსოლუტურ ძალაუფლებას არ ნიშნავს: სახელმწიფოს უზენაესობა თანაარსებობს სხვა სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებთან და

ამ უკანასკნელთა მოქმედებას თავისი ნორმატული საფუძველი აქვს, ანუ სახელმწიფოს უზენაესობა სამართლებრივად გამიჯნული უნდა იყოს სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა უფლებამოსილებისაგან. სახელმწიფოს უზენაესობა (სხვა სიტყვებით) ნიშნავს კანონთა უზენაესობას სხვა სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების ნორმატულ აქტებთან შედარებით (მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, რელიგიური დაწესებულებანი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურული კავშირები და სხვ.). ამ სოციალურ ძალთა შორის კოლიზიის შემთხვევაში სახელმწიფოს კანონები ინარჩუნებენ უზენაესობას ყველა სხვა სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების ნორმატულ აქტებთან შედარებით. ესაა სახელმწიფოს უზენაესობა ანუ სუვერენობა. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული წესით ანუ ნორმებით შეკავშირებულ ადამიანთა გაერთიანება და ეს გაერთიანება უზენაესია ამ საზოგადოებაში არსებულ სხვა პოლიტიკურ სტრუქტურებთან შედარებით.

რას ნიშნავს ბეგარა, თუ არა იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს საჯარო ხელისუფლების შესანახად მოსახლეობისაგან ეკონომიკური სახსრების (გადასახადის) აკრეფის, ამოღების წესებს.

ამრიგად, სახელმწიფო არის გარკვეული კომპეტენციის ადამიანთა (თანამდებობის პირთა) გაერთიანება ანუ იურიდიული პირი.

ეს არის სახელმწიფოს ნორმატული გაგების ერთი ასპექტი, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს ანუ სახელმწიფოს სტატიკაში. სახელმწიფოს მეორე ასპექტი არის სახელმწიფოს გაგება როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტისა ანუ სახელმწიფოს გააზრება მის დინამიკაში. ამრიგად, უნდა განვასხვაოთ სახელმწიფო როგორც სამართლის სუბიექტი და სახელმწიფო, როგორც სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. მეორე ასპექტი ახასიათებს სახელმწიფოს რეალურ საქმიანობას, რეალურ სახეს, არა როგორც ზოგად მოვალეობათა მატარებელს, არამედ ამ მოვალეობათა განმახორციელებელს.

2. სახელმწიფო, როგორც სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, თავის თავს ავლენს ძირითადად ორი მიმართულებით: როგორც სამართალშემოქმედი და როგორც სამართალშემფარდებელი სუბიექტი. სახელმწიფოს ეს ორი გამოვლენა წესრიგდება ასევე სამართლებრივი ნორმებით, მაგრამ არა მატერიალური სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს სამართლებრივ

სტატუსს, არამედ პროცესუალური ნორმებით, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოს მიერ მატერიალური სამართლებრივი ნორმების განხორციელების პროცესს. სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა გარკვეულ წესებს, პროცესუალურ ნორმებს ემორჩილება. კანონპროექტის შეტანა, მისი განხილვა, მიღება და გამოქვეყნება განსაზღვრულ პროცესუალურ (პროცედურულ) ნორმებს ექვემდებარება. იგივე ითქმის სამართალშეფარდებით საქმიანობაზე. სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სხვა მატერიალური სამართლის ნორმების ხელისუფლების ორგანოების მიერ შეფარდება შესაბამისი პროცესუალური, პროცედურული ნორმებით წესრიგდება.

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ სახელმწიფო სამართლებრივი კონსტრუქციაა, გამოდის, რომ სახელმწიფო მოკლებულია ძალას, მაშასადამე, სამართლისათვის ძალა არ ყოფილა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. მოკლე პასუხი ასეთია: დიახ, ჭეშმარიტად ასეა. ამ თეზისის საბუთად, უპირველეს ყოვლისა, მოვიყვანთ ყველა დროის გამოჩენილი სამართალმცოდნის – გეორგ ელინეკის ნაზრევს. ნაშრომში “ზოგადი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ”. იგი წერდა: მრავალგზის მიუთითებდნენ, განსაკუთრებით პუბლიცისტები, რომ არსებობს სამართლის მთელი დარგები, რომლებშიც სამართლებრივი იძულება ან საერთოდ არ არსებობს, ან ძალზე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. მათ მიეკუთვნება სამოქალაქო და სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი და მთლიანად საერთაშორისო სამართალი (ჩვენ დავაზუსტებდით: აგრეთვე დარგები, რომლებიც გამოეყვნენ სამოქალაქო სამართალს – ბს.). საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს ისეთ სამართლებრივ გარანტიებს, რომლებსაც უფრო მეტი ეფექტი აქვს მხარეებისათვის, ვიდრე უშუალო იძულებას. სახელმწიფო სამართლის გარანტიები გამოიხატება თვით სახელმწიფოს ორგანიზაციასა და საჯარო-სამართლებრივ წარმონაქმნებში, ხოლო საერთაშორისო სამართალში – ცივილიზებულ ქვეყნებს შორის სტაბილური ურთიერთობების თანმთხვევ ინტერესში. სწორედ ამიტომ, რომ ცივილიზებული ქვეყნები საერთაშორისო ხელშეკრულებებს უფრო გულდასმით ასრულებენ, ვიდრე თავიანთ შიგნით სახელმწიფოებრივ კანონებს. ამრიგად, სამართლის არსებითი ნიშანია არა იძულება, არამედ გარანტია ანუ სამართლის ნორმის შესრულების შანსი.“

გეორგ ელინეკის ამ კონცეფციის დასაბუთებას ეხვდებით გიორგი ნანეიშვილის ნაშრომში “სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატ-

ული ფაქტების დასაბუთებისა“. გ.ნანიშვილის აზრით: გარანტია, როგორც სამართლის ნორმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, იმაში გამოიხატება, რომ სამართლის სუბიექტები ერთმანეთს განიხილავენ როგორც სამართლის ნორმის შესრულების შანსს. სწორედ ამ ლოგიკურ რწმენაში ისახება სამართლის ნორმის არსი. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოც როგორც სამართლის სუბიექტი და განსაკუთრებით იგი, სამართლის სხვა სუბიექტებისაგან აღიქმება როგორც სამართლის ნორმის შესრულების აბსოლუტური გარანტი, შანსი. ეს რწმენა და არა იძულებაა უმთავრესი პირობა სამართლის არსებობისა.

სწორედ ესაა სახელმწიფოს დანიშნულება და თუ მას სხვა თვისებას მივანიჭებთ, მაშინ შეუძლებელი იქნება გავმიჯნოთ ერთმანეთს ისაგან სამართალი და იძულება. ძალადობა შეუძლია მხოლოდ ძალას, აღნიშნავს გ. ნანიშვილი, ხოლო მაიძულებელი ხელისუფლება აღარ არის ხელისუფლება, არამედ შიშველი ძალაა. ხელისუფლება კარგავს აზრს, თუკი მას ჩამოვაცილებთ სამართლებრივ სამოსელს, გამოვეყოფთ იმ ატმოსფეროსაგან, რომელიც მთლიანად ნორმატიული შინაარსითაა გაჟღერებული.

ნებისმიერი კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების ფარგლებს, მიუხედავად ამ ფარგლების ზომისა, ფაქტობრივად ახდენს სახელმწიფოს შეზღუდვას, მისი მოქმედების ნორმირებას, რადგან, ვიმეორებთ, სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლის ნორმებით დაკავშირებული თანამდებობის პირების სისტემა. მეორეს მხრივ, ამ ნორმებში ჩადებულია მათი შესრულების გარანტია ანუ სხვა სუბიექტების უფლება, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს მის მიერვე დადგენილი, თავისივე საქმიანობის განმსაზღვრელი ნორმების შესრულება. კონსტიტუცია და კანონმდებლობა, მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შემზღუდავი ნორმები. სისხლის თუ ადმინისტრაციული სამართალი არის არა მარტო შესაბამისი მოსამართლის მოქმედების ნორმა, არამედ აგრეთვე გარანტია სამართალდამრღვევისათვის, რომ ის დაისჯება მხოლოდ კანონის ფარგლებში.

საერთოდ კი, სამართლის სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთვალდებულებების შესრულების რწმენა წარმოადგენს მუდმივი კულტურული განვითარების პირობას, რადგან მხოლოდ ის ქმნის ნდობის იმ ატმოსფეროს, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა სო-

ციალური ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თავად ნდობის ეს ატმოსფერო ნორმატული შინაარსისაა.

4. რა არის მოქალაქის ძირითადი ფუნდამენტური უფლებები? ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება, აღიაროს ისინი კონსტიტუციაში – ძირითად კანონში და უზრუნველყოს მათი დაცვა მიმდინარე კანონმდებლობით. მეორე მხრივ, სახელმწიფოს იურიდიული ვალდებულება გარანტიაა მოქალაქისათვის, რომელიც იძლევა იმედს, რწმენას, რომ მისი ძირითადი, ფუნდამენტური უფლებები აღიარებული და დაცული იქნება. სწორედ ეს იმედი, შანსი, რწმენა არის სახელმწიფოს და, საერთოდ, საზოგადოების გარანტია. მაგრამ ეს გარანტია, იმედი, რწმენა, შანსი არ არის ჩვეულებრივი ნდობა, არამედ უფლება, რომლის ძალითაც მოქალაქეს იურიდიული შესაძლებლობა აქვს პარლამენტის და სასამართლოს მეოხებით მოითხოვოს ძირითადი, ფუნდამენტური უფლებების აღიარება და დაცვა. სწორედ ეს უფლებები ბოჭავს, ზღუდავს სახელმწიფოს, არ აძლევს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საშუალებას, თუ, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში არ გაბატონდება ძალადობა ანუ სოციალური ძალა, რომელიც თავს კანონგარეშე, კანონზე მაღლა მდგომ ინსტანციად გამოაცხადებს; სწორედ ეს უფლებები გულისხმობს მოქალაქის უფლებას სასამართლოს ძალით აიძულოს სახელმწიფო, შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულებანი. ამრიგად, საუბარია სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვაზე.

5. სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვის იდეა განსაკუთრებული რელიეფურობით იკვეთება საერთაშორისო სამართალში. რა არის საერთაშორისო სამართალი, თუ არა სახელმწიფოთა საერთაშორისო საქმიანობის შემზღუდავი ნორმების ერთობლიობა. საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნა, ე.ი. ისეთი მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფოებს ურთიერთვალდებულების შესრულების რწმენა აქვთ, თითოეული სახელმწიფო მეორეს უყურებს როგორც ურთიერთვალდებულებათა შესრულების შანსს, გარანტიას. სწორედ საერთაშორისო სამართალში ჩანს სამართლის პრიმატი ძალაზე, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში ძალა კი არ არის ამ ურთიერთობის გარანტია, არამედ ნორმა. ესაა საერთაშორისო სამართლის, როგორც მაღალი ტიპის სამართლის არსი.

2. სამართლებრივი სახელმწიფო

ჯერ კიდევ რომაელებმა ლაკონურად ჩამოაყალიბეს სახელმწიფოს შეზღუდვის პრობლემა: “ვინ უნდა მეთვალყურეობდეს მათ, ვინც ჰვენ გემეთვალყურეობს?!”

1. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვაში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით სამართალი არის სახელმწიფოს მოხელეთა, მთლიანად სახელმწიფოს მეთვალყურე.

სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის პრობლემა პირველად ჩამოაყალიბა პლატონმა თავის თხზულებაში “კანონები”. იგი წერდა: “მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ სიკვდილს, სადაც კანონს არა აქვს ძალა და იმყოფება შეუზღუდავი ძალაუფლების ქვეშ, ხოლო იქ, სადაც კანონი მმართველთა გამგებელია, ხოლო ეს უკანასკნელნი მისი მონები არიან, ვხედავ სახელმწიფოს გადარჩენას“.

არისტოტელეს გამოთქმული აქვს აზრი სახელმწიფოზე სამართლის პრიმატის აუცილებლობის შესახებ: “ის, ვინც მოითხოვს კანონი ბატონობდეს, მოითხოვს, რომ ბატონობდეს ღმერთი და გონი, ხოლო ის, ვინც მოითხოვს ბატონობდეს ადამიანი, მას თავის მოთხოვნაში შემოაქვს ცხოველური საწყისი. კანონი არის გაწონასწორებული გონი“.

სპარტელმა ლიკურგემ ჩამოაყალიბა ხელისუფლების სამწვეროვანი გაყოფის სისტემა: მეფის, ხალხის და უხუცესთა ხელისუფლება. ხელისუფლების ასეთ გაყოფაში მან დაინახა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების პირობა. თავის ნაშრომში ლიკურგემ მოახერხა თითოეული მათგანის საუკეთესო სასარგებლო თვისებების წარმოჩენა, ასევე დააყენა საკითხი ამ სამ ხელისუფლებას შორის წონასწორობის აუცილებლობის შესახებ იმ მიზნით, რომ თითოეული მათგანი არ განვითარდეს უზომოდ, თითოეულმა მათგანმა შეაკავოს დანარჩენი და, ამავე დროს, თავისკენ არ გადაწონოს ისინი. სახელმწიფო ხელისუფლების სამწვეროვანი დაყოფის მიზანია საზოგადოება ერთდროულად იმყოფებოდეს მუდმივ წონასწორობასა და განვითარებაში.

ცნობილი ინგლისელი მოაზროვნის – ჯონ ლოკის აზრით სახელმწიფო არის სამართლის გამოვლინება, სადაც ბატონობს ისეთი კანონი, რომელიც შეესაბამება ბუნებით სამართალს, აღიარებს ინდივიდის გაუსხვისებელ ბუნებრივ უფლებებს და თავისუფლებებს, და სადაც განხორციელებულია ხელისუფლების განცალკევება. ასეთ სა-

ხელმწიფოს ის უპირისპირებს დესპოტიზმს. ამასთან, ლოკი აყალიბებს პიროვნების თავისუფლების პრინციპს სახელმწიფოსთან მიმართებაში: “თავისუფლება არის ვიმოქმედო ჩემი სურვილის შესაბამისად, როდესაც ამას არ კრძალავს კანონი“. აღსანიშნავია, რომ ლოკის მიერ ფორმულირებული ეს პრინციპი შემდგომში საფუძვლად დაედო სამართლის ზოგადსაკაცობრიო პრინციპს: “ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული“. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ უკანასკნელი პრინციპის მოქმედების არეალი იურიდიულმა აზროვნებამ მხოლოდ ინდივიდით შემოფარგლა. რაც შეეხება სახელმწიფოს და მის ორგანოებს, მათ მიმართ ჩამოყალიბდა მეორე პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად სახელმწიფოსათვის: “აკრძალულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის დაშვებული“.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა დაასაბუთა გამოჩენილმა ფრანგმა მოაზროვნემ მონტესკიემ. მონტესკიე სახელმწიფოს და მთლიანად საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების საფუძვლად მიიჩნევს ხელისუფლების გაყოფას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, დამყარებულს ურთიერთშეზღუდვის პრინციპზე.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფილოსოფიური დასაბუთება მოცემული აქვს კანტსაც. მისი აზრით სახელმწიფოს კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ემორჩილება იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომელიც ემყარება გონის კატეგორიულ იმპერატივს. კატეგორიული იმპერატივის გამოვლინება სახელმწიფოს სამართლებრივ ორგანიზაციაშია, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ხელისუფლებათა განცალკევებას. სახელმწიფოს ხელისუფლება თუ არ არის განცალკევებული, სახეზეა დესპოტიზმი, ხოლო თუ არის – რესპუბლიკა. კანტი აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის შემდეგ პრინციპს: “რაც ხალხს არ შეუძლია გადაწყვიტოს თავისთვის, არც კანონმდებელს შეუძლია გადაწყვიტოს ხალხისთვის“.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციამ თავისი პრაქტიკული განხორციელება პოვა გერმანიის, ავსტრიის, აშშ-ის და ზოგიერთი სხვა ცივილიზებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებსა და სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირების პრაქტიკაში.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის თვალსაზრისით სახელმწიფო განიხილება როგორც სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების, ანუ მთლიანად სამართლის განხორციელების ერთ-ერთი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი საშუალება. ამასთან, სამართალი არ ცვლის

სახელმწიფოს მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, საერთოდ პოლიტიკას, არამედ ათავსებს მას გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში, შეაქვს მასში სამართლიანობის იდეა. ამ თვალსაზრისით სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია მიმართულია სახელმწიფოს მოდიფიკაციისა, შეკავებისა და დაბალანსებისაკენ, რაც მიიღწევა კანონშემოქმედებაში სახალხო წარმომადგენლობის მონაწილეობაში (საკონსტიტუციო იუსტიცია), სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის და მისი ქვედანაყოფების საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში (ადმინისტრაციული სამართალი), მმართველობის სფეროში სამართალდარღვევათა სასამართლო განხილვაში (ადმინისტრაციული იუსტიცია), ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის სასარჩელო ფორმაში (სამოქალაქო იუსტიცია).

2. სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა თითოეული ადამიანის სასიცოცხლო სივრცის უზრუნველყოფა და დაცვა, იმ საარსებო მინიმუმის გარანტირება, რაც უზრუნველყოფს მის ღირსეულ არსებობას, და რადგან საარსებო მინიმუმში (როგორც მატერიალური, ისე სულიერი) ისტორიულად ცვლადი სიდიდეა, ამიტომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა უკვდავია. ინტერესთა პლურალიზმი არ არის მუდმივი, რომელსაც სახელმწიფო თვითნებურად განსაზღვრავს, ის ყოველთვის შეფარდებითია.

სამართლებრივი სახელმწიფოს ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა სოლიდარიზმის დამკვიდრება საზოგადოებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ერის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონსოლიდაციის, კონსენსუსის ატმოსფეროს შექმნას, თანამშრომლობის დამკვიდრებას, სოციალური დაძაბულობის მოხსნას, თანასწორობას უფლებამოვალეობებში.

აქსაჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საჯარო და კერძო სამართალი. საჯარო ანუ პოზიტიური სამართალი ანუ კანონმდებლობა მიმართულია ხელისუფლებათა საქმიანობის რეგულირებისაკენ, მაშინ, როდესაც კერძო სამართალი აწესრიგებს სამოქალაქო საზოგადოებას. საჯარო სამართალი უპირისპირდება იმ ბოროტებას, რომელიც ხელისუფლებებმა შეიძლება მიაყენონ ადამიანს. აქ ისახება ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის იდეა, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს როგორც საზოგადოებრივ ინსტიტუტს.

3. სამართლებრივი სახელმწიფო ახდენს სახელმწიფოს დებიუროკრატიზაციას, უფრო ზუსტად, აღკვეთავს ბიუროკრატიული სა-

ხელმწიფოს ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უშლის ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებას. მ. ვებერის თანახმად, ბიუროკრატიის როლი მთავრდება იქ, სადაც იწყება პოლიტიკური ლიდერის როლი და პირიქით. საქმე, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობის სხვადასხვა შინაარსშია. ბიუროკრატი არის დეპერსონალიზებული პასუხისმგებლობის მატარებელი პირი; მისი პასუხისმგებლობა ამოიწურება პასუხისმგებლობით მისი უწყებისა და ზემდგომი სტრუქტურის მიმართ, მისთვის უცხოა კონფლიქტური სოციალური დაძაბულობის დარეგულირება და ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის მცდელობა. პოლიტიკოსს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის, საჯარო ინტერესების ერთგულებისათვის. მაგრამ დროთა განმავლობაში, – მიაჩნდა მ. ვებერს, – პოლიტიკა კარგავს თავის სასიცოცხლო მუხტს – ბრძოლის სტიქიას, რის გამოც საბოლოო ჯამში ხდება პოლიტიკური ცხოვრების რაციონალიზაცია, სიცოცხლე კარგავს ვიტალურ ენერჯიას, ირაციონალურ ბუნებას. სწორედ შენიშნა ლორდმა აკტონმა: “ნებისმიერი ხელისუფლება ხრწნის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება ხრწნის აბსოლუტურად”.

ბიუროკრატიული სახელმწიფოსაგან თავის დაღწევის ძირითადი გზა, მ. ვებერის აზრით, არის რეფორმა ორი მიმართულებით: პირველი, აღმასრულებელი ხელისუფლების “პარლამენტიზაცია”, და მეორე პრეზიდენტის არჩევა პლებისციტის გზით. პირველი მიმართულება ორიენტირებული უნდა იყოს ინგლისურ პარლამენტარიზმზე, მეორე – გერმანულ რაიხსპრეზიდენტის ინსტიტუტზე.

4. სამართლებრივი სახელმწიფოს პირველი დამახასიათებელი ნიშანია ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების ქცევა სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრეს ამოცანად. სახელმწიფოს შეზღუდვას სამართლებრივი ნორმებით აზრი აქვს მხოლოდ იმ პირობით, თუ ხელისუფლების საქმიანობის ზღუდვს წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი. რამდენადაც დაუძლეველია ეს ზღუდე, იმდენად დემოკრატიულია სახელმწიფო, და მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება არსებობდეს სამოქალაქო საზოგადოება ანუ თვითმართვადი, თვითორგანიზებადი მოქალაქეთა საზოგადოება, რომელიც საჯაროობის უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა, საზოგადოება, რომელიც ფლობს სამართლებრივი საშუალებების მთელ კომპლექსს, და რომელიც უზრუნველყოფს მის თავდაცვისუნარიანობას,

სტაბილურობას და ევოლუციურ განვითარებას სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში.

საზოგადოების სამართლებრივი საშუალებების ამოსავალი პრინციპები ჩამოყალიბებულია კონსტიტუციაში. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდება იმაში, რომ თითოეული ადამიანი აღიჭურვება კონსტიტუციური უფლებების გარკვეული კომპლექსით სახელმწიფოს მიმართ, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს, იმოქმედოს კონსტიტუციური ნორმების მკაცრ ჩარჩოებში. ეს სფერო უმთავრესად მოიცავს სასამართლო იძულებას ანუ სახელმწიფოზე სასამართლო ძალაუფლების ზემოქმედებას, ზეწოლას ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისათვის მათზე პასუხისმგებლობის დაკისრების გზით. ეს სფერო მოიცავს ადამიანის პროცესუალური უფლებების მთელ სისტემას, მექანიზმს, რომელიც გამორიცხავს ხელისუფალთა თვითნებობას ადამიანის უფლებათა სფეროში. ამ დროს დაცული უნდა იქნეს მართლმსაჯულების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. ეს ეხება ისეთ ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიცაა სასამართლო პროცესში მონაწილეთა თანასწორობის პრინციპი. უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია ინდივიდისა და სახელმწიფო ორგანოს სასამართლო დავა, უკანასკნელის მიერ ადამიანის ძირითადი უფლება—თავისუფლების ხელმყოფი ნორმატიული აქტის გაუქმების თაობაზე.

საკონსტიტუციო იუსტიცია, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობის რწმენის განმტკიცებას იმის შესახებ, რომ ისინი ცხოვრობენ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებას უნარი შესწევს, აღიაროს და გამოასწოროს თავისი შეცდომები, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტურობა მიანიჭოს საკონსტიტუციო ნორმებს. ამ თვალსაზრისით, ადამიანის ძირითადი უფლება—თავისუფლებანი წარმოადგენენ არა მარტო ინდივიდის სახელმწიფოსაგან თავის დასაცავ ინდივიდუალურ საშუალებას, არამედ სახელმწიფო წყობილების მაკონსტრუირებელ ელემენტს. და როდესაც სასამართლო ახდენს სახელმწიფო ორგანოს ნორმატიული აქტის კორექტირებას, ამით იგი ფაქტიურად აყალიბებს სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდების კონსტიტუციურ კრიტერიუმებს.

ადამიანის პროცესუალური უფლებები საკონსტიტუციო იუსტიციის განხორციელების პროცესში ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებურ სამართალშემოქმედებას და სამართალშე-

ფარდებით საქმიანობას, რადგან სადავო საქმის გადაწყვეტის კრიტერიუმია არა მიმდინარე კანონმდებლობა, არამედ კონსტიტუციაში ფიქსირებული ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი. ამ თვალსაზრისით საკონსტიტუციო იუსტიციის სამართალშემოქმედება არ ეწინააღმდეგება დემოკრატიას, რადგან კონსტიტუცია აფიქსირებს საზოგადოების, სახელმწიფოებრიობის და მართლწესრიგის ფუნდამენტურ ღირებულებებს, რაც არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს ამ ღირებულებების მისადაგებას მუდმივად ცვლად სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ-ისტორიულ რეალებთან, მათ შორის, ერის სამართლებრივ შეგნებასთან. აქ არ არსებობს კონსტიტუციური იუსტიციის მიერ ხელისუფლების უზურპაციის საშიშროება, რადგან იგი მოხსნილია სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპის წყალობით, იმით, რომ დავის განხილვის დეტალური პროცედურა გამორიცხავს ბიუროკრატიზმს. საქმე ისაა, რომ სასამართლო ტრადიციულად უშუალოდ არ არის ჩართული პოლიტიკური ბრძოლის ბატალიებში. ჯერ კიდევ კანტმა სწორად შენიშნა, რომ სამართლიანობა უზრუნველყოფილია არა სამართლებრივი პრინციპებით, არამედ კანონების განხორციელების დემოკრატიული პროცედურით. არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფო მკაცრი პროცედურის გარეშე.

5. სამართლებრივია სახელმწიფო, თუ კი იგი ექვემდებარება კანონის უზენაესობას. კანონის უზენაესობის ხელშეწყობა არის მთავრობის ფუნდამენტური ვალდებულება. ამ თვალსაზრისით კანონის უზენაესობა სამართლის ზოგადი თეორიის შესწავლის უმთავარესი ობიექტია. სახელისუფლო ანუ მაღალ, და ამიტომ გაცილებით საპასუხიმგებლო დონეზე, კანონის უზენაესობა ნიშნავს ე.წ. კონტროლირებად მთავრობას, რომელიც ემორჩილება ზუსტ სამართლებრივ (მატერიალურ და პროცესუალურ) მექანიზმების მეოხებით ოფიციალური ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპს ეკონომიკის, სოციალურ, პოლიტიკის და კულტურის სფეროებში. უახლესმა ემპირიულმა და ეკონომიკურმა გამოთვლებმა უდაოდ დაადასტურეს იმ ქვეყნების მდგრადი განვითარება, სადაც ხელისუფალნი მტკიცედ მოექცნენ სამართლებრივი მექანიზმების ჩარჩოებში.

6. მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის ძალაუფლების გამიჯვნა და მათი საკონსტიტუციო რეგლამენტირება არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ საბოლოოდ მიღწეულიყო ხელისუფლების

სამივე ფორმის მიერ ურთიერთშეზღუდვის, ურთიერთშეკავების და წონასწორობის მდგომარეობა. თუმცა ხელისუფლების სამივე ფორმის ყველა გამოვლენა კონსტიტუციური კანონმდებლობით იყო რეგულატიური, მაგრამ არ არსებობდა რეალური ძალა, რომელიც აღკვეთავდა კონსტიტუციით დადგენილ ურთიერთშეზღუდვის, ურთიერთშეკავებისა და წონასწორობის დარღვევის ცდას, ან დარღვევის შემთხვევაში აღადგენდა ამ პრინციპს. ამიტომ კაცობრიობამ დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, როგორ შექმნილიყო მეოთხე ძალა, რომელიც რეალურად აიძულებდა დანარჩენ სამს, ემოქმედათ კონსტიტუციის ფარგლებში, თუკი ერთ-ერთი მათგანი შეეცდებოდა გასცდენოდა ან გასცდებოდა თავის უფლებამოსილებას.

ცივილიზებულმა კაცობრიობამაც არ დააყოვნა და XX საუკუნის მეორე ნახევარში დემოკრატიულმა ქვეყნებმა შექმნეს სახელმწიფოსაგან კონსტიტუციის ხელყოფის დამცავი ორგანო – საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოების უმთავრესი ფუნქციაა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება. უკანასკნელ წლებში ევროპაში საკონსტიტუციო სასამართლოების როლი მკვეთრად ამაღლდა და მათ ზოგჯერ “კონტრხელისუფლებას“, ზეპარლამენტულ ორგანოს უწოდებენ.

საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია კონსტიტუციური იურისდიქციით. კონსტიტუციურ იურისდიქციაში იგულისხმება ზემოაღნიშნულ ორგანოთა ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტების განხილვის პროცედურული (სასამართლო) ფორმა, რაც თავის მხრივ ემყარება მართლმსაჯულების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის წინამძღვარია საქმის აღძვრის სასარჩელო ფორმა დაინტერესებული უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა დარღვევის შემთხვევაში.

კონკრეტული დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობს კონსტიტუციით და კონსტიტუციური კანონებით, რაც გულისხმობს მათ სასამართლო ახსნა-განმარტებასაც, ეს უკანასკნელი კი მოასწავებს სამართლის ახალი ნორმის შექმნას, დაბადებას. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის

პირობებში კონსტიტუციური სასამართლოს ასეთ “სამართალშემოქმედება” ქმნის სამართლიანობის დამკვიდრების გარანტიებს. საქმე ისაა, რომ პიროვნებასა და სადავო აქტის გამოძეგმ ორგანოს შორის დავის განხილვისას, ისინი სასამართლოს წინაშე წარმოდგებიან როგორც თანასწორი მხარეები. მოქალაქეს საკონსტიტუციო სასამართლოში შეუძლია გაასაჩივროს ყველა ის ანტიკონსტიტუციური აქტი, რომელიც ხელყოფს მის კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებას.

მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს სადავო სახელმწიფო აქტის ლეგიტიმაციას, როდესაც მიიჩნევს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. უკანასკნელ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოები საბოლოო ჯამში ახდენენ საერთოდ ხელისუფლების ლეგიტიმაციას.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს დასახასიათებლად გამოდგება ძველი რომაელების მიერ შემუშავებული აფორიზმი: “ვინ უნდა მეთვალყურეობდეს იმას, ვინც ჩვენ გვმეთვალყურებს”.

საკონსტიტუციო სასამართლო არის უშუალო დემოკრატიის ყველაზე პროგრესული ფორმა. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს, აჩერებს ან ცვლის სახელმწიფო აქტს კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სასარგებლოდ, ის იმავდროულად, არაპირდაპირ ახდენს ადამიანთა და მათი კოლექტივების ძირითადი უფლება-თავისუფლების ლეგიტიმაციას, უფლება-თავისუფლებებს აქცევს სახელმწიფო წყობილების და მთლიანად მართლწესრიგის ელემენტად. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის ფარგლებს გარეთ გასვლის საშიშროება ამ დროს მოხსნილია სასამართლო პროცესის საჯაროობის, შეჯიბრებითობის და მართლმსაჯულების სხვა შემზღუდავი პრინციპების წყალობით. ერთი სიტყვით, მართლმსაჯულების განხორციელების დეტალური პროცედურა არის გარანტია თვით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლიანი კონსტიტუციური გადაწყვეტილების გამოტანისა.

საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავებს არა მარტო ადამიანთა და მათი კოლექტივების ძირითად უფლება-თავისუფლებათა შესახებ, არამედ დავებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის მათი კომპეტენციის, ფარგლების გამო. საკონსტიტუციო სასამართლოს დაქვემდებარებაში შედის დავა ენობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ უმცირესობათა უფლებების შემზღუდ-

ის გამოც, აგრეთვე სოციალურად დაუცველ პირთა დისკრიმინაციის შესახებ (პატიმრები, უცხოელები, ინვალიდები და ა.შ.)

საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც დემოკრატიული ინატიტუტის პროგრესულობა იმაში ვლინდება, რომ იგი წარმოადგენს კონსტიტუციის დამცველ ზეპარტიულ “დარაჯს” და, ამავე დროს, ჰონაწილეობას იღებს პოლიტიკურ “თამაშში” კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, ასრულებს “მომრიგებელი მოსამართლის” ფუნქციას.

ამრიგად, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი და ფუნდამენტური უფლებების წინაშე; კონსტიტუციის უზენაესობა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ; სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტი გამიჯვნა, დამყარებული ურთიერთშეზღუდვისა და კონსტიტუციური კონტროლის პრინციპზე.

ზემოაღნიშნულიდან უმთავრესია პირველი, რადგან სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ეფუძნება იმ ამოსავალ პრინციპს, რომლის თანახმადაც საელმწიფო კი არ “უწყალობებს” ადამიანს ძირითად უფლებებს, არამედ ადამიანის ძირითადი უფლების აღიარება და უზრუნველყოფა სახელმწიფოს იურიდიული ვალდებულებაა.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ საფრანგეთის 1789 წლის დეკლარაციის XVI მუხლში ვკითხულობთ: “საზოგადოებას, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი უფლებით სარგებლობა და არ არის განხორციელებული ხელისუფლების დაყოფა, კონსტიტუცია არა აქვს“. სწორედ ამ აზრით უნდა ვიზილავდეთ საკითხს სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის შესახებ. საწინააღმდეგო შემთხვევაში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებით დემაგოგიური ოპერირება მას აქცევს ბიუროკრატიული მმართველობის გარეგანი შელამაზების მორიგ კომპანიად. ამ ოცი წლის წინ ვამტკიცებდით და დღესაც ვამტკიცებთ: თუ კონსტიტუციაში ჩაწერილი თითოეული ძირითადი უფლება არ არის გარანტირებული შესაბამისი დარგობრივი უფლებაუნარიანობით, ანუ კონკრეტული უფლებების ისეთი კომპლექსით, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების რეალურ განხორციელებას, მაშინ ასეთი ძირითადი უფლება ფიქციაა, ხალხის მოტყუებაა.

ამავე თვალსაზრისით, თუ სახელმწიფო ორგანოებს შორის კონსტიტუციური კანონმდებლობით ზუსტად არ არის გამიჯნული ფუნქციები და მათ საქმიანობაზე არ არსებობს კონსტიტუციური კონტროლი, მაშინ ვამბობთ, რომ ფორმალურად კონსტიტუცია გვაქვს, მაგრამ ფაქტობრივად – არა.

ამრიგად, საუბარია არა ხელისუფლების დანაწილებაზე, არამედ განცალკევებაზე, ხელისუფლებათა გამიჯვნაზე, რადგან არ უნდა არსებობდეს ერთი ხელისუფლება და მისი სამი ნაწილი, არამედ უნდა იყოს სამი დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომლებსაც ერთი მიზანი აქვს – ადამიანის უფლებათა დაცვა, და ამ მიზანს ისინი აღწევენ ერთმანეთის შეზღუდვის მექანიზმით. რაც უფრო შეზღუდულია სამი ხელისუფლება ანუ მთლიანად სახელმწიფო, მით უფრო თავისუფალია პიროვნება ანუ სახეზეა სამოქალაქო საზოგადოება, და პირიქით.

ძირითადი უფლებების ფაქტობრივი განხორციელების შეუძლებლობას, კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დარღვევას და ხელისუფლების გაუნაწილებლობას მივყავართ იმ მდგომარეობამდე, როდესაც ერთმანეთის გამომრიცხავ წინააღმდეგობაში ექცევა სამართალი და მართლწესრიგი ანუ ის, რაც უნდა იყოს და რაც არის. ასეთ სოციალურ სისტემაში სამართალი იძლევა წესრიგის ილუზიას, მართლწესრიგი კი ამკარად მიგვანიშნებს არა წესრიგზე, არამედ ანარქიაზე.

მაგრამ აქ სხვა არსებითი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით: როგორ უნდა დავეუკავშიროთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები ეროვნული სამართლიანობის იდეას, ერის სამართლებრივ სულს? სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების მექანიკური მიღება ზომ არ დაასუსტებს ეროვნული თვითშეგნების ზეალსვლას? არავითარ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, უარს ვიტყვით ქართველი კაცის, და საერთოდ, ცივილიზებული ადამიანის ბუნებისათვის მიუღებელ სამართლის მარქსისტულ-ლენინურ განმარტებაზე: სამართალი არის კანონში აყვანილი გაბატონებული კლასის ნება. ქართველთა ისტორიული პრობლემა მუდამ იყო და არის ერის კონსოლიდაცია და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და არა რომელი კლასის ბატონობა.

აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის შეგუება ეროვნულ თვითშეგნებასთან დასაშვებია იმ პირობით, თუ სამართალს განვიხილავთ არა როგორც გაბატონებული კლასის ნებას, არამედ იმ ნების კონცენტრირებულ გამოხატულებას, რომელიც ემყარება გარკვეულ ისტორიულ საზღვრებში მოქცეული ერის პოლიტიკურ,

ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ ტრადიციებს, მიმართულს ერთიანი, განუყოფელი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ.

თუ კანონი მოწყვეტილია ერის სულს, მაშინ იგი ამახინჯებს მის ფსიქიკას, ფიტავს და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ ინფანტილად აქცევს მას. ყოველ ერს სამართლის ავტონომიური ისტორია აქვს და ამიტომ ქვეყნების სამართლებრივი ნორმების, თუნდაც ზოგადსაკაცობრიო პრინციპების მიღებამ, არ უნდა დაასუსტოს ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული და ისტორიულად ჩამოყალიბებული მართლშეგნება. ეროვნული კანონმდებლობის ნერგზე შეიძლება დაემყნოს ის კალამი, რომელიც ნერგს შეეზრდება და ნაყოფს გამოიღებს.

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დიდი კოდიფიკატორის – ვახტანგ VI სიტყვებს: “ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰკავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ჩვეულებათა. სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალადი და უკადრისი. ამათ ესე ვით არისა სამართლიანი სხვათა განაჩენთა შინ მოკლედ იპოვების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უხმარ არს”.

უფრო მეტი, ზოგადსაკაცობრიო ასპექტში ნიშანდობლივია დიალექტიკური აზროვნების გიგანტის ჰეგელის სიტყვები: „პროგრესი ხორციელდება კავკასიური რასის მეშვეობით, მხოლოდ კავკასიურ რასაში სულ მოდის აბსოლუტურ ერთიანობაში თავის თავთან, აღწევს თვითგანვითარებას და, ამდენად, განახორციელებს მსოფლიოს ისტორიას“!

3. სახელმწიფოს ფუნქციები

ფუნქცია ლათინური სიტყვაა და შესრულებას ნიშნავს. დღეს ამ ტერმინს შემდეგი აზრით ხმარობენ: დანიშნულება, მოვალეობა, როლი, მიზანი.

რა დანიშნულება, მოვალეობა, როლი, მიზანი ანუ ფუნქცია აკისრია სახელმწიფოს?

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ სახელმწიფოს უნივერსალურ და პარტიკულარულ ფუნქციებს.

სახელმწიფოს უნივერსალური ფუნქცია. ყველაზე უფრო ძველი და საცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა თეორია, რომელიც სა-

¹ Гегель. Лекции по философии истории, М. 1988. стр. 164-165

ხელმწიფოს ფუნქციად მიიჩნევა ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობას. მაგრამ მოგვიანებით ის გახდა სახელმწიფო აბსოლუტიზმისა და პოლიციური სახელმწიფოს კლასიკური თეორია, რადგან კეთილდღეობა იმდენად მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ცნებაა, რომ მისი მეშვეობით ოფიციალურად შექმნილი გაემართლებინა და ამართლებდა კიდევ თვითნებობასა და რეპრესიებს. ამიტომაც, რომ იგი საკმაოდ მეცნიერული საღრმით დამუშავდა მე-18 საუკუნეში, ე.წ. განათლებული აბსოლუტიზმის ეპოქაში.

თვითნებობა და რეპრესიები გაუგონარი მასშტაბით გამოიყენეს ბოლშევიკებმა კომუნისტების, როგორც ხალხთა კეთილდღეობის საზოგადოების მშენებლობის საბაბით, მაშინ, როდესაც ფაქტობრივად ის ემსახურებოდა რუსული იმპერიის შენარჩუნებას. კომუნისტური მსოფლმხედველობა იქცა რუსული პოლიციური სახელმწიფოს იდეოლოგიური დასაბუთების თეორიად. უფრო მეტი, პირველი კომუნისტი ბაბეფი და მისი მიმდევარნი მიუთითებდნენ კომუნაზე, სადაც მატერიალური და სულიერი საკუთრებით სარგებლობა დამოკიდებული არ იყო ინტელექტუალურ უნარზე, რაც ფაქტობრივად საზოგადოებას აქცევდა კატორღულ ციხედ, რადგან მასში იმეფებდა გლობალური ინტელექტუალური თანასწორობა, ეს კი საბოლოოდ საზოგადოებას კულტურულ დეგრადაციამდე მიიყვანდა. XX საუკუნის დასაწყისში გეორგ ელინეკი აფრთხილებდა კაცობრიობას: “ყველას კეთილდღეობის თეორიას საბოლოო ჯამში მივყავართ უმაღლეს კულტურულ ღირებულებათა გაქრობამდე, სულიერი და მორალური ღირებულებების მდაბიოთა დონეზე დაყვანამდე და არა პირიქით, რადგან რეალურად უფრო შესაძლებელია მაღალი ინტელექტის ადამიანი აიძულო იაზროვნოს მდაბიურად, ვიდრე მდაბიოს დააძალო იაზროვნოს მაღალ ინტელექტუალურ დონეზე. გარდა ამისა, თავად სიკეთე ყოველთვის ფასდება პარტიული თვალთახედვით და განპირობებულია ხელისუფლების მფლობელი პირის სუბიექტური შეხედულებებით”.

ამრიგად, კეთილდღეობის ცნება ზედმიწევნით ფართოა და მოკლებულია ნორმატიულობას, რის გამოც ის ვერ გახდება სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანი.

აღსანიშნავია აგრეთვე თეორია, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციად უსაფრთხოებას მიიჩნევს. უსაფრთხოების ცნებაც, ისევე როგორც კეთილდღეობისა, ზედმიწევნით ფართოა, რადგან ძალაუფლების მქონე ხელისუფლებას უსაფრთხოების დაცვის საბაბით შეუძლია დაამყაროს ტოტალიტარული რეჟიმი.

ასევე მიუღებელია თავისუფლების დაცვის აღიარება სახელმწიფოს ერთადერთ ფუნქციად, რადგან ზოგადად თავისუფლების ცნება ქმნის ანარქიის პირობას, სადაც ყოველგვარი ქვეყნის ნორმირება დაუშვებლადაა მიჩნეული, და ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს საჭიროების საკითხიც არ დაისმება.

ამრიგად, კეთილდღეობა, უსაფრთხოება და თავისუფლება თავისი შინაარსით ნორმატიულობას არ შეიცავს, რის გამოც ისინი აბსტრაქტულ ცნებებად იქცევიან და ფაქტობრივად კოსმოპოლიტიზმს ქადაგებენ.

კაცობრიობას, როგორც მთლიანს არასოდეს უარსებია, კაცობრიობის ისტორია ფაქტიურად ერების ისტორიაა. “კაცობრიობა საერთოდ” ფიქციაა, რეალობა არაა. ერი ნორმატიულად ორგანიზებულ ადამიანთა ერთობაა (ერი – ერთობა). ერთი თვალის გადავლებითაც ცხადია, რომ ისტორიის სუბიექტები ყოველთვის იყვნენ ერები. ეს კონცეფცია მეცნიერულ დონეზე აქვს დასაბუთებული მიხაკო წერეთელს ნაშრომში “ერი და კაცობრიობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფოს უნივერსალური ფუნქცია ყოველთვის იყო და დღესაც არის ერის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. თუმცა იყო და დღესაც არიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ამ ფუნქციის გარდა წარსულშიც და ახლაც ახორციელებენ სხვა ერების ტერიტორიების დაპყრობას. ქართველი ერის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, როგორც სახელმწიფოს უნივერსალური ფუნქცია, არის ეროვნული (ნაციონალური) სუვერენიტეტის, ერის ნორმატიული მთლიანობის დამკვიდრება. ამრიგად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი არის ეროვნული სუვერენიტეტის სამართლებრივი გაფორმება ანუ სამართლებრივ ნორმებში ჩამოყალიბებული ეროვნული სუვერენიტეტი. მაგრამ ერის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა სახელმწიფოს ფუნქციის ერთი მხარეა, ის ახასიათებს სახელმწიფოს საგარეო ფუნქციას. სახელმწიფოს უნივერსალური ფუნქციის მეორე მხარე საშინაო ფუნქციაა, რაც ერის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ორგანიზაციაში გამოიხატება. საბოლოო ჯამში სახელმწიფოს საშინაო ფუნქცია ერის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სფეროების გამთლიანება, მისი ერთ სხეულად ჩამოყალიბება, კონსოლიდაციაა.

ერის კონსოლიდაცია სამართლის ყველა სუბიექტის, მათ შორის, თავად სახელმწიფოს, როგორც სამართლის სუბიექტის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტერესების და უფლე-

ბების აღიარება—დაცვასაც გულისხმობს. სახელმწიფო არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ მოვალეობის მატარებელი სუბიექტი. ის ამავე დროს განსაზღვრულ უფლებათა მატარებელია, მაგრამ ამ უფლებების სპეციფიკა ისაა, რომ ხელისუფლება არსებითად უნდა წარმოადგენდეს ერის იმ უფლებებს, რომლებსაც ეს უკანასკნელი ანდობს მის მიერვე არჩეულ სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების სახით.

მაგრამ ერს არ შეუძლია იარსებოს იზოლირებულად, სხვა ერებთან მრავალმხრივი ურთიერთობის გარეშე. ერებს თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებლობა კარნახობს დაამყარონ ურთიერთობები. ასეთი ინტერესების დაკმაყოფილებას ისინი აღწევენ მათ მიერ „პიპოთეტური საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ საფუძველზე შექმნილი სახელმწიფოების მეშვეობით. თავიანთი ერების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფოები დებენ ერთმანეთთან ინდივიდუალურ სა-ერთა-შორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ადგენენ ხელშეკრულებაში მონაწილეთა ქცევის წესებს. ინდივიდუალური სა-ერთა-შორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქცევის წესების შესრულება, მათი მრავალჯერადი და პრაქტიკით აპრობირებული განმეორების პროცესში იძენენ ჩვეულებითი სა-ერთა-შორისო სამართლის სახეს, ტიპიური სა-ერთა-შორისო ხელშეკრულებების ფორმას. ასე ყალიბდება სა-ერთა-შორისო სამართალი ანუ ყველა ერის წარმომდგენი თვითიული სახელმწიფოს ქცევის სავალდებულო, ზოგადი ნორმა-პრინციპები. სხვა სიტყვებით, საერთაშორისო სამართალი არის იმ სამართლებრივი ნორმა-პრინციპების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს ერების წარმომდგენ სახელმწიფოებს შორის. (ამიტომ ქართული ტერმინი „საერთაშორისო“ სიღრმისეულად ასახავს მოვლენის არსს. ქართულისაგან განსხვავებით ლათინური „nation“ ერთმანეთში ითავსებს ერის და სახელმწიფოს ცნებებს, რაც თუმცა სიზუსტეს მოკლებულია, მაგრამ ლათინურენოვან ხალხებს პრობლემებს არ უქმნის.)

ამასთან, თვითიული სახელმწიფო არის შესაბამისი ერის საჯაროდ წარმომდგენი თანამდებობის პირების კონსტიტუციით განსაზღვრული ერთობლიობა, რომელიც მოქმედებს ქვეყნის შიგნით და გარეთ ამ ერის სახელით. ასე მაგალითად, საფრანგეთი არის ფრანგი ერის სახელმწიფო, გერმანია არის გერმანელი ერის სახელმწიფო,

ირანი არის ირანელი ერის სახელმწიფო, ჩინეთი არის ჩინელი ერის სახელმწიფო, ბრაზილია არის ბრაზილიელი ერის სახელმწიფო, საქართველო არის ქართველი ერის სახელმწიფო და ა.შ. აქედან გამომდინარე, მაგალითად, გერმანია არ არის იქ მაცხოვრებელი თურქების სახელმწიფო, საფრანგეთი არ არის იქ მაცხოვრებელი არაბების სახელმწიფო, ისევე როგორც საქართველო არ არის მასში მცხოვრები ოსის, ქურთის, რუსის, აფხაზის, ბერძენის სახელმწიფო. საერთაშორისო სამართლის თანახმად ამ ქვეყნებში მცხოვრები არამკვიდრი ეთნოსების წარმომადგენლები წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს და მათი მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებები დაცული უნდა იყოს ეროვნული უმრავლესობის თანაბრად. ერთადერთი უფლება, რასაც ისინი არ ფლობენ ეს არის სახელმწიფო ტიპის წარმონაქმნის ფორმირება ეროვნული უმრავლესობის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. წარმოდგენელია, მაგალითად, რომ თავის ტერიტორიაზე გერმანიამ, საფრანგეთმა ან ევროპის სხვა ქვეყანამ დაუშვას, მაგალითად, თურქული, სომხური და არაბული ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმირება, ანდა სახელმწიფო ხარისხის აღიარება იმ ეროვნული უმცირესობისათვისაც კი, რომელსაც სხვა სამშობლო არ აქვს. სტატისტიკი თანახმად მსოფლიოში 1200-დე ეროვნული უმცირესობაა, რომელთაგან 700-ზე მეტს სხვა სამშობლო არ აქვს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რა ვაკხანალია ატყდება მსოფლიოში მათგან თუნდაც ნახევარმა სახელმწიფო ხარისხის მქონე ავტონომია რომ მოითხოვოს.¹

ასე რომ ეროვნული სახელმწიფოების უფლებები დაცულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა-პრინციპებით.² სხვა საკითხია, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა-პრინციპების განხორციელების რამდენად ეფექტური საერთაშორისო მექანიზმი არსებობს. აი აქ კი ნამდვილად საჭიროა მთელი ძალისხმევა, რათა მკვეთრად გაუმჯობესდეს მცირე ანდა განვითარებადი ერების სახელმწიფოების სუვერენული უფლებების დაცვა დიდი ანდა განვითარებული ერების ეკონომიკური, პოლიტიკური ან სამხედრო აგრესიისაგან.

¹ საქართველოს ყველა მოქალაქე როგორც მოქალაქე ქართველია, დამოუკიდებლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა.

² ბიძინა სავანელი, საერთაშორისო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა "კოლორ-პრინტ", თბ., გვ., 23

ამრიგად, სახელმწიფოს უნივერსალურ ფუნქციას ასევე წარმოადგენს უზრუნველყოს სახელმწიფოდ ორგანიზებული თვითიული ერის ყოველმხრივი და მდგრადი განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სახელმწიფოს პარტიკულარული ფუნქციები. სახელმწიფოს პარტიკულარული ფუნქციები არსებითად სხვა არაფერია, თუ არა მისი ორგანოების ფუნქციები. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის მიხედვით სახეზე გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები.

ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტებით, რომლებიც ადგენენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების სამართლებრივ სტატუსს, მათ უფლებამოსილების ფარგლებს ანუ მათ ფუნქციებს. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებათა წრე ანუ მათი კომპეტენცია.

სახელმწიფოს პარტიკულარულ ფუნქციებს შორის უნდა განვასხვაოთ ისეთები, რომელთა განხორციელებას უშუალოდ სახელმწიფო იღებს თავის თავზე, და ფუნქციები, რომელთა განხორციელების პირობებს ქმნის იგი.

პირველი რიგის ფუნქციები მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს უშიშროების დაცვას, აგრეთვე, საზოგადოების ეკონომიკური სტაბილურობისა კენ მიმართულ ღონისძიებებს, ე.ი. ფუნქციებს, რომლებიც ქმნიან საზოგადოების არსებობის მინიმალურ პირობებს. მათ შეიძლება ეწოდოს სტაგნაციური ფუნქციები.

პირველი რიგის ფუნქციებში შედის აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ადამიანის ბუნებით თანდაყოლილი, ფუნდამენტური უფლებების უშუალო აღიარება და დაცვა: საცოცხლის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მატერიალური უზრუნველყოფის უფლებები, პოლიტიკური თავისუფლებანი და სხვ. ეს ის მინიმალური უფლებებია, რომლებსაც რეალურად და თანასწორად ფლობს თითოეული ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, და რომელთა აღიარება და დაცვა სახელმწიფოს უშუალო მოვალეობაა. ეს სფერო მოიცავს სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას, რომელიც ძირითადად კონსტიტუციური კანონმდებლობით წესრიგდება.

მეორე რიგის ფუნქციები მოიცავს სახელმწიფოს იმ ფუნქციებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოების პროგრესული განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნისაკენ. ცნობილია, რომ სახელმწიფოს უშუალოდ არ შეუძლია შექმნას მეცნიერება, ხელოვნება, ვაჭრობა და ა.შ., ე.ი. მას არ შეუძლია უშუალოდ განაზოგადოს საქმიანობა ამ სფეროებში. ექიმის, მეცნიერის, პედაგოგის, კომერსანტის, ხელოვანის საქმიანობა ყოველთვის ინდივიდუალურია და ამ პირთა მოღვაწეობა არ შეიძლება გახდეს სახელმწიფოს ფუნქციის უშუალო შინაარსი. სახელმწიფოს შეუძლია და ახდენს კიდევაც მათ სანქცირებას ანუ ადგენს ამ პირთა უფლებამოსილების წრეს, განსაზღვრავს მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს არ შეუძლია შეცვალოს ინდივიდი. ამ სფეროში სახელმწიფოს შეუძლია და აკეთებს კიდევაც ერთს – აღიარებს ინდივიდთა უფლებათა-რიანობას, ე.ი. აბსტრაქტულ უფლებას, შეიძინონ კონკრეტული უფლებები და მოვალეობები კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იყვნენ სამართლის ცალკეული დარგებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ანუ სამართლებრივი ურთიერთობის კერძო სუბიექტები (ქონებრივი, შრომითი, ორგანიზაციული და ა.შ.). საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ სფეროებში სახელმწიფოს ობიექტურად არ შეუძლია შექმნას უფლებათა თანასწორობა, რადგან კონკრეტულ უფლებათა მოცულობა დამოკიდებულია თითოეული ინდივიდის განუმეორებელი განსხვავებული ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი შესაძლებლობებისაგან. ამ განუმეორებელი თვისებების წყალობით თითოეულ ინდივიდს სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობა უკავია საზოგადოებაში: ინდივიდები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქონებრივი მდგომარეობითაც, რის გამოც საერთო ჯამში იმ უფლებების მოცულობა, რომლებიც მათ შეუძლიათ შეიძინონ უფლებათა-რიანობის საფუძველზე, სხვადასხვა იქნება. ამრიგად, აქ საუბარია განსხვავებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ სტატუსზე.

საჯარო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ნორმებისაგან გაისხვავებით, კერძო სამართლის ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში უთანასწორობა კერძო უფლებებში სამართლიანია.

სახელმწიფოს ვალდებულია ყველა ინდივიდი თანაბრად, ინდივიდუალური თავისებურებების მიუხედავად, აღიაროს სამართლის სუბიექტად ანუ ცნოს და დაიცვას მათი თანასწორობა ძირითად უფლე-

ბებში, მაგრამ მას არ შეუძლია გაათანასწოროს ინდივიდები იმ უფლებებში, რომელთა მოპოვება დამოკიდებულია ინდივიდის განუმეორებელ ინტელექტუალურ, ფიზიკურ თუ სულიერ შესაძლებლობებზე, რადგან, ვიმეორებთ, სახელმწიფოს არ შეუძლია შეცვალოს ინდივიდი. მას შეუძლია და ქმნის კიდევაც ისეთ სამართლებრივ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს პიროვნების ინდივიდუალურობის გამოვლენას. ერთ-ერთი ასეთი სამართლებრივი პირობაა პიროვნების უფლებაუნარიანად ცნობა ანუ უფლებების ისეთი წრის მოპოვების შესაძლებლობის აღიარება, რაც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინოს თავისი ინდივიდუალური თავისებურებანი კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში და, ამავე დროს, უზრუნველყოს ძირითადი უფლებების მრავალმხრივი გამოყენება, რამეთუ ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა არის მთლიანად საზოგადოების პროგრესის პირობა. იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ზღუდავს უფლებაუნარიანობას, ცდილობს მოახდინოს ინდივიდუალურ თავისებურებათა ნიველირება ადგილი აქვს დიქტატურას.

მეორე სამართლებრივი ფუნქციაა ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური შესაძლებლობების შეუზღუდავ გამოვლენას, ხოლო ასეთი შესაძლებლობების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შემთხვევაში იძულების წესით დაიცავს პიროვნებას. უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკობენ სახელმწიფოს რეპრესიულ ფუნქციაზე.

ინდივიდებისა და მათი გაერთიანებების, ერთი მხრივ, ფუნდამენტური, თანდაყოლილი, ბუნებრივი უფლებების და, მეორე მხრივ, უფლებაუნარიანობის აღიარება და დაცვა ის აბსოლუტური სამართლებრივი ღირებულებებია, რომლებსაც სახელმწიფომ იძულებულია გაუწიოს ანგარიში, თუ, რა თქმა უნდა, არ სურს მოახდინოს თვითლიკვიდაცია. აქედან გამომდინარე, ტოტალიტარიზმი პრინციპულად განწირულია. თუკი გავაერთიანებთ სახელმწიფოს უნივერსალურ და პარტიკულარულ ფუნქციებს, საბოლოოდ ისინი დაიყვანება სამ ძირითად მნიშვნელობამდე. ესენია: ინდივიდუალური, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფუნქციები.

4. სახელმწიფოს შესახებ

თანამედროვე თეორიები

იურიდიულ მეცნიერებაში სახელმწიფოს ფუნდამენტური კვლევა გამოჩენილი გერმანელი იურისტის გეორგ ელინეკის სახელთანაა დაკავშირებული. მისი აზრით სახელმწიფოს ორი ასპექტი აქვს: სოციალური და იურიდიული. ამის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფოს ორ გაგებას: სოციალურს და იურიდიულს. სახელმწიფო როგორც სოციალური მოვლენა არის სოციოლოგების კვლევის საგანი, ხოლო სახელმწიფო როგორც იურიდიული მოვლენა, იურიდიულ მეცნიერებას განეკუთვნება.

სახელმწიფო როგორც იურიდიული მოვლენა ცნობიერდება სამართლის სუბიექტის სახით, ე.ი. იურიდიული მეცნიერების კვლევის საგანი არის სახელმწიფო როგორც სამართლის სუბიექტი. გ. ელინეკის აზრით სახელმწიფო როგორც სამართლის სუბიექტი არის იურიდიული პირი, კორპორაცია ან კოლექტიური პირი. ამ იურიდიული პირის, კორპორაციის, კოლექტიური პირის შემადგენელი ნაწილებია სახელმწიფო ორგანოები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის, ორგანოები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ამავე დროს, სახელმწიფო არის ამ ორგანოების სისტემა, იგი მათ გარეშე წარმოუდგენელია. სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ ამ ორგანოების მეშვეობით. ეს ორგანოები აღჭურვილნი არიან გარკვეული უფლებებით ანუ კომპეტენციით, რომელთა ჯამი ქმნის სახელმწიფოს იურიდიულ ფიგურას ანუ სამართლებრივ ენაზე - იურიდიულ პირს.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი ა. ესმენი ასევე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო არის სამართლის სუბიექტი იურიდიული პირის ფორმით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის პერსონიფიცირებული სამართლებრივი ნორმა, იურიდიული პერსონა.

სახელმწიფოს, როგორც იურიდიული სუბიექტის გაგება თავისი უკიდურესი ფორმით გამოვლინდა კელზენის "სამართლის წმინდა თეორიაში". კელზენის აზრით, სახელმწიფო, როგორც პოზიტიური სამართლის ნაწილი, სამართლებრივ ნორმათა, უფრო სწორად, სახელმწიფო სამართლის ნორმათა იერარქიაა. კელზენი შემდგენაირად მსჯელობს: სახელმწიფო არ არის ბუნების შემოქმედების პროდუქტ-

ტი, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების ნაყოფია. ამიტომ ის უნდა განვიხილოთ როგორც აზროვნების შედეგი, აზროვნებითი წარმონაქმნი, იდეალური სისტემა, და რადგან ასეთი აზროვნება ნორმატიულია თავისი ბუნებით, ამიტომ სახელმწიფო სამართლის ნორმების შემოქმედებაა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა კი არ ქმნის ნორმათა იერარქიას, არამედ პირიქით, ნორმათა იერარქია ქმნის სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურას ანუ იერარქიას. სახელმწიფო არის ცენტრალიზებული სამართლებრივი წესრიგი.

სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია ინსტიტუციონალისტების სახელთან. მათი წარმომადგენელია ორიუ, შემდგომში – რენარი და რომანო. ეს მიმდინარეობა პოზიტივისტებსა და ნორმატივისტებს საყვედურობდა, რომ უყურადღებოდ ტოვებდნენ სხვა სოციალურ ინსტიტუტებს და მთელი ყურადღება გადააქონდათ სახელმწიფოზე, რომელიც მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი სამართლებრივი ინსტიტუტია. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, საწარმოო გაერთიანებები, ეკლესიები და სხვა ინსტიტუტები არანაკლები ძალის წარმონაქმნებია. თითოეულ ინსტიტუტს თავისი სამართლებრივი ორგანიზაცია და სამართალი აქვს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო მითუმეტეს, თანამედროვე პირობებში კარგავს ხელისუფლების მონოპოლიას და ინაწილებს მას სხვა ინსტიტუტებთან ერთად. ყველა შემთხვევაში აღნიშნული ინსტიტუტები უპირატესად სამართლებრივია. მათში აქცენტი გადატანილია უფრო ინსტიტუტის სამართლებრივ გაფორმებაზე, ვიდრე მის სოციალურ შინაარსზე. ამ მიმართულების წარმომადგენელთათვის ყოველგვარი ინსტიტუტი წარმოადგენს თავისებურ “იურიდიულ წესრიგს“. სახელმწიფოსთან მიმართებაში ეს მიმდინარეობა პრინციპულად არ განსხვავდება ნორმატივისტებისაგან. მათთვის სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა ამ ინსტიტუტის მაკონსტრუირებელი სამართლებრივი ნორმა. მაგალითად, რომანო ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს რეალობა აკუმულირებულია მოქმედ სამართალში, სახელმწიფო მოქმედია იმდენად, რამდენადაც მოქმედი სამართლის ნაწილია.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მისი დასასრულისათვის პოზიტივიზმი მისი უკიდურესი ფორმით – ნორმატივიზმით, ასევე ინსტიტუციონალიზმი, კომპრომიტირებული აღმოჩნდა, რადგან ფა-

შიზმმა კითხვის ქვეშ დააყენა მოქმედი სამართლის სამართლიანობა. ფაშისტური კანონები მართალია უსამართლო, მაგრამ მაინც კანონი იყო. ამიტომ კაცობრიობამ დაიწყო კანონების სამართლიანობის მაკონტროლებელი სხვა სამართლებრივი მექანიზმის ძიება. ეს ძიება წარმატებით დასრულდა. ჩამოყალიბდა თეორიები: "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს", "პოლიტიკური პლურალიზმის", "სამართლებრივი სახელმწიფოს" შესახებ. ამრიგად, კრიზისის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ კანონმა, მოქმედმა სამართალმა, ვერ შეძლო დაემორჩილებინა სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ხოლო ინსტიტუციონალიზმი არ გასცდენია მეცნიერულ წიგნებს. საჭირო გახდა საზოგადოების ინსტიტუტებს შორის წონასწორობის აღდგენა, რომელიც აღკვეთავდა ხელისუფლების უზურპაციას. ამის მიღწევა ისევ და ისევ სამართლებრივი ნორმებით შეიძლებოდა. კონტინენტურმა ევროპამ "სამართლებრივი სახელმწიფოს" იდეის რეანიმაციითა და სახელმწიფო სტრუქტურებში მისი პრაქტიკული დანერგვით გამოსავალი იპოვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა ზოგიერთი ინგლისელი მეცნიერი. მაგალითად, უაილისა და ფილიპის აზრით, ხელისუფლების დაყოფა უნდა ნიშნავდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. ამასთან, ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად ფიქციაა, რადგან მეორე პირველის გაგრძელებაა. აღსრულება სხვა არაფერია, თუ არა კანონის დაცვა, მაშინ, როდესაც სასამართლო ხელისუფლება გულისხმობს მის მიერ არა მარტო კანონების აღსრულებას, არამედ აგრეთვე გარკვეული ზომით სამართალშემოქმედებას და კონტროლს საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობაზე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შერწყმის გამო საჭირო გახდა მათი შემაკავებელი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. ასეთ მექანიზმად იქცა სასამართლო სისტემა, რომელმაც შეძლო შემაკავებელი როლი ეთამაშა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფართო გაგებას აყალიბებს ინგლისელი მეცნიერი ვაილი. მისი აზრით, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ასაბუთებს ე.წ. "კონსტიტუციური მმართველობის" უპირატესობას, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვის ინსტიტუტს. მაგრამ სახელმწიფო მას ესმის უფრო ფართოდ, ვიდრე ამას განსაზღვრავს კლასიკური დოქტ-

რინა. მისთვის სახელმწიფო მოიცავს არა მარტო საკუთრივ სახელმწიფო ორგანოებს, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებს – პარტიებს და სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობებს. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია გულისხმობს ამ პოლიტიკურ ძალებს შორის ხელისუფლების სამართლებრივ განაწილებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ფუნქციებიც მას ესმის, როგორც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთმიმართების რეგულირება, რაც მოიცავს სახელმწიფოს ორგანოების ურთიერთობას პიროვნებებთან და მათ გაერთიანებებთან. აქ გამოიკვეთება სწორედ პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტებს შორის ურთიერთკონტროლის ფუნქცია, რაც სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის წონასწორობის გარანტიაა.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ეხმაურება მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი ინგლისელი მეცნიერის – დაისის თეორიას “სამართლის ბატონობის” შესახებ. დაისისათვის მიუღებელია ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის სისტემა, რომელიც სახელმწიფოს ადმინისტრაციას აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში: თანამდებობის პირები თავის მოქმედებაზე პასუხს აგებენ სპეციალურ ადმინისტრაციულ სასამართლოებში და არა საერთო წესით. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა გულისხმობს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა თანასწორობას პასუხისმგებლობის საკითხშიც (მხედველობაშია არა ფაქტობრივი თანასწორობა, არამედ პრინციპი).

ვაილის კონცეფციას გარკვეულად ეხმაურება ადრე ფედერაციულ გერმანიაში ფართოდ გავრცელებული თეორია “პარტიული სახელმწიფოს” შესახებ. საქმე ისაა, რომ ფედერაციული გერმანიის კონსტიტუციური წყობილება და პოლიტიკა ფაქტობრივად და იურიდიულად მნიშვნელოვანწილად პარტიის სოციალური აქტივობით განისაზღვრება. სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, არსებითად ასახავენ პოლიტიკური პარტიების ლეგიტიმურ როლს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში. ასეთია ოფიციალური დოქტრინა. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური პარტიების როლი გამოიხატება ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებასა და მათ პრეტენზიაში – გახდნენ ოფიციალური ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილი. ამ მიზანს ისინი აღწევენ საინფორმაციო საშუალებების საკუთარი სისტემით, საპარლამენტო დებატებით, საარჩევნო და სასამართლო მექანიზმების გამოყენებით და სხვა კანონიერი საშუალებებით.

“პარტიული სახელმწიფოს“ დოქტრინის მთავარი წინაპირობაა მოწინააღმდეგე პარტიების არსებობის აუცილებლობა, ალტერნატიული პოლიტიკური პოზიციების არსებობა. პარტიათა შორის პოლიტიკური პირისპირდგომა განიხილება როგორც პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველი. მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ თვით შეჯიბრების ატმოსფერო ახდენს პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციას. უფრო მეტიც, როგორც ცნობილი გერმანელი მეცნიერი – რაისნერი ამბობს: საკმარისია, როდესაც ხალხი კმაყოფილდება პოლიტიკური დარტყმების გაცვლის ხილვით. ბრძოლა – აი, რა არის მნიშვნელოვანი, და არა ბრძოლის შედეგი. სისტემა იღუპება, თუ დამყარდება პოლიტიკური მშვიდობა.

ფრანგი მეცნიერი ფ. პარინი ყველა თანამედროვე რეჟიმს ასხვავებს იმაზე დამოკიდებულებით, აღიარებენ თუ არა ეს რეჟიმები ხელისუფლების განცალკევების და რა ფორმით, ხოლო პარლამენტური ტიპის რეჟიმების განსხვავების კრიტერიუმად მათი დემოკრატიულობის თვალსაზრისით იყენებს საკანონმდებლო საქმიანობაში პოლიტიკურ პარტიათა მონაწილეობის ხარისხს.

დასავლეთის სახელმწიფოს თეორიაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პროფესიული კადრების პრობლემა. დასავლეთის მეცნიერები განაწილებული ხელისუფლებების პირობებში საჯარო ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირების პირობად შესაბამისი აპარატის პროფესიონალებით დაკომპლექტებას მიიჩნევენ. დასავლეთის ბევრი პოლიტოლოგი ანაქრონიზმად თვლის თუნდაც განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პირების პარლამენტში გაერთიანებას. მათი აზრით, საპარლამენტო უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის საჭიროა არა თავდადებული პოლიტიკოსები, არამედ საქმის მცოდნე ექსპერტები, განსაკუთრებით, სამართალმცოდნეები და პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურისტები, აგრეთვე, პოლიტოლოგი ექსპერტები.

უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული ზოგადი ტენდენციით სასამართლო ორგანოების, განსაკუთრებით, უმაღლესი სასამართლო ინსტანციების როლისა და მნიშვნელობის ამაღლება საზოგადოებაში პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისა და პროგრესული პოლიტიკური ტენდენციების დამკვიდრების გზით გამოვლინდა. ამის დასტურია ცნობილი ამერიკელი მეცნიერის – რ. კაშმენის მიერ თავმოყრილი აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც უპირატესად შეეხება დავებს პრეზიდენტსა და კონგრესმე-

ნებს, შტატებსა და ფედერალურ ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის, აგრეთვე, ამ ორგანოებსა და ფირმებს შორის. ამრიგად, სასამართლო ორგანოები, განსაკუთრებით, უმაღლესი სასამართლო ინსტანციები, როგორც პოლიტიკურ ურთიერთობათა მოწესრიგების უმთავრესი იარაღი, გარკვეულ ასპექტში მნიშვნელოვან ძალად იქცა, აქედან გამომდინარე, შესაბამისად, მოსამართლენი გარკვეული აზრით შეიძლება დახასიათდნენ როგორც პოლიტიკური მოღვაწენი. სწორედ უმაღლესი სასამართლო ინსტანციების წყალობით მკვდარი წერილობითი დოკუმენტიდან კონსტიტუცია იქცევა “ცოცხალ კონსტიტუციად“, ხოლო სასამართლო – პოლიტიკურ ინსტიტუტად, როგორც კონსტიტუციის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი.

სასამართლო ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდის გამო მით უფრო მტკიცდება აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს აუცილებლობის შესახებ, რადგან სამოქალაქო სასამართლოები ქმნიან სასამართლო პრაქტიკის პრეცედენტს, რომლის კონსტიტუციურობის შემოწმება და დანარჩენ ორ ხელისუფლებასთან ურთიერთმოქმედების რეგულირება სამართლებრივი სახელმწიფოს მოქმედების მექანიზმის აუცილებელი ელემენტია, რის გარეშეც ხელისუფლებათა განაწილება, და მაშასადამე, ადამიანის უფლებების დაცვა ფიქციად იქცევა.

სამართალსუბიექტობა

1. მკვიდრი მოქალაქის

სამართლებრივი სტატუსი

მოქალაქეობა არის ფიზიკური პირის მყარი, ფაქტიური პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება მათ ურთიერთ უფლება-მოვალეობებში.

ფიზიკური პირის სახელმწიფოსთან კავშირის სიმყარე არის მოქალაქეობის ძირითადი ნიშანი. კავშირის სიმყარე ვლინდება სივრცეში და დროში. ძირითადად, სივრცეში კავშირი ნიშნავს იმას, რომ ფიზიკურ პირს მოქალაქეობა უნარჩუნდება საზღვარგარეთ გასვლისას, ხოლო დროში – იმას, რომ მოქალაქეობა უწყვეტია გარდაცვალებამდე. სიმყარე განასხვავებს ინდივიდის კავშირს სახელმწიფოსთან, იმ კავშირისაგან, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად მყოფ უცხოელს შორის.

პრინციპში, მოქალაქეობა ემყარება პირის ფაქტიურ კავშირს სახელმწიფოსთან, რამდენადაც მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა მუდმივად ცხოვრობს თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ფაქტიურ კავშირს, როგორც ნორმატიულ ფაქტს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას. მოქალაქეობა წარმოადგენს იმ ფაქტის იურიდიულ გამოხატულებას, რომ ინდივიდი უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული შესაბამისი სახელმწიფოს მოსახლეობასთან, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მოსახლეობასთან.

მოქალაქეობა, როგორც ინდივიდის მყარი, ფაქტიური სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან, არ წარმოადგენს ფორმალურ კავშირს, არამედ იქმნება ნაცვალგების პრინციპზე, რომელიც დამყარებულია ურთიერთ უფლება-მოვალეობათა შეთანაწყობაზე: მოქალაქის უფლებას შეესაბამება სახელმწიფოს მოვალეობა, სახელმწიფოს უფლებას – მოქალაქის მოვალეობა. უფლება-მოვალეობათა ეს შეხამება, როგორც წესი, ფიქსირებულია კონსტიტუციაში და კანონში

მოქალაქეობის შესახებ. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქე, სადაც ის არ უნდა იმყოფებოდეს.

საერთაშორისო სამართლის ასპექტში ინდივიდის წინაშე სახელმწიფოს ვალდებულების წინაპირობაა ქმედითი და ეფექტური კავშირი, ანუ რეალური კავშირი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა სახელმწიფოს უფლება განახორციელოს ინდივიდის დიპლომატიური დაცვა ("ნოტებომის საქმე"). რეალური კავშირის დოქტრინა ანუ რეალური მოქალაქეობა პირველ პლანზე აყენებს უფლება-მოვალეობითი კავშირის სოციალურ ელემენტსაც. ეს დოქტრინა ასახავს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შიგნით სახელმწიფოებრივი კანონები ემყარებიან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პრინციპს ანუ დომიცილიუმს, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია კონკრეტულ ტერიტორიულ ზონასთან.

ქვეყნის კონსტიტუცია და კანონი მოქალაქეობის შესახებ განსაზღვრავენ მოქალაქეობის შეძენის და დაკარგვის წესებსა და პირობებს.

მოქალაქეობის შეძენის საშუალებები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: მოქალაქეობის შეძენა დაბადებით და ნატურალიზაციით. დაბადებით მოქალაქეობის შეძენა ემყარება ორ პრინციპს: სისხლის უფლებას ან ნიადაგის უფლებას.

სისხლის უფლება ნიშნავს, რომ პირი იძენს მშობლების მოქალაქეობას დაბადების ადგილის მიუხედავად; ნიადაგის უფლება ნიშნავს, რომ პირი იძენს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა, მიუხედავად მშობლების მოქალაქეობისა. ამჟამად სახელმწიფოთა უმრავლესობა სისხლის უფლებას იცავს.

სისხლის უფლება არსებობს ორ ვარიანტში: ძველსა და ახალში. ძველი ვარიანტი ემყარება ოჯახის ერთიანობის პრინციპს, ოჯახში მამაკაცის უფროსობის იდეას. ამ პრინციპის თანახმად, ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მამის მოქალაქეობას. გამონაკლისია ქორწინებისგარეშე ბავშვი, რომელიც ასეთ შემთხვევაში დედის მოქალაქეობას იძენს. ახალი ვარიანტი ეფუძნება ქორწინებაში მხარეთა თანასწორობას, რომლის დროსაც თანასწორი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მამის, ისე დედის მოქალაქეობას, რა დროსაც შეიძლება გათვალისწინებული იქნას ნიადაგის უფლებაც.

ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მიღება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უცხოელი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე

პირისათვის მოქალაქეობის მინიჭებას მათივე თხოვნით. როგორც წესი, სახელმწიფოთა უმრავლესობა თავის კანონმდებლობაში ითვალისწინებს ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მისაღებად გარკვეულ პირობებს. უპირველესად იგი დაკავშირებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების განსაზღვრულ ვადასთან (3, 5, 7, 10 წელი), ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს მოქალაქეობის მიღების გარკვეულ პროცედურას. მოქალაქეობის მიმნიჭებელი სუბიექტის მიხედვით განასხვავებენ ნატურალიზაციის ოთხ სახეს: სახელმწიფოს ხელისუფლების, მმართველობის ცენტრალური ორგანოების, ადგილობრივი ორგანოების და სასამართლო ორგანოების მიერ მოქალაქეობის მინიჭებას.

მოქალაქეობის დაკარგვის სამი ფორმა არსებობს: მოქალაქეობის ავტომატური დაკარგვა, მოქალაქეობიდან გასვლა და მოქალაქეობის ჩამორთმევა. მოქალაქეობის ავტომატური დაკარგვის პრინციპის ძალით, თუ ერთი სახელმწიფოს მოქალაქე დამკვიდრდა საზღვარგარეთ, იგი ავტომატურად კარგავს მოქალაქეობას. მოქალაქეობიდან გასვლის პრინციპის თანახმად, მოქალაქეობის დაკარგვა ხდება დაინტერესებული პირის ინიციატივით. მოქალაქეობის ჩამორთმევის პრინციპის ძალით, მოქალაქეობის დაკარგვა დაკავშირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ინიციატივასთან.

მოქალაქეობის სპეციალური შემთხვევაა ორმაგი მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა. დღეისათვის ორივე შემთხვევა განიხილება, როგორც იურიდიული ანომალია. ამის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოებში ხშირად იყენებენ სათანადო ნორმატულ აქტებს და დებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ყველა შემთხვევაში საყოველთაო აღიარებულ ნორმად იქცა შემდეგი დებულება: თუ რომელიმე სახელმწიფოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს, რომ მოქალაქის საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლა ან იქ ხანგრძლივად ცხოვრება იწვევს მოქალაქეობის დაკარგვას, მაშინ მოქალაქეობა პირს შეუნარჩუნდება.

2. უცხოელი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი

უცხოელი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი უმთავრესად დაკავშირებულია უცხოელის უფლება-ქმედუნარიანობის მოცულობასთან მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში. კერძოდ, ეს დაკავშირებულია: უცხოელის ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვასთან, ზოგიერთ პროფესიაში მოღვაწეობის აკრძალვასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხოელის შემოსვლის დაუშვებლობასთან საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, ჯანმრთელობის და უშიშროების თვალსაზრისით.

საერთო წესიდან გამომდინარე, არსებობს პრეზუმფცია, რომლის თანახმად მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირსა და ქონებაზე ვრცელდება შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქცია, რაც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. არსებობს საერთო წესიდან გამონაკლისი. მაგალითად, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისათვის ცნობილია დიდი ხნის დამკვიდრებული წესი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციიდან ამოირიცხება დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობები და თანამშრომლები. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელების იმუნიტეტი დაკავშირებულია მათი წარმგზავნი სახელმწიფოს პრივილეგიასთან მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე შექმნას სასამართლოთა სპეციალური სისტემა თავისი მოქალაქეებისათვის. არსებობს სხვა გამონაკლისიც.

მიუხედავად ზოგიერთი გამონაკლისისა, სახელმწიფოს ტერიტორიული კომპეტენცია შეუვალი პრინციპია, რაც იმაში გამოიხატება, რომ უცხოელი შეიძლება დაშვებული იქნეს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხელისუფალთა შეხედულებით როგორც სტუმარი, რომელიც ამ სტატუსში ვალდებულია დაემორჩილოს ადგილობრივ სამართალს და იურისდიქციას. საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, უცხოელს, რომელიც უთუოდ ემორჩილება ადგილობრივ სამართალს, აქვს მხოლოდ უფლება, რომ მას მოექცნენ ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს (ეს პრინციპი ცნობილია ნაციონალური რეჟიმის სტანდარტის სახელით).

აქედან გამომდინარე, უცხოელი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი გულისხმობს აგრეთვე მიმღები სახელმწიფოს ვალდებულებას, უცხოელები უზრუნველყოს იმავე უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობით და მიანიჭოს მათ იგივე ინდივიდუალური გარანტიები, რომლებითაც სარგებლობენ მისი საკუთარი მოქალაქეები, თანაც ეს უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი, რომელნიც აღიარებულია უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო აქტებით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა უცილობლად დგება მაშინ, როდესაც ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი.

მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელის ძირითადი უფლება-თავისუფლებებიდან განსაკუთრებით გამოყოფენ ადამიანის უფლებას დაიცვას თავი სასამართლო წესით და საკუთრების უფლებას. უცხოელთა მიმართ სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებების გვერდით, საერთაშორისო სამართალი იცნობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ორ სპეციფიკურ ფორმას, რაც დაკავშირებულია უართან მართლმსაჯულების განხორციელებაზე და უცხოელის საკუთრების ექსპროპრიაციასთან.

მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის ცნება ჩამოყალიბებული იყო 1930 წელს ჰააგის კონფერენციაზე, რომელიც მიემდგნა საერთაშორისო სამართლის ნორმების კოდიფიკაციას. კონფერენციის გადაწყვეტილების მერვე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: სახელმწიფო პასუხს აგებს იმაზე, რომ ეს სახელმწიფო საერთაშორისო ვალდებულებების შეუთავსებელი საშუალებებით, უცხოელს დაბრკოლებას უქმნის განახორციელოს მიმართვის უფლება სასამართლოსთვის, აგრეთვე იმისათვის, რომ სასამართლო პროცესის დროს უცხოელი აწყდება გაუმართლებელ დაბრკოლებებს და დაყოვნებებს, რაც ფაქტიურად ნიშნავს უარს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

ჰააგის კონფერენციის მიერ ჩამოყალიბებული დებულება შემდგომი ჯერ მდუმარედ იქნა აღიარებული როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, ხოლო შემდეგ ოფიციალურად, როგორც საერთაშორისო სტანდარტი. მეორე მხრივ, საერთაშორისო გაერთიანებამ გამოიმუშავა სხვა წესიც, რომლის თანახმადაც უცხოელმა უნდა ამოწუროს სასამართლო გზით უფლების დაცვის ყველა საშუალება, ხოლო მას შემდეგ, რაც უარს მიიღებს მართლმსაჯულების გან-

ხორციელებაზე, წარუდგინოს პრეტენზია სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე.

ექსპროპრიაციის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს მიერ უცხოელი მოქალაქეების თუ უცხოეთის იურიდიული პირების ქონებაზე საკუთრების უფლების ჩამორთმევაში ან მათი ქონების ოპერატიული მართვისა და კონტროლის უფლებამოსილების სახელმწიფოს ხელში გადასვლაში. საერთოდ კი, არა მარტო ზემოაღნიშნული პირების, არამედ ეროვნულ რესურსებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის ექსპროპრიაცია ეკონომიკური და სოციალური რეფორმის ზოგადი პროგრამის ფარგლებში იწოდება ნაციონალიზაციად. ამასთან, მიღებულია, რომ კომპენსაცია უნდა განხორციელდეს ღირებულების პერიოდული ანაზღაურების საფუძველზე. რაც შეეხება ბუნებრივ სიმდიდრეებს და რესურსებს, მათზე ვრცელდება სახელმწიფოს უპირობო სუვერენიტეტი.

უცხოელი მოქალაქის თუ იურიდიული პირის კაპიტალდაბანდებაზე და მომსახურებასთან დაკავშირებით ექსპროპრიაციის საკითხი განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება. ცნობილია ე.წ. “კალვოს დათქმა“, რომლის ძალითაც უცხოელი მოქალაქე ან იურიდიული პირი თანახმაა არ ეძიოს დიპლომატიური დაცვა თავისი სახელმწიფოს მეშვეობით და კერძოსამართლებრივი ხასიათის დავის გადაწყვეტა ანდოს ადგილობრივ სასამართლოს იურისდიქციას. რადგან კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დარღვევა არ არის საერთაშორისო სამართალდარღვევა, არ წესრიგდება საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებით.

3. მოქალაქეობის დაცვა

მოქალაქეობა ერთიანი სამართლებრივი კატეგორიაა, რომელსაც ორი ასპექტი აქვს: შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო-სამართლებრივი, და თითოეულმა მათგანმა შეიძლება დომინირებული მდგომარეობა მოიპოვოს მეორეზე, საქმის გარემოებიდან და დავის ხასიათიდან გამომდინარე.

ერთის მხრივ, მოქალაქეობა აღნიშნავს იმას, რომ პირს, რომელსაც იგი ენიჭება, შეუძლია ისარგებლოს იმ უფლებებით და ატაროს ის მოვალეობები, რომლებსაც მოცემული სახელმწიფოს კანონი

ითვალისწინებს თავისი მოქალაქეებისათვის. ამ ასპექტით, მოქალაქეობა განეკუთვნება სახელმწიფოს შინაგან იურისდიქციას.

მეორეს მხრივ, სახელმწიფო, რომლის მოქალაქესაც ზიანი მიადგა მეორე სახელმწიფოსაგან, დავას არ განიხილავს შინაგანი კანონმდებლობის საფუძველზე, რადგან ასეთი დავა საერთაშორისო-სამართლებრივია. სწორედ საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს – უფლება აქვს თუ არა სახელმწიფოს, განახორციელოს მოქალაქის დიპლომატიური თუ სხვაგვარი დაცვა, მიმართოს სახელმწიფოთაშორისი დავის განმხილველ სასამართლოს და აწარმოოს საქმე ასეთ სასამართლოში და სხვ. ამ ასპექტში მოქალაქეობა საერთაშორისო იურისდიქციას განეკუთვნება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოქალაქეობის მოპოვებასა და დაკარგვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ექვემდებარება შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციას. ამასთან, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ პრინციპის გამოყენება უნდა შეიზღუდოს იმ ფარგლებში, რომლის გარეთ გასვლაც ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის სუვერენიტეტის ხელყოფას. მაგალითად, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში და საერთაშორისო პრაქტიკაში არ არის სადავო დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული თუ სხვა ღონისძიებებით მიანიჭოს მოქალაქეობა სხვა სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს ან მის ტერიტორიაზე მყოფ ყველა უცხოელს.

სახელმწიფოს უფლება სუვერენულ კანონშემოქმედებაზე მოქალაქეობის საკითხებში შეზღუდულია იმ საერთაშორისო ვალდებულებებით, რომელიც მას ნაკისრი აქვს სხვა სახელმწიფოს მიმართ. გარდა ამისა, არსებობს ნებისმიერი სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულება, შინაგანი კანონმდებლობა და პრაქტიკა შეუსაბამოს საერთაშორისო ნორმებს, კერძოდ, საერთაშორისო კონვენციებს, საერთაშორისო ჩვეულებებს და საყოველთაოდ აღიარებულ სამართლის პრინციპებს.

მეორეს მხრივ, საყოველთაოდ აღიარებულ იქნა “ნოტებომის“ საქმეზე საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დებულება, რომლის თანახმადაც მოქალაქეობის საერთაშორისო მნიშვნელობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ საერთაშორისო სამართალი თითოეულ სახელმწიფოს უტოვებს უფლებას – დამოუკიდებლად დაადგინოს მოქალაქეობის შეძენის სამართლებრივი წესები. ეს გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ხასიათის დემოგრაფიული პირობები შეუძლებელს ხდიდნენ და ხდიან საყოველთაო მნიშვნელობის ზოგადი შეთანხმების მიღწევას მოქალაქეობის საკითხებზე.

4. ადამიანი - სამართლის

უნივერსალური სუბიექტი

სწრაფვამ აღკვეთილიყო ფაშისტური რეჟიმების შემდგომი დამკვიდრება, კაცობრიობა აიძულა გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯები ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის მიმართულებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებები იქცნენ ამოსავალ პუნქტად ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების საქმეში. გაეროს წესდების 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად: გაეროს ყველა წევრი ვალდებულია კისრულობს, ერთობლივად და დამოუკიდებლად იმოქმედოს ყველა ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვის, პლანეტის მოსახლეობის სასიცოცხლო დონის და სრული დასაქმების, პოლიტიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად (იხ. აგრეთვე 62, 68, 76 და სხვა მუხლები).

სამართლის მეცნიერებაში ადამიანის საერთაშორისო უფლებათა კონცეფციის დამუშავება დაკავშირებულია ცნობილი სამართალმცოდნის - ხერშ ლაუტერპახტის სახელთან.¹

ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის ნორმატიული საფუძველი მნიშვნელოვნად გაამდიდრა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წელს 16 დეკემბერს მიღებულმა ორმა პაქტმა: “ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ და “მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“. ამ პაქტების მეორე მუხლის თანახმად: “თითოეული სახელმწიფო ვალდებულია კისრულობს პატივი სცეს და უზრუნველყოს მისი ტერიტორიის ფარგლებში და მის იურისდიქციაში მყოფ პირთა უფლებები, მიუხედავად ყოველგვარი განსხვავებისა. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია კისრულობს, თავი კონსტიტუციური პროცედურისა და საერთაშორისო პაქტების დებულებათა დაცვით მიიღოს აუცილებელი ზომები, რომელთაც ეფექტური გავლენა შეუძლიათ მოახდინონ იმ უფლებათა განხორციელებაზე, რომლებიც აღიარებულია ამ აქტებით.“

¹ ჩვენი ინიციატივით უკვე მეთექვსმეტი წელიწადია თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე იკითხება ახალი დისციპლინა „ადამიანის საერთაშორისო უფლებების სამართალი“

ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართალი მხოლოდ ერთ გამონაკლისს უშვებს, როდესაც სახელმწიფოს უფლება აქვს გადაუხვიოს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა მიმართ. სახელდობრ, ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, როდესაც ერის არსებობა საფრთხეშია, და რის შესახებაც ოფიციალურად საჯაროდ ცხადდება, სახელმწიფომ შეიძლება გადაუხვიოს თავის ვალდებულებებს იმ ზომით, რა ზომითაც ამას ითხოვს მდგომარეობის სიმწვავე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ასეთი გადახვევა შეუთავსებელი არ იქნება ამ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან და არ გამოიწვევს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის და სოციალური წარმოშობის ნიშნით.

ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს საფუძველი: სიცოცხლეზე უფლების ხელყოფისა; სასტიკი, არაადამიანური, პიროვნების ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისა; მონურ მდგომარეობაში ჩაყენებისა, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თავისუფლების აღკვეთისა, სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი ქმედების გამო პირის დამნაშავედ ცნობისა, აზრის, სინდისის და რწმენის უფლებების ხელყოფისა, ადამიანის სამართლის სუბიექტად არცნობისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო იყენებს თავის უფლებას, გადაუხვიოს ადამიანის იმ უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას, რომელთა შეზღუდვა დაშვებულია ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობის საფუძველით, იგი ვალდებულია ასეთი გადახვევის მიზეზების შესახებ აცნობოს დანარჩენ სახელმწიფოებს გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ძირითად პაქტებთან ერთად მიიღო “მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების პაქტის ფაკულტატური ოქმი“, რომელსაც მიენიჭა დამოუკიდებელი იურიდიული ძალა. ამ ოქმის თანახმად გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გაეროს უფლებათა კომიტეტს ნება დართო, მიიღოს და განიხილოს შეტყობინება ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ არა მარტო წევრი სახელმწიფოებისაგან, არამედ უშუალოდ ფიზიკური პირებისაგან.

საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს წინააღმდეგ ინდივიდის სარჩელის განსახილველად საჭიროა ინდივიდმა, როგორც მოსარჩლემ დაამტკიცოს, რომ მის მიერ დაყენებული საკითხი ექვემდებარება საერთაშორისო სამართლის ფარგლებში განხილვას, ე.ი. სცილდება სახელმწიფოს სუვერენიტეტის ჩარჩოებს და მან ამოწურა ყველა სამართლებრივი მექანიზმი ქვეყნის შიგნით.

შევხედოთ რამდენიმე თეორიულ საკითხს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ინდივიდს მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. მეცნიერთა მეორე ჯგუფი ნაადრევად მიიჩნევს ასეთი თვისების მინიჭებას, რადგან მიაჩნია, რომ მას ჯერ კიდევ არ აქვს საერთაშორისო საპროცესო უფლებაუნარიანობა, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც რეალურად უზრუნველყოფდა ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა ეფექტურ დაცვას საერთაშორისო-სამართლებრივ დონეზე.

ამ ორ მიმართულებას შორის დავის გადასაწყვეტად აუცილებელია თანამედროვე მსოფლიოს რეალიების გათვალისწინება. კერძოდ, თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე უფრო ცხადი და მნიშვნელოვანი ასპექტი არის სოციალური იდენტიფიკაციის ისეთი ტრადიციული ფორმების ეროზია, როგორც არის: კლასი, სქესი, რასა, მონოგამიაზე დამყარებული პეტეროსექსუალური ოჯახი და ა.შ. აღნიშნული, ცივილიზაციისათვის უპრეცედენტო ბუნებრივი ფენომენები ითხოვენ სამართლებრივ ფორმას, ბუნებრივის და ხელოვნურის შეთანაწყობას, იურიდიულ ენაზე – ბუნებითი სამართლის და სამართლის წმინდა თეორიებს შორის საერთო ენის გამონახვას. ამის საშუალებას იძლევა “ანთროპოლოგიური ნორმატივიზმის თეორია“. ამ თეორიის დანერგვის აუცილებლობა განსაკუთრებით ცხადი გახდა 11 სექტემბრის შემდეგ. ისლამური და იუდეური ფუნდამენტალიზმის ანუ ვაჰაბიზმისა და სიონიზმის დაპირისპირება დიდი ხანია გასცდა სამართლებრივ ფარგლებს და პოლიტიკაში გადაინაცვლა. საერთოდ კი სამართლებრივ ჩარჩოებს პლანეტარული მასშტაბით გაცდენილმა პოლიტიკამ მოარყია სამართლებრივი ღირებულებები და სამართლიანობა, გააბინძურა მთლიანად ბუნებითი სამართალი, ადამიანთა ყოფა. გამოსავალი პოლიტიკისაგან სამართლის გაწმენდაშია. ეს ფუნქცია შეუძლია იტვირთოს სამართლის წმინდა თეორიამ. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო სამართლის ტრანსფორმაცია ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლად სამართლის წმინდა თეორიის ჩარჩოებში ჩვენ

დროის გადამწყვეტი გამოწვევაა. ამ აზრით “მსოფლიო მოქალაქეობის” შესახებ კანტის იდეის აღორძინება უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948) მიღებასთან არის სწორედ დაკავშირებული სამართლის ახალი დარგის – ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის დაბადება. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების (1966) მიღებასთან არის დაკავშირებული ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის განვითარება. ადამიანის უფლებათა ვენის საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციასთან (1993) არის დაკავშირებული ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბების პროცესის დასასრული.

ამრიგად, თუ კი საერთაშორისო სამართალი ძირითადად აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის, ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს ადამიანსა და სახელმწიფოს შორის.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი:

– აღიარებს ინდივიდის უფლებებს და თავისუფლებებს სახელმწიფოს მიმართ;

– აკონტროლებს სახელმწიფოს მიერ ინდივიდის მიმართ ძალაუფლების გამოყენებას.

– ავალებს სახელმწიფოს, დააკმაყოფილოს ინდივიდის საბაზისო მოთხოვნილებანი.

2. ინდივიდი არის სამართლის უნივერსალური სუბიექტი, რაც გამოიხატება შემდეგში:

– არსებობს თეორია მსოფლიოს სამართლის ერთიანი პირამიდული სისტემის შესახებ, რომლის მწვერვალს წარმოადგენს ადამიანის საყოველთაო უფლებათა ბილი, და რომლის ნორმატიულ იერარქიაში დაქვემდებარებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო და სახელმწიფო სამართალი;

¹ დაწერილებით იხ. ბიძინა სავანელი. ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი. სახელმძღვანელო. თბ. 2001. აგრეთვე, Bidzina Savaneli. *Jus Cogens Character of International Human Rights Law*. Monograph. Tbilisi. 2003.

- არსებობს აუცილებლობა საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის შესაბამისობაში მოსაყვანად ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალთან 11 სექტემბრის შემდეგ;

- არსებობს აუცილებლობა ადამიანის საყოველთაო უფლებათა მსოფლიო კონსტიტუციის მისაღებად.¹

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა დაცვის რეალური პრაქტიკიდან გამომდინარე, აგრეთვე მათი მოცულობის გაფართოებისა და დაცვის სამართლებრივი მექანიზმისა და პროცედურის გაუმჯობესების ტენდეციების გათვალისწინებით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადამიანი იმყოფება სამართლის უნივერსალური სუბიექტის თვისების მოპოვების გზაზე და ამ თვისების მოსაპოვებლად დარჩენილია დამამთავრებელი, დასკვნითი უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მიღება - ადამიანის უფლებათა უნივერსალური კონსტიტუცია.

IV თავი. სამართალდარღვევა და

იურიდიული პასუხისმგებლობა

1. სამართალდარღვევის ცნება

სამართალდარღვევა არის სამართლის ნორმით აკრძალული პირის ბრალეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედება), რომელიც ხელყოფს სამართლის ნორმით აღიარებულ უფლებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე პირი ხელყოფს სამართლის ნორმით აღიარებულ უფლებას, სახეზეა სამართალდარღვევა.

1. სამართალი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ქმედობათა იმ წრეს, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებს, ე.ი. ადგენს, თუ რომელი ქმედობა ითვლება სამართლით აღიარებული უფლების დარღვევად.

უფლების დამრღვევი ქმედება ანუ სამართალდარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში.

უფლების დამრღვევი მოქმედების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფა, პოლიტიკურ თავისუფლებათა შეზღუდვა, განათლების უფლების დარღვევა, საკუთრების უფლების ხელყოფა ან სამართლის ნორმით აკრძალული უფლების ხელმყოფი სხვა მოქმედება. უფლების დამრღვევი უმოქმედობის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: ზიანის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების ან სამართლის ნორმით დადგენილი სხვა აქტიური მოქმედების ვალდებულების შეუსრულებლობა ანუ მოქმედებიდან თავის შეკავება.

2. სამართალდარღვევა არის უფლების ხელმყოფი არა ყოველგვარი ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), არამედ ისეთი, რომელიც იწვევს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ შედეგს – ზიანს აყენებს სამართლის სუბიექტის ინტერესს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს.

ზიანი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური.

მატერიალური ზიანის მაგალითია: ქონების ხელყოფა ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებული თანხის გადაუხდელობა მოწოდებული ქონებისათვის, მიბარებული ქონებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, ბუნებრივი რესურსების დაზიანება ან განადგურება და ა.შ.

არამატერიალური ზიანის მაგალითია: პიროვნების პატივისა და ღირსების შეურაცხყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მოძრაობის წესების დარღვევა, მოწმის მიერ სასამართლოსათვის ცრუ ჩვენების მიცემა, უკანონო განაჩენის დადგენა და ა.შ.

ზიანის მიყენების რეალური საფრთხის შემქმნელი სამართალდარღვევის მაგალითია: საწარმოში ტექნიკური უსაფრთხოების ან ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობა, დანაშაულის ჩადენის მომზადება ან მცდელობა, საბაჟო წესების დარღვევა, საჰაერო ტრანსპორტით მავნე ნივთიერებების გადაზიდვის წესების დარღვევა და ა.შ.

3. სამართალდარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედობასა (მოქმედებას ან უმოქმედობას) და შედეგს შორის. შედეგში იგულისხმება ზიანი ან ზიანის მიყენების რეალური საფრთხის შექმნა.

პირის ესა თუ ის ქმედობა დამდგარი შედეგის მიზეზად რომ მივიჩნიოთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ასეთი ქმედობა იყოს ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანი ამ შედეგისათვის, ე.ი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთმანეთისაგან გაემიჯნოს აუცილებელი და შემთხვევითი პირობები.

შემდგომ ეტაპზე საჭიროა აუცილებელ პირობათა შორის გამოეყოთ უმთავრესი. ესაა პირობა, რომლის არარსებობის შემთხვევაში შედეგი არ გვექნებოდა.

შემთხვევითი, აუცილებელი და უმთავრესი პირობების გამიჯვნა ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოვლენათა შორის მათი მიზეზობრივი ჯაჭვის ანალიზის შედეგად.

მაგალითად, ერთმა მოქალაქემ მსუბუქად დაჭრა მეორე. დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში. არაკვალიფიციური საექიმო ოპერაციის შედეგად დაზარალებული გარდაიცვალა. მოცემულ შემთხვევაში მსუბუქი ჭრილობა შემთხვევითი პირობაა სიკვდილისა, მაგრამ არაკვალიფიციური ოპერაცია არის სიკვდილის აუცილებელი პირობა. ამიტომ ვამბობთ, რომ არაკვალიფიციური ოპერაცია მიზეზობრივ კავშირშია სიკვდილთან, ხოლო დაჭრა – არა. იურისპრუდენციაში დამკვიდრდა მიზეზობრივი კავშირის ფორმულა: **Conditio sine qua non** (პირობა, რომლის გარეშეც არ არსებობს შედეგი).

მეორე მაგალითი დაკავშირებულია ზიანის მიყენების რეალურ საფრთხესთან, როგორც შედეგთან. ავტომანქანის მართვის უფლების მქონე პირის მიერ მოწმობის არქონა მართვის დროს არ ქმნის ავტოავარიის რეალურ საფრთხეს, მაგრამ ავტომანქანის მართვის უფლების უქონლობა ავტომანქანის მართვისას ქმნის ამ საფრთხეს. ე.ი. მართვის უფლების გარეშე ავტომანქანის მართვა არის ავტოავარიის საშიშროების შექმნის აუცილებელი პირობა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართვის უფლების გარეშე ავტომანქანის მართვა მიზეზობრივ კავშირშია ავარიის საფრთხის შექმნასთან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამდგარი შედეგის მიზეზი შეიძლება იყოს უმოქმედობაც. მაგალითად, თუკი მატარებლის ავარია მოხდა იმის გამო, რომ მებისრეს დაავიწყდა ისრის გადაყვანა, ვამბობთ, რომ მებისრის უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში იყო შემადგენლობის ავარისთან. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას (უმოქმედობას) შეიძლება მოყვეს მეორის ზარალი.

4. იმისათვის, რომ პირის ქმედობა ცნობილი იქნეს სამართალდარღვევად, არ არის საკმარისი მიზეზობრივი კავშირი არსებობდეს პირის ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. საჭიროა კიდევ მეორე მომენტი - ბრალი.

გარე სამყარო ერთმნიშვნელოვნად ზუსტად არ განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას. ადამიანს შეუძლია ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვაგვარად იმოქმედოს ან საერთოდ თავი შეიკავოს კონკრეტული მოქმედებისაგან. ადამიანი თავისუფლად მონებე არსებაა, მაგრამ იგი ცხოვრობს საზოგადოებაში, რომელშიც მოქმედებენ ასეთივე თავისუფალი ნების მქონე პირები, რის გამოც ერთის ბუნებრივად თავისუფალი მოქმედება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მეორე პირის ბუნებრივად თავისუფალ მოქმედებასთან, უფრო მეტი, ზიანი მიაყენოს მის ბუნებრივ უფლებებს. სწორედ ამიტომ არსებობს სამართალი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა ერთ რიგს ნებადართულად აცხადებს, ხოლო მეორეს კრძალავს. უკანასკნელ შემთხვევაში, ე.ი. მაშინ, როდესაც სამართალი გარკვეულ მოქმედებას სამართალდარღვევად აცხადებს, იგი ემყარება ადამიანის უნარს იმოქმედოს მრავალგვარად, მათ შორის თავი შეიკავოს იმ მოქმედებისაგან, რომელიც ხელყოფს სხვის ინტერესს.

მაგრამ ეს უნარი არ ჩნდება დაბადებიდანვე. ეს უნარი ადამიანს უჩნდება დროთა განმავლობაში, მაშინ, როდესაც ინდივიდუალურ შესაძლებლობათა განვითარების პროცესში ცოდნის გარკვეული რაოდე-

ნობა უგროვდება გარე სამყაროს მოვლენათა მიზეზობრივი კავშირების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდარღვევა შეიძლება შეერაცხოს იმ პირს, რომელსაც უნარი შესწევს გააცნობიეროს მიზეზობრივი კავშირი თავის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

მაგრამ პირს ვერ შეერაცხება მისი მოქმედებით გამოწვეული ყველა შედეგი. პირს შეიძლება შეერაცხოს მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირების ჯაჭვის მხოლოდ ის მონაკვეთი, რომელსაც შეიძლება რეალურად გასწვდეს მისი გონებრივი შესაძლებლობანი მოცემულ სიტუაციაში. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ სამართალდარღვევას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ბრალეული მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ე.ი. მაშინ, როდესაც სახეზეა ბრალი.

ბრალი არის პირის ფსიქიკური უნარი მოიცვას მიზეზობრივი კავშირი თავის ქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივ საშიშ შედეგს შორის განზრახ ან გაუფრთხილებლობის ფორმით.

სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ისინი (პირდაპირ განზრახვა), ან არ სურდა ეს შედეგები, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მათ (არაპირდაპირი განზრახვა).

სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა მისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას (თვითიმედოვნება), ან თუმცა არ ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების შესაძლებლობას, მაგრამ შეეძლო და ამიტომ უნდა გაეთვალისწინებინა ისინი (დაუდევრობა).

5. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და შედეგის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

სისხლის სამართალდარღვევას უწოდებენ დანაშაულს. დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში, ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს სამართლის სუბიექტის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებრივ სტატუსს. სახელდობრ, დანაშაულის ხელყოფის

ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფოს და მისი ორგანოების ან ფიზიკური პირის კონსტიტუციური სტატუსი.

სამოქალაქო სამართალდარღვევას ზოგჯერ სამოქალაქო დელიქტს უწოდებენ. სისხლის სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ დაცვით ფუნქციებს ასრულებს, სამოქალაქო სამართლის ნორმების ძირითადი დანიშნულება საზოგადოებრივ ურთიერთობათა არა იმდენად დაცვა არამედ მოწესრიგებაა. უფრო ზუსტად, თუ სამოქალაქო სამართალი იცავს მის მიერვე მოწესრიგებულ ურთიერთობებს (მაგალითად, ქონებრივ ურთიერთობებს), სისხლის სამართალი იცავს სხვა სამართლებრივი ნორმებით უკვე მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სწორედ ამიტომაც, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ძირითადად მომწესრიგებელი ნორმებისაგან შედგება. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის დაცვით ფუნქციას, ის მისთვის არაძირითადია და უპირატესად დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასა და ნაწილობრივ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან (მაგალითად, პირგასამტეხლო, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი).

ამრიგად, სამოქალაქო სამართალდარღვევა არის სამოქალაქო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ბრალეული ქმედობა (ქმედობა ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს სამართლის სუბიექტების მიერ აღიარებულ ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ უფლებებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა) არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს სამართლის სუბიექტების კანონით აღიარებულ იმ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების მართვასთან და ნორმალურ ფუნქციონირებასთან, და რომელთა დარღვევა არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით. ისევე, როგორც სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ნორმებიც იცავენ სამართლის სხვა ნორმების მიერ უკვე მოწესრიგებულ ურთიერთობებს. მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იცავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც მოწესრიგებულია კანონმდებლობით შრომისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს, ისტორიისა და კულტურ-

რის ძეგლთა დაცვის მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ და ა.შ.

ამ თვალსაზრისით სამოქალაქო სამართლის ნორმები სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმებისაგან იმით განსხვავდება, რომ ქონებრივი და მასთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი და დამცველი ნორმები თავმოყრილია ერთ ნორმატიულ აქტში – სამოქალაქო კოდექსში, მაშინ, როდესაც სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი და მათი შესაბამისი დამცველი ნორმები უპირატესად თავმოყრილია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში. მაგალითად, თუკი სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობას აწესრიგებს კონსტიტუციური ნორმები, ამ სამართლებრივი ურთიერთობების დამცველი სამართლის ნორმები უპირატესად თავმოყრილია სისხლის სამართლის, აგრეთვე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში და ა.შ.

2. იურიდიული პასუხისმგებლობა

განასხვავებენ მომწესრიგებელ და დაცვით სამართლებრივ ნორმებს. დაცვითი სამართლებრივი ნორმები უზრუნველყოფს მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობების მონაწილეთა უფლებების დაცვას მათი ხელყოფის შემთხვევაში.

როგორც ვიცით, მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით რეგულირებული ურთიერთობების მონაწილეთა უფლებების ხელყოფა არის სამართალდარღვევა. სამართალდარღვევის შემთხვევაში წარმოიშობა ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წესრიგდება სამართალდაცვითი ნორმებით.

სამართალდარღვევა არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც სამართალდაცვითი ნორმა უკავშირებს სამართალდაცვითი ურთიერთობის წარმოშობას ორ სუბიექტს შორის – ერთი მხრივ, რომლის მომწესრიგებელი ნორმით აღიარებული უფლებაც დაირღვა, და, მეორე მხრივ, რომელმაც ეს უფლება დაარღვია. ამ ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობის ძალით სუბიექტს, რომლის უფლებაც დაირღვა, წარმოეშობა სარჩელის უფლება, ე.ი. უფლება იძულების გამოყენებით დაავალდებულოს სუ-

ბიექტი, რომელმაც ეს უფლება დაარღვია, პასუხი აგოს სამართალდარღვევისათვის ანუ უფლების ხელყოფისათვის. ამავე სამართალდაცვითი ურთიერთობის ძალით სუბიექტი, რომელმაც დაარღვია სხვისი უფლება, ვალდებულია პასუხი აგოს სამართალდარღვევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სუბიექტის ვალდებულება პასუხი აგოს მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილის უფლების დარღვევისათვის ანუ სამართალდარღვევისათვის. მოკლედ, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალდარღვევის იურიდიული შედეგი.

მაგრამ სამართალდარღვევა არ იწვევს უშუალოდ სუბიექტის პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ სუბიექტს დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა ანუ სამართლებრივი ვალდებულება აგოს პასუხი, როგორც წესი, საჭიროა სამართალდაცვითი ნორმის შეფარდების აქტი. სამართალდაცვითი ნორმის შეფარდების აქტი არის კომპეტენტური ორგანოს პროცესუალური საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან. მაგალითად, სასამართლოს განაჩენი განსასჯელის დასჯის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილება ზარალის ანაზღაურების თაობაზე, ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი ადმინისტრაციული კომისიების, შინაგან საქმეთა, სატრანსპორტო, საბაჟო და სხვა ორგანოების და შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო გამოტანილი დადგენილებები ან ბრძანებები განსაზღვრავს შესაბამისი სამართალდარღვევისათვის იურიდიულ პასუხისმგებლობას.

სამართალდაცვითი ნორმის შეფარდების აქტის გამოტანას ანუ პასუხისმგებლობის განსაზღვრას წინ უძღვის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს საქმიანობა, რომელიც წესრიგდება საპროცესო სამართლებრივი ნორმებით. იმისათვის, რომ განისაზღვროს სუბიექტის პასუხისმგებლობა, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები: მოხდა თუ არა ქმედობა, არის თუ არა ეს ქმედობა მართლსაწინააღმდეგო, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი სუბიექტების მოქმედებასა და რეალურ შედეგს შორის, ბრალი მიუძღვის თუ არა სუბიექტს სამართალდარღვევაში და თუ მიუძღვის – რა ხარისხის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვა აღნიშნული გარემოე-

ბები, კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობას, დაადგენს პირის ვალდებულებას პასუხი აგოს სამართალდარღვევისათვის ანუ უფარდებს მას სამართალდაცვითი ნორმით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომას.

ამრიგად, სამართალდაცვით ნორმაში ჩამოყალიბებულია ქცევის წესი, რომელიც განსაზღვრავს სამართალშემფარდებლის მოქმედების ფარგლებს, სახელდობრ, მიუთითებს ფაქტობრივ გარემოებათა რა შემთხვევაში (პიპოთეზა) პასუხისმგებლობის რა ზომა უნდა გამოიყენოს (დისპოზიცია) სამართალშემფარდებელმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალშემფარდებელი ორგანოს მიერ სამართალდამრღვევის მიმართ სამართალდაცვითი ნორმის (ქცევის წესის) გამოყენების შედეგი.

სამართალდაცვითი ნორმები ითვალისწინებენ ორი სახის იურიდიულ პასუხისმგებლობას: უფლებააღმდგენს და დასჯითს.

უფლებააღმდგენი იურიდიული პასუხისმგებლობის მიზანია უფლების ხელყოფის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში ზარალად ითვლება კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება, აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია, მაგრამ მიიღებდა, თუკი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, იურიდიულ პასუხისმგებლობად არ ჩაითვლება მოვალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სასამართლოს ძალით ანუ იძულებით შესრულება, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ზარალის ანაზღაურება მოვალეს არ ათავისუფლებს ვალდებულების ნატურალურად შესრულებისაგან. მოვალის მიერ ვალდებულების ნატურალურად შესრულება გათვალისწინებულია მომწესრიგებელი სამართლის ნორმით, ხოლო მოვალის მიერ ვალდებულების იძულებით შესრულებას ითვალისწინებს სამართალდაცვითი ნორმა. მოცემულ შემთხვევაში უფლებააღმდგენი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია იმ უფლების დაცვასთან, რომლის ხელყოფაც არ გამოორიცხავს ამ უფლების აღდგენის აუცილებლობას. უფრო ზუსტად, უფლებააღმდგენი პასუხისმგებლობა (მაგალითად, ზარალის ანაზღაურების დაკისრება) ისეთ პირობებში აყენებს მოვალეს, რომ მან უნდა შეასრულოს კანონით თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ან აიძულოს იგი თავისი მოქმე-

დებებით აღადგონოს, მაგალითად, კრედიტორის დარღვეული უფლება.

დასჯითი პასუხისმგებლობა იმ უფლების ხელყოფის შედეგია, რომლის აღდგენა შეუძლებელია ვალდებული პირის მიერ რაიმე მოქმედების შესრულებით ანუ როდესაც უფლების დარღვევა “შეუქცევადია”. საქმე ეხება არა ზარალის ანაზღაურებას, არამედ ზიანის ანაზღაურებას. მაგალითად, უფლებააღმდგენ პასუხისმგებლობას სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უფლების ხელყოფისათვის არ შეუძლია აღადგინოს შესაბამისი უფლება ანუ საუბარია იმ ვნებაზე, რომლის “გამოსწორებაც” შეუძლებელია. კანონმდებელი გამოსავალს ხედავს მხოლოდ დასჯაში ანუ დასჯითი პასუხისმგებლობის დადგენაში. დასჯითი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა. სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების ყველა ნორმა ითვალისწინებს მხოლოდ დასჯით პასუხისმგებლობას.

ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობის ორივე სახე (როგორც უფლებააღმდგენი, ისე დასჯითი) დაკავშირებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ პირისათვის გარკვეული ვალდებულების მბრძანებლურ დაკისრებასთან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ზუსტად დადგენილი მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებაში, თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვაში. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გამოიყენება: ჯარიმა, მოქალაქისათვის სპეციალური უფლების ჩამორთმევა, იმ საგნის სასყიდლით ან უსასყიდლოდ ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა და ა.შ. სამოქალაქო სამართალდარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საურავი, ჯარიმა, საზღაური; შრომის დისციპლინის დარღვევისათვის – საყვედური, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა და ა.შ.; დანაშაულისათვის – თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, პირობით თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმა და ა.შ.

იურიდიული პასუხისმგებლობის არსი ნებისმიერ შემთხვევაში ერთია, იგი გამოიხატება კომპეტენტური ორგანოს (სამართალშემფარდებლის) მიერ პირის იურიდიული ვალდებულების შესრულების აუცილებლობის დადგენაში. იურიდიული პასუხისმგებლობის არსი იძულების გამოყენების გარდაუვალობაშია.

III კარი. სამართლისა და

მართლწესრიგის ურთიერთქმედება

I თავი. სამართლებრივი აქტები

1. ნორმატიული აქტები

ნორმატიული აქტი არის სამართალშემოქმედი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ სათანადო წესის დაცვით დადგენილი პოზიტიური სამართლის ნორმა, რომელსაც აქვს ოფიციალური დოკუმენტის ფორმა და რომელიც შეიცავს ქცევის ზოგად წესს.

ზემოაღნიშნული განსაზღვრებიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტი არის:

1. სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილი აქტი;
2. კომპეტენტური სამართალშემოქმედი ორგანოს მიერ დადგენილი აქტი;
3. სათანადო წესის დაცვით დადგენილი აქტი;
4. ოფიციალური დოკუმენტის ფორმის მქონე აქტი;
5. ქცევის ზოგადი წესის შემცველი აქტი.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1. ნორმატიულ აქტს ადგენს მხოლოდ სახელმწიფო, მხოლოდ მას აქვს ნორმატიული აქტის დადგენის განსაკუთრებული პრეროგატივა და მონოპოლიური უფლება. სამართლის ყველა სხვა სუბიექტი ასეთ უფლებამოსილებას მოკლებულია. ნორმატიული აქტის დადგენის უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტებია: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, და ასეთი უფლებით სპეციალურად აღჭურვილი სხვა ორგანოები.

2. ნორმატიულ აქტს ადგენს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. როგორც წესი, ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავენ იმ ორგანოების წრეს, რომლებიც აღჭურვილი არიან ნორმატიული აქტის დადგენის, ანუ სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებით. გარდა ამისა, კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონმდებლობა განსაზღვრავენ საკითხთა იმ წრეს, რომელთა ფარგლებში ეს ორგანოები უფლებამო-

სიღნი, ანუ “კომპეტენტურნი“ არიან, დაადგინონ ნორმატიული აქტები. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სამართალშემოქმედებითი ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა და გამიჯვნა გამორიცხავს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების დუბლირებას, ან ობიექტურად მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ მოუწესრიგებლობას.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სამართალშემოქმედებითი, ანუ ნორმატიული აქტების დამდგენი საქმიანობა სათანადო წესებს ანუ პროცედურას ექვემდებარება. როგორც წესი, ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონმდებლობა განსაზღვრავს ნორმატიული აქტების მომზადების, განხილვის, მიღების და ძალაში შესვლის ანუ მისი დადგენის წესებს (მათ ზოგჯერ ნორმატიული აქტების დადგენის რეგლამენტსაც უწოდებენ). სათანადო წესი გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული აქტის შემდგომ დამტკიცებას ზემდგომი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

4. ნორმატიული აქტი სამართლებრივი აქტია. შინაარსის მიხედვით ეს ნიშნავს იმას, რომ მასში ჩამოყალიბებულია ქცევის წესი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს სამართლის სუბიექტების ურთიერთშესაბამის უფლება-მოვალეობას, ანუ ქცევის მასშტაბს, ზომას, ფარგლებს, რომლის საზღვრებში ერთ მხარეს აქვს გარკვეული მოქმედების თავისუფლება, მეორეს კი გარკვეული მოქმედების აუცილებლობა. ფორმის მიხედვით ნორმატიული აქტის სამართლებრივი ხასიათი ნიშნავს იმას, რომ იგი არის აქტი-დოკუმენტი, ოფიციალური ხასიათის წერილობითი აქტი. ამასთან, იგი შედგენილია იურიდიული ტექნიკის გათვალისწინებით და ჩამოყალიბებული იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

5. ნორმატიული აქტის თავისებურება ისაა, რომ იგი შეიცავს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს პოზიტიური სამართლის ნორმის შეფარდებისაგან განსხვავებით, ანუ ნორმატიული აქტი განსხვავდება პოზიტიური სამართლის ნორმის შეფარდების, ანუ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისაგან იმით, რომ პირველი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს პერსონალურად განუსაზღვრელ პირთა შორის და მისი მოქმედება გათვლილია მრავალჯერად განხორციელებაზე, მაშინ, როდესაც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ადრესატია პერსონალურად განსაზღვრული პირი, და მისი მოქმედება, როგორც წესი, ამოიწურება ერთჯერადი განხორციელებით

(სასამართლოს განაჩენი კონკრეტული დამნაშავე პირის მიმართ, აღმინისტრაციის გადაწყვეტილება კონკრეტული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ და ა.შ.).

6. ნორმატიული აქტი, როგორც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ სათანადო წესით დადგენილი ზოგადი ქცევის წესის შემცველი სამართლებრივი აქტი, სხვა ანალოგიურ სამართლებრივ აქტებთან ერთობლიობაში ქმნის გარკვეულ სისტემას. ამ სისტემის თავისებურება ის არის, რომ სამართლებრივი აქტები ქმნიან გარკვეულ იერარქიას ურთიერთდაქვემდებარების წესით. ასეთი ურთიერთდაქვემდებარების კრიტერიუმია ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის ხარისხი. გამომდინარე აქედან, ნორმატიული აქტების იერარქიის სათავეში დგას შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუცია. იერარქიის მეორე ქვედა საფეხურია კონსტიტუციური კანონები, შემდეგ ჩვეულებრივი კანონები, და ბოლოს – კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები. ამასთან, ყოველი მომდევნო სამართლებრივი აქტი უნდა წარმოადგენდეს წინამორბედის კონკრეტიზაციას და დეტალიზაციას, რის შედეგადაც საბოლოოდ ვიღებთ პროგრესულად განტოტვილ, პირამიდის ტიპის სამართლებრივი აქტების იერარქიას.

კონსტიტუცია

ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ 1988 წელს გამოცემული ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, კონსტიტუცია არის განსაკუთრებული წესით მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის პრინციპები და ნორმები, რომელთა შესაბამისად იმართება სახელმწიფო. მოკლედ, კონსტიტუცია არის ხელისუფლების მომწესრიგებელი ზოგადი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა. ამიტომ უწოდებენ სამართლის ამ დარგს კონსტიტუციურ ანუ სახელმწიფო სამართალს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს აქვს თავისი მომწესრიგებელი სამართალი, რომელიც კონცენტრირებულია უმთავრესად კონსტიტუციაში.

კონსტიტუციის ასეთი გაგება ეთანხმება დასავლეთის კონსტიტუციონალისტთა აზრს იმის შესახებ, რომ კონსტიტუციის უმთავრესი მიზანია სამი ხელისუფლების მართვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა განაწილება-გამიჯვნას, ანუ ამ ხელისუფლებათა ფუნქციონირების შემზღვეველი იურიდიული

მექანიზმის დადგენას შეკავება-გაწონასწორების პრინციპების დაც-
ვით.

ტრადიციის თანახმად კონსტიტუციაში ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებებს. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი ასევე “მართავენ” სახელმწიფოს იმ აზრით, რომ ადამიანის თითოეულ კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებას შეესაბამება სახელმწიფოს იურიდიული ვალდებულება იყოს მათი განხორციელების და დაცვის გარანტი. იურიდიულ ენაზე ისინი ასახავენ სამართლებრივ ურთიერთობას ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, რომლის ძალითაც ადამიანს აქვს უფლებები სახელმწიფოს მიმართ, ხოლო სახელმწიფოს - მოვალეობები ადამიანის მიმართ.

კონსტიტუციის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი მიიღება განსაკუთრებული წესით. კონსტიტუციის ეს დამახასიათებელი ნიშანი თვით კონსტიტუციის განსაკუთრებული ასახვაა, რაც გამოიხატება კონსტიტუციის უმაღლეს იურიდიულ ძალაში და მის სახელმწიფოს დამაფუძნებელ სოციალურ ფუნქციაში. სწორედ ამიტომ ტრადიციის მიხედვით კონსტიტუციის დადგენა, როგორც წესი, დამფუძნებელი კრებების პეროგატივაა. კონსტიტუციის “განსაკუთრებულობა” იმაშიც გამოიხატება, რომ მისი შეცვლა პარლამენტის მიერ განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურის წესით ხდება. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გარანტირებული უნდა იქნას კონსტიტუციის სტაბილურობა. თუმცა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის უფლება პარლამენტს აქვს, მაგრამ ცვლილებების განხილვის პროცედურა ზედმიწევნით გართულებულია, რაც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყანაში ან ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის არსებობის აუცილებლობაში (2/3 - 3/5), ე. წ. “ორმაგი ვოტუმის” ჩატარებაში დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ან ცვლილების სარეფერენდუმო წესით შეტანაში და ა.შ.

კონსტიტუციის “განსაკუთრებულობა” განპირობებულია იმით, რომ იგი ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და სამოქალაქო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების სამართლებრივ მოწესრიგებას, ანუ კონსტიტუცია ახდენს სახელმწიფოს საქმიანობის ყველა ძირითადი სფეროს ზოგად სამართლებრივ მოწესრიგებას.

კონსტიტუციის “განსაკუთრებულობა“ იმაში გამოიხატება. რომ კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, რაც ნიშნავს. რომ ნებისმიერი ნორმატიული აქტი, იქნება ეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, პრეზიდენტის ბრძანებულება თუ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. სწორედ ამიტომ უწოდებენ კონსტიტუციას სახელმწიფოს ძირითად კანონს.

კანონი

კანონი არის პარლამენტის მიერ მიღებული ზოგადსა-ვალდებულო ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ინდივიდუალური ცხოვრების ერთ რომელიმე დარგს და გამომდინარეობს კონსტიტუციიდან.

საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი ორგანოს – პარლამენტის ხელში თავმოყრა დაკავშირებულია ხელისუფლებათა შორის უფლებამოსილებათა განაწილების პრინციპთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია შესაბამისი საქმიანობის სპეციალიზაციის, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების პროფესიულ დონეზე გადაწყვეტის, საკანონმდებლო უფლებამოსილებათა რაციონალური რეალიზაციის საჭიროებით. გარდა ამისა, საკანონმდებლო ფუნქციის პარლამენტის განსაკუთრებულ უფლებამოსილებად აღიარება ნაკარნახევია კანონის სტაბილობის უზრუნველყოფის ამოცანებით, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში მართლწესრიგის, მათ შორის, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილობის აუცილებლობასთან.

საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი ორგანოს ხელში თავმოყრა გამორიცხავს ე.წ. დელეგირებული კანონმდებლობის არსებობის შესაძლებლობას, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრეზიდენტს თუ მთავრობას) უფლებას ართმევს, იმოქმედოს საკანონმდებლო ხელისუფლების რანგში, დაადგინოს კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტები. მსოფლიოში სახელმწიფოს მშენებლობის თეორიამ და პრაქტიკამ იცის ერთი გამონაკლისი, როდესაც პრეზიდენტს უფლება ენიჭება გამოსცეს საკანონმდებლო ხასიათის ბრძანებულება, მაგრამ პარლამენტის მიერ მისი შემდგომი სავალდებულო დამტკიცების პირობით.

ასეთი გამოწვევის ორ მიზანს ემსახურება: პირველი, გამოირიცხოს კანონის ჩამორჩენა საზოგადოებრივი განვითარების დინამიკისაგან, და მეორე, ნორმატიულმა აქტმა გაიაროს პრაქტიკით აპრობაცია. საკანონმდებლო ბრძანებულების საპარლამენტო განხილვის დროს პრეზიდენტმა უნდა დაუმტკიცოს დეკლარაციებს, რომ ორივე მიზანი მიღწევადია.

კანონის ნაირსახეობას კოდექსები წარმოადგენს.

მაგალითად, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, როგორც კოდიფიცირებული სამართლის ნორმების ერთობლიობა, ახდენენ კონსტიტუციის იმ ნორმების კონკრეტიზაციას და დეტალიზაციას, რომლებიც აღიარებენ, მაგალითად ბრალდებულის უფლებას დაცვაზე, უდანაშაულობის პრეზუმფციას, პიროვნების ხელშეუხებლობას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას შრომის კანონთა კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის და სხვა კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების შესახებ.

კანონი ან კანონთა კრებული, როგორც წესი, ორიენტირებულია ერთი სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაზე.

კანონქვემდებარე აქტები

კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნებიან ძირითადად სამთავრობო სტრუქტურების მიერ დადგენილი სამართლის ნორმები: მინისტრთა კაბინეტის ან მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, ცალკეული მინისტრების ბრძანებები და სამთავრობო უწყებების განკარგულებები. ამ სუბიექტების მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების იურიდიული ბუნება გამომდინარეობს მათი სამართლებრივი სტატუსიდან სახელმწიფო მექანიზმში, კერძოდ, იმ ფუნქციიდან, რაც დაკავშირებულია კანონის აღსრულების ორგანიზაციასთან. იმიტომ უწოდებენ მათ აღმასრულებელ ანუ კანონის აღმასრულებელ ხელიმუფლებას.

აქედან გამომდინარე, სამთავრობო სტრუქტურების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები წარმოადგენს არა იმდენად კანონების დეტალიზაციას და კონკრეტიზაციას, არამედ მათ აღსრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებების იურიდიულ გაფორმებას, რის გამოც კანონქვემდებარე აქტების კანონთან შესაბამისობის საკითხი, როგორც წესი, არ დგას. თუ მთავრობას მიაჩნია, რომ კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და მისი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ ის აღჭურვილია საკანონმდებლო ინ-

იციატივის უფლებით, შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოს. მაგრამ კანონის შესრულებისაგან თავის არიდების უფლება მას არ აქვს.

კანონქვემდებარე აქტებს აქვთ სავალდებულო ძალა ყველა იმ სუბიექტის მიმართ, ვის მიმართაც ისინი კანონით უფლებამოსილი არიან განახორციელონ თავისი ძალაუფლება. უპირველეს ყოვლისა, ისინი სავალდებულონი არიან მათ მიმართ დაქვემდებარებული ყველა ორგანოსა თუ თანამდებობის პირის, ორგანიზაციის თუ დაწესებულების მიმართ. სწორედ ამიტომ უმაღლესი სამთავრობო სტრუქტურების მიერ გამოცემულ ზოგადსავალდებულო ნორმატიულ აქტებს აღმასრულებელ-განმკარგულებელ აქტებს უწოდებენ.

კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნებიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოების მიერ დადგენილი ზოგადსავალდებულო ნორმატიული აქტები, რომელთაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვთ შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში. ისინი ახდენენ ზემდგომი აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტების დეტალიზაციას და კონკრეტიზაციას ადგილობრივი სპეციფიკის და თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, ადგილობრივი ორგანოების ბევრი აქტი მათი განსაკუთრებული კომპეტენციის ფარგლებში გამოიცემა.

ნორმატიული აქტების სისტემიზაცია

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია არის მოქმედი ზოგად-ნორმატიული სამართლებრივი აქტების მთელი მასის წესრიგში მოყვანა, დალაგება და სრულყოფა გარკვეული პრინციპის დაცვით ინკორპორირების და კოდიფიცირების ფორმით.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია აუცილებელია რათა:

- უზრუნველყოფილ იქნეს საკანონმდებლო სამართლის ნორმების იერარქია. ამისათვის საჭიროა იერარქიის საფეხურებს შორის წინააღმდეგობის დადგენა და აღმოფხვრა;

- დადგინდეს და აღმოფხვრას წინააღმდეგობა პოზიტიური სამართლის ნორმების ერთი იერარქიული საფეხურის ფარგლებში;

- დადგინდეს და შეივსოს ხარვეზები საკანონმდებლო სამართალში, შეტანილ იქნეს ოფიციალური დამატებანი კანონმდებლობაში იერარქიის ნებისმიერ დონეზე.

- საბოლოო ჯამში, სრულყოფილი და გაუმჯობესებული იქნეს საკანონმდებლო სამართლის შეფარდების და გამოყენების პროცესი, უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერება და სამართლიანობა, იურიდიული პრაქტიკის, მთლიანად მართლწესრიგის სტაბილობა.

არსებობს საკანონმდებლო სამართლის ნორმების სისტემატიზაციის ორი სახე: ინკორპორაცია და კოდიფიკაცია.

1. ინკორპორაცია არის სხვადასხვა სახის ზოგადნორმატიული სამართლებრივი აქტების ქრონოლოგიური, ალფაბეტური ან საგნობრივი პრინციპით დალაგება მათ ერთ კრებულში გაერთიანებით.

ინკორპორაციის თავისებურება ის არის, რომ ამ სახის სისტემატიზაციის დროს ნორმატიული მასალა რაიმე არსებით ცვლილებას არ განიცდის. ინკორპორაციის უმთავრესი მიზანია, რომ მოქმედი კანონმდებლობა იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს მისი გაცნობის მისაწვდომობას, გაადვილებს მის გააზრებას და გაამარტივებს მის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, ინკორპორაციის დროს წარმოებს ნორმატიული მასალის არა შინაარსობრივი, არამედ გარეგანი დამუშავება: პირველად ტექსტში შეიტანება მომდევნო და მიმდინარე ოფიციალური ცვლილებები; ტექსტიდან ამოიღება ის მუხლები, პუნქტები, წინადადებები ან სიტყვები, რომლებმაც დაკარგეს იურიდიული ძალა; წარმოებს ცალკეული მუხლების ან მთელი თავების გადაჯგუფება ტექსტის აღქმის გაადვილების მიზნით და ა.შ.

საკანონმდებლო სამართლის ნორმების ინკორპორაციას სხვადასხვა პრინციპით ახდენენ.

პირველი პრინციპია ნორმატიული მასალის გარკვეული მეთოდის მიხედვით დალაგება. მაგალითად, კანონთა ან კანონქვემდებარე აქტების კრებულების შედგენა ხდება ქრონოლოგიური წესით, რა დროსაც ნორმატიული მასალა ლაგდება მათი გამოცემის თარიღის მიხედვით. როგორც წესი, ასეთ კრებულებში არ შედის ის აქტები, მუხლები, პუნქტები და სხვა ნაწილები, რომლებმაც დაკარგეს იურიდიული ძალა კრებულის გამოცემის დროისათვის. მეორე შემთხვევაში, ნორმატიული მასალის დალაგება წარმოებს თემატიკის მიხედვით. მაგალითად, ერთ კრებულში ან კრებულის ერთ ნაწილში თავს უყრიან და ალაგებენ ქრონოლოგიურად ნორმატიულ მასალას, რომელიც შეეხება ერთ დარგს ან დარგის ერთ ინსტიტუტს და ამ მასალას ალაგებენ ნორმატიული აქტების იერარქიულობის პრინციპის დაცვით (კონსტიტუცია, კანონი, კანონქვემდებარე აქტები და ა.შ.), და რა თქმა უნდა, ამასთან

ითვალისწინებენ შესაბამისი ნორმატიული აქტის, მუხლის, ნაწილის ან სხვა ნაწილის იურიდიულ ძალას. შესაძლებელია ინკორპორაციის ქრონოლოგიური, ალფაბეტური და საგნობრივი პრინციპების სხვა ვარიანტებიც. ასეთ კრებულებს სავალდებულო ძალა აქვთ.

ინკორპორაციის მეორე, უფრო მაღალი საფეხურია ე.წ. კონსოლიდაცია ანუ ნორმატიული მასალის ისეთი გაერთიანება, როდესაც ერთ საკითხზე ნორმატიული მასალა ეწყობა ერთ აქტად და ამ აქტში ეს მასალა იყოფა თავებად, პარაგრაფებად, მუხლებად მათი ლოგიკური კავშირების გართვალისწინებით. ამ დროს გამოირიცხება განმეორებები, აშკარა წინააღმდეგობები, შეცდომები, მოძველებული ტერმინები იცვლება ახალი ადეკვატური ტერმინებით და ა.შ., მაგრამ აზრის შეუცვლელად.

ინკორპორაციის მესამე ხერხია ნორმატიული მასალის დალაგება გარკვეული მოცულობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ მთლიან ან ნაწილობრივ ინკორპორაციას. მთლიანი ინკორპორაციის დროს წარმოებს ქვეყანაში მოქმედი მთელი ან თითქმის მთელი ნორმატიული მასალის დამუშავება – დალაგება–თავმოყრა, ხოლო ნაწილობრივი ინკორპორაციის დროს – მხოლოდ ნაწილისა; ორივე შემთხვევაში წარმოებს ზემოაღნიშნული პრინციპების ვარიაციული გამოყენება.

2. კოდიფიკაცია არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ზოგადნორმატიული სამართლებრივი აქტების ჩამოყალიბება და თვისობრივი დამუშავება ან ახალი ნორმატიული აქტების შემუშავება კონცეპტუალურად ერთიან, იურიდიულად და ლოგიკურად შეთანაწყობილ ერთ მთლიან ახალ სამართლებრივ აქტად.

კოდიფიკაციის დროს წარმოებს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის არსებითი შეცვლა საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროში. ამ მიზნით უქმდება მოქმედი კანონმდებლობა ამ სფეროში და იქმნება ახალი, რა დროსაც მხედველობაში მიიღება არა მარტო მოქმედი ნორმატიული მასალა, არამედ მისი განხორციელების პრაქტიკა საკანონმდებლო, აღმსრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ, აგრეთვე, მეცნიერთა დასკვნები შესაბამის დარგში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ტენდენციების და პერსპექტივების შესახებ.

კოდიფიკაციის შედეგია ერთიანი სამართლებრივი აქტი – კოდექსი, რომელიც წინამორბედისაგან განსხვავებით წარმოადგენს ფორმითა და შინაარსით ახალ აქტს, მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთი სფეროს მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განაწილებულია თავებში, პარაგრაფებში, მუხლებში და ა. შ.

კოდიფიკაციის შედეგია ზოგადსაგალობლო ოფიციალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ავალდებულებს იმ სუბიექტებს, ვისზეც ის ვრცელდება, დაეყრდნონ მას, მოახდინონ მასზე მითითება და აწარმოონ მისი ახსნა-განმარტება მათი შეფარდება-გამოყენებისას შესაბამისი ნორმის ფარგლებში.

საბოლოო ჯამში კოდიფიკაცია, როგორც საკანონმდებლო სამართლის ნორმების სისტემატიზაციის უმაღლესი ფორმა, იურიდიულ ყალიბში სვამს, იურიდიულად აფორმებს და ასხეულებს სამართლებრივ ნორმებს, სამართლებრივ ინსტიტუტებს, სამართლის დარგებს.

საერთოდ, კოდიფიკაცია არის ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის უმაღლესი დონე, იგი აღნიშნავს სამართლებრივი კულტურის განვითარების ახალ ეტაპს, საზოგადოდ პროგრესს სამართალში.

გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება კოდიფიკაცია საერთაშორისო სამართალში, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ საერთაშორისო სამართლის უმთავრესი წყარო არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. გამომდინარე აქედან, საერთაშორისო სამართალში კოდიფიკაციის ძირითადი დანიშნულებაა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წერილობით პოზიტიურ საერთაშორისო სამართლად გარდაქმნა, სხვა სიტყვებით, საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების ჩამოყალიბება წერილობით საერთაშორისო სამართლებრივ აქტში (კონვენცია, შეთანხმება, პაქტი).

საერთაშორისო სამართალში კოდიფიკაციის ძირითადი მიზანია საერთაშორისო სამართალში ჩვეულებად ქცეული ნორმების ნათელი და ზუსტი ჩამოყალიბება და ფორმულირება საერთაშორისო აქტში, რომ გამოირიცხოს საერთოდ ან მაქსიმალურად შეიზღუდოს შესაბამისი ნორმის განსხვავებული ახსნა-განმარტების შესაძლებლობა და ამით ხელი შეეწყოს მის ერთგვაროვან და თანამიმდევრულ გამოყენებას საერთაშორისო პრაქტიკაში.

მოქმედი საერთაშორისო ნორმების ნათელი და ზუსტი ჩამოყალიბება და ფორმულირება გულისხმობს:

1. ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეალურად ფუნქციონირებადი საერთაშორისო სამართლის ნორმების დადგენას და მათი შინაარსის დაზუსტებას;

2. ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეალურად ფუნქციონირებადი საერთაშორისო სამართლის ნორმების და უკვე კოდიფიცირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების გადასინჯვას და მათში ცვლილებების შეტანას;

3. სრულიად ახალი საერთაშორისო სამართლის ნორმების გამო-
მუშავებას საერთაშორისო ურთიერთობათა რეალიებისა და მათი გან-
ვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

4. ზემოაღნიშნული საქმიანობის შედეგების გადაქცევას საერთა-
შორისო ნორმატიულ აქტად, ამ შედეგების იურიდიული, ლოგიკუ-
რი, სისტემატური, გრამატიკული დამუშავების გზით.

ამრიგად, საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია არის სამარ-
თალ შემოქმედებითი პროცესი. ამჟამად საერთაშორისო სამართლის
კოდიფიკაცია ხორციელდება ძირითადად საერთაშორისო ორგანიზა-
ციის ფარგლებში, როგორცაა გაერო (გაერთიანებული ერების ორგა-
ნიზაცია), შსო (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია), სასო (სამოქა-
ლაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და სხვა სამთავრობო
ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების მიერ გამომუშავებული იქნა
არაერთი საერთაშორისო კონვენცია როგორც საერთაშორისო
სამართლის ნორმების კოდიფიცირების შედეგი. და მაინც, უმთავრესი
საკოდიფიკაციო ორგანო არის გაერო, რომლის სტრუქტურულ ნა-
წილებში იბადება კოდიფიცირებული აქტები. მათ შორის უმთავრე-
სია საერთაშორისო სამართლის კომისია. მის გარდა ფუნქციონირებენ
გაეროს სპეციალური კომიტეტები.

კოდიფიკაციის შედეგია სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდე-
ბულებების ნათელი და ზუსტი ფორმულირება და განსაზღვრა, რაც
არის მსოფლიოში უშიშროებისა და თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნ-
იშვნელოვანესი გარანტია.

ნორმატიული აქტების მოქმედება დროში

ნორმატიული აქტების მოქმედება დროში ნიშნავს იმას, რომ სამარ-
თლის ნორმის შემცველი ნორმატიული აქტი იწყებს მოქმედებას,
იცვლება ან წყვეტს არსებობას დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ნორმატიული აქტები ოფიციალურად სავალდებულოა მისი იუ-
რიდიულ ძალაში შესვლის დროიდან. როგორც წესი, ნორმატიული
აქტი იწყებს მოქმედებას ან მისი მიღებისთანავე, ან მიღებიდან საერ-
თოდ აღიარებული რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, ან თავად ნორმა-
ტიულ აქტში მითითებული ზუსტი თარიღიდან. იგივე წესი მოქმე-
დებს ნორმატიულ აქტებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

ნორმატიული აქტების დროში მოქმედების შეწყვეტა დაკავშირებულია შემდეგ პირობებთან: დადგენილი ვადის გასვლასთან, აქტის გაუქმების მომენტთან ან აქტის ახალი აქტით შეცვლასთან.

ყველა შემთხვევაში ნორმატიული აქტების მოქმედება დროში ნიშნავს იმას, რომ იგი მოქმედებს, ასე ვთქვათ, “წინ” უსწრებს იმ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მისი იურიდიულ ძალაში შესვლის შემდეგ. მაშინაც კი, როდესაც საქმე გვაქვს დენად საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, რომელიც მოიცავს დროში განფენილ უკვე დამდგარი და მოსალოდნელი ფაქტების მთელ რიგს, ახალი ნორმატიული აქტი, ასე ვთქვათ, “შეიჭრება” შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობაში და თავისი ძალაში შესვლის მომენტიდან იწყებს წინამორბედი აქტის მოქმედების დროს ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დარჩენილი ნაწილის ახლებურად მოწესრიგებას, გარდაქმნას. ზემოაღნიშნულიდან ორი პრინციპი გამომდინარეობს, რომლის თანახმადაც: “მოქმედ კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს” (Lex ad praetiam non valet) და “არცერთ კანონს წინმსწრები ძალა არ აქვს” (Lex ad futurum non valet).

ზემოაღნიშნული წესიდან ორი გამონაკლისი არსებობს: არის შემთხვევები, როდესაც ნორმატიულ აქტს ეძლევა უკუქცევითი ძალა და არის შემთხვევები, როდესაც ძველ კანონს ეძლევა წინმსწრები ძალა.

რა შემთხვევაში ეძლევა ნორმატიულ აქტს უკუქცევითი ძალა?

შემთხვევათა პირველი რიგი მოიცავს სიტუაციას, როდესაც მოქმედ კანონს “უკან აბრუნებენ” მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის დაუმთავრებელი სამართლებრივი შედეგების მოსაწესრიგებლად. ახალი კანონის უკუქცევითი ძალა ამ შემთხვევაში გულისხმობს წინამორბედი აქტის მოქმედების დროს ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნას. ამრიგად, საუბარია ძველი ურთიერთობის ახალი კანონით მოწესრიგებაზე. შემთხვევათა პირველი რიგის მაგალითები უამრავი შეიძლება იქნეს მოყვანილი დენადი სახელშეკრულებო ურთიერთობათა სფეროდან (სამოქალაქო, შრომის, საოჯახო ურთიერთობანი).

შემთხვევათა ეს რიგი მოიცავს აგრეთვე სიტუაციას, როდესაც მოქმედ კანონს “უკან აბრუნებენ” მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ, ძველი სამართლებრივი ურთიერთობის დამთავრებული სამართლებრივი შედეგების ახლებურად მოსაწესრიგებლად. ამის ტიპური მაგალითია სასამართლო განაჩენით განსაზღვრული სასჯელის

შემსუბუქება ან სასჯელისაგან საერთოდ განთავისუფლება, როდესაც ახალი კანონი ამსუბუქებს სასჯელს ან საერთოდ აუქმებს დასჯადობას.

რა შემთხვევაში ეძლევა ძველ კანონს წინმსწრები იურიდიული ძალა? ე.ი. რა შემთხვევაში ენიჭება გაუქმებულ, იურიდიული ძალის არმქონე კანონს უფლება მოაწესრიგოს ახალი კანონის პირობებში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი? იმ შემთხვევაში, როდესაც მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოიშვა (უფლება-მოვალეობანი განაწილდა) ძველი კანონის მოქმედების პირობებში და იგი ფაქტიურად აგრძელებს არსებობას ახალი კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ძველ, გაუქმებულ კანონს, ასე ვთქვათ, “უხანგრძლივებენ სიცოცხლეს”. მაგალითები შეიძლება მოყვანილი იქნეს დენადი სახელშეკრულებო ურთიერთობათა სფეროდან (სამოქალაქო, შრომის, საოჯახო ურთიერთობანი).

ორივე პრინციპის მოქმედება განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა უკეთესი, ოპტიმალური, ეფექტური მოწესრიგების მოსაზრებით, ე.ი. დაკავშირებულია სამართლებრივი მოწესრიგების ისეთ მეთოდთან, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს შესაბამისი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, მათ უფლება-მოვალეობათა სამართლიან დაცვას.

ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში

ნორმატიული აქტის სივრცეში მოქმედება დაკავშირებულია სახელმწიფოს ტერიტორიის ცნებასთან.

სახელმწიფო ტერიტორიად ჩაითვლება პლანეტარული სივრცის ის ნაწილი, რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტი, რაც გულისხმობს მის ტერიტორიულ უზენაესობასაც. სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ფლობს უმაღლეს ძალაუფლებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ და ამ ტერიტორიაზე არსებულ ყველა მატერიალური ობიექტის გამო, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს მათ მიმართ სხვა სახელმწიფოს საჯარო თუ კერძო სტრუქტურების რაიმე უფლებამოსილებას მოცემულ ტერიტორიაზე. სახელმწიფო ტერიტორიული უზენაესობა კონკრეტულად ხორციელდება ოფიციალუ-

რი სტრუქტურების მიერ. ეს სტრუქტურები ერთიანობაში ქმნიან სამ ხელისუფლებას: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. აღნიშნული ხელისუფლებანი თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში.

სახელმწიფოს საზღვარი არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ხელისუფლებათა ანუ მთლიანად სახელმწიფოს უფლებამოსილების სამართლებრივი ფარგლების ანუ სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის ფიზიკური გამოხატულება. განასხვავებენ სახელმწიფო ტერიტორიის სახმელეთო, საწყლო და საჰაერო საზღვრებს. სახმელეთო საზღვრები წესდება მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმებით სახელშეკრულებო აქტის საფუძველზე, მოინიშნება ადგილზე და გადაიტანება რუკაზე. საწყლო საზღვრები წესდება ასევე ხელშეკრულების საფუძველზე და გადაიტანება რუკაზე. რაც შეეხება საზღვარს ღია ზღვაში, აქ მოქმედებს გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, რომლითაც დაწესდა ტერიტორიული წყლების სიგანე არაუმეტეს 12 მილისა. საჰაერო და მიწისქვეშა საზღვარი მოიცავს მთელ საჰაერო და მიწისქვეშა სივრცეს სახმელეთო საზღვრის ვერტიკალურად. უკიდურეს საჰაერო საზღვრად საერთაშორისო სამართალში მიჩნეულია თანამგზავრის ობიექტის ის ქვედა წრეწირი, რომლის ქვემოთაც თანამგზავრს ორბიტაზე მოძრაობა არ შეუძლია.

სახელშეკრულებო საზღვრების გარდა არსებობს ე.წ. ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრები, რომელთა ზუსტი კონფიგურაცია არ განისაზღვრება და არ ფიქსირდება ხელშეკრულებით, მაგრამ რომელთაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრაქტიკულად იცავენ მეზობელი სახელმწიფოები და მდუმარედ აღიარებენ მათ (მაგალითად, კავკასიონი - საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის, წარსულში გურჯი-ბოლახი საქართველოს, სომხეთსა და თურქეთს შორის).

საკანონმდებლო სამართლის ნორმის სივრცეში მოქმედების ზოგადი იურიდიული პრინციპი შემდეგია: ნორმატიული აქტი მოქმედებს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება ამ აქტის გამოცემი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება ანუ კომპეტენცია.

ნორმატიული აქტების ტერიტორიულ პრინციპს ექვემდებარება სახელმწიფოს სხვადასხვა დონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული აქტის მოქმედება: ფედერალური ორგანოების

მიერ მიღებული აქტები მოქმედებენ ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე, ფედერაციის სუბიექტის ორგანოს მიერ მიღებული აქტები მოქმედებენ ფედერაციის ამ სუბიექტის ტერიტორიაზე, ადმინისტრაციული ოლქის ორგანოს მიერ მიღებული აქტები – ამ ოლქის ტერიტორიაზე და ა.შ.

მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობა არ არის აბსოლუტური კატეგორია, ისევე როგორც არ არსებობს სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების გაფართოებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებით სახელმწიფოები უფრო ხშირად იყენებენ ნორმატიული აქტების მოქმედების ექსტერიტორიალობის პრინციპს.

ნორმატიული აქტის ექსტერიტორიალური მოქმედების პრინციპი ანუ საკანონმდებლო სამართლის ნორმის ტერიტორიის გარეშე მოქმედების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი სახელმწიფოს ნორმატიული აქტები გამოიყენება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს პრინციპი უპირატესად მოქმედებს სამოქალაქო, შრომის, სავაჭრო, საოჯახო სამართალში. ეს პრინციპი არ მოქმედებს საკონსტიტუციო სამართალში, აგრეთვე, სისხლისა და, ნაწილობრივ, ადმინისტრაციულ სამართალში.

ნორმატიული აქტების მოქმედება პირთა წრის მიმართ

ნორმატიული აქტის მოქმედება პირთა წრის მიმართ ნიშნავს იმას, რომ ნორმატიული აქტი ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელიც მოქცეულია, “მოყოლილია” ამ აქტის მოქმედების სფეროში. ეს ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო სამართლის უკლებლივ ყველა ნორმა ვრცელდება მისი მოქმედების ტერიტორიაზე მყოფ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე, ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ სუბიექტზე. ეს არის ზოგადი პრინციპი. მეორეს მხრივ, ცალკეული ნორმატიული აქტები, მათ შორის, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტები ვრცელდება მოქალაქეთა და ორგანიზაციების გარკვეულ კატეგორიებზე (შრომის სამართლის ნორმები უპირატესად მუშა-მოსამსახურეებზე, ნორმები სამხედრო დანაშაულის შესახებ – სამხედრო მოსამსახურეებზე და ა.შ.).

ფიზიკური პირის მიმართ ნორმატიული აქტის მოქმედების საფუძველია მოქალაქეობა. მაგალითად, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა. ამასთან, საცხოვრებელ ადგილად ითვლება ადგილი, სადაც მოქალაქე ცხოვრობს მუდმივად ან უპირატესად.

იურიდიული პირის მიმართ საკანონმდებლო სამართლის ნორმის მოქმედების საფუძველია მისი მუდმივად მოქმედი ორგანოს ადგილმდებარეობა (დირექტორთა საბჭო, გამგეობა, ყრილობა, საერთო კრება და ა.შ.), რომელიც ახორციელებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

იურიდიული პირის ადგილმდებარეობა, ისევე, როგორც მოქალაქის საცხოვრებელი ადგილი, დაკავშირებულია იმ მოქმედებებთან, რომლებიც წარმოშობენ გარკვეულ იურიდიულ შედეგებს. იურიდიული პირის ადგილმდებარეობის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, გარიგების დადების ადგილის განსაზღვრისათვის, სასამართლო ან საარბიტრაჟო დაკების განხილვის სასამართლო ქვემდებარობის განსაზღვრისათვის და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულ საერთო წესს აქვს სამი გამონაკლისი. პირველ შემთხვევაში პირები, რომლებიც სარგებლობენ ექსტერიტორიალობის უფლებით, არ ემორჩილებიან სხვა ქვეყნის პოზიტიური სამართლის ნორმების მოქმედებას (მხედველობაშია დიპლომატიურ წარმომადგენელთა პრივილეგიები და იმუნიტეტი საზღვარგარეთ, რომელთა მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფო იძულების ღონისძიებები სამართალდარღვევისათვის). მეორე შემთხვევაში უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება არ აქვთ იქონიონ ზოგიერთი უფლება-მოვალეობები, მაგალითად, აირჩიონ ან არჩეული იქნენ არჩევით სახელმწიფო ორგანოებში, ჩამოაყალიბონ პოლიტიკური პარტიები და ა.შ. მესამე შემთხვევაში, მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს თავისი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონებს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. აქ მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმადაც მოქალაქე არ თავისუფლდება, მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა საზღვარგარეთ, თუმცა იქ მოიხადა სასჯელი. (რა თქმა უნდა, სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს მოხდილი სასჯელი და პირს შეუმსუბუქოს სასჯელი ან საერთოდ გაანთავისუფლოს სასჯელისაგან).

ნორმატიული აქტების კოლიზია

ნორმატიული აქტების კოლიზია არის ორი ან რამდენიმე სამართლებრივი ნორმატიული აქტის „შეჯახება“, დაპირისპირება იმ თვალსაზრისით, რომ ისინი სხვადასხვაგვარად აწესრიგებენ ერთი და იმავე სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას. სხვა სიტყვებით, საკანონმდებლო სამართლის ნორმების კოლიზიის დროს ფაქტიურად ხდება დაპირისპირება სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებს შორის სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტის იდენტურობის პირობებში.

საკანონმდებლო სამართლის ნორმის კოლიზია გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება:

1) სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები;

2) ერთი და იმავე ორგანოს მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული ნორმატიული აქტები;

3) სხვადასხვა ან ერთი და იმავე ორგანოს მიერ სხვადასხვა ან ერთსა და იმავე დროს გამოცემული ზოგადი და სპეციალური აქტები.

შესაბამისად, საკანონმდებლო სამართლის ნორმებს შორის კოლიზია შემდეგნაირად წესრიგდება:

1) უპირატესობა ენიჭება ზემდგომი ორგანოს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტს;

2) უპირატესობა ენიჭება შედარებით მოგვიანებით გამოცემულ ნორმატიულ აქტს;

3) უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმატიულ აქტს.

საერთაშორისო ურთიერთობებში ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნის ნორმატიული აქტის კოლიზიას. ამ შემთხვევაში კოლიზია გადაწყდება მოდავე მხარეებს შორის ამის გამო ადრე დადებული ცალმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებით, ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ან ყველა ან სახელმწიფოთა უმრავლესობის ანალოგიური ნორმატიული აქტების უნიფიცირების გზით.

საერთაშორისო ურთიერთობებში მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა ქვეყნის ნორმატიულ აქტებს შორის კოლიზიის გადაწყვეტის, მოხსნის წესები:

1) მოქალაქეობის და მასთან დაკავშირებული საკითხების გამო ნორმატიული აქტების კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს საცხოვრებელი ადგილის კანონი;

2) კონებასთან დაკავშირებული საკითხების გამო ნორმატიული აქტების კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს ნივთის ადგილმდებარეობის კანონი;

3) მოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების გამო ნორმატიული აქტების კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს მოქმედების შესრულების ადგილის კანონი;

4) საქმის ქვემდებარეობის შესახებ საკითხების გამო ნორმატიული აქტების კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს საქმის განმხილველი სასამართლოს კანონი და სხვ.

საერთაშორისო ურთიერთობებში კოლიზიური ნორმები უპირატესად მოიცავს სამოქალაქო, შრომის, საოჯახო კანონმდებლობას. სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალში, როგორც წესი, მოქმედებს ნაციონალური სამართლის პრინციპი.

2. ხელშეკრულება

ხელშეკრულება არის ორი ან მეტი ფიზიკური თუ იურიდიული პირის ნებაყოფლობითი კავშირი და დამოკიდებულება, რომლის ძალითაც ისინი ურთიერთშეთანხმებულ ვალდებულებას კისრულობენ, შეასრულონ გარკვეული მოქმედება ერთმანეთის მიმართ. ყოფით ენაზე ხელშეკრულება სხვა არაფერია, თუ არა “დაპირება“, რომელსაც აქვს იურიდიული, სამართლებრივი ძალა. ეს “დაპირება“ გამოიხატება ორი ან მეტი პირის მიერ ურთიერთვალდებულების აღებაში გარკვეული მოქმედების შესრულებაზე.

1. ხელშეკრულება არის ნებაყოფლობითი აქტი, იგი არის ხელშეკრულებაში მონაწილე პირების ნების თავისუფალი გამოვლენა, ამასთან, ხელშეკრულებაში უმთავრესია ურთიერთშეთანხმებული ნება და არა ნების ცალმხრივი გამოვლენა, ნებათა თანმთხვევა და არა ინდივიდუალური “ნებები“ აქედან გამომდინარე, კანონის იმპერატიული ნორმებით რეგლამენტირებული ორი ან რამდენიმე მხარის ნების თანმთხვევა არ ჩაითვლება ხელშეკრულებად.

ხელშეკრულებად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი შეთანხმება, რომლის ცალკეული ასპექტები რეგლამენტირებულია კანონმდებლის ნებითაც. ასეთ ხელშეკრულებებს შერეულ ხელშეკრულებებს უწოდებენ. შერეული ტიპის ხელშეკრულებები XX საუკუნეში იქცნენ ტიპურ,

ჩვეულებით ხელშეკრულებად. მაგალითად, შრომითი ხელშეკრულება კონტროლდება კანონმდებლობით მინიმალური ხელფასის, სამუშაო დროის, სამუშაო პირობების, სოციალური უზრუნველყოფის შესახებ და ა.შ. მას ემატება სასამართლო რეგულირება, რაც გამოიხატება სამართლის ზოგადი პრინციპების გამოყენებაში იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლება-თავისუფლების დარღვევას, რომელთა დაცვა-აღდგენა სასამართლოს უშუალო მოვალეობაა. მაგრამ ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების ამოსავალია ნება, ორი ან რამდენიმე პირის თანხმობით ნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებაში მონაწილთა ნების გამოვლენის ფორმასაც. ნება უნდა იყოს არა გამოუმჯდამებელი სურვილი, არამედ ისეთი ფორმით გამოვლენილი სურვილი, რომელიც აშკარად და ცხადად მიანიშნებს ხელშემკვრელი პირების განზრახვის შინაარსზე. გამოვლენის ფორმა შეიძლება იყოს სიტყვა, გამოსახულება, ფიზიკური მოძრაობა ან სხვაგვარი ქმედობა, რაც მეორე მხარეს, მესამე პირს ან სასამართლოს აძლევს საკმარის საფუძველს ივარაუდოს ის, რომ ვალდებულება აღებული იქნა ნებაყოფლობით.

2. ხელშეკრულება აღნიშნავს კავშირს და დამოკიდებულებას პირებს შორის, რაც გამოიხატება ვალდებულებაში გარკვეული მოქმედების შესრულების შესახებ. მაგრამ ეს კავშირი და დამოკიდებულება გამოხატავს არა ზნეობრივ მოვალეობას, არამედ იურიდიულ, სამართლებრივ ვალდებულებას. ეს კავშირი და დამოკიდებულება თავისი ბუნებით იურიდიული, სამართლებრივია. ადამიანთა შორის ზნეობრივი კავშირისა და დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, იურიდიული ანუ სამართლებრივი კავშირი და დამოკიდებულება ყოველთვის არა მხოლოდ მოვალეობაშია, არამედ გამოიხატება აგრეთვე ხელშემკვრელ პირის უფლებაში – მოსთხოვოს მეორე პირს ან პირებს გარკვეული მოქმედების შესრულება. მაგრამ არც ესაა საკმარისი, ხელშეკრულების იურიდიული, სამართლებრივი ბუნების დასახასიათებლად მთავარი და გადამწყვეტია, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე პირებს შორის უფლება-მოვალეობანი ურთიერთაღიარებული და ერთმანეთისაგან გამიჯნული იყოს.

ხელშეკრულების იურიდიული, სამართლებრივი ბუნება გამოიხატება ურთიერთვალდებული თითოეული პირის უფლებაში არა თავის, არამედ მეორე პირის მოქმედებაზე, რაც გულისხმობს აგრეთვე უფლებას მოძრაობაში მოიყვანოს სამართალდამცველი ინსტიტუტები დარღვეული უფლების აღსადგენად. ეს უკანასკნელი მომენტიც, რაც

სარჩელის უფლების სახელით არის ცნობილი, ხელშეკრულების იურიდიული, სამართლებრივი ბუნების ამხსნელია. უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკია პასუხისმგებლობის ვალდებულებაზე ანუ ვალდებულებაზე, რომ ვალდებულების არშემსრულებელმა პირმა განიცადოს მისთვის არახელსაყრელი შედეგები.

ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულება არის ურთიერთშეთანხმებული დაპირება, რომლის შესრულება აღიარებულია ერთი მხარის ვალდებულებად და მეორე მხარის უფლებად, და რომლის (დაპირების) შესრულებლობა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

3. ხელშეკრულება არის ადამიანის ბუნების კერძო გამოვლენა. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება ემყარება რამდენიმე ფილოსოფიურ საფუძველს.

ხელშეკრულების პირველი ფილოსოფიური საფუძველი ემყარება იდეას, რომლის თანახმადაც “მე ვარ შებოჭილი, რადგანაც მე მსურს ვიყო შებოჭილი“. სურვილი განხილულია, როგორც სახელშეკრულებო სამართლის ამოსავალი პრინციპი. საკითხი ეხება ინდივიდუალური ნების სუვერენიტეტს.

მეორე საფუძველი ემყარება დაპირების სიწმინდის პრინციპს, რაც გულისხმობს მიცემული სიტყვის შესრულების გარდუვალობას.

მესამე საფუძველი კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება. ამ პრინციპის თანახმად სახელშეკრულებო სამართალი განიხილება როგორც სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ძალაუფლების აღიარების სახე.

ხელშეკრულების მეოთხე ფილოსოფიური საფუძველი ემყარება ნდობის პრინციპს. ამ პრინციპის თანახმად ხელშეკრულების საფუძველი მდგომარეობს მოლოდინში, რომ ნდობა დანაპირების შესრულების შესახებ გამართლებული იქნება. საქმე ისაა, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ან პირადი ინტერესი და მოთხოვნილება სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების დაუხმარებლად, მათთან ხელშეკრულების დადების გარეშე, რაც უზრუნველყოფს საქონელბრუნვას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების კეთილდღეობის საფუძველია.

ხელშეკრულების მეხუთე ფილოსოფიური საფუძველი დაკავშირებულია ზნეობრივ აუცილებლობასთან. ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულება შეიძლება განხილული იქნეს როგორც სახელმწიფოს მოვალეობა, უზრუნველყოს კეთილი ნების დამკვიდრება საზოგადოებაში.

ამრიგად, ხელშეკრულების ფილოსოფიური საფუძველებია: საზოგადოების თვითმართვა, ინდივიდუალური ნების სუვერენიტეტი,

დაპირების შესრულების აუცილებლობა, საქონლის ბრუნვის საჭიროება და კეთილი ნება.

4. ხელშეკრულება ყოველთვის არის პირადი ხასიათის კავშირი ინდივიდუალურად ზუსტად განსაზღვრულ პირებს შორის. ხელშეკრულებაში მონაწილე პირები დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე და არ არიან დამოკიდებული ხელშეკრულებაში არამონაწილეზე. მაგალითად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამოკიდებულება ორ მეზობელ მიწის მესაკუთრეს შორის სასაზღვრო ზოლში წიაღისეულით სარგებლობის შესახებ, განსხვავდება არასახელშეკრულებო დამოკიდებულებისაგან ერთ-ერთი პირის საკუთრებაში მყოფი ამავე სასაზღვრო ზოლში მოხვედრილი შინაური ცხოველით მეორე მხარის მიერ სარგებლობის გამო, რადგან ამ უკანასკნელი ობიექტის მიმართ ვალდებულება თანაბრად ეკისრება როგორც მეზობელს, ისე ყველა მესამე პირს. ყველას ვალდებულებაა არ ხელყოს ნებისმიერი სხვა პირის საკუთრება – საყოველთაო ვალდებულებაა და არ საჭიროებს ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულებაში მონაწილეთა კავშირი, რადგან ეს კავშირი ავტონომოურია, ინდივიდუალური ნების გამოვლენაა, უფრო მეტი, სუვერენული, პირობითად შეიძლება ითქვას, ინტიმურია.

ამრიგად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ვალდებულება, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ ერთმანეთის მიმართ, იმ ვალდებულებისაგან, რომელიც ყველას ეკისრება ყველას მიმართ.

5. სახელშეკრულებო ნორმებით გაუქვნილია სოციალური ცხოვრების ნებისმიერი სფერო. ისინი აღწევენ თითოეული ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მართავენ მის შრომას, ფინანსებს, საკუთრებას, განსაზღვრავენ ინდივიდუალური სამართლებრივი სტატუსის მოცულობას და კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა დინამიკას. უფრო ფართო პლანში ეს ნორმები მოიცავს ქვეყნების, სახელმწიფოების და ადამიანთა სხვა დიდ თუ მცირე გაერთიანებათა საშინაო და საგარეო ურთიერთობებს, ეკონომიკას, კულტურას, ყოფას. ისინი იქცნენ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების ყოფით ჩვეულებად, ქცევის სტანდარტულ ნორმად, მიღებულ სახელშეკრულებო პრაქტიკად. ასე ყალიბდება სახელშეკრულებო ჩვეულებითი სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყარო (იხ. კარი 1, თავი 2, 3).

ხელშეკრულების ზემოაღნიშნული ნიშნები დამახასიათებელია და საერთოა სამართლის ნებისმიერი დარგის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ხელშეკრულების ისეთი სახე, როგორიცაა საერთაშორისო ხელშეკრულება, რის გამოც საჭიროა მისი ნიშნების ცალკე ჩამოყალიბება. ამის საშუალებას იძლევა ისეთი უნივერსალური საერთაშორისო აქტი, როგორიცაა "საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ" ვენის 1969 წლის 23 მაისის კონვენცია. ეს ნიშნები ნათლად ისახება კონვენციაში ჩამოყალიბებულ შემდეგ სამართლებრივ პრინციპებში:

- თითოეულ სახელმწიფოს აქვს ხელშეკრულების დადების უფლებაუნარიანობა;

- ხელშეკრულება არის საერთაშორისო შეთანხმება სახელმწიფოებს შორის, რომელიც დადებულია წერილობითი ფორმით და რომელიც წესდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით;

- ხელშეკრულების ტექსტი მიიღება საერთაშორისო კონფერენციაზე სახელმწიფოთა ორი მესამედის მხარდაჭერის შემთხვევაში;

- სახელმწიფოს თანხმობა მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოობის შესახებ შეიძლება გამოიხატოს ხელშეკრულების ხელმოწერით, ხელშეკრულების რატიფიკაციით, ხელშეკრულების მიღებით და დამტკიცებით, ხელშეკრულებასთან მიერთებით ან სხვა ნებისმიერი შეთანხმებული საშუალებით;

- რატიფიკაცია არის საერთაშორისო აქტი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო გამოხატავს თავის თანხმობას საერთაშორისო დონეზე მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოობის შესახებ;

- სახელმწიფოს შეუძლია გაუკეთოს დათქმა ხელშეკრულებას. დათქმა ნიშნავს ხელშეკრულების ხელმოწერის და რატიფიკაციის დროს სახელმწიფოს ცალმხრივ განცხადებას ნებისმიერი რედაქციით და ნებისმიერი სათაურით, რომლის მეოხებითაც მას სურს გამორიცხოს ან შეცვალოს ხელშეკრულების გარკვეული დებულებების იურიდიული მოქმედება მის მიმართ;

- ხელშეკრულების არც ერთ დებულებას არ აქვს სავალდებულო ძალა ხელშეკრულების მონაწილისათვის იმ მოქმედების ან ფაქტის გამო, რაც მოხდა ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

- ბათილია ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმას;

- თუ წარმოიშობა საერთაშორისო სამართლის ახალი იმპერატიული ნორმა, მაშინ ნებისმიერი არსებული ხელშეკრულება, რომე-

ლიც ეწინააღმდეგება ამ ნორმას, ხდება ბათილი და წყვეტს მოქმედებას;

- თუ სახელმწიფომ დადო ხელშეკრულება მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოს მხრიდან მოტყუების ზეგავლენით, მაშინ მას უფლება აქვს მიუთითოს მოტყუების, როგორც მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოობის ბათილობის საფუძველზე;

- ბათილია ხელშეკრულება, თუ მისი დადება დაკავშირებული იყო იძულების გამოყენების მუქარასთან ან მის გამოყენებასთან საერთაშორისო სამართლის პრინციპების საწინააღმდეგოდ.

ასეთია საერთაშორისო ხელშეკრულების თავისებურება.

საზოგადოდ ხელშეკრულებები ქმნის სახელშეკრულებო სამართალს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა ადგილი უკავია მთლიანად სახელშეკრულებო სამართალს სამართლებრივ სისტემაში?

სახელშეკრულებო სამართალი კაცობრიობის პრაქტიკული ცხოვრების მუდმივად თანმდევი მდგრადი ყოფითი ჩვეულებაა, ჩვეულებითი სამართალია, რომელიც ვერ თავსდება საკანონმდებლო და პრეცედენტული სამართლის ჩარჩოებში, კოდიფიცირების რა ხარისხითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ეს უკანასკნელი, რადგან იმდენად ფართო და ყოვლისმომცველია სახელშეკრულებო სიტუაციათა ვარიანტი, იმდენად განსხვავებული და მრავალფეროვანია სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილებები, რომ საზოგადოებამ შეიძლება განიცადოს ზარალი ზუსტად სტანდარტიზებული საკანონმდებლო და პრეცედენტული ნორმების გამოყენებით. ნიშანდობლივია, რომ როდესაც კამათი და დავა წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობათა სფეროში ბიზნესმენტა (და არა მარტო ბიზნესმენტა) შორის, მხარეები არ მიმართავენ საკანონმდებლო და პრეცედენტულ ნორმებს. ისინი საკითხს აგვარებენ მორიგებით ანუ ისევ ხელშეკრულებით, ამასთან, ანგარიშს უწევენ კამათისა და დავის მოწესრიგების დამკვიდრებულ პრაქტიკას, ანუ უპირატესობას ანიჭებენ ჩვეულებას, ჩვეულებით სახელშეკრულებო სამართალს, დამკვიდრებულ სახელშეკრულებო პრაქტიკას.

ისტორიულად სახელშეკრულებო სამართალი თავის საფუძველში ჩვეულებითი სამართალია, რომელმაც უმეტეს ნაწილში კოდიფიცირება განიცადა საკანონმდებლო სამართალში (რომაულ-გერმანული სამართლის ტიპის ქვეყნებში) ან პრეცედენტულ სამართალში (ინგლისურ-საქსონური სამართლის ტიპის ქვეყნებში).

მაგრამ საკანონმდებლო ან პრეცედენტული სამართლის დონეზე ყოველთვის შეიძლება ფორმულირებულ იქნას ზოგადი ნორმები, რომლებიც მოაწესრიგებდნენ ისეთ გარიგებებს, როგორცაა დაქირავებულ ჯარში სამსახური, სამთავრობო კონტრაქტები, საკრედიტო ბართით საქონლის შექენა, ყიდვა-გაყიდვის კოლექტიური ხელშეკრულება, საზღვაო ჩარტერული შეთანხმება და ბევრი სხვა კონსესუალური გარიგებები? არა, რა თქმა უნდა, და ამას სახელშეკრულებო ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა ადასტურებს.

რა თქმა უნდა, საკანონმდებლო და სასამართლო ნორმაშემოქმედების დონეზე შეიძლება ფორმულირებულ იქნეს ყველა გარიგებისათვის საერთო და ზოგადი ნორმა-პრინციპები, როგორცაა გარიგების არსი, მხარეთა უფლებაუნარიანობა, ხელშეკრულების ახსნა-განმარტების ხერხები, მესამე პირთა უფლებები, ანაზღაურების პირობები და წესები და ა.შ. უფრო მეტი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები იღებს მთელ რიგ ნორმატიულ აქტებს, მაგალითად, მომხმარებლის ინტერესების დასაცავად, მუშაკის სამუშაო პირობების გაჯანსაღების მიზნით და სოციალური დაცვის ბევრ სხვა ღონისძიებას.

მაგრამ საკანონმდებლო და პრეცედენტულმა სახელშეკრულებო სამართალმა ვერ გამოიმუშავა ადეკვატური სამართლებრივი ფორმები ხელშეკრულებების ერთმანეთთან შეთანწყობილად ფუნქციონირებისა, უფრო მეტი, ერთი სახის ხელშეკრულების შიგნით ისეთი დიფერენციაცია მოხდა, რომ საერთოდ შეუძლებელი გახდა საერთო მოდელის გამოძებნა.

ასე ჩამოყალიბდა დაპირისპირება, ერთის მხრივ, საკანონმდებლო და პრეცედენტულ სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებსა და, მეორე მხრივ, რეალურ სახელშეკრულებო ანუ ჩვეულებით სახელშეკრულებო სამართალს შორის, რამაც თავისი ასახვა პოვა დავაში პოზიტივისტებსა (ნორმატივისტებსა) და რეალისტებს (ფუნქციონალისტებს) შორის.

პოზიტივისტებს სწამთ, რომ სამართლის სისტემა შეიძლება განალიზებულ იქნეს მისი შემადგენელი ნორმების, პრინციპებისა და კონცეფციების მეშვეობით, რომ რაიმე ფაქტიური სიტუაცია შეიძლება გადაიჭრას ფაქტების გულდასმით კლასიფიცირებით სამართლებრივი კონცეფციების, პრინციპებისა და ნორმების გამოყენებით. ასეთი მიდგომა მისი კრიტიკოსებისაგან შეფასებული იქნა, როგორც “მექანიკური იურისპრუდენცია”

რეალისტები სკეპტიკურად უყურებენ ზოგად და დეფინიციურ სამართლებრივ ფორმულირებებს. მათ სწამთ, რომ სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას ამოდიან ფაქტიდან და მხედველობაში იღებენ სიტუაციის მორალურ და ეკონომიკურ ასპექტებს, მათთვის ნორმა არის ფაქტი, და არა ისეთი ზოგადი კრიტერიუმები, როგორც არის კონცეფცია, პრინციპი ან კანონის ნორმა. ეს უკანასკნელი მათთვის უნაყოფო აბსტრაქციაა.

ეს ორი უკიდურესი პოზიციაა, რის გამოც ისინი მიუღებელია. ჩვენი აზრით ჭეშმარიტება ამ ორი პოზიციის დაახლოებაშია.

3. სასამართლო პრეცედენტი და მისი გამოყენების იურიდიული მეთოდები

სასამართლო პრეცედენტის არსი მდგომარეობს შემდეგში: განიხილავს რა კონკრეტულ საქმეს, სასამართლოს გამოაქვს დადგენილება (განაჩენი ან გადაწყვეტილება), რომელსაც, ერთი მხრივ, აქვს ძალის ავტორიტეტი მოდავე მხარეთათვის, ხოლო მეორე მხრივ, ავტორიტეტის ძალა სხვა სასამართლოებისათვის ანალოგიური კატეგორიის საქმის გადაწყვეტისას ანუ პრეცედენტის ძალა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ენის ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი განსაზღვრავს “პრეცედენტს” როგორც საქმეს, რომელიც განიხილება ან შეიძლება განხილული იქნეს როგორც ნიმუში, წესი შემდგომში ანალოგიური საქმეებისათვის.

ძირითადი ნორმა, რომელიც ადგენს პრეცედენტის სავალდებულობას, იწოდება *Stare Decisis*. ეს ნორმა გამოითქმის შემდეგნაირად: „მსგავსი საქმეები გადაწყდება მსგავსი წესით“. იგივე ნორმა ავალდებულებს სასამართლოებს: „გადაწყვიტეთ ისე, როგორც გადაწყდა ადრე“. ეს არის სასამართლო პრეცედენტის გამოყენების პირველი ორიგინული მეთოდი.

სავალდებულო ძალა აქვს არა მთლიანად სასამართლოს დადგენილებას, არამედ მოსამართლის სამართლებრივ პოზიციას ანუ ამოსავალ დებულებას, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას. ამ ამოსავალ დებულებას უწოდებენ – *Ratio Decidendi*, რაც შეეხება დადგენილებაში ჩამოყალიბებულ სხვა დებულებებს, მათ უწოდებენ გზადგზა ნათქვამს – *Obiter Dicta*. როგორც წესი მოსამართლე თვითონ განსაზღვრავს თუ რომელი დებულება დაედო საფუძვლად დადგენილებას, ე. ი. რომელი დებუ-

ლებაა **Ratio Decidenti**. გამოძინარე აქედან, ყველა სხვადასხვა დებულება ლოგიკურად განიხილება, როგორც **Obiter Dicta**. ეს არის სასამართლოს პრეცედენტის გამოყენების მეორე იურიდიული მეთოდი.

მაგრამ აქ წარმოიშობა მეორე სერიოზული პრობლემა: თუ მოსამართლე ასე თავისუფლად სწევებს თუ მის მსჯელობებში, რომელია **Ratio Decidenti**, და რომელია **Obiter Dicta**, ხომ არ არსებობს საშიშროება, რომ მას შეუძლია არასწორი მიმართულება მისცეს სამართლის მომავალ განვითარებას? დასმულ პრობლემაზე მოტივირებული პასუხი გასცა ლორდმა ჰელბერიმ: „თითოეული სასამართლო დადგენილება უნდა იკითხებოდეს იმ კონკრეტულ ფაქტებთან შესაბამისობაში, რომლებიც დამტკიცებულია მოცემულ საქმეზე, რამდენადაც სასამართლოს დადგენილებაში ნახმარ ზოგად გამონათქვამებს ზოგად სამართლებრივი მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ განპირობებული და გამართლებულია კონკრეტული საქმის კონკრეტული გარემოებებით“. ამიტომ მომდევნო მოსამართლე ყველა შემთხვევაში ახდენს პრეცედენტის კორექციას გარემოებების სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს არის სასამართლო პრეცედენტის გამოყენების მესამე იურიდიული მეთოდი.

მომდევნო სერიოზული პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: თუ მოსამართლემ ნათლად არ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპი, რის გამოც შეუძლებელი ხდება გაიმიჯნოს **Ratio Decidendi** და **Obiter Dicta**, მაშინ როგორღა უნდა მოიქცეს მომდევნო მოსამართლე? ლიტერატურაში მოჰყავთ მოსამართლე უემბოს ცნობილი მეთოდი, რომელმაც შესთავაზა ინვერსიის პრინციპი იმას დასადგენად, თუ სასამართლო დადგენილებაში ჩამოყალიბებული რომელი დებულება წარმოადგენს **Ratio Decidendi**-ს: „თავიდან გულდასმით ჩამოაყალიბეთ სავარაუდო სამართლებრივი დებულება, შემდეგ შეცვალეთ ეს დებულება მისი რევერსიული მნიშვნელობით. შემდეგ შეეცადეთ გაიაზროთ, შეეძლო თუ არა სასამართლოს მიეღო ეს ახალი სამართლებრივი დებულება და გამოეტანა ისეთივე გადაწყვეტილება? თუ პასუხი იქნება დადებითი, მაშინ რა მშვენიერიც არ უნდა იყოს პირველი სამართლებრივი დებულება, საქმე არ გახდება პრეცედენტი, ხოლო თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ იგი იქცევა პრეცედენტად. მოკლედ, როდესაც პრეცედენტი შეეხება მხოლოდ სამართლებრივ საკითხს, დოქტრინას ან დებულებას და არა ფაქტს, **Ratio Decidendi** უნდა იყოს ზოგადი ნორმა, რომლის გარეშე საქმე სხვაგვარად გადაწყდება“. ეს არის სასამართლო პრეცედენტის გამოყენების მეოთხე მეთოდი.

დისკუსიის შედეგად საყოველთაოდ აღიარებულ იქნა დებულება, რომლის თანახმად ნორმა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს **Ratio Decidendi**-ს, როდესაც მას ეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან სავალდებულოდ ითვლება ზემდგომი ან თანაბარი დონის სასამართლოს **Ratio Decidendi**.

ლიტერატურაში ასევე ცნობილია დოქტორ გუდჰარტის მეთოდი. მისი აზრით, **Ratio Decidendi** განსაზღვრება ამ ფაქტების შეფასების გზით, რომელთაც მოსამართლე მიიჩნევს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონედ. სასამართლო, რომელიც განიხილავს ანალოგიურ საქმეს, უნდა მივიდეს ანალოგიურ დასკვნამდე, თუ რა თქმა უნდა, განსახილველ საქმეში ახალი, განსხვავებული არსებითი ან თუნდაც ერთი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტი წინა საქმიდან არ აღმოჩნდა ახალ საქმეში. ამრიგად, აღწერილ მეთოდში სიმძიმის ცენტრი გადატანილია საქმის ფაქტიურ მხარეზე.

უკანასკნელი ორი მეთოდიდან ამერიკელი მოსამართლეები უპირატესობას პირველ მეთოდს ანიჭებენ. უფრო მეტიც, ინგლისელი მოსამართლეებიც კი ხშირად იმორჩებიან ამერიკელი მეცნიერის – დიკინსონის სიტყვებს: „მოსამართლის მიერ განსახილველი საქმე არ წარმოადგენს იმ ნორმის სისწორის შემოწმების საშუალებას, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად. სამართლებრივი გადაწყვეტილების დოქტრინა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნორმებმა უნდა მართონ ფაქტები და არა პირიქით. და მართლაც, არსებობს ზოგადი წესი, რომლის თანახმად ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვისას ფაქტობრივი საკითხები მათ უნდა გადაწყვიტონ, ხოლო სამართლებრივი საკითხები – მოსამართლემ. საბოლოოდ ჩამოყალიბდა მტკიცე წესი, რომლის თანახმადაც მხოლოდ ფაქტის გამო მიღებული გადაწყვეტილება არ ქმნის პრეცედენტს.

ერთადერთი მნიშვნელოვანი გართულება შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც სახეზეა პრეცედენტი რამდენიმე **Ratio Decidendi**-თ. მაგრამ აქაც სასამართლო პრაქტიკამ გამოიხატა გამოსავალი: შემუშავებული იქნა მეთოდი, რომლის ძალით მომდევნო სასამართლო გამოიყენებს რა ერთ-ერთ **Ratio Decidendi**-ს, დანარჩენები ავტომატურად იქცევიან **Obiter Dicta**-ად.

ასეთია მოკლედ პრეცედენტის გამოყენების მეთოდები, რომელიც უპირატესად გავრცელებულია ინგლისში. ინგლისელები დიდად აფასებენ მას, ამყობენ მისით და ხშირად მოჰყავთ ცნობილი მეცნიერის – ჰილდსფორთის სიტყვები: პრეცედენტის ინგლისური დოქტრინა წარმოადგენს ოქროს შუალედს უზომო მოქნი-

ლობასა და უზომო სიმყარეს შორის. ის ანიჭებს სამართლებრივ სისტემას აუცილებელ სიმტკიცეს, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს პრინციპების მყარი ერთიანობა, და ამავე დროს მოქნილობა, იმისათვის რომ შეეგუოს საზოგადოების ცვალებად გამოწვევებს.

ახალმა რეალობებმა ნაწილობრივი ზეგავლენა მოახდინა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ პრინციპზე, რომლის თანახმად სასამართლო შებოჭილია, შეზღუდულია თავისივე პრეცედენტით. ასე, 1966 წლამდე თვით ლორდთა პალატისათვისაც კი შეუვალად აღიარებული პრინციპი — **Stare Decisis** სავალდებულობა თავისივე გადაწყვეტილებების მიმართ. 1966 წელს ლორდთა პალატამ კონკრეტული საქმის გამო გამოიტანა ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება, რომლის თანახმად ლორდთა პალატა აღარ არის შეზღუდული, შებოჭილი მის მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებით. ამ მიმართულებით ხშირად მოჰყავთ ამ ისტორიული დადგენილების ერთ-ერთი მონაწილის — ლორდ ივერშალის სიტყვები: „ლორდთა პალატას შეუძლია, ზოგჯერ კი ვალდებულია, უგულებელყოს თავისივე ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, თუ ისინი აღარ შეესაბამებიან თანამედროვეობის სოციალურ ფილოსოფიას“. და სინამდვილეში, ლორდთა პალატის აღჭურვა უფლებით — გადაუხვიოს პრეცედენტებს, შესაძლებლობას იძლევა გადალახული იქნეს დაბრკოლებები სამართლის განხორციელების დაბრკოლებათა დამლევის მიმართულებით, თავიდან იქნეს აცილებული უსამართლობის დამკვიდრება, რასაც ბაძებს არამართლზომიერი პრეცედენტების განმეორება. ასეთი ტენდენცია სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა სააპელაციო სასამართლოს საქმიანობაშიც.

მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში ინგლისში პრეცედენტი მაინც რჩება სასამართლო დადგენილების გადამწყვეტ მეთოდად, ძირითად ნორმად, ამოსავალ პრინციპად. უფრო მეტი, სასამართლო პრეცედენტის მნიშვნელობა ინგლისის სამართლებრივ სისტემაში მას აქცევს კანონის თანაბარმნიშვნელოვნად, თუმცა ფორმალურად აღიარებულია, რომ პრეცედენტი არის და უნდა იყოს კანონისადმი დაქვემდებარებული. ამასთან, ასეთი „დაქვემდებარებულობა“ ამოიწურება ზოგადი ნორმით იმის შესახებ, რომ კანონს შეუძლია გააუქმოს სასამართლო პრეცედენტი. მაგრამ, ეს ზოგადი ნორმა აბსტრაქტული ხასიათისაა და აქვს დეკლარაციული მნიშვნელობა, რადგან პრეცედენტზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, პირიქით, ინგლისში ჩამოყალიბდა ლატენტური ნორმა, რომელიც კანონს დამოკიდებულს ხდის სასამართლოზე. ამ ნორმის თანახმად, მოსამართ-

ლენი ვალდებულად თვლიან თავს, მიანიჭონ ძალა იმ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მიღებულია სათანადო პროცედურებისა და წესის დაცვით. ამრიგად, აღნიშნული ნორმა, მეორეს მხროვ, უფლებას ანიჭებს სასამართლოებს ფაქტიურად უმოქმედოდ აქციონ სათანადო წესისა და პროცედურის დაცვის გარეშე მიღებული კანონი. (საერთოდ, ინგლისელები პროცესუალურ ფორმას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ).

გარდა ამისა, ინგლისში მოსამართლეებს მინიჭებული აქვთ უფლება, უფრო მეტი, ეკისრებათ ვალდებულება პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ინტერპრეტაციისა, ახსნა-განმარტებისა. ამის გამო სასამართლოს დადგენილებაში ინტერპრეტირებული, ახსნა-განმარტებული კანონი დამოკიდებული ხდება პრეცედენტში ჩამოყალიბებული **ratio decidendi**-საგან. ამრიგად, კანონის ამა თუ იმ პარაგრაფის ან მთლიანად კანონის ინტერპრეტირებული ნორმა იძენს პრეცედენტული ნორმის ძალას.

კონტინენტურ ევროპაში მოსამართლეები არ უგულებელყოფენ პრეცედენტული სამართლის ნორმების მნიშვნელობას კონკრეტულ საქმეზე კონკრეტული გადაწყვეტილებების გამოტანისას. მაგრამ არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კონტინენტური ევროპის მოსამართლეები თავს ვალდებულად არ თვლიან, გაჰყენენ მისი წინამორბედი მოსამართლის მიერ ანალოგიურ საქმეზე (თუნდაც ზემდგომი სასამართლოს მიერ) მიღებულ გადაწყვეტილებას. ისინი, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ კანონებით და დამატებით, დამხმარე ორიენტირად იყენებენ ამა თუ იმ კატეგორიის საქმეზე ჩამოყალიბებულ (ისიც მხოლოდ ზოგადად) სასამართლო პრაქტიკას. აქ მიჩნეულია, რომ კოდექსები თეორიულად მოიცავენ ნებისმიერ სამართლებრივ სიტუაციას, რომელსაც შეიძლება მოსამართლეები წააწყდნენ.

აქ საჭიროა მოკლედ შევეხოთ ამ ორი სამართლებრივი სისტემის განსხვავების მიზეზს. პირველი და უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ინგლისში არ იყო რეციფირებული რომის სამართალი. მეორე, ინგლისში ძირითადად არ მოხდა სამართლებრივი ნორმების კოდიფიცირება. მესამე, ინგლისურ სამართლებრივ ქსოვილში ვერ შეაღწია რომანული-გერმანული სამართლის ელემენტებმა. მოიძებნა სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ მყარი კრიტერიუმი: ცალკე აღებული სასამართლო დადგენილება კონკრეტულ საქმეზე გამოცხადებული იქნა სავალდებულოდ სხვა სასამართლოებისათვის ანალოგიურ საქმეთა განხილვისა და

გადაწყვეტისას. საბოლოო ჯამში, პრინციპში, მოსამართლეები იქცნენ სამართალ შემოქმედ სუბიექტებად.

პრეცედენტების სამართალ შემოქმედმა ფუნქციამ არსებითი გავლენა იქონია მოსამართლეთა პერსონალურ შემადგენლობაზე, იმ მოთხოვნებზე, რომელიც წარედგინება კანდიდატს მოსამართლის პოსტზე. კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებით, სადაც მოსამართლეთა კორპუსი ძირითადად ივსება ჩინოვნიკებით სამოქალაქო სამსახურებიდან, ინგლისში, აგრეთვე ამერიკის შტატებსა და კანადაში, ისინი, როგორც წესი, წარმოდგენილია კვალიფიციური იურისტებით, თუმცა ამ მიმართულებით კონტინენტურ ევროპაში პროგრესი შეიმჩნევა.

კონტინენტურ ევროპაში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა სასამართლო დადგენილების ხარისხს, რის გამოც ხშირად ძნელია მასში **ratio decidendi**-ის დადგენა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სასამართლო პრაქტიკის გაუხეშებას და გაშეშებას, რაც ზოგჯერ მართლშეაჯულებას აქცევს რეაქციულ სოციალურ ძალად.

ამრიგად, პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში კანონი და პრეცედენტი წარმოადგენს სამართლის პირველად წყაროებს და თითოეულის პოზიტიურობა და ქმედითობა არ გამოძინარეობს ერთმანეთისაგან ან სხვა სამართლებრივი წყაროებიდან. ამ ქვეყნებში პრაქტიკოსი იურისტები აღიარებენ კანონის სტაბილურობას, და პრეცედენტის დინამიკურობას, როგორც საზოგადოებაში კანონიერებისა და სამართლიანობის ორ ურთიერგამაწონასწორებელ ძალას.

პრეცედენტული სამართლის პრაქტიკა საფუძვლად დაედო ინგლისურ-ამერიკულ სამართლის თეორიას. ამასთან, სამართლის თეორიის ამოსავალ დებულებად ჩვეულებრივ მოჰყავთ სალმონდის სიტყვები: “სამართალი შედგება ნორმებისაგან, რომელსაც ცნობენ და იყენებენ სასამართლოები“. თეორიტიკოსთა აზრით, თვით პარლამენტის აქტები საერთო ჯამში სათავეს იღებს ცალკე აღებული სასამართლო პრეცედენტისაგან, რომელიც მისი მრავალჯერადი გამოყენების შედეგად იქცევა სამართლის ზოგად ნორმად, რომელიც უკვე აღარ საჭიროებს დასაბუთებას. უფრო მეტი, ინგლისში პარლამენტის მიერ მიღებულ აქტს უფრო ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე სამართლებრივს. ამიტომაც, რომ ინგლისურ-ამერიკული სამართლის თეორიტიკოსები ტერმინს “სასამართლო კანონ შემოქმედება“ ხმარობენ არა მარტო როგორც მეტაფორას, არამედ როგორც საქმის რეალური მდგომარეობის ამსახველ გამოთქმას.

II თავი. მართლწესრიგის სტრუქტურა

1. მართლწესრიგის ცნება

საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში მართლწესრიგი არ გამხდარა დამოუკიდებელი კვლევის საგანი. ეს საკითხი პოსტ-საბჭოთა სივრცეშიც დღემდე დაუმუშავებელია. დღემდე გაურკვეველია მართლწესრიგის არსი, მისი თავისებურება. მართლწესრიგი შინაარსობრივად გაიგივებული აღმოჩნდა სამართალთან, კანონიერებასთან, მართლურთიერთობის სისტემასთან ან ყველა მათგანთან. სამწუხაროდ, ეს “ტრადიცია” დღესაც გრძელდება.

შექმნილი მდგომარეობა სრულიად არ იყო შემთხვევითი. მართლწესრიგის სტრუქტურის მეცნიერული ანალიზი არსებითად საბჭოთა სინამდვილის ანალიზს მოასწავებდა, იმ სინამდვილის ანალიზს, რომელიც მოქალაქის უფლებების ფეხქვეშ გათელვასა და პიროვნების ღირსების გლობალურ დამცირებას გამოააშკარავებდა.

სწორედ ამიტომ ვიკვლევდით აღნიშნულ თემას ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, ხოლო მოგვიანებით მას მივუძღვენით მონოგრაფია, განზრახ რუსულ ენაზე, სადაც მკვეთრად იქნა გამოიხატული და დაპირისპირებული საბჭოთა სამართალი და მართლწესრიგი.¹

აზროვნების რუსულ სტერეოტიპზე შექმნილმა საბჭოთა სინამდვილემ უნებურად სააშკარაოზე გამოიტანა სამართლის ჰუმანიტარული პრინციპების როგორც ტოტალიტარული რეჟიმის მომწესრიგებელი ფაქტორის უნარობა. სწორედ მან გამოააშკარავა “დაწერილი” სამართლის აბსურდულობა და მართლწესრიგის ყოვლისშემძლეობა. ამ აბსურდის დასაფარავად საჭირო იყო იდეოლოგიური შირმა და ამ შირმის შექმნა არ დააყოვნეს. შეიქმნა მართლწესრიგის საბჭოური, იმანენტური შინაარსისაგან დაცლილი ცნება.

თუ დავაჯგუფებთ საბჭოთა პერიოდის და პოსტსაბჭოთა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მართლწესრიგის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ბ. სავანელი, მართლწესრიგი და იურიდიული პრაქტიკა. თბ 1981.

ავტორები, რომლებიც მართლწესრიგს განიხილავენ როგორც ამართლებრივ რეჟიმს, კანონიერების განხორციელების შედეგს, კანონიერების რეჟიმს მოქმედებაში, სამართლებრივ დისციპლინას, ამართლის სუბიექტების ურთიერთობის რეჟიმს – არსებითად მართლწესრიგს აიგივებენ კანონიერებასთან.

ავტორები, რომლებიც მართლწესრიგს განსაზღვრავენ როგორც სამართლით განმტკიცებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობას, ადამიანის მოქმედების წესს, მართლურთიერთობათა მონაწილეების მოქმედების წესს, სამართლის სუბიექტების სამართლის ნორმებისადმი დაქვემდებარების წესს – არსებითად მართლწესრიგს აიგივებენ სამართალთან.

საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს – იროდიონ სურგულაძეს. თავის სადოქტორო დისერტაციაში “ხელი-სუფლება და სამართალი” მეცნიერმა ჩამოაყალიბა მართლწესრიგის ორიგინალური კონცეფცია.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით: მართლწესრიგი წარმოადგენს არსებულის ონტოლოგიურად შეზღუდულ სფეროს (**Seinsgebiet**) და ხასიათდება საკუთარი კანონზომიერებით (**Gesetzmäßigkeit**). ის რთული იურიდიული კომპლექსია, რომელიც მოიცავს მართლურთიერთობათა სისტემას და იურიდიულ ფაქტებს. მართლწესრიგი, როგორც მართლურთიერთობათა ერთიანობა, წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების სისტემას (**Rechtliche Regelung**). ასეთი სახით მას ვერ დავახასიათებთ როგორც იურიდიულად შესაძლებელ სტადიას. მართლწესრიგში იურიდიული ელემენტების გარდა ჩართულია ფაქტიური რიგის განსაზღვრული ელემენტები, რომლებიც თავისთავად მოკლებულია იურიდიულ ხასიათს, თუმცა იურიდიულ მნიშვნელობას იძენენ სამართლებრივი ნორმებიდან (**Bestimente Rechtssätze**). მართლწესრიგის ძირითადი ელემენტები – მართლურთიერთობანი – იურიდიულ სინამდვილეში მოცემულია არა იზოლირებულად, არამედ განსაზღვრულ ურთიერთობებში, გარკვეულ კომპლექსურ ფორმებში. ამასთან ერთად, მართლწესრიგის ანალიზს იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ ეს ურთიერთობანი არ ხასიათდებიან ერთნაირი მნიშვნელობით: მათში მოცემულია ისეთი მართლურთიერთობანი, რომელთაც აქვს ფუძემდებლური (**Fundierende**) მნიშვნელობა და ისეთი მართლურთიერთობანი, რომელთაც აქვთ დამოკიდებული მნიშვნელობა. ამრიგად,

მართლ-ურთიერთობათა ფარგლებში ჩვენ აღმოვაჩინეთ ძირითად იუ-რიდიულ კომპლექსს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ Status და დამოკიდებულ მართლ-ურთიერთობებს¹.

როგორ გვესახება სამართლისა და მართლწესრიგის ურთიერთმიმართება? უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ამ მიმართების ფილოსოფიური ასპექტი.

ადამიანი სინამდვილის გარდაქმნის პროცესში ქმნის ყოფიერების ისეთ სახეობას, რომელიც მანამდე რეალურად არ არსებობდა. ეს არის ჯერ-ჯერობით არარეალიზებული ყოფიერების ახალი სახეობა. ადამიანი, რომელიც მიისწრაფვის იქითკენ, რომ სინამდვილეს მისცეს ახალი სახე, წინასწარ თავის ცნობიერებაში აყალიბებს მას, როგორც იდეას და “პროექტს”.

ასევეა სამართალშიც. სამართალი არის ადამიანის მიერ ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნის ერთ-ერთი საშუალება. ის არა მარტო განიცდის გარე ფაქტორების ზეგავლენას, არამედ თვითონაც მოქმედებს მათზე, ურთიერთქმედებს ბუნებასა და საზოგადოებასთან. სამართალი თავისი შინაარსით შეიცავს არა იმდენად იმის ცოდნას, რაც არის, არამედ უფრო იმას, რაც უნდა იყოს. ამიტომ სამართალი არის ადამიანის მომავალი მოღვაწეობის ერთ-ერთი საფუძველი, სტიმული მოღვაწეობისა, რომელიც მიმართულია წინააღმდეგობის მოხსნისაკენ, სინამდვილის უკმარისობის გადალახვისაკენ, ყოფიერების ახალი სახეობის – მართლწესრიგის შექმნისაკენ.

სამართალი არის ძალა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის მოქმედებაში აუცილებლობის ერთი ტენდენციის გამოვლენას და უპირისპირდება აუცილებლობის გამოვლენის სხვა ტენდენციებს. ასეთი დაპირისპირების შედეგად საზოგადოებაში მყარდება განსაზღვრული მართლწესრიგი. მართლწესრიგი საზოგადოებრივი ცხოვრების სინთეზური სფეროა, სადაც ადამიანთა მოქმედებებში სამართლის ნორმებით გამოხატული აუცილებლობის გამოვლენის ერთი ტენდენციის აუცილებლობის სხვა ტენდენციებთან დაპირისპირება ხდება. ამდენად, ადამიანი განიცდის ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის – ბუნებრივად აუცილებლის და იდეალურად აუცილებლის მოქმედებას.

მართლწესრიგი არ შეიძლება ემთხვეოდეს სამართალს, ვინაიდან მართლწესრიგი ასახიერებს საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიზმს.

¹ ირ. სურგულაძე ხელისუფლება და სამართალი. სადოქტორო დისერტაციის თეზისები. თსუ, 1927, გვ. 4.6.

მაშინ, როდესაც სამართალი იძლევა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკის აბსტრაქტულ, საერთო პერსპექტივას სტატიკური ფორმით, „უნდას“ მოდელით.

მართლწესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ ისტორიული და ეროვნული ტრადიციები, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრების წესი, ქვეყნისა და დისციპლინის საზოგადოებრივი და კოლექტური კონტროლის ჩამოყალიბებული ფორმები, თანამდებობის პირთა სამართლებრივი კულტურის დონე და პოლიტიკური რეჟიმი. ამიტომ სამართალი არაერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავისი რეალიზაციის პრაქტიკას, ანუ არაერთმნიშვნელოვნად ქმნის იმ მართლწესრიგს, რომელიც მხოლოდ თეორიულადაა მისდამი ადეკვატური.

ორი ან მეტი ქვეყნის სამართალი შეიძლება ეკუთვნოდეს სამართლებრივი სისტემის ერთ ოჯახს. უფრო მეტიც, სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს შორის შეიძლება ისეთი მსგავსება იყოს, რომ ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით ისინი ჩავთვალოთ იდენტურ ინსტიტუტებად, მაგრამ იმ სიღრმისეული განსხვავების გამო, რომელიც არსებობს სამართლის განხორციელების პრაქტიკაში, მართლწესრიგის სტრუქტურების გათვალისწინებით, ზემოთ მოყვანილი სოციალური ფაქტორების ძალით სამართლებრივი სისტემების ნათესაობას შეფარდებითი ხასიათი აქვს.

ნორმატივისტები უგულებელყოფენ ფაქტების სამყაროს, სოციოლოგები – სამართლის ნორმატიულ ბუნებას. ამრიგად, ნორმატივისტებთან მართლწესრიგი გაიგივებულია სამართალთან, ხოლო სოციოლოგებთან – სამართალი – მართლწესრიგთან. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ სამართლებრივ მოძღვრებებს ცალმხრივობა ახასიათებს, ისინი ვერ ასახავენ სამართლისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ურთიერთქმედებისა და განვითარების რთულ პროცესს სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში, ამიტომაც ეს მოძღვრებები აზღენენ ამ პროცესის ზან ერთი, ზან მეორე მხარის ჰიპერტროფირებას.

პრაქტიკაში სამართლის აბსტრაქტული ნორმებით შემოფარგვლა ისევე არაეფექტურია, უფრო მეტიც, მავნეა, როგორც მხოლოდ ცალკეულ კაზუსებზე და სამართალშეფარდებით გადაწყვეტილებებზე ორიენტირება. ორივე გზა უკიდურესობაა და სოციალურ დაძაბულობამდე მივყავართ. გამოსავალი მათ შორის, მათ შესაყარზე მდებარეობს, ეს არის აბსტრაქტულისა და კონკრეტულის შეხვედრის წერტილი ანუ სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომელიც საზღვარს შლის მათ შორის, აერთიანებს მათ ერთ ორგანულ სხეულად. ეს არის

არსისა და ჯერარსის, ფაქტისა და სამართლის დაახლოების პროცესი და ასეთი პროცესის შედეგი. ფილოსოფიურ – კონცეპტუალურ დონეზე ამ პროცესს ანთროპოლოგიურ ნორმატივიზმს ვუწოდებთ (იხ. თავი „სამართლის საზრისი“).

მართლწესრიგი არის სამართლისა და ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ურთიერთშეგუების რეზულტატი სამართლის შეფარდებისა და უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში.

მართლწესრიგი სამართლის შინაარსთან მიმართებაში რაღაც დამატებით, წინასწარ გაუთვალისწინებელ შედეგს შეიცავს. ეს შედეგი სამართლებრივი რეგულირების საგნის მრავალმხრივი თვისებებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის მრავალფეროვანი საშუალებების მოქმედების რეზულტატია. ამ გარემოების ძალით მართლწესრიგი იძენს სამართალ-შემოქმედებით ფუნქციას.

მართალია, საზოგადოებრივი ყოფიერება თავის თავს წარმოაჩენს ადამიანთა და მათი გაერთიანებების მოქმედებაში, მაგრამ ის არ დაიყვანება ამ მოქმედებათა ჯამზე, არამედ გვევლინება როგორც ობიექტური, ცალკეული ინდივიდის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, მრავალრიცხოვანი ქცევის აქტების საერთო რეზულტატი (შედეგი). ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე მართლწესრიგის შემთხვევაშიც: მართალია, მართლწესრიგი ვლინდება კონკრეტულ მართლურთიერთობებში, მაგრამ არ დაიყვანება ამ ურთიერთობათა ჯამზე, არამედ ვლინდება როგორც ობიექტური, მართლურთიერთობის ცალკეული მონაწილის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, მრავალრიცხოვან სამართალურთიერთობათა საბოლოო რეზულტატი.

ყველაზე უფრო ტიპური, მრავალგზის გამეორებული მართლურთიერთობა იძენს გარკვეულ “სიძვარეს”, აყალიბებს სოციალური ურთიერთქმედების სტაბილურ ფორმას და როგორც ნიმუში, გეზს აძლევს შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა სუბიექტების მოქმედებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართალი და მართლწესრიგი პიროვნების ინდივიდუალურ მართლშეგნებაზე პარალელურად მოქმედი ორი ფაქტორია. ისინი ზოგიერთ ნაწილში ერთმანეთსაც კი უპირისპირდებიან. საერთოდ, საზოგადოებრივი კეთილდღეობის იდეა სამართლისა და მართლწესრიგის დაახლოებაში ვლინდება. რაც უფრო ნაკლებია წინააღმდეგობა ამ ორ სოციალურ ინსტიტუტს შორის, მით უფრო თავისუფალია ადამიანი, მით

უფრო მტკიცეა კანონიერება და მით უფრო მეტია პროგრესი საზოგადოებაში. თუმცა, მათი სრული დამთხვევა პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან სამართალი შედარებით მდგრადი ნორმების სისტემაა, ხოლო მართლწესრიგი ნორმების დინამიური სისტემაა.

მართლწესრიგი, როგორც მართლურთიერთობების მონაწილეთა ქცევის ჩამოყალიბებული წესების ერთობლიობა (იურიდიული პრაქტიკა), სამართლის ნორმებთან ერთად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ჩამოყალიბებული იურიდიული პრაქტიკა ანუ სამართლის ნორმების შეფარდების პრაქტიკა და უფლება-მოვალეობათა განხორციელების სამართლებრივი ჩვეულება წარმოადგენს იმ მოდელს, რომელიც მოქმედ საკანონმდებლო სამართლის ნორმებთან ერთად განსაზღვრავს საზოგადოებაში ინდივიდების ქცევის მასშტაბებს.

ამასთან, იურიდიულ პრაქტიკაში ჩვენ არცთუ იშვიათად ვხვდებით ისეთ მმართველობით გადაწყვეტილებებსა და გარიგებებს, რომელთა მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ბოლოს აშკარავდება. მაგრამ მანამდე, გარკვეული დროის განმავლობაში ისინი არსებობენ, მოქმედებენ, ადამიანთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავენ და მიმართულებას აძლევენ მათ მოქმედებას. ამით ისინი მართლწესრიგის სტრუქტურაში გარკვეულ ადგილს იჭერენ და მონაწილეობენ მართლწესრიგის ფორმირებაში.

მართლწესრიგის წიაღში თეორიულად შეიძლება დაეუშვათ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ურთიერთობების არსებობაც, რომლებიც თავიანთ თავს არ ამჟღავნებენ (ლატენტური ურთიერთობანი), ისინი თუმცა არსებობენ, მოქმედებენ, განსაზღვრავენ ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების ხასიათს და ამით გარკვეულ ადგილს იკავებენ მართლწესრიგის სტრუქტურაში, მონაწილეობენ მართლწესრიგის ჩამოყალიბებაში. ამის გარდა, არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევები, როდესაც ურთიერთობათა მონაწილეების რეალური ქცევა არ ეთანხმება ნორმის მოდელს, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს ქცევა სამართალდარღვევად ჩაითვალოს. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მართლზომიერება და კანონიერება არ წარმოადგენს გარიგების აუცილებელ ელემენტს.

სამართლისა და მართლწესრიგის ერთმანეთისაგან მოწყვეტა, მათი ურთიერთდაპირისპირება და ერთის მნიშვნელობის გაზვიადება მეორის ხარჯზე იწვევს იმას, რომ სამართალი, როგორც ჯერარსი, კარგავს თავის რეალურ საფუძველს, ხოლო მართლწესრიგი – თავის რაციონალურ ბუნებას და, მამასადამე, იმის შესაძლებლობას, რომ სამა-

რთაღთან ერთად მისწვდეს სამართლის საზრისს. ამ ურთიერთკავშირის გარეშე სამართალი შეიძლება განხილული იქნეს როგორც პრაქტიკის კერძო, ყოველდღიური ამოცანების მსახური, ან მხოლოდ და მხოლოდ დოქტრინა, რომელიც უკვე აღარ არის სინამდვილის გარდაქმნის საშუალება, ხოლო მართლწესრიგი ყოფიერების ძირითადი კანონების შემეცნების მიღმა აღმოჩნდება.

2. სამართლის შეფარდება

სამართალს არ შეუძლია და არც უნდა დააფიქსიროს უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის ყველა შესაძლო ვარიანტი და კომბინაცია. შეუძლებელია იმის დავიწყება, რომ ქმნის რა მართლურთიერთობის მოდელს, სამართლის ნორმას შეუძლია განასახიეროს მხოლოდ ძირითადი, ტიპური ნიშნები. ამიტომ არის, რომ სამართლის ნორმა ურთიერთობის მონაწილეების სავალდებულო და შესაძლებელ ქცევას, მათი მოქმედებების შედეგებს განსაზღვრავს მხოლოდ აბსტრაქტული ფორმით. გარდა ამისა, თავისი განვითარების პროცესში სამართალი ჩამორჩება საზოგადოებრივი ურთიერთობის დინამიკას. სამართლის ეს “კონსერვატიზმი” ობიექტურად საჭიროებს კომპენსაციას საზოგადოებრივ ურთიერთობებთან კონტაქტის პროცესში, მათი განვითარებისა და ურთიერთქმედების გარკვეულ ეტაპზე. ასეთ კომპენსაციურ ფუნქციას ასრულებს სამართლის შეფარდების აქტები და ნორმატიული ფაქტები, რომლებიც ინდივიდუალური გზით არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართლის შეფარდების აქტები და ნორმატიული ფაქტები უშუალოდ არიან ჩართული საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროცესში, მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ან პრეცედენტული სამართალი შედარებით უძრავ მდგომარეობაშია. ისინი, როგორც ცხოვრებისეული ფაქტები, გავლენას ახდენენ მართლწესრიგის ჩამოყალიბებაზე, განსაზღვრავენ მართლწესრიგს, როგორც თვითმართვითი სისტემის სტრუქტურას და ხასიათს. ამ ნორმატიული წარმონაქმნებით ხორციელდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა “ქვენორმატიული” რეგულირება.

სამართლის ნორმის შეფარდება არის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს საპროცესო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საქმიანობა, რაც გამოიხატება სამართ-

ლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობათა კონკრეტული შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა ოფიციალურ, იმპერატიულ აღიარება-გამიჯვნაში.

გარდა ამისა, სამართლის ნორმები განსაზღვრავს კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ თავისი კომპეტენციის განხორციელების პროცედურას ანუ პროცესუალურ ფორმებს, რომელთა დაცვითაც უნდა განახორციელოს მატერიალური სამართლებრივი ნორმები. სანიმუშოდ შეიძლება გამოვიყენოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ადგენს სასამართლოს, პროკურატურის, წინასწარი გამოძიების და მოკვლევის ორგანოების მიერ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის წარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს.

სამართლის ნორმის შემფარდებელი სუბიექტები უპირატესად განიხილავენ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის დავას, რომელთა განხილვის პროცედურა გათვალისწინებულია შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით. მაგალითად, სამოქალაქო ხასიათის დავები მხარეთა შორის განიხილება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა დაცვით, ხოლო დანაშაულის გამო სახელმწიფოსა (როგორც ბრალმდებელს) და პიროვნებას (როგორც ბრალდებულს) შორის საქმის განხილვა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა დაცვით.

სამართლის ნორმის შემფარდებელი სუბიექტები სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის დავას, როგორც წესი, განიხილავენ უფლება-მოვალეობების მოცულობის გამო. სამართლის შემფარდებელი თავისი გადაწყვეტილებით ადგენს, თუ რა უფლებებით შეიძლება სარგებლობდეს სამართლებრივი ურთიერთობის თითოეული მონაწილე და რა მოვალეობა უნდა შეასრულოს თითოეულმა მათგანმა. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დავის განმხილველი სასამართლო ან არბიტრაჟი განსაზღვრავს ხელშეკრულების თითოეული მონაწილის კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა წრეს.

სამართლის შემფარდებელი სუბიექტის გადაწყვეტილება ოფიციალური ანუ საჯარო ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის თითოეული მონაწილის უფლება-მოვალეობათა კონკრეტული შინაარსის განსაზღვრას სავალდებულო ქცევის წესის

ძალა აქვს ორივე მონაწილისა და ყველა იმ პირისათვის, ვინც გადაწყვეტილების აღსრულების პროცესთან არის დაკავშირებული.

სამართლის ნორმის შეფარდების პროცესი პირობითად სამ სტადიად შეიძლება დავყოთ: 1. სამართლის ნორმის ჰიპოთეზით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, 2. სამართლის ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების დაკონკრეტება და კონკრეტული ქცევის წესის გამომუშავება, 3. გამომუშავებული კონკრეტული ქცევის წესის აღსრულება.

კერძოდ, სამართლის ნორმის შეფარდების პირველი სტადიაა ამ ნორმის ჰიპოთეზით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებების შეგროვება და დადგენა, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე: დანაშაულის შემთხვევა, ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე გავლენის მქონე გარემოებები, დანაშაულით მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და ა.შ. ეს მონაცემები დადგინდება: მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი მტკიცებებით, საგამოძიებო და სასამართლოს მსვლელობათა ოქმებით და სხვა დოკუმენტებით. ამასთან, სამართლის ნორმის შეფარდებელი მტკიცებულებების შეფასებისას ხელმეყვანელობს კანონით, მართლშეგნებით და შინაგანი რწმენით.

ანალოგიური მდგომარეობაა სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შეფასების პროცესში. სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებებია ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა საფუძველზე ღვინდება დავაში მონაწილე დაპირისპირებულ მხარეთა მოთხოვნების საფუძვლიანობა ან უსაფუძვლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ მიიღებს განსაზილველად, არ გამოითხოვს ან საქმეს განარიდებს იმ მტკიცებებს, რომელთაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამასთან, ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილ ფაქტებს ხელახლა მტკიცება არ სჭირდება იმ სამოქალაქო საქმეების განხილვისას, რომლებშიც იგივე პირები მონაწილეობენ. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს კანონიერი, ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაცაა გამოტანილი განაჩენი.

გარდა ამისა, სამართლის ნორმის შეფარდების პირველ სტადიაზე დაცული უნდა იქნეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე:

1) პიროვნების ხელშეუხებლობა – ნიშნავს, რომ არავინ არ უნდა იქნეს დაპატიმრებული სასამართლოს გადაწყვეტილების სანქციის გარეშე;

2) ბინის ხელშეუხებლობა – ნიშნავს, რომ არავის არა აქვს უფლება კანონიერი საფუძვლის გარეშე შევიდეს ბინაში იქ მცხოვრებ პირთა ნების საწინააღმდეგოდ;

3) პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის საიდუმლოება – ნიშნავს, რომ ჩხრეკა, ამოღება, მოქალაქეთა სადგომის დათვალიერება, კორესპონდენციაზე ყადაღის დადება და მისი ამოღება ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, მხოლოდ კოდექსით დაგენილი საფუძვლითა და წესით ხდება;

4) მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონისა და სასამართლოს წინაშე: წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებების მიუხედავად;

5) საქმეთა განხილვაში სახალხო მსაჯულის მონაწილეობა და კოლეგიურობა – ნიშნავს, რომ მსაჯულები სარგებლობენ სასამართლოს თავმჯდომარის თანაბარი უფლებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომელიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს;

6) მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი – ნიშნავს, რომ მოსამართლენი და მათთან გათანაბრებული მსაჯულები სისხლის სამართლის საქმეებს წყვეტავენ კანონის საფუძველზე, მართლშეგნების შესაბამისად, პირადი რწმენით და იმ პირობებში, რაც გამორიცხავს გარეშე ზემოქმედებას;

7) სასამართლო განხილვის საჯაროობა – ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს, აგრეთვე, იმ მიზნით რომ თავიდან იქნეს აცილებელი ცნობათა გახმაურება საქმეში მონაწილე პირების ცხოვრების ინტიმურ მხარეთა შესახებ;

8) ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა – ნიშნავს, რომ სასამართლო, აგრეთვე პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევნი პირი მოვალენი არიან უზრუნველყონ ბრალდებულისათვის კანონით დადგენილი საშუალებებით და ხერხებით მისთვის წაყენებული ბრალდებისაგან საკუთარი თავის, აგრეთვე, პირადი ქონებრივი უფლებების დაცვა;

9) საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა – ნიშნავს, რომ სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევნი პირი მოვალენი არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები:

10) მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ – ნიშნავს, რომ არავინ არ უნდა იქნეს ცნობილი ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, ან დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გარეშე.

სასამართლოს ნორმის შეფარდების პროცესის მეორე სტადია, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვესტადიად: კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ზოგადი მატერიალური სამართლის ნორმის შერჩევა და კონკრეტული მატერიალური სამართლის ნორმის გამომუშავება–დადგენა.

კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ზოგადი მატერიალური სამართლის ნორმის შერჩევა გულისხმობს ასეთი ნორმის მოძიებას, მოძიებული სამართლის ნორმის იურიდიული ძალის, ტექსტის სისწორის შემოწმებას და მისი შინაარსის გააზრებას.

კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ზოგადი მატერიალური სამართლის ნორმის შერჩევა მთავრდება ე.წ. სამართლებრივი კვალიფიკაციით ანუ სამართლის ზოგადი ნორმის ჰიპოთეზით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანამთხვევის განსაზღვრით. დადგენილია, რომ სამართლის ზოგადი ნორმის ჰიპოთეზით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანხვედენა ყოველთვის მიახლოებითია, რადგან უკანასკნელნი ინდივიდუალური, განუმეორებელია,

რის გამოც სამართლის ნორმის დისპოზიციით განსაზღვრული ქცევის ზოგადი წესით კონკრეტული ურთიერთობის ავტომატური მოწესრიგება შეუძლებელია. სწორედ აქ იწყება კონკრეტული სამართლის იორმის გამომუშავების პროცესი, სამართლის კონკრეტული აზრის ივლომა, რაც გამოიხატება სამართლის ნორმის შეფარდების აქტში გადაწყვეტილება, დადგენილება, განაჩენი და ა.შ.). ეს არის კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ინდივიდუალური სამართლებრივი რეგულირების სფერო, ზოგადიდან კონკრეტულ სამართლებრივ ჯერარსში ინდივიდუალური აზროვნების გადართვის სამყარო.

სამართლის ნორმის შეფარდების აქტი ოფიციალური ხასიათის დოკუმენტია, რომელშიც წერილობითი ფორმით არის ფიქსირებული და ჩამოყალიბებული სამართლის ნორმის შეფარდების ინტელექტუალური (ცნობიერი თუ არაცნობიერი) პროცესი და კონკრეტულ პირთა ქცევის წესი. ყოველივე ეს სასამართლოს მიერ მათ შორის უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით ხდება.

სამართლის ნორმის შეფარდების აქტები ინდივიდუალური ნორმატული აქტებია. ასეთია, მაგალითად, ხელისუფლება ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მაკონტროლებელი და საზედამხედველო, სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ხასიათის აქტები, ე.ი. აქტები, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე.

სამართლის ნორმის შეფარდების აქტის დოკუმენტურობა გამოიხატება მის გარეგნულ გაფორმებაში, აზრის გადმოცემის მისაწვდომ და საქმიან სტილში და ა.შ. სამართლის ნორმის შეფარდების აქტი - დოკუმენტი, როგორც წესი, დასაბუთებული უნდა იყოს. დასაბუთებულობა გულისხმობს აქტში მასალის გადმოცემას გარკვეული სქემის მიხედვით.

სამართლის ნორმის შეფარდების აქტის შინაარსი ჩვეულებრივ სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით ნაწილში აღინიშნება განაჩენის დადგენის დრო და ადგილი, სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, პროცესში მონაწილე მხარეების მითითება განსასჯელის პიროვნების შესახებ, დანაშაულებრივი ქმედობა, რაშიც მას ბრალი

ედება და სხვა. სამოტივაციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს იმ მტკიცებების შესახებ, რომლებითაც დასტურდება ბრალდება. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, ბრალდების მოცულობა და ა.შ. სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნული უნდა იყოს მსჯავრდებულის ვინაობა, სისხლის სამართლის კანონი, რომლის მიხედვითაც იგი ცნეს დამნაშავედ, როგორი სახის და რა ზომის სასჯელი განესაზღვრა მსჯავრდებულს.

სამართლის ნორმის შეფარდების შესამე სტადია მოიცავს სამართლის ნორმის შეფარდების აქტის განხორციელების უზრუნველყოფას, რომელიც ასევე მოწესრიგებულია საპროცესო კანონმდებლობის ნორმებით. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სააღმასრულებლო დოკუმენტაციის წარმოების წესებს, სასამართლო აღმასრულებლის უფლება-მოვალეობებს, იძულებითი აღსრულების კონკრეტულ ღონისძიებებს, სააღმასრულებლო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის პირობებს და ა. შ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ცალ-ცალკე განსაზღვრავს მოქალაქეთა და იურიდიული პირების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების წესებს, დამოუკიდებლად აწესრიგებს სასამართლო აღმასრულებლის მიერ მოვალისაგან ამოღებული თანხის განაწილების პირობებს და თანამიმდევრობას, აგრეთვე, სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების ან გაპროტესტების საკითხებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი აწესრიგებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი - განაჩენის აღსრულების საკითხს, განაჩენის აღსრულების გადადების პირობებს, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, ნასამართლობის მოხსნის შესახებ შუამდგომლობის განხილვის საკითხებს და წესს და ა.შ.

სამართლის ნორმის შეფარდებასთან დაკავშირებულია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა - ადმინისტრაციული იუსტიცია. სოციოლოგიური იურისპრუდენცია, რომლის კვლევის ძირითადი ობიექტი სამართლის ნორმის შეფარდებაა, ამ საკითხს ტრადიციულად განიხილავს სასამართლოს საქმიანობის ასპექტში. მაგრამ თანამედროვე პირობებში სოციალური ორგანიზმის ფუნქციონირებამ მოიცვა ადამიანთა და მათ ორგანიზაციათა ნორმალური, ყოველდღიუ-

ბი ცხოვრების ფართო სფერო, რომელმაც მოითხოვა ადეკვატური ამაღლებრივი ფორმის გამოძებნა. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი, აკმაოდ ვრცელი ქსელი ადმინისტრაციული სამსახურებისა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ადმინისტრაციული სამართალ-შეფარდებითი საქმიანობის ცალკე სახით გამოყოფა. კერძოდ, ინდუსტრიალიზაციამ და ტექნიკურმა პროგრესმა, რასაც თან მოჰყვა შრომის ნაყოფიერების ამაღლება და მკვეთრი ურბანიზაცია, მოითხოვა სწრაფად მზარდი და დაგროვილი სოციალური პრობლემების ოპერატიული გადაჭრის აუცილებლობა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების გზით ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი მოწყობა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, სოციალური დაზღვევა, ეკოლოგია და ა.შ. აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარჩოებში სამართლის შეფარდების სფერო საგრძნობლად გაფართოვდა ე.წ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა გაფართოების და ამ დარგში დამოუკიდებელი მექანიზმის - ადმინისტრაციული იუსტიციის ჩამოყალიბების ხარჯზე სასამართლო ხელისუფლების პარალელურად.

3. ნორმატიული ფაქტები

მართლწესრიგი არ ამოიწურება მხოლოდ საკანონმდებლო სამართლის ნორმების შეფარდების შედეგად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემით. მართლწესრიგის სფერო გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ის, რომელზეც ვრცელდება პოზიტიური სამართლის ნორმების მოქმედება. მართლწესრიგის ის სფერო, რომელზეც უშუალოდ არ ვრცელდება პოზიტიური სამართლის ნორმები, მოიცავს ისეთ აქტებს, რომლებიც წარმოადგენს არა მარტო მართლურთიერთობათა წარმოშობის პირობას, არამედ სამართლებრივი ნორმებისაგან დამოუკიდებლად არეგულირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამრიგად, აქ ლაპარაკია არა იმ ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ იურიდიული ნორმების შეფარდების ფაქტთან, არამედ იმათზე, რომლებიც პოზიტიური სამართლის ნორმების და მათი შეფარდების პარალელურად, ავტონომიურად არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ნორმატიული ფაქტების თეორია ემყარება დებუ-

ლებას იმის შესახებ, რომ სამართლის ნორმის შემოქმედია არა მარტო კანონმდებელი და მოსამართლე, არამედ საზოგადოება და ინდივიდი. ამრიგად, საქმე ეხება ავტონომიური რეგულირების პრობლემას.

საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში ავტონომიური რეგულირების პრობლემა პირველად წამოაყენა პროფ. გ. ნანეიშვილმა მონოგრაფიაში "სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა".

ნორმატიული ფაქტების გ. ნანეიშვილისეული კონცეფცია მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: სამართლებრივი ცხოვრების, რეალურ მართლურთიერთობათა მთელი სფერო არ ამოიწურება პოზიტიური სამართლებრივი ნორმების განხორციელებით, რადგან სამართლის სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე ის, რომელსაც ითვალისწინებს პოზიტიური სამართალი. სამართლებრივ ცხოვრებას, რომელიც პოზიტიური სამართლის გარეთ იმყოფება, ქმნის ნორმატიული ფაქტები. ამ ფაქტებს უნარი შესწევს, შექმნას აზრთა ისეთი კომპლექსი, რომელთა მიმართაც ლოგიკური დამოკიდებულება ურთიერთობათა მონაწილეების მდგომარეობას განსაზღვრავს უფლებამოსილისა და ვალდებულის სახით.

პოზიტიურ სამართალს შეუძლია ბათილად სცნოს რაიმე გარიგება, მხარეები გაათავისუფლოს ისეთი ვალდებულების შესრულებისაგან, რომელიც აუცილებელი იქნებოდა გარიგების ნამდვილობა აღიარებული რომ ყოფილიყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ფაქტის ნორმატიულობის გამოყვანა სამართლის ნორმიდან შეიძლება, რადგან სამართალს არ შეუძლია შვას ფაქტი. ფაქტი ყოველთვის უსწრებს სამართალს. ფაქტის ნორმატიულობა მისივე ბუნებითაა განპირობებული და მასშია მოთავსებული.

სინამდვილეში, როდესაც რაიმე შეთანხმება ან დაპირება პოზიტიური სამართლის მიერ ბათილადაა ცნობილი, ეს სრულიად არ მიუთითებს იმაზე, რომ მას ძალუძს გააუქმოს მხარეთა შორის ამ აქტების შედეგად ჩამოყალიბებული შინაგანი ფსიქიკური კავშირი. გარიგების ბათილად გამოცხადებას შეუძლია შექმნას მხოლოდ იმ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის აბსტრაქტული პირობა, რომელიც ხელს ვერ შეუშლის გარიგების, შეთანხმების ან დაპირების შესრულებას, თუკი ეს არ შეეხება სახელმწიფოს უშიშროებას ან საზოგადოებრივ წესრიგს. ხელშეკრულებას ვდებთ, დაპირებას ვიძლევი, შეთანხმებას ვაწარმოებთ არა იმიტომ, რომ არსებობს შესაბამისი სამართლის ნორმა.

ამრიგად, ნორმატიულ ფაქტს აქვს როგორც ფაქტის, ასევე ნორმის თვისება. არის თუ არა ხელშეკრულება მართლზომიერი, შეიძლება გაირკვეს ან არ გაირკვეს მომავალში. მანამდე კი მხარეების ურთიერთობას აქვს მთელი ისტორია, რომლის განმავლობაშიც ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან როგორც უფლებამოსილი და ვალდებული.

ამრიგად, ფაქტის ნორმატიულობა ობიექტური, პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებელი თვისებაა. რა თქმა უნდა, სამართალს შეუძლია გამოიყენოს ნორმატიული ფაქტი ან შექმნას ხელოვნური დაბრკოლებები იმ კანონზომიერების გამოსავლენად, რაც ჩადებულია ნორმატიულ ფაქტში, მაგრამ ნორმატიული ფაქტის ბუნებას სამართალი ვერ შეცვლის.¹

ნორმატიული ფაქტი და იურიდიული ფაქტი სხვადასხვა მოცულობის კატეგორიებია. იურიდიული ფაქტი ნორმატიული ფაქტის ნაირსახეობაა. იურიდიული ფაქტი, რომელსაც პოზიტიური სამართალი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლის ან შეწყვეტს, მაგრამ ამის გამო ის ნორმატიულობას არ იძენს. ნორმატიულობა ფაქტის იმანენტური თვისებაა, დამოუკიდებლად იმისა, სცნობს თუ ამას პოზიტიური სამართალი. იურიდიულია ფაქტი, რომელსაც პოზიტიური სამართალი ანიჭებს იურიდიულ ნიშნელობას. იურიდიული ფაქტების გარეთ რჩება ნორმატიული ფაქტების მთელი სამყარო. მათგან ზოგიერთი პოზიტიური სამართალი იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

პროფ. გ. ნანეიშვილის კონცეფცია ადასტურებს იმ უდავო მოსაზრებას, რომ სამართლის აზრის წვდომა სწარმოებს არა მარტო სამართლის ნორმის შეფარდების კონსტრუირებით, არამედ ნორმატიული ფაქტების საშუალებითაც, უფრო ზუსტად, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილენი შესაბამის ნორმატიულ ფაქტებში ჩადებულ აზრს მისდევენ.

ჩვენი აზრით, ნორმატიული ფაქტების იდეა ეყრდნობა დებულებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ საკანონმდებლო სამართლის ნორმას არ შეუძლია სამართლის აზრის წვდომა, კერძოდ, სამართლიანობის უზრუნველყოფა, რადგანაც საკანონმდებლო და პრეცედენტული სამართლის სტაბილურობა მუდმივ წინააღმდეგობაშია საზოგადოებრივი

¹ გ. ნანეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 59-68.

ცხოვრების დინამიზმთან და ცხოვრების პირობების მუდმივი ცვალებადობა ნიადაგ შესწორებებს მოითხოვს. ამ “ნაკლის” გამოსწორება მხოლოდ სამართლის აღმსრულებელს შეუძლია, თუკი ორიენტაციას იღებს არა მარტო ზოგად სამართლის ნორმებზე და პრეცედენტზე, არამედ ნორმატიულ ფაქტებზეც ფაქტობრივად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში ბუნებრივად არსებულ ნორმატიულ წესრიგზე.

ნორმატიულ ფაქტს აქვს ორი თვისება:

1. მოქმედი (პოზიტიური) სამართლისაგან დამოუკიდებლად და მის პარალელურად იყოს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის – შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი;

2. მოქმედი (პოზიტიური) სამართლისაგან დამოუკიდებლად და მის პარალელურად შექმნას უფლება–მოვალეობანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის.

ნორმატიული ფაქტის კლასიკური მაგალითია ხელშეკრულება.

ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლის სუბიექტები ერთმანეთთან საზოგადოებრივ ურთიერთობებს იმიტომ კი არ ამყარებენ, რომ არსებობს მისი მომწესრიგებელი სამართლის ზოგადი ნორმები. მაგალითად, სამართლის სუბიექტები ქონებრივ ან სხვა სახის ხელშეკრულებებს იმიტომ კი არ დებენ, რომ არსებობს ამ ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, არამედ იმიტომ, რომ ისინი იკმაყოფილებენ თავიანთ სოციალურ და კულტურულ ინტერესებს. უფრო მეტი – სამართლის სუბიექტები დებენ ხელშეკრულებებს ან პირდებიან ერთმანეთს რაიმე უფლებრივი მნიშვნელობის აქტის შესრულებას ისე, რომ შეიძლება სულაც არ იცოდნენ, ითვალისწინებს თუ არა ამ აქტების მართლზომიერებას პოზიტიური სამართალი. არის თუ არა ხელშეკრულება მართლზომიერი, შეიძლება გაირკვევს ან საერთოდ არ გაირკვევს მომავალში, მანამდე კი მხარეების ურთიერთობა მოიცავს მთელ პერიოდს, რომლის განმავლობაში თითოეულ მათგანს აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები, რომელთა შინაარსაც თვითონ განსაზღვრავენ და არა პოზიტიური სამართლის რომელიმე ნორმა.

შეიძლება შეგვეკამათონ: პოზიტიური სამართლის ნორმა ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების პირობებს, განსაზღვრავს მხარეებს შორის უფლება–მოვალეობებს, ადგენს პასუხისმგებლობას მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, და ბოლოს, პიზიტიური სამართლის ნორმას შეუძლია საერთოდ ბათილად ცნოს, მეტიც, აკრძალოს ეს თუ ის ხელშეკრულება, მაშინ ხომ აზრი ეკარგება ნორმატიული

უაქტების თეორიას. ამაზე ეუპასუხებთ შემდეგნაირად: დავუშვათ, ხელშეკრულების დამდებმა პირებმა არ გაითვალისწინეს სამართლის ნორმის მოთხოვნები, თვითონ განსაზღვრეს ხელშეკრულების ყველა რეკვიზიტი და დაამთავრეს უფლება-მოვალეობათა შესრულება. განა ამის გამო ხელშეკრულების მონაწილეთა ინტერესები რამეთი შეიბღალა? არა. ერთი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ დავის შემთხვევაში სახელმწიფოსაგან დაუცველი აღმოჩნდება ორივეს ან ერთ-ერთის უფლება, მეტი არაფერი. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ პირები გლობალური მასშტაბით დებენ კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულებებს ისე, რომ მათი ფიქსაცია არ ხდება სახელმწიფოს მიერ ან ის, რომ ერთ-ერთი პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში ისინი არ მიმართავენ სახელმწიფო იძულებას და თვითონ აწესრიგებენ კომფლიქტს?

ღიახ, საკანონმდებლო ან პრეცედენტული სამართლის ნორმას შეუძლია ბათილად ცნოს ესა თუ ის ხელშეკრულება, კანონსაწინააღმდეგოდ გამოაცხადოს ის, მაგრამ არ ძალუძს გააუქმოს, ბათილად გამოაცხადოს ხელშეკრულების მონაწილეთა ფსიქიური დამოკიდებულება ერთმანეთთან და ლოგიკური დამოკიდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების როგორც ქცევის წესის მიმართ. სამართლის სუბიექტები ისე დებენ ხელშეკრულებებს და ასრულებენ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, რომ ყველაფერი ეს უმეტესად საერთოდ უცნობი რჩება სახელმწიფოსათვის.

ნორმატიული ფაქტების თეორიის ჭეშმარიტებას ასაბუთებს საერთაშორისო სამართალი. საერთაშორისო სამართლის სუბიექტები იმიტომ კი არ დებენ ხელშეკრულებებს ერთმანეთთან, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები ან საერთაშორისო ჩვეულებანი, არამედ იმიტომ, რომ ისინი ავლენენ ურთიერთშეთანხმებულ ნებას, მათთვის საერთო ნებას.

საერთაშორისო სამართლის რომელიმე ზოგადი პრინციპი ან საერთაშორისო სამართლის რომელიმე ჩვეულება შეიძლება კრძალავდეს ორ სახელმწიფოს შორის კაბალურ ხელშეკრულებას, მაგრამ ამით ამ ხელშეკრულებას ძალა არ ეკარგება. შესაძლებელია ერთი სახელმწიფოსათვის ეს ხელშეკრულება ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით კაბალური იყოს, მაგრამ ასეთი ხელშეკრულება ხელს აძლევს მას ამ მომენტისათვის. ამის გამოა, რომ თვით კანონ-

მდებელი იძულებულია სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება უმეტეს შემთხვევაში ინდივიდების ნებას დაუქვემდებაროს.

ნორმატიული ფაქტები მოიცავს მხარეებს შორის ჩამოყალიბებულ ფაქტობრივ წესრიგს მისი მორალური თუ სამართლებრივი შეფასებისაგან დამოუკიდებლად, ანუ ეს არის ქცევის ლატენტური წესები, ნორმები, რომლებსაც კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილენი აყალიბებენ ლატენტურად და, რაც მთავარია, ავტონომიურად.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს ერთი შეხედულების შეზღუდულობა, რომელიც ეხება საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს. ამ შეხედულების თანახმად, სამართლებრივი რეგულირება არის ცალმხრივი პროცესი, სადაც კანონმდებელი წარმოადგენს აქტიურ საწყისს. ის აკანონებს და წარმართავს ადამიანთა ქცევას, ხოლო ამ ქცევის სუბიექტები მორჩილად ასრულებენ იმას, რაც მათი მისამართით არის დადგენილი. ასეთი მიდგომა, რომელიც ტიპური იყო მარქსისტულ-ლენინური სამართლის თეორიისათვის, უგულებელყოფდა განწყობისა და მოტივაციის აქტიურ როლს, ქცევის ჩამოყალიბებულ სტერეოტიპს და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ცვლადების მნიშვნელობას საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების პროცესში, და საერთოდ ობიექტურ კანონზომიერებას, რომლის სამართლებრივი გამოვლენაა ნორმატიული ფაქტები. მაგრამ, მეორეს მხრივ, არ შეიძლება ნორმატიული ფაქტებისა და პოზიტიური სამართლის ნორმების ერთმანეთისაგან მოწყვეტა და დაპირისპირება, რადგან ისინი ორივენი, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ხარისხით და მოცულობით, მონაწილეობენ სამართლებრივი ქცევის განწყობის ფორმირებაში.

სამართლებრივი ქცევის განწყობა უშუალო მიმართებაშია უფლებებისა და მოვალეობის განხორციელებასთან. პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციისა და სამართლის (როგორც ღირებულების) ურთიერთმიმართების მიხედვით ხდება სამართლებრივი ქცევის განწყობის ფიქსირება, რომელიც წარმართავს პიროვნების მოღვაწეობას საზოგადოებაში. სამართლებრივი ქცევის განწყობის ფიქსაციის პროცესში პიროვნება ქვეცნობიერად ცდილობს: შეკრას ფსიქიკური ველის კომპონენტები (თავისი მორალურ-სამართლებრივი ორიენტაციები), სამართლის კონკრეტული ნორმა (ღირებულება), მათი განხორციელების პრაქტიკა, ნორმატიული ფაქტები და წარმოადგინოს, როგორც ერთი მთელი (ერთიანობა). სამართლებრივი ქცევის განწყობის გამომუშავების დროს პიროვნება იწყებს თავისი მორა-

ლურ-სამართლებრივი ღირებულებითი ორიენტაციის რეორგანიზაციას სამართლის (ღირებულების) მოთხოვნების, ინდივიდუალური პრაქტიკისა და ნორმატიული ფაქტების შესაბამისად, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება გარკვეული ქცევის არჩევა და განხორციელება.

ამრიგად, სამართლებრივი ქცევის განწყობის ჩამოყალიბებაზე ძირითადად ზემოქმედებს ორი ფაქტორი: მორალურ-სამართლებრივი ღირებულების სისტემა და ობიექტურად ჩამოყალიბებული იურიდიული პრაქტიკა. პიროვნების მიმართება სამართლებრივ ნორმებთან, იურიდიულ პრაქტიკასა და ნორმატიულ წესრიგთან არ დაიყვანება მხოლოდ მათთან უბრალო შეგუებასა და ავტომატურ შესრულებამდე, არამედ სუბიექტის მიერ ზემოაღნიშნული ფაქტორების რთული შეჯერების შედეგია. სამართლებრივი ქცევის განწყობა საბოლოოდ იღებს შინაგანი სამართლებრივი ორიენტაციის ფორმას. სამართლებრივი ქცევის განწყობა სამართლებრივი ორიენტირების სახით ვლინდება ადამიანთა რეალურ ქცევაში.

ნორმატიული ფაქტი განსხვავდება სამართლის შეფარდების აქტისაგან. მართალია, როგორც ნორმატიული ფაქტი, ისე სამართლის შეფარდების აქტი არეგულირებენ ინდივიდუალურად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაგრამ განსხვავებიან იმით, რომ ნორმატიული ფაქტი იქმნება არა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს რომელიმე კონკრეტული ნორმის განხორციელებას, არამედ ის კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ნების უშუალო გამოვლინებაა, თვით ქმნის ნორმას. მაგალითად, ხელშეკრულება, როგორც ნორმატიული ფაქტი, სამართლისაგან დამოუკიდებლად წარმოადგენს ობიექტურ სინამდვილის ფაქტს, რომელიც ურთიერთობის მონაწილეთა თანმთხვევი ნების შედეგია. ხელშეკრულება იღება არა იმის გამო, რომ არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ასეთ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების დადების მოთხოვნილება გამომდინარეობს არა სამართლის ნორმიდან, არამედ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ბუნებიდან. ნორმატიული ფაქტისაგან განსხვავებით, სამართლის ნორმის შეფარდების აქტის არსებობა განპირობებულია სამართლის შესაბამისი ზოგადი ნორმის არსებობით.

სამართლის ნორმა არ ანიჭებს ხელშეკრულებას ნორმატიულობას, რადგანაც ნორმატიულობა თვით ხელშეკრულების ბუნებიდან გა-

მომდინარეობს დამოუკიდებლად, იმისდა მიუხედავად, აღიარებულია ის კანონის მიერ თუ არა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: მხოლოდ ზოგად სამართლის ნორმებზე ორიენტირებას და ამ ნორმირების შეფარდების პრეცედენტის გათვალისწინებას არ შეუძლია უზრუნველყოს სამართლის აზრის წვდომა. იმის იმედი, თითქოს სამართლის აღმსრულებელი (მაგალითად, მოსამართლე) ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში ერთნაირად მოიქცევა და ანალოგიურ საქმეში არ იქნება ადრე განხილულისაგან განსხვავებული გარემოება, ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს. სამართლის შეფარდების მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა.

თუ მოსამართლენი სამართლის შეფარდების პროცესში მხოლოდ იმას ეყრდნობიან, თუ როგორ ახორციელებდა სასამართლოები სამართლის ნორმას ადრე, შეიძლება აშკარად უსამართლო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ; გარდა ამისა, ასეთი პოზიცია ხელს უშლის თვით სასამართლო პრაქტიკის დახვეწას და, საბოლოო ჯამში, მთლიანად კანონმდებლობის პროგრესს.

მაშინ, როდესაც მოსამართლენი ზოგად ნორმასა და პრეცედენტთან ერთად ორიენტაციას იღებენ კონკრეტულ ურთიერთობაში სპონტანურად ჩამოყალიბებულ ნორმატიულ წესრიგზე, ფაქტობრივი სიტუაციისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება საქმის მაქსიმალურად სამართლიან გადაწყვეტამდე მიგვიყვანოს და ხელი შეუწყოს სამართლის აზრის, შეცნობას, წვდომას, უფრო მეტი – ახალი პროგრესული აზრის, ნორმის დაბადებას.

ამრიგად, ნორმატული ფაქტების ნაწიეშვილისეული თეორია არის კერძო სამართლის უმთავრესი ფილოსოფიური საფუძველი. თუ კი კერძო სამართალს დავამყარებთ პოზიტივიზმის ფილოსოფიურ საფუძველზე ანუ მას საჯარო სამართალს დაუქვემდებარებთ, მაშინ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინდივიდუალური ნება სრულიად ნივინირდება და საბოლოოდ მივიღებთ ტოტალიტალურ რეჟიმს. უფრო მეტი, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის გლობალიზაციის თეორიული ფუნდამენტია ნორმატული ფაქტების თეორია.

IV კარი. სამართლის საზრისი

I თავი. სამართლის ნორმის

ახსნა-განმარტება

1. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების სერხები

სამართლის ნორმა აწესრიგებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა სამართლის ნორმისა და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ურთიერთმისადაგება. საქმე ის არის, რომ სამართლის ნორმა, როგორც წესი, ზოგადი ხასიათისაა, ხოლო კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა ინდივიდუალური და განუმეორებელია თავის სახეობაში, ამიტომ დგება საკითხი ზოგადის და კონკრეტულის ურთიერთშეთანაწყობის შესახებ. ფაქტობრივი გარემოებები სამართლის ნორმაში ზოგადადაა მოხსენიებული, თანაც გვარეობითი ნიშნის მიხედვით. მას არ შეუძლია მოიცვას ყოველი შესაძლებელი ფაქტობრივი გარემოების ინდივიდუალობა და განუმეორებლობა, სწორედ ამიტომ დგება საკითხი მათი ურთიერთმიახლოების, მისადაგების შესახებ. ეს პროცესი ძირითადად ორი ეტაპისგან შედგება: პირველია – სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება, ხოლო მეორე – კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების ინდივიდუალური ნიშნების დადგენა. ეს ორი ეტაპი სრულდება სამართლის ნორმის შეფარდების აქტის დადგენით ანუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიმართ კონკრეტული ნორმატული გადაწყვეტილებების მიღებით.

სამართლის ნორმის შეფარდების პირველი ეტაპი მოიცავს სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებას (როგორც კონკრეტულის, ისე ზოგადის).

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება ნიშნავს იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩადო მასში სამართლის ნორმის დამდგენმა სუბიექტმა.

სამართლის ნორმა მსჯელობაა, ნებისმიერი მსჯელობა კი მოითხოვს მასში ნაგულისხმევი აზრის გაშიფვრას, განმარტებას, ინტერპრეტაციას. ამ მსჯელობას რამდენიმე ასპექტი აქვს, ამიტომ საჭიროა თითოეულის გამოვლენა, რომ საბოლოოდ გავიგოთ და დავადგინოთ ის აზრი, რაც ჩადებულია სამართლის ნორმაში.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების რამდენიმე ხერხი არსებობს:

1. ენობრივი ახსნა-განმარტება. ნებისმიერი სამართლის ნორმას უპირველეს ყოვლისა, ენობრივი მხარე აქვს, ენობრივი ფორმით გვევლინება, ქცევის წესი მასში ჩამოყალიბებულია შესაბამის ენაზე. ამიტომ საჭირო ხდება სამართლის ნორმის ენობრივი, გრამატიკული ანალიზი, რის გამოც მას ზოგჯერ გრამატიკულ ახსნა-განმარტებასაც უწოდებენ.

გრამატიკული ანუ ენობრივი ანალიზის დროს საჭიროა გარკვეული წესების დაცვა:

ა) სამართლის ნორმაში გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს უნდა მიეცეთ ის მნიშვნელობა, რაც მათ აქვთ შესაბამის ლიტერატურულ ენაში;

ბ) თუკი ნორმაში გამოყენებულია ტექნიკური ან სხვა სპეციალური ტერმინები, მაშინ მათ უნდა მიეცეთ ის მნიშვნელობა, რაც აქვთ შესაბამის დარგში;

გ) ერთსა და იმავე ნორმაში გამოყენებულ იდენტურ ტერმინებს და გამოთქმებს არ შეიძლება მიეცეთ განსხვავებული მნიშვნელობა, ანდა პირიქით, განსხვავებული ტერმინისა და გამოთქმის გამოყენება არ შეიძლება იდენტური მნიშვნელობით;

დ) დაუშვებელია ნორმის ისეთი ახსნა-განმარტება, რომლის დროსაც თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო ტერმინი ან სიტყვა ზედმეტად ითვლება ან რჩება ყურადღების გარეშე. საქმე ისაა, რომ სამართლის ნორმაში მოხსენიებულ ყველა ტერმინს და სიტყვას თავისი შინაარსობრივი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, რის გარეშეც მისი აზრი მთლიანად იცვლება.

საერთოდ, სამართლის ნორმის ანალიზის დროს ზოგჯერ საჭირო ხდება სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონის გამოყენება.

სამართლებრივი ნორმის ენობრივი ანალიზის დროს მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მასში გამოყენებულ დამაკავშირებელ სიტყვებს (მაგალითად, “და“ “ან“, “თუ“, აგრეთვე, სასვენ ნიშნებს).

2. ლოგიკური ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტების მეორე ხერხია სამართლის ნორმის ტექსტის ლოგიკური დაშლა. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ძალით: “მოვალეთა სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში, კრედიტორს უფლება აქვს მოსთხოვოს შესრულება როგორც ყველა მოვალეს ერთად, ისე თითოეულ მათგანს

ცალ-ცალკე, თანაც როგორც მთელი ვალის, ისე ვალის ნაწილის“. ეს ნორმა ლოგიკურად შეიძლება დაიშალოს რამდენიმე ნორმად.

ლოგიკური ახსნა-განმარტების მეორე წესია ე.წ. “ხარისხის დასკვნა“, ანუ დასკვნა **a fortiori**. ეს წესი გულისხმობს ორ ვარიანტს:

1. ის, ვინც უფლებამოსილი ან ვალდებულია დიდზე, ის უფლებამოსილი ან ვალდებულია მცირეზეც **argumentum a majori ad minus**.

2. ის ვისაც ეკრძალება მცირე, მას ეკრძალება დიდიც **argumentum a minori ad minus**.

ამ ვარიანტების გამოყენების შედეგად ვიღებთ ლოგიკურ დასკვნას ხარისხის მსჯელობებიდან ანუ ხარისხის დასკვნას.

ლოგიკური ახსნა-განმარტების მესამე წესია ე.წ. დასკვნა “ანალოგიიდან“ **analogia intra legem**, რაც ნიშნავს ანალოგიას კანონის ფარგლებში. მაგ., სისხლის სამართლის კოდექსში ვკითხულობთ: “სასჯელის დადების დროს სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს აგრეთვე სხვა შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც კანონში აღნიშნული არ არის“.

ლოგიკური ახსნა-განმარტების მეოთხე წესია ე.წ. დასკვნა საწინააღმდეგოდან **argumentum a contrario**. სამართლის ნორმის შინაარსიდან ლოგიკურად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა შეიძლება გამომდინარეობდეს. ამ დროს დგინდება ერთ-ერთი მსჯელობის მცდარობა, რაც ნიშნავს, რომ რადგან ერთი დასკვნა მცდარია, მეორე ავტომატურად ჭეშმარიტი იქნება.

3. სისტემატური ახსნა-განმარტება. სისტემატური ახსნა-განმარტების აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ ნებისმიერი ცალკე აღებული სამართლის ნორმა საზოგადოებრივ ურთიერთობას აწესრიგებს არა იზოლირებულად, არამედ სხვა ნორმებთან ურთიერთქმედების გზით, მათ სისტემაში. საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა მრავალმხრივია - ერთს შეიძლება აწესრიგებდეს ორი ან მეტი ნორმა. ამიტომ ზოგჯერ საჭიროა ერთი ნორმის შინაარსის ახსნა მისი მომიჯნავე, მონათესავე ნორმის შინაარსის გარკვევით. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნორმაში ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როცა მყიდველს მიჰყიდეს არაჯეროვანი ხარისხის ნივთი. ამ ნორმაში არ არის გახსნილი, თუ რა ითვლება არაჯეროვანი ხარისხის ნივთად. ამისათვის საჭიროა მოიძებნოს სხვა ნორმა ყიდვა-გაყიდვის მომწესრიგებელი ნორმების ჯგუფში, ე.ი. უნდა მოიძებნოს ამ ნორმის განმარტებელი სხვა მუხლი. მართლაც, ამ მუხლის მომიჯნავეა ნორმა, სადაც განმარტებულია, თუ რა ითვლება ნივთის არაჯეროვან

ხარისხად. ამ ნორმის თანახმად, არაჯეროვანი ხარისხისაა ნივთი, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საერთოდ აღიარებული სტანდარტს, ამგვარი ნივთებისათვის დადგენილ პირობებს ან ნიმუშებს.

მეორე მაგალითი. ავიღოთ სამოქალაქო სამართლის სხვა ნორმა, რაც ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურების პირობებს პირის საავტორო უფლებების დარღვევისათვის. აქ არაფერია ნათქვამი, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს ზარალი. ამისათვის უნდა მოიძებნოს სხვა ნორმა. მართლაც, სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმაში მითითებულია: ზარალად ითვლება კრედიტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული ხარჯები ანდა მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება, აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია, მაგრამ მიიღებდა, თუ მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.

4. ისტორიული ახსნა-განმარტება. სამართლის ნორმის შინაარსის გასარკვევად სხვა ხერხებთან ერთად ზოგჯერ საჭირო ხდება გაირკვეს ის კონკრეტული ისტორიული პირობები და მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია შესაბამისი სამართლის ნორმის დადგენა. მაგალითად, ნორმატიული აქტის შემთხვევაში ეს შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისი კანონპროექტების, პარლამენტის კომისიების სხდომის ოქმების, პარლამენტის სხდომაზე მომხსენებელთა და თანამომხსენებელთა გამოსვლის ტექსტების გაცნობით და სხვ.

მიზეზები, რომლითაც ხელმძღვანელობდა, მაგალითად, ნორმატიული აქტის დამდგენი, შეიძლება გაირკვეს ახალი ნორმატიული აქტის ძველთან შედარებით. ამ დროს უნდა დადგინდეს, რა ცვლილება განიცადა ნორმატიულმა აქტმა, რა შემორჩა მას და ა.შ.

5. შეფასებითი ახსნა-განმარტება. სამართლის ნორმის ტექსტში ზოგჯერ იხმარება ზოგადი ცნებები ისე, რომ არ ზუსტდება მათი კონკრეტული შინაარსი. ამ კონკრეტული შინაარსის შეფასებას ანუ ცნებების ახსნა-განმარტებას ახდენს სამართალშემფარდებელი. მაგ., სამართლის ნორმაში არცთუ იშვიათად გვხვდება ასეთი გამონათქვამები: მნიშვნელოვანი ზიანი, დიდი ოდენობა, განსაკუთრებული სისასტიკე და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია უშუალოდ გაირკვეს თითოეული ცნების ან ტერმინის შინაარსი, ე.ი. გაირკვეს, თუ რა აზრი ჩადო სამართლის ნორმის დამდგენმა თითოეულ მათგანში. ასეთ შემთხვევაში სამართალშემფარდებელს უფლება ეძლევა ინდივიდუალურად განმარტოს თითოეული ცნება და ტერმინი საქმის

ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. მაგ., სისხლის სამართლის ნორმა შესაბამის სასჯელს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც ქურდმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს; მაგრამ ერთი დაზარალებულისათვის ზიანი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მეორესთვის კი არა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობა, შესაბამისი ნივთის კულტურული ღირებულება და სხვა გარემოებები, და ისე გადაწყვიტოს დამნაშავეისათვის სასჯელის ზომა.

2. სამართლის ნორმის

ახსნა-განმარტების ფორმები

სამართლის ნორმების ახსნა-განმარტება ანუ სამართლებრივი ნორმების შინაარსის გახსნა-გაშიფვრა სხვადასხვა ფორმით ხდება, სხვადასხვა სახეს იძენს იმის მიუხედავად, თუ ვინ იძლევა ახსნა-განმარტებას. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ოფიციალურ და არაოფიციალურ ახსნა-განმარტებას, ე.ი. ახსნა-განმარტებას, რომელსაც იძლევა კანონით უფლებამოსილი ორგანო თუ სუბიექტი, რომელიც ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი არ არის. აქედან გამომდინარე, ოფიციალური ახსნა-განმარტება სავალდებულოა, ხოლო არაოფიციალური არ არის სავალდებულო.

1. ოფიციალური ახსნა-განმარტება, თავის მხრივ, იყოფა სახეებად, იმისდა მიხედვით, რომელი ორგანო იძლევა მას – საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ავთენტიკურ, დელეგირებულ და სასამართლო ახსნა-განმარტებას.

ავთენტიკურია ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა შესაბამისი სამართლის ნორმის დამდგენი სუბიექტი სათანადო აქტის გამოცემით. ასეთ ახსნა-განმარტებით აქტებს, როგორც წესი, გამოსცემენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები. ახსნა-განმარტების ეს აქტები შესაბამისი საკანონმდებლო აქტის ენობრივი, ლოგიკური, სისტემატური, ისტორიული და შეფასებითი ახსნა-განმარტების იურიდიული გამოხატულებაა. ავთენტიკური ახსნა-განმარტებითი აქტი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც შესაბამისი საკანონმდებლო აქტის ნაწილი, რადგან მას ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც

საკანონმდებლოს. ახსნა-განმარტებითი აქტების მიზანია ამა თუ იმ კანონის ერთგვაროვანი გაგების უზრუნველყოფა მისი განხორციელების პროცესში.

დელეგირებულია ახსნა-განმარტება, რომელსაც აღმასრულებელი ორგანო იძლევა, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე შესაბამისი ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში. ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილია მთავრობა, სამინისტროები და სხვა უმაღლესი აღმასრულებელი უწყებები, აგრეთვე იუსტიციის ზემდგომი და სხვა საზედამხედველო ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნული ორგანოები თავიანთ აქტებში განმარტავენ შესაბამისი კანონების ცალკეულ დებულებებს, ასევე, ადგენენ მათი შეფარდების წესსა და თანამიმდევრობას მათდამი დაქვემდებარებული ორგანოებისათვის სახელმძღვანელოდ.

სასამართლო ახსნა-განმარტებას იძლევა უმაღლესი სასამართლო ორგანო სახელმძღვანელო მითითების ფორმით, რომელიც სავალდებულოა როგორც სასამართლო, ისე სამართალდამცავი და სხვა ორგანოებისათვის იმ საკითხებზე, რომელთა განხილვა ექვემდებარება სასამართლოებს. სასამართლო ახსნა-განმარტების მიზანია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის ერთგვაროვანი გაგების უზრუნველყოფა ქვემდგომი სასამართლოების მიერ ანალოგიურ საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანისას. უმაღლესი სასამართლო ორგანოები ნორმატული აქტების ახსნა-განმარტებას იძლევიან ქვემდგომი სასამართლოების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. ჩვეულებრივ სახელმძღვანელო მითითებებში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ესა თუ ის ოურიდიული კონსტრუქცია, ტერმინი თუ მთლიანად ნორმა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება, ესა თუ ის ნორმატიული აქტი რა წესით უნდა შეფასდეს ქვემდგომი სასამართლოების მიერ.

სასამართლო განმარტების სავალდებულო ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ ის შეიძლება გასცდეს შესაბამის საკანონმდებლო აქტს. სასამართლო განმარტება არის ნორმატიული აქტის ნაირსახეობა, მაგრამ *intra legem* კანონისმიერი და არა *extra legem* კანონგარეშე. იგივე შეიძლება ითქვას ავთენტიკურ და დელეგირებულ ახსნა-განმარტებაზე.

ახსნა-განმარტების სამივე ფორმის ბედი დამოკიდებულია იმ ნორმატიული აქტის ბედზე, რომლის ახსნა-განმარტებასაც ახდენს თითოეული მათგანი. სახელდობრ:

ა) თუ ნორმატიული აქტი გაუქმებულია, ძალას კარგავს მისი ახსნა-განმარტების აქტიც;

ბ) თუ ნორმატიული აქტი შეიცვალა ისეთით, რომელიც არ შეიცავს გაუქმებულის ანალოგიურ ქცევის წესს, მაშინ ასევე ძალას კარგავს მისი ახსნა-განმარტების აქტი;

გ) თუ ახალი ნორმატიული აქტი შეიცავს მანამდე მოქმედი აქტის მსგავს ქცევის წესს, მაშინ ძალას ინარჩუნებს ძველი ახსნა-განმარტება.

დ) თუ ახალ ნორმატიულ აქტში ანალოგიურმა ქცევის წესმა ცვლილება განიცადა, მაგრამ მასში შენარჩუნებული იქნა ცნებები და ტერმინები, რომლებიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ძველ ნორმატიულ აქტში, მაშინ ცნებებისა და ტერმინების ახსნა-განმარტება ინარჩუნებს თავის ძალას.

2. სამართლის ნორმის არაოფიციალურ ახსნა-განმარტებას იძლევიან არაოფიციალური, არაუფლებამოსილი პირები: მეცნიერები, სამეცნიერო დაწესებულებები, პოლიტიკური პარტიები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სამართლის ნორმის ასეთ ახსნა-განმარტებას ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით სავალდებულო ძალა არა აქვს, მათი გაუთვალისწინებლობა ან გათვალისწინება რაიმე იურიდიულ შედეგს არ იძლევა. აღნიშნული სუბიექტები აყალიბებენ თავიანთ შეხედულებას ან კონცეფციას ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტის ან ნორმის შესახებ. ახსნა-განმარტების დასაბუთებულობის აკარგვიანობიდან გამომდინარე, მათ შეიძლება ავტორიტეტი შეიძინონ და გათვალისწინებული იქნენ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ოფიციალური ახსნა-განმარტების მიცემისას.

სამართლის ნორმის არაოფიციალური ახსნა-განმარტების უმნიშვნელოვანესი სახეა ე.წ. დოქტრინული ახსნა-განმარტება. მას იძლევიან პროფესიონალი იურისტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, იურისტთა სხვადასხვა ასოციაციები. მათი ავტორიტეტი გაცილებით მაღალია. საქმე ისაა, რომ დოქტრინული ახსნა-განმარტება ემყარება ამ სუბიექტების მიერ საკითხის სპეციალური იურიდიული კვლევის შედეგებს.

დოქტრინული ახსნა-განმარტების განსაკუთრებული სახეა სამართლის ამა თუ იმ დარგის კანონმდებლობის სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები, რომელთა შედგენაში, როგორც წესი, ავტორიტეტულ მეცნიერთა ჯგუფი მონაწილეობს. ზოგჯერ ამ ჯგუფში ჩართულია რომელიმე გამოჩენილი პრაქტიკოსი იურისტი. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების ღირსება ის არის, რომ იგი იურიდიუ-

ლი პრაქტიკის მეცნიერული განზოგადების შედეგად ჩამოყალიბებული მეცნიერული დასკვნა და რეკომენდაციაა სამართლის ამა თუ იმ დარგის კანონმდებლობის სწორი გამოყენების შესახებ. მისი მიზანია დახმარება აღმოუჩინონ პრაქტიკოს მუშაკებს სამართლის ნორმების შეფარდება-გამოყენების პროცესში. ეს მიზანი მიიღწევა კანონის ტექსტების მეცნიერულ ანალიზთან კანონის შეფარდების პრაქტიკის შეჯერებით.

3. ანალოგია სამართალში

სამართლის ნორმების შეფარდების პროცესში, მის ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება წარმოიშვას პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამისი სამართლის ზოგადი ნორმის ანუ ქცევის წესის არარსებობასთან ანუ სამართლის ხარვეზებთან.

სამართლის თანამედროვე თეორიაში სამართლის ხარვეზების პრობლემა ფუნდამენტურად აქვს გამოკვლეული იტალიელ მეცნიერ-იურისტ ა. კონტეს.

ა. კონტეს აზრით, სამართალში არსებობს ორი სახის ხარვეზი: ონტოლოგიური და დეონტოლოგიური. ონტოლოგიურ ხარვეზში იგულისხმება სამართლებრივი ნორმის შეუსაბამობა იმასთან, რაც არის, ხოლო დეონტოლოგიურში - იმასთან, რაც უნდა იყოს.

ა. კონტე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეორე სახის ხარვეზის, როგორც უფრო პრობლემატურის და ხშირად განმეორებადის კვლევას, რამეთუ ონტოლოგიური ხარვეზების შევსება რაიმე სიძნელებებთან არ არის დაკავშირებული. საუბარია იმ ხარვეზებზე, რომლებიც სამართლის ნორმის ჰიპოთეზის არასრულყოფილებასთან არის დაკავშირებული. ამ ხარვეზის შევსების წესი ცნობილია რომანულ-გერმანული სამართლის მქონე ქვეყნებისათვის. ამ წესის თანახმად: "სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა იმ საფუძველებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, აგრეთვე, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედებისაგან, რომელიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი საწყისებისა და სულისკვეთების გამო სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს".

გართულება იწყება მაშინ, როდესაც შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებელი სამართლის ნორმის დისპოზიცია არ არსებობს, ე.ი. არ არსებობს სამართლის ნორმა, რომელიც უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის ზოგად მოდელს იძლევა.

ა. კონტეს აზრით, დეონტოლოგიურ ხარვეზს რთული სტრუქტურა აქვს. იგი ორი სახისაა: იდეოლოგიური და თეოლოგიური. იდეოლოგიური ხარვეზი ქცევის წესის შეუსაბამობაა იდეალისადმი, რაიმე სამართლებრივი იდეის, საზრისისადმი, თეოლოგიური ხარვეზი კი – ქცევის წესის შეუსაბამობაა იმ რეზულტატისადმი, რომლის მიღწევაც სამართლის ნორმის მიზანს წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში საუბარია სამართლის ნორმის ხარისხობრივ, თვისებრივ, ხოლო მეორეში – რაოდენობრივ, რიცხობრივ ხარვეზზე.

ანალოგიური პოზიცია უჭირავთ იმ თეორეტიკოსებს, რომლებიც გამიჯნავენ “იმანენტურ“ და “ტრანსცენდენტულ“, შინაგან და გარეგან ხარვეზებს, ხარვეზებს *de lege lata* და *de lege ferenda*.

თანამედროვე სოციოლოგიური იურისპრუდენცია უარყოფს სამართლის ხარვეზის დაძლევის ისეთ ტრადიციულ ხერხებს, როგორცაა კანონის გავრცობითი და შეზღუდული ახსნა-განმარტება, კანონისა და სამართლის ანალოგია. სამართლის სოციოლოგების აზრით, ხარვეზის კონსტატაცია ხდება არა მაშინ, როდესაც არ არსებობს სამართლის ნორმა ფორმალური თვალსაზრისით, არამედ მაშინ, როდესაც დაწერილი ნორმა ეწინააღმდეგება იმ დაუწერელ ნორმას, რომელიც სამართლიანობის იდეიდან გამომდინარეობს, სოციალური კეთილდღეობის ან ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობით საბუთდება. ჯერ კიდევ ჯ. სალმონდი თავის “იურისპრუდენციაში“ მიუთითებდა, რომ ინგლისელი მოსამართლე ანალოგიას განიხილავს როგორც გზამკვლევს ბუნებითი სამართლიანობისაკენ. ანალოგიას დამოუკიდებელი არსებობის უფლება არა აქვს. იქ, სადაც სამართლიანობა ამას ითხოვს, სასამართლოები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ საღი აზრით, ვიდრე მონურად დაემორჩილონ კანონის ან სამართლის ანალოგიის წესებს.

სამართლის სოციოლოგიაში რეალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები თვით ხარვეზის არსებობას უკავშირებენ სამართალ-შემფარდებლის (მოსამართლის) ცნობიერებაში მიმდინარე პროცესს. მოსამართლეთა და, საერთოდ, ნებისმიერ მოქალაქეთა გონებაში მოცემულია ხარვეზის ის სივრცე ანუ არე, რომელიც გულისხმობს

ბუნებრივ წინააღმდეგობას ოფიციალურ და მატერიალურ მართლშეგნებას შორის. კარგი მოსამართლე ის არის, რომელიც კანონის პარაგრაფსა და სამართლებრივ გრძნობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მეორისკენ იხრება, – ამტკიცებს გერმანელი მეცნიერი ა. ხოხე. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, კანონის მაქსიმალური სიზუსტისა და სიცხადის შემთხვევაშიც კი მოსამართლე თავისდაუნებურად სამართლის აზრის ძიების პროცესში იძირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლისა და კანონის ანალოგიის პრობლემას ეკარგება ყოველგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა და აზრი. სამართლის შეფარდების პროცესში, სამართალშემოქმედებისაგან განსხვავებით გამოირიცხულია ხარვეზი, რადგან იგი კანონმდებლობასა და სხვა ნორმატიულ აქტებში შეივსება სამართალშემფარდებლის (მოსამართლის) მიერ, რადგან სამართალშემფარდება სამართლის ქმნალობის ერთიანი პროცესის ნაწილია, მისი ბუნებრივი გაგრძელებაა. თვით ჰ. კელზენიც კი ვერ აცდა ამ ცდუნებას და სცნო ანალოგიის ფიქციურობა, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტში ლოგიკურად ყოველთვის არსებობს სამართლის სისტემიდან ქცევის წესის გამოყვანის შესაძლებლობა.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სამართლის ხარვეზის შევსების საკითხი სხვადასხვანაირად წყდება.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის ძალით: “მოსამართლეს, რომელიც უარს იტყვის საქმე გადაწყვეტოს კანონის დუმილის, გაურკვევლობის ან უკმარისობის მოტივით, ბრალი უნდა დაედოს მართლმსაჯულების განხორციელებისაგან თავის არიდებისათვის”.

იტალიის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით: “როცა შეუძლებელია საქმე გადაწყდეს სამართლის ზუსტი დებულების საფუძველზე, წყაროდ შეიძლება გამოყენებული იქნეს დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ ანალოგიურ შემთხვევებს ან საქმეებს, და თუ მანაც დარჩა გადაუწყვეტელი, ეს უნდა მოხდეს სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად”.

პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის ძალით: “თუ უფლებებთან ან მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები შეუძლებელია გადაწყდეს დაწერილი სამართლის ტექსტით, სამართლის აზრით ან იმ პრინციპებით, რომლებიც აღიარებულია ანალოგიურ საქმეებში და უზრუნველყოფილია სამართლის სხვა დებულებებით, მაშინ წყაროდ გამოყენებული უნდა იქნეს ბუნებითი სამა-

რთლის პრინციპები, რომლებიც ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარეობს“.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით: “სპეციალური წესის არარსებობისას მოსამართლემ უნდა მიმართოს ანალოგიას და თუ ეს არ არის შესაძლებელი, მთლიანად მართლწესრიგის პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს“.

შვედეთის სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის ძალით: “სამართალი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება განსაზღვრულ დებულებას, ტექსტსა და აზრს. თუკი არც ერთი საკანონმდებლო დებულების გამოყენება არ შეიძლება, მოსამართლე საქმეს გადაწყვეტს ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ზოლო ასეთის არარსებობისას, იმ წესის მიხედვით, რომელსაც თვითონვე დაადგენდა, როგორც კანონმდებელი“.

ბრაზილიის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად: “როდესაც დადგენილი სამართალი არ გამოიყენება კონკრეტულ საქმეზე, ის მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ანალოგიის, ჩვეულების და სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად“.

ამრიგად, სამართლის ხარვეზის შევსება ანალოგიით არ ამოიწურება. მასთან ერთად სამართალშემფარდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული კრიტერიუმებითაც.

II ტავი. სამართლის საზრისი

1. თანამედროვე სამართლის ფილოსოფია

სამართლის მეცნიერებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ მუდმივად ცვალებადი, პოზიტიური, მოქმედი სამართლისაგან ანუ კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებითი სამართალი ანუ უზენაესი, საყოველთაო, მარადიული სამართლის პრინციპები, საითკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი ქვეყნის პოზიტიური სამართალი და რაც წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის შეფასების კრიტერიუმს.

პირველად ბუნებითი სამართლის მოძღვრებას ეხვდებით ბერძენ ფილოსოფოსთა ნაწარმოებებში. ბუნებითი სამართლის თეორიის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გროციუსის სახელთან. ამ თეორიის ძირითადი დებულებები დასაბუთებული აქვთ კანტს და ჰეგელს.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს სამართლის ისტორიული სკოლა, რომელიც საერთოდ უარყოფს ბუნებითი სამართლის არსებობის შესაძლებლობას და ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი – პოზიტიური სამართალი, კანონმდებლობა, რომელიც მუდმივ განვითარებაშია. კანონმდებლობის განვითარების მამოძრავებელი ძალა არის ეროვნული სული. ეროვნული სული თანდათანობით ვლინდება პოზიტიურ სამართალში, კანონმდებლობაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პრიორიტეტულია პოზიტივიზმი, რომელიც ცდილობს შეარიგოს სამართლის ბუნებითი და ისტორიული მიმართულებები. პოზიტივისტური მიმართულების ჩარჩოებში ყალიბდება მიმდინარეობები, რომლებიც სამართლის არსს უკავშირებენ ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორის მიზნის, ინტერესის, ნებისყოფის, თავისუფლების, იძულების კატეგორიებს.

XX საუკუნის დასაწყისში ძალას იკრებს ახალი მიმდინარეობა – ნორმატივიზმი, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო პ. კელზენის სამართლის წმინდა თეორიაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნორმატივიზმის ადგილს იკავებს აღორძინებული ბუნებითი სამართლის სკოლა, რომელსაც ეწოდა სამართლის ფილოსოფიური მიმდინარეობა. მისი კვლევის უმთავრესი ობიექტი გახდა სამართლის იდეა.

თანამედროვე სამართლის ფილოსოფიამ კვლევა იმით დაიწყო, რომ ეცადა დაედგინა სამართლის იდეის პირველწყარო. საკითხი იმის შესახებ, თუ რა უდევს საფუძვლად სამართლის იდეას, დღეს სადავოა.

სამართლის ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი სამართლის იდეის საფუძვლად აღიარებს ადამიანის ლოგიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც ემყარება საგნებისა და წმინდა იდეების სამყაროს დაპირისპირებულობას.

სამართლის ფილოსოფოსთა მეორე ჯგუფი თვლის, რომ სამართლის იდეა არის ადამიანის სიღრმისეული ფსიქიკის პროდუქტი.

სამართლის ფილოსოფოსთა მესამე ჯგუფისათვის სამართლის იდეა სათავეს იღებს ღირებულებათა ობიექტურად ჩამოყალიბებული სისტემიდან.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ძირითად საკითხში სამართლის ფილოსოფოსები ერთიანი არიან, სახელდობრ: სამართლის იდეა მუდმივი და უცვლელია და ის არ არის დამოკიდებული ადგილსა და დროზე. თანამედროვე სამართლის ფილოსოფიის გავლენიანი წარმომადგენელი – ფეხნერი თვლიდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებში გაბატონებული კლასები და პოლიტიკური ძალები არაერთხელ ცვლიდნენ ერთმანეთს, თვით სახელმწიფოები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, მაგრამ სამართლის იდეა მუდმივად არსებობდა.

ამ მიმდინარეობის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მიტტიანი ამტკიცებდა, რომ სამართლის ისტორია – ეს არის სამართლის იდეის განვითარება ისტორიაში, ხოლო შიონკეს აზრით, სამართლის პირველსაწყისი არის ძალა, მაგრამ იგი არ მომდინარეობს სახელმწიფოდან, არ არის სამართლის შემოქმედება. სამართლის ძალა კაცობრიობის დაბადებისთანავე აღმოცენებული სამართლის იდეიდან ჩნდება. სამართლის იდეა დამოუკიდებლად მოქმედი ძალაა, მიუხედავად იმისა, იქცევა თუ არა იგი კანონმდებლობის შინაარსად. თუკი კანონი ეწინააღმდეგება სამართლის იდეას, მაშინ ასეთი კანონი უსამართლოა. ინსტანცია, რომელიც ხსნის წინააღმდეგობას კანონსა და იდეას შორის, სასამართლოა. იგი კანონს უქვემდებარებს სამართლის იდეას.

სამართლის იდეისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იქცევა თუ არა იგი პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად და გამოიყენებს თუ არა მას მოსამართლე კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას. მაგრამ, მესნერის აზრით, სამართლის ისტორია და სამართლებრივი სინამდვილე ადასტურებს, რომ სამართლის იდეა ძალზე მნიშვნელოვანწილად განხორციელდა ისტორიულად ჩამოყალიბებულ მართლწესრიგში, რაც სამართლის ფილოსოფიის სიცოცხლისუნარიანობასა და მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.

რას წარმოადგენს სამართლის იდეა? ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი გასცა სამართლის ფენომენოლოგიამ.

სამართლის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია რამდენიმე მიმართულება, რომელთაგან, ჩვენი აზრით, ყველაზე თანამიმდევრული აღმოჩნდა ე. პუსერლის ფილოსოფიურ მოდელზე აგებული სამართლის ფენომენოლოგია. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ცნობილმა მეცნიერმა რაინახმა პირველმა სცადა გამოეყენებინა ე. პუსერლის ფენომენოლოგია სამართალში. ამავე პერიოდში ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად ასეთივე კვლევა ჩაატარა დიდმა ქართველმა მეცნიერმა, საქართველოში სამართლის ფილოსოფიის ფუძემდებელმა პროფ. გ.ნანიეშვილმა.

უპირველეს ყოვლისა, გ. ნანიეშვილი გამიჯნავს ერთმანეთისაგან ფაქტს და სამართალს, როგორც სინამდვილის ორ მხარეს. ფაქტის სინამდვილე იმით გამოიხატება, რომ ის არის მომხდარი, ისტორიული; სამართლის სინამდვილე კი კანონად ქცეული იდეის სინამდვილეა, პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეული სამართლის იდეაა. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ამ უკანასკნელის შესახებ არ შეიძლება ითქვას, ის ფაქტია რომ, ე. ი. ვერ ვიტყვით, რომ “მოხდა” ისე, რომ სამართლის იდეა იქცა პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად, რადგან ფაქტი არ შეიძლება იყოს ის, რაც არსებობს როგორც იდეა, იმის მიუხედავად, ეს იდეა არის როგორც წმინდა იდეა, თუ როგორც პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეული იდეა. ყველა იდეა შემთხვევაში გამოხატავს იმას, რაც ჯერ არ არის, მაგრამ რაც “უნდა” იყოს. ფაქტი არ “შეიძლება” იყოს, რადგან ის “არის”. სწორედ ამიტომ, რომ სამართლის იდეა ფაქტისაგან განსხვავებით ხასიათდება ჯერარსით, მიუხედავად იმისა, იქცა თუ არა იგი პოზიტიური სამართლის ნორმად, რადგან ყველა შემთხვევაში ის გამოხატავს ჯერარსს.

სამართლის იდეა არის ქცევის აბსტრაქტული წესი, ნორმა, რომლის ძალითაც სამართლის სუბიექტები ერთმანეთს განიხილავენ, როგორც უფლებამოსილს და ვალდებულს. ეს ქცევის წესი ადამიანისათვის მისაწვდომი ხდება ლოგიკური აღიარებით.

რა განსხვავებაა სამართლის წმინდა იდეის ჯერარსსა და პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეული სამართლის იდეის ჯერარსს შორის? განსხვავება ერთია მხოლოდ: სამართლის წმინდა იდეას აქვს მუდმივი პრეტენზია იქცეს პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად, ხოლო პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეულ სამართლის იდეას – საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსად. იქცევა თუ არა სინამდევ-

ილემი სამართლის წმინდა იდეა პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად ან ზორციელდება თუ არა პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეული წმინდა იდეა საზოგადოებრივ ცხოვრებაში - ეს სხვა საკითხია, მას არავითარი კავშირი არა აქვს სამართლის იდეის ბუნებასთან. სამართლის იდეა ყოველთვის ჯერარსს გამოხატავს(!).

ამ თვალსაზრისით სამართლის ფენომენოლოგია და ნორმატივიზმი ერთ პოზიციაზე დგანან, მაგრამ მხოლოდ ამ თვალსაზრისით. ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება ჩნდება სამართლის წმინდა იდეის პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად გარდასახვისას. ნორმატივიზმისათვის არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა ძალა აქცევს სამართლის წმინდა იდეას პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად, მისთვის ეს საკითხი მეტაიურიდიულია, მაშინ, როდესაც სამართლის ფენომენოლოგიისათვის მის გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. პრობლემა შემდეგნაირად ისახება: რით არის განპირობებული, რომ სამართლის სწორედ ეს და არა სხვა იდეა იქცა პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად? ვიმეორებთ, ნორმატივიზმი ამ კითხვას დუმილით პასუხობს, რადგან პასუხის გაცემა ყველა შემთხვევაში ღალატი იქნება იმ ძირითადი ამოსავალი დებულებისა, რომელიც კრძალავს იურიდიული ფენომენის ახსნას არაიურიდიული მოვლენით. არსებითად კითხვა ასე ისმის: რა ძალა აქცევს სამართლის წმინდა იდეას პოზიტიური სამართლის ნორმის შინაარსად? მარტივად, საკითხი ისმის შემდეგნაირად: რით არის განპირობებული ის, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების რამდენიმე ნორმატიული მოდელიდან (იდეიდან) ერთს მიეცემა უპირატესობა? ამ კითხვაზე პროფ. გ. ნანეიშვილის პასუხი ასეთია: “ის, ვისაც ისტორიამ მისცა ძალა და ხელისუფლება თავისი პოლიტიკური მრწამსის შესაბამისად შეაფასოს ფაქტიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი“. ეს “ძალა“ პროფ. გ. ნანეიშვილისათვის მოცემულ საზოგადოებაში არსებული ის ძალებია, რომლებიც იბრძვიან, რათა დაადგინონ მათთვის ხელსაყრელი ქცევის წესები ანუ პოზიტიური სამართლის ნორმად აქციონ მათთვის მისაღები სამართლის იდეა. აქედან გამომდინარე, ყოველი პოზიტიური სამართალი შემთხვევითია, ის შესაძლებელ პოზიტიურ სამართალთა სპეციფიკური შემთხვევაა. ყოველი პოზიტიური სამართლის ადგილას შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვა, რადგან თუ არა სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა გარკვეული კომბინაცია, სამართლის გარკვეული იდეა არ იქცეოდა პოზიტიური სამართლის ნორმების შინაარსად და მის ადგილს დაიკავებდა სამა-

როლის სხვა იდეა, სხვა პოზიტიური სამართალი. აბსტრაქტულად, ყოველი პოზიტიური სამართლის ადგილას ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ სხვა პოზიტიური სამართალი. ამ ძირითადი ამოსავალი დებულების გარეშე შეუძლებელია სამართალშემოქმედება ანუ პროგრესი სამართალში. უფრო მეტი, ბრძოლა სამართლისათვის სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა სამართლის სრულყოფისათვის.

ნორმატივიზმს ასევე არ შეუძლია ახსნას, თუ რატომ მიმართავს სამართლის ნორმა მხოლოდ ადამიანს, როგორც მისი შინაარსის ერთდერთ განმარტოციელებელს და არა სხვა არსებას, რატომ იყენებს პოზიტიური სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ისეთ მეტაიურიდიულ მოვლენებს, როგორიცაა ხელშეკრულება, ხდომილება და, საერთოდ, იურიდიული ფაქტების მთელი სისტემა, რატომ სცნობს მცირეწლოვანს ან სულით ავადმყოფს არაქმედუნარიანად და ა.შ. ნორმატივიზმის თვალსაზრისით ყველა აღნიშნული მოვლენა პოზიტიური სამართლის მიერ ხელოვნურად არის შექმნილი“.¹

ამ კითხვაზე პასუხი სამართლის ფენომენოლოგიამ გასცა. პროფ. გ. ნანეიშვილის აზრით, ყველა აღნიშნული მოვლენის ობიექტური თვისებები განაპირობებს იმას, რომ სწორედ მათ და არა სხვა რამეს იყენებს პოზიტიური სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. პირები ქორწინდებიან არა იმიტომ, რომ არსებობს შესაბამისი სამართლის ნორმები; პირი ნიეთის მესაკუთრე ხდება არა იმიტომ, რომ არსებობს საკუთრების სამართალი; ქონება ერთი პირიდან მეორესთან გადადის არა იმიტომ, რომ არსებობს ყიდვა-გაყიდვის მომწესრიგებელი ნორმები და ა.შ. პოზიტიური სამართალი მხოლოდ ადამიანს ცნობს სამართლის სუბიექტად და არა სხვა არსებას, რადგან მხოლოდ ადამიანია ღირებულებითი აქტების მატარებელი, მხოლოდ მას შეუყლია განაზორციელოს პოზიტიური სამართლის ნორმადქცეული სამართლის იდეა.

ამრიგად, მართლწესრიგი ანუ საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრება მოიცავს სამართლის წმინდა იდეას, პოზიტიური სამართლის ნორმად ქცეულ სამართლის იდეას და მის განხორციელებას. სამივე ფენომენი სამართლის ფილოსოფიის კვლევის საგანია.

გ. ნანეიშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 3,15.

სამართლის ფილოსოფია არის ფილოსოფიის ის დარგი ადამიანის შესახებ, რომლის მიზანია შეიმეცნოს ადამიანის ნორმატული ყოფიერება სამყაროში და მსოფლიოს კულტურულ განვითარებაში, ანუ თვით ადამიანი.

სამართლის ფილოსოფია განიხილავს ადამიანს, როგორც კულტურის მატარებელს. ფაქტია, რომ ადამიანი და, საერთოდ, კულტურა მუდმივად პროგრესისაკენ მიისწრაფვის, ამიტომ სამართლის ფილოსოფიის ამოცანაა შეიმეცნოს სამართლის იდეა, როგორც მუდმივად განვითარებადი ანუ კულტურული მოვლენა. სამართლის თანამედროვე ფილოსოფია უარყოფს ბუნებითი სამართლის მუდმივობას. სამართლის მუდმივობის, უცვლელობის აღიარება გამართლებული იქნებოდა, თუ დაეუშვებდით, რომ ადამიანი შექმნილია სრულყოფილ არსებად და მისი დანიშნულებაა მუდმივად ერთ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, ე.ი. წარმოვიდგენდით, რომ ადამიანი არის ის, რაც უნდა იყოს.

ეთნოგრაფიისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის მონაცემებმა საბოლოოდ შეარყია ტრადიციული ბუნებითი სამართლის ამოსავალი თეზისი ბუნებითი სამართლის მუდმივობის, უცვლელობის შესახებ. მეცნიერების ამ დარგებმა დაადგინა ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტების მრავალფეროვნება. მისაღებია თუ არა ევროპული ცივილიზაციისათვის ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის სისტემა, ამას არა აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა, რამეთუ სამართლის სისტემა, თუკი ის ერის სულის ემანაციაა, გარდა იმისა, რომ ფაქტია, ამავე დროს გამართლებულიცაა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნების სამართლის სისტემებიდან არ შეიძლება ლოგიკურად გამოვიყვანოთ მათთვის საერთო, ზოგადი სამართლებრივი პრინციპები. მაგრამ აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიტანოთ, რომ სამართლის ამ პრინციპებს უნარი შესწევს იქცეს სამართალშემოქმედებისათვის საკმარის ძალად ანუ ეროვნული სამართლებრივი სისტემების მაფორმირებელ ფაქტორად. ეს პრინციპები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებია, რომლისაკენაც უნდა ისწრაფოდნენ ეროვნული სამართლებრივი სისტემები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შექმნან სამართლის ეროვნული სისტემები, ე.ი. არ შეუძლიათ ჰქონდეთ ცალკეული ერებისათვის სავალდებულო ძალა. ერები ანუ კაცობრიობა სამართლის აზრის მუდმივ ძიებაშია, რის გამოც ზოგადსაკაცობრიო პრინციპების მუდმივობის, უცვლელობის, შეუვალლობის აღიარება ერების ანუ კაცობრიობის კულტურული განვითარების დამუხრუჭება იქ-

ნებოდა. ამრიგად, არ არსებობს მუდმივი, უცვლელი ბუნებითი სამართალი. მუდმივია და უცვლელია ერების ანუ კაცობრიობის მისწრაფება სამართლის აზრის წვდომისაკენ.

აქედან გამომდინარე, სამართლის ფილოსოფიის საგანია ერების ანუ კაცობრიობის სამართლის აზრის წვდომის პროცესის მეცნიერული ახსნა, ეროვნულ სულში ჩამალული იმ ტენდენციების გამოვლენა, რომლებიც მათ კულტურულ ანუ მთლიანად კაცობრიობის სრულყოფას ემსახურება. საწინააღმდეგოს მტკიცებას მივყავართ გახევებულ პოზიტივიზმამდე და არა სამართლის იდეის დასაბუთებამდე, საზოგადოების გლობალურ სტაგნაციამდე, რომელიც გამორიცხავს მეცნიერების მხრივ პოზიტიური სამართლის ნებისმიერ კრიტიკას. ჭეშმარიტი ბუნებითი სამართალი ანუ სამართლის ფილოსოფია, როგორც მეცნიერების დარგი, იწყება იქ, სადაც საფუძველი ეყრება პოზიტიურ სამართლის კრიტიკას ანუ მეცნიერულ კვლევას – როგორი უნდა იყოს სამართალი, ე.ი. მაშინ, როდესაც მეცნიერი იწყებს სამართლის აზრის წვდომას, იღვწის სამართლის აზრის გამოვლენისათვის (კრიტიკაში გვულისხმობთ სამართლის არა დაწუნებას, არამედ მის ანალიზს და ყოველმხრივ შეფასებას).

სამართლის აზრის გამოვლენა შეუძლია პრაქტიკოს იურისტსაც, თუმცა შეზღუდულად, რადგან სამართლის სრულად წვდომა განისაზღვრება კონკრეტული საგნის ფაქტობრივი, ინდივიდუალური მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, როგორც მეცნიერი, ისე პრაქტიკოსი ეძებს სამართალს ანუ ნორმატულ მოდელს, რომელიც მიესადაგება ფაქტობრივ ან სხვა გარემოებებს.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა გერმანელმა სამართალმცოდნემ კოლერმა სამართალი შეადარა ორსაზოვან იანუსს, რომელიც ერთი სახით უყურებს აწმყოს, ხოლო მეორეთი – მომავალს, ერთსა და იმავე დროს ანგრევს ყველს და აშენებს ახალს. უფრო მეტი, კოლერს ეკუთვნის შემდეგი გამონათქვამი: “თითოეული სამართალი ოიდიპოსია, რომელიც კლავს საკუთარ მამას და თავისი დედით იწყებს ახალ თაობას“.

სამართლის ფილოსოფია მიუღებელია მარქსიზმ-ლენინიზმისათვის, რადგან ეს უკანასკნელი თავისი უკიდურესი დოგმატიზმის გამო უარყოფს ისეთი აზრის არსებობის შესაძლებლობას, რომელიც მოვლენის გარეთ არსებობს და რომელიც ფაქტობრივში ნორმატიულობას გულისხმობს. საერთოდ, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის გაუგებარია თეზისი იმის შესახებ, რომ ნორმატულობა კულტურის მაკონსტრუირებელი ელემენტია, მასშია ჩაწნული. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის

ზეგრძობადობა არ არსებობს, არის მხოლოდ ფაქტების სამყარო, რომლებიც მხოლოდ მიზეზშედევობრივად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის გაუგებარი რჩება ის, რომ ზეგრძობიერის დასაბუთების ცდას გადაეყვარათ არა რწმენის, არამედ მეცნიერების სამყაროში. მათემატიკა, კვანტური ფიზიკა და თანამედროვე ასტრონომია, უფრო მეტი, მონაცემები ადამიანის ქვეცნობიერი და არაცნობიერი მექანიზმების შესახებ ის დარგებია, რომლებმაც სამუდამოდ დაასამარეს მატერიალიზმი და, განსაკუთრებით, მისი ყველაზე უფრო რეაქციული მიმართულება - მარქსიზმ-ლენინიზმი.

მოვიყვანოთ ელემენტარულ მაგალითს: თანამედროვე ფიზიკას ორგვარად ესმის "არსებობის" ცნება: კონკრეტული ფიზიკური ობიექტებისა და პროცესების არსებობა დროში და სივრცეში, და სტრუქტურების არსებობა "არსებობის" წმინდა ლოგიკური მნიშვნელობით. მეორე შემთხვევაში, სტრუქტურები ატარებს არანაკლებ რეალურ ხასიათს, ვიდრე ობიექტურად არსებული მონაცემები. როდესაც მათემატიკოსი ამბობს - არსებობს მთელი რიცხვები, მას, რა თქმა უნდა, არა აქვს მხედველობაში ის, რომ მთელი რიცხვები არსებობს დროში და სივრცეში. მათი არსებობა გულისხმობს უბრალოდ ლოგიკურ კავშირს, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დროისა და სივრცის ცნებასთან. მარქსიზმ-ლენინიზმი ვერ უარყოფს თავად ლოგიკის, როგორც მეცნიერების დარგის, მათ შორის, ლოგიკური კანონების არსებობის ფაქტს, რითაც ადასტურებს თავის უსუსურობას.

მეორე მაგალითი: მატერიალიზმს შეუძლია დაასაბუთოს, მაგალითად, მიზეზობრივი კავშირი საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებასა და მომხდარ შედეგს შორის, მაგრამ თავისი მეთოდოლოგიური პოზიციის გამო უნარი არ შესწევს (თუ, რა თქმა უნდა, არ უღალატა თავის ამოსავალ დებულებას), დაასაბუთოს ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგან ბრალი არის ფსიქიკური (არა მატერიალური), სულიერი კავშირის ამსახველი შეფასებითი კატეგორია, რაც ნორმაში გამოხატულია ლოგიკური მსჯელობის სახით.

ბოლო დროს დასავლეთის მეცნიერი იურისტები ყურადღებას ამახვილებენ სამართლის, როგორც "სოციალური სუბსტანციის" ინტეგრალური ნაწილის ინტერპრეტაციაზე, რომლის პროექციასა და ასახვასაც ის წარმოადგენს. ჩნდება მრავალრიცხოვანი კონცეფციები, რომლებიც ცდილობენ დაასაბუთონ, რომ სამართალი "ეპოქის სულიერი პროდუქტია". ამ კონცეფციებში შეინიშნება ისტორიული ორიენტაციის ნიშ-

ნები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება სამართლის კულტურულ-ისტორიული წანამძღვრების ან საფუძვლების გარკვევა. მთლიანობაში ჩვენს წინაშეა “ახალი იურიდიული ონტოლოგიის” დამუშავების ცდა, რომელიც ხელმძღვანელობს ფენომენოლოგიის, ეგზისტენციალური და ვიტალისტური ფილოსოფიის მეთოდებით.

გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ე.წ. იურიდიული ჰერმენევტიკა, რომელიც ეყრდნობა მ. ჰაიდეგერის, გ. ჰადემარის და ი. ჰაბერმასის “ჰერმენევტიკულ ონტოლოგიას”. ამ თეორიაში მოცემულია სამართლის პრინციპულად ახალი გაგების ცდა. მის მესვეურებს სიზიფეს შრომად მიაჩნიათ სამართლის ობიექტური ბუნების (ობიექტური საზრისის) შემმეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად დადგენის ცდა. ჰერმენევტიკა განიხილავს სამართალს, როგორც ისეთ ფენომენს, რომლის კონსტრუირებაც ხდება მხოლოდ გაგების აქტში, ხოლო გაგებამ, თუ უნდა, რომ გადაეცეს სხვას, თავისი არტიკულაცია უნდა იპოვოს ენაში.

ამ თეორიის დასაბუთების მიზნით მისმა წარმომადგენლებმა წამოაყენეს სამართლის ფილოსოფიის ორი მთავარი მიმართულების – პოზიტივიზმისა და ბუნებით-სამართლებრივი დოქტრინის ისტორიული რევიზიის თეზისი.

ნაცვლად ტრადიციული მოძღვრებისა, რომელიც თვლის, რომ კონკრეტულ-პოზიტიურ სამართალს უკვე მზამზარეული სახით შეიცავს ნორმა, კაუფმანმა წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, რომ კანონი სამართლის არა სინამდვილე, არამედ მხოლოდ შესაძლებლობაა.

კაუფმანი აკრიტიკებს კანონის ახსნა-განმარტების მიმართ ტრადიციულ დამოკიდებულებას. მისი აზრით, კანონის ახსნა-განმარტების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ “საგანთა მდგომარეობა”, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება გავიგოთ ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს რეალურ სიტუაციასა და კანონის ტექსტს შორის.

კაუფმანის კონცეფციის თანახმად, “კანონი უფრო გონიერია, ვიდრე კანონმდებელი”, ეს იმიტომ, რომ კანონი მოსამართლის პრაქტიკული მოღვაწეობის საშუალებით ახალ სიტუაციებს ახლებურად უპასუხებს და იცვლება რა ფაქტობრივად, მაინც ტექსტუალურად უცვლელი რჩება. ამ დებულებას ადასტურებს ე.წ. ჰერმენევტიკული წრის არსებობა.

სამართლებრივი რეგულირების ღირებულებითი კრიტერიუმების დასადგენად დასავლურ სამართლის ფილოსოფიაში ერთდროულად

ხდება ამ იდეების პოლიტიკური შინაარსის რეფორმისტული განმარტების შეერთება მათი დასაბუთების ახალ სუბიექტივისტურ გნოსეოლოგიურ მეთოდთან.

სამართლის ღირებულებითი ფილოსოფია ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე უფრო სრულად ჩამოყალიბებული იყო ფრანკფურტის (მაინის) უნივერსიტეტის პროფესორის, სამართლის ევროპული ინსტიტუტის დირექტორ გ. კონგის შრომებში. მისი აზრით, სამართლის ფილოსოფიაში ძირითადია საკითხი სამართლიანობის შესახებ, ხოლო სამართლის მეცნიერების ამოცანა ის არის, რომ ახსნას სამართლის სისტემა, როგორც იმ სამართლიანობის განხორციელება, რომელიც თვითონაა დამოუკიდებელი და ყველასთვის სავალდებულო იდეალური არს-ღირებულება.

სამართლის ეთიკური საფუძვლების გამოკვლევას კონგი აგებს ზნეობრივი კანონებისა და “გონებრივი მონაცემების” ანუ “საგანთა ბუნების” თანაფარდობაზე. ის ფაქტობრივად აფართოებს “საგანთა ბუნების” ცნების შინაარსს და მიჰყავს ის სოციალური მოვლენების ზოგადი კანონზომიერების წარმოდგენამდე. წესრიგი შინაგანად არის დამახასიათებელი საგნებისათვის და სამართლიანობამ, როგორც იდეალურმა ღირებულებამ, უნდა გაითვალისწინოს და აღიაროს ეს. ამით “საგანთა ბუნება” სამართლიანობას აძლევს ემპირიულ მასშტაბებს.

ამასთან ერთად, “საგანთა ბუნების” აღიარება გულისხმობს შეღწევას სოციალური ცხოვრების სტრუქტურებში მომწვესრიგებლად ჩარევას. ამრიგად, სამართლის ჩამოყალიბება ხდება როგორც ზნეობრივი ღირებულების, ისე სოციალური ცხოვრების ფაქტების, ანუ “საგანთა ბუნების” ურთიერთქმედების შედეგად. ცხადია, რომ აქ კონგი აგრძელებს რადბრუხის მიერ დაწყებულ საქმეს, რომელიც გულისხმობს მეთოდოლოგიური დუალიზმის დაძლევას, სამართალში ემპირიულ-სოციოლოგიური და ნორმატიულ-ეთიკური თვალსაზრისების გაერთიანებას.

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კონგმა სამართლის ფილოსოფიის ფარგლებში დაამუშავა “სოციალური” ლიბერალიზმის პოლიტიკური ეთიკის ვარიანტი. ის აცხადებს, რომ სამართლის სფეროში ზნეობის განხორციელებისათვის აუცილებელია სხვადასხვა ღირებულების სინთეზი. ასეთი სინთეზის მოდელს ბუნებითი სამართალი იძლევა.

ამრიგად, კონგის ფილოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბუნებითი სამართლის თეორიის მოდერნიზებული ვარიანტი.

ჩვენი აზრით, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბუნებითმა სამართალმა კონკრეტული, პოზიტიური სამართლის ძალა შეიძინა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უნივერსალური უფლებებისა და თავისუფლებების სახით. ეს უფლება-თავისუფლებანი თითოეული ადამიანისაგან განუყოფელი, დაბადებიდან სიკვდილამდე თანმდევი, გაუსხვისებელი ბუნებრივი თვისებაა, რომლის გარეშე მას, როგორც ადამიანს, არსებობა არ შეუძლია. ადამიანი და ადამიანის უფლებები თანმხვევი ცნებებია. ადამიანი – ადამიანის უფლებების გარეშე – ადამიანი აღარაა, ასეთ შემთხვევაში ის არის *instrumentum vokale*.

„ადამიანი იბადება თავისუფალი, ღირსებებითა და უფლებებით თანასწორი“ – ეს არის პრინციპი, რომელშიც აკუმულირებულია ბუნებითი სამართლის შინაარსი, იდეა, საიდანაც სათავეს იღებს და რომლისა კენაც მუდმივად ისწრაფვის ნებისმიერი ქვეყნისა და ნებისმიერი ტიპის სამართალი, საბოლოო ჯამში – ყველა ხალხი, მთელი კაცობრიობა (იხ. თავი “ადამიანი – სამართლის უნივერსალური სუბიექტი”).

საკანონმდებლო, სახელშეკრულებო და პრეცედენტული სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც ისტორიულად შედარებით ცვლადი სიდიდეებია, ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი აბსოლუტური კატეგორიების რიგში განიხილება. ამ თვალსაზრისით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება-თავისუფლებანი თავიანთ ერთობლიობაში შეადგენენ უმაღლესი დონის სამართალს, რომელზედაც ორიენტირებული უნდა იყოს საკანონმდებლო, სახელშეკრულებო და პრეცედენტული სამართალი.

ამრიგად, კაცობრიობას ერთი უნივერსალური პოზიტიური სამართალი აქვს – ეს არის ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა სამართალი. “კაცობრიობის ერთადერთი, საერთო სალაპარაკო ენა არის ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი” – ეს ფიგურალური გამოთქმა შეიცავს ღრმა ჭეშმარიტებას და იგი თანამედროვე საერთაშორისო სამართალზე მაღლა მდგომ ნორმად იქცა.¹

¹ „ადამიანის უფლებათა შესახებ ვენის 1993 წლის მსოფლიო კონფერენციის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა“. გვ.13

2. სამართლის საზრისის ფვლომა

მარქსისტულ იურიდიულ მეცნიერებაში, მათ შორის, ქართველ მარქსისტ-ლენინელ ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში უახლოეს დრომდე უდავოდ იყო მიჩნეული, რომ სამართალი განპირობებულია საზოგადოებრივი (მათ შორის, მატერიალური) ურთიერთობებით.¹ ეს არის სამართლის მიმართ ცალმხრივი, ჰიპერთროპირებული მიდგომა. სამართლის აზრი მის წვდომაშია.

სამართლის აზრის წვდომის პროცესი ორი ეტაპისაგან შედგება: როგორც აღინიშნა, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს სამართლის ზოგადი ნორმების ანუ სამართლის გამომუშავება, მეორე ეტაპზე კი – კონკრეტული ნორმების, სამართლებრივი ქცევის კონკრეტული წესების შემუშავება ინდივიდუალურად განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. უკანასკნელი სამართლის აზრის წვდომის საბოლოო, დამამთავრებელი ეტაპია.

ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ნორმების, ანუ სამართლის აზრის წვდომის ეს ორი ეტაპი განსხვავებულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ის, რომ სამართლის პოზიტიური ნორმების მეოხებით ხდება სამართლის იდეის წვდომა, უფრო ზუსტად, ის, რომ პოზიტიური სამართალში სამართლის აზრია განხორციელებული და არა სხვა რამ, საკმარისი მეცნიერული სიღრმით აქვს დასაბუთებული პროფ. გ. ნანეიშვილს.

კონკრეტული სამართლებრივი ნორმის შემუშავებას, როგორც სამართლის აზრის წვდომის უმთავრეს ეტაპს, საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. საბჭოთა პერიოდის იურიდიული მეცნიერება ძირითადად შემოიფარგლა კანონის ტექსტისა და კანონის ტექნიკურ-სამართლებრივი შეფარდების მექანი-

¹ შედეგობაში არ გვყავს 20-იანი წლების სამი ქართველი მეცნიერი, სახელობრ, პროფესორები: ვანეიშვილი, ავაჩიშვილი და ირ. სურგულაძე, რომელთა ნაშრომები „წითელი პროფესორების“ მეცადინეობით საბჭოთა ხელისუფლებამ დაგმო როგორც იდეალისტური, და რამაც ათეული წლებით შეაჩერა სამართლის თეორიის და ფილოსოფიის განვითარება საქართველოში. იხ. ჩვენი წერილი „დისკუსია თუ ავანტიურა ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ“. „საბჭოთა სამართალი“, №5, №6, 1989. ქართული იურიდიული მეცნიერების კრიტიკების იდეოლოგიურ რეაბილიტაციას არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნა ავტორმა, ხოლო „წითელი პროფესორის“ გადმონათვისების შიღობას - სასამართლო პროცესი. იხ. „სასამართლო საქმე პროფესორი ბიძინა სავანელი წითელი პროფესორების წინააღმდეგ“. თბ., 2003 (ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი).

ზმის დადგენით, რის გამოც სამართლებრივი ცხოვრება, ე.ი. მართლწესრიგი დარჩა მეცნიერული კვლევის მიღმა. სრულიად უგულებელყოფილი იქნა ის გარემოება, რომ მართლწესრიგის ფორმირებაში მონაწილეობს არა მარტო პოზიტიური სამართალი, არამედ აგრეთვე თვითმოქმედი (თვითმართვადი) სოციალური ძალები და ნორმატიული ფაქტები.¹

იურიდიული პოზიტივიზმის იდეა პოზიტიური სამართლის “უხარვეზობისა” და “ლოგიკური დასრულებულობის” შესახებ ილუზიაა. სამართლის ანალოგიას და სამართლის ნორმის გავრცობით ახსნა-განმარტებას არ შეუძლია იხსნას იურიდიული პოზიტივიზმი, რადგან პოზიტიური სამართლის შეფარდების ყველა შემთხვევაში სამართალშემფარდებელი რჩება მოქმედი სამართლის ფარგლებში და მას არ შეუძლია მოხსნას დაძაბულობა სამართლის უძრაობასა და საზოგადოებრივი პროცესების დინამიკურობას შორის.

სამართლის ჩაკეტილი სისტემის შესახებ მოძღვრების ამოსავალი პოზიცია, ე. ერლიხის აზრით, არის XVIII საუკუნის ტიპის პოლიციური სახელმწიფოს მოსამართლის ერთსახოვანი დამოკიდებულება საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი. საკანონმდებლო დებულებებისა და იურიდიულ ცნებათა სისტემის მიმართ მოსამართლის მონური მორჩილება ბაძებს ბუნებრივ უნდობლობას ჩინოვნიკი მოსამართლისადმი, რომელიც პოლიციური სახელმწიფოს პირობებში რიგით მოხელესთანაა გათანაბრებული და ვალდებულია თავისი სამართლებრივი მრწამსი სიტყვა-სიტყვით დაუქვემდებაროს კანონს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუვავდოთ მოსამართლე-მონის ტიპი, რომელიც ცალმხრივ და ტლანქ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ პროცესებზე, ბოჭავს მათ გაქვავებული დოგმებით, ჩანასახშივე სპობს პროგრესულ ტენდენციებს. კანონმდებლის ნების შობიება, ახსნა და დადგენა უფრო მეტად საშიშია, ვიდრე საუკუნეებით გამოუმუშავებული სამართლის პუმანისტური პრინციპების გამოყენება.

სამართლის “ხარვეზულობის” თეორიული და საკანონმდებლო გამართლების პირობებში სამართალშემფარდებელს შეუძლია ისე განმარტოს კანონმდებლის ნება, როგორც სურს. ამიტომ, საბოლოო ჯამში, სამართლის ნორმის ნებისმიერ ახსნა-განმარტებას, თუკი ამით ამოი-

¹ იხ. ჩვენი წერილი „სამართლის აზრის წვდომის პრობლემა“. ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, №8, 1990.

წურება საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრება, უსათუოდ მიეყვანართ განუკითხაობასთან. საქმე ისაა, რომ “პოლიციური სახელმწიფოს პირობებში სამართალშემფარდებელი თავის საქმიანობას ყოველთვის ასაბუთებს მოქმედი სამართლის ნორმით, როგორც საკითხის ერთადერთი და სამართლიანი გადაწყვეტის საშუალებით, მაშინ, როდესაც ჭეშმარიტ ნორმასთან პოზიტიური სამართლის ნორმას, გარდა სახელისა, არაფერი აქვს საერთო. იგი საერთოდ არ არის ნორმა, არამედ მხოლოდ “ტექნიკა“, რომელიც განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ მოსამართლის ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ყოველ ფაქტს მუდმივად ეძლევა ფართო იურიდიული დასაბუთება“ (ე. ერლიხი).

საქმის არსებითი გადაწყვეტისას მოსამართლე უნდა სცდებოდეს შიშველი იურიდიული კონსტრუქციის ფარგლებს და თავის გადაწყვეტილებას უპირატესად შთაგონებასა და ინტუიციანზე აფუძნებდეს, რადგანაც ბუნებრივად და მართლზომიერად არის დამოკიდებული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის განუმეორებელ თავისებურებაზე. განა უდავო არ არის, რომ საკანონმდებლო სამართლის ნორმა იძლევა საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ აბსტრაქტულ სქემას, ზოგად ორიენტირს? საუბედუროდ, პოლიციურ სახელმწიფოში “სიცოცხლისუნარიანი“ არიან ის მოსამართლენი, რომლებიც სინდისის ოდნავი ქენჯნის გარეშე განუკითხავად წყვეტენ ადამიანის ბედს. გ. რადბრუხის აზრით, ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში სამართლიანობის მძაფრი შეგრძნების მქონე ადამიანები იდევნებიან, ჩვენ დავაძაბებდით: სამაგიეროდ, პარპაშებენ “შარლატანი ალაღინები“.

დღეს უკვე აღარავინ ხდის სადავოს აზრს იმის შესახებ, რომ არავითარ, თუნდაც ყველაზე სრულყოფილ კოდიფიცირებულ სისტემას არ ძალუძს მოიცვას მთელი სამართლებრივი ცხოვრება. “ხარვეზულობა“ პოზიტიური სამართლის იმანენტური თვისებაა და ამაში კანონმდებელს ვერ დავადანაშაულებთ, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება მოვლენათა და გარემოებათა განუმეორებელი შეთანწყობით ბუნებრივად ბაღებს სამართლის “ხარვეზულობას“. ამიტომ მისაღებია გ. ერლიხის მოწოდება იმის შესახებ, რომ “იურისტი უნდა გავათავისუფლოთ კანონის ტექსტისადმი მონური მორჩილებისაგან. მას თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ თავის გადაწყვეტილებას პოზიტიური სამართლის უკან არ მაღავედეს“.

დასავლეთის მეცნიერების მიერ დიდი ხანია უარყოფილია სამართალშემოქმედებითი გადაწყვეტილების სილოგისტური გაგება, რომლ-

ის თანახმადაც ასეთი გადაწყვეტილება ავტომატურად გამოძინარეობს პოზიტიური სამართლის ნორმის – როგორც პირველი წანამძღვრის და საქმის ფაქტობრივი გარემოების – როგორც მეორე წანამძღვრის თანაფარდობიდან. მაშასადამე, მიუღებელია კონცეფცია, რომლის თანახმადაც, სამართალშეფარდების პროცესში ფაქტობრივ გარემოებებს თითქოს შერჩევით უსადაგებენ პოზიტიური სამართლის ნორმებს.

სამართლის მეცნიერებაში რეალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მოსამართლე გ. პატჩისონმა ფართო სოციოლოგიური კვლევისა და დიდ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ “თითოეული ქცევის წესი, ფუძემდებლური პრინციპი ან ცნება მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასაბუთებს რაიმე გადაწყვეტილებას, მოსაზრებას ან დასკვნას”.

ჩვენ არ უარვყოფთ სამართალშემფარდებლის ვალდებულებას, იხელმძღვანელოს პოზიტიური, ჩვეულებითი და პრეცედენტული სამართლის ნორმით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა სამართლის აზრის თავისუფალი წვდომისათვის. უმთავრესია ნორმის გამოყვანა ფაქტობრივი ურთიერთობიდან (ფაქტობრივში ნორმატიულობის მოძიება). სამართლის აზრის თავისუფალი წვდომა სამართალშემფარდებლის მიერ ამ სამი საშუალების ფაქტობრივთან შეთანწყობის შედეგია.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური წანამძღვრებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პოზიტიური სამართალს, როგორც ხელოვნურ მოდელს, როგორც განუსაზღვრელი რაოდენობის პირთა მიმართ გათვალისწინებულ მოქმედების ზოგად სქემას არ ძალუძს უშუალოდ შეაღწიოს სოციალური სტრუქტურის შრეებში. იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებაში არსებულ ბუნებრივ, თვითგანვითარებად, თვითმიმართვით სოციალურ სტრუქტურებს.

ჩვენ არც კანონის მნიშვნელობას უარვყოფთ სამართლის აზრის წვდომის პროცესში, პირიქით, ხაზს ვუსვამთ მას, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში ადამიანში ჩაკდება ზოგადსაკაცობრიო ღირებულობისადმი ლტოლვის ბუნებრივი მიდრეკილება, მუდმივი თვითსრულყოფისაკენ მისი სწრაფვა. მაგრამ ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს დედამიწაზეც, რისთვისაც საჭიროა კანონის “გაადამიანურება”, მისი ყოფის ელემენტებად ქცევა. ეს კი შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ თვით ადამიანის ყოფაში ბუნებრივად ჩაქსოვილ სპონტანურ ნორმატიულ სტრუქტურებს – ნორმატიულ ფაქტებს. სამართლის აზრის წვდომა შესაძლებელია ამ ორი საწყისის შეთანწყობის საფუძველზე.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად მიუთითებენ სამართ-
ლიანობის ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ პრინციპებზე, რომ-
ლებიც ისტორიული განვითარების პროცესში ეტაპობრივად ხორ-
ციელდება პოზიტიურ სამართალში და სამართლის აზრის წვდომის
“ზოგადი მნიშვნელის“ როლს თამაშობს. აღნიშნულ შეხედულებას
არსებითად ბუნებითი სამართლის თეორიის დასაბუთების ერთ-ერთ
არგუმენტად იყენებენ. ჩვენი აზრით, აღნიშნული შეხედულება,
მიუღებელია.

ის, რომ პირი წვდება გარკვეულ იდეას, სულაც არ ნიშნავს, რომ
ეს იდეა წვდომამდე არსებობდა როგორც აბსტრაქცია ან ფუძემდებ-
ლური პრინციპი, თუნდაც როგორც რელიგიური ფანტაზმა. სამართ-
ლის აზრის წვდომა ემყარება ადამიანის უნარს მუდმივად ხსნას სამყა-
რო. სამართლის სფეროში ეს სამყარო წარმოდგენილია სამართლებ-
რივი ღირებულებების სახით, რომელთა შექმნისაკენ, “წარმოე-
ბისაკენ“ არის მიმართული სამართლის სუბიექტის (კანონმდებლის,
სამართლის შემფარდებლის თუ მართლურთიერთობის მონაწილის)
საქმიანობა. ეს უკანასკნელი კი მოიცავს ზოგადი სამართლის ნორ-
მების ახსნა-განმარტებას, ნორმატიული ფაქტების ანალიზს და პრე-
ცედენტის (გამოცდილების) გამოყენებას.

სამართლის აზრი, ანუ ახალი ნორმა არ არის სამართლებრივი
ღირებულებების და მორალური პრინციპების უბრალო პროექცია,
არამედ პოზიტიური სამართლის ნორმების, ნორმატიული ფაქტებისა
და პრეცედენტული ნორმების ურთიერთმოქმედების ანუ სამართ-
ლებრივი ლოგიკის, ფსიქიკისა და გამოცდილების დიალექტიკური
ურთიერთქმედების შედეგია.

ფილოსოფიის ენაზე ეს ნიშნავს, რომ სამართლის აზრის (ჩვენი
გაგებით) წვდომა ხდება ინდუქციურ-თეორიული საშუალებით ზოგა-
დი სამართლის ნორმების, ნორმატიული ფაქტებისა და პრეცედენ-
ტული ნორმების (გამოცდილების) ემპირიულ-აღწერილობითი და ან-
ალიტიკური აღქმა-შეჯერების საფუძველზე. ბუნებითი სამართლის
თეორიის თვალსაზრისით კი სამართლის აზრი აბსტრაქციებიდან და
ზოგადი პრინციპებიდან გამოიყვანება დედუქციურ-თეორიული გზით.

იესო გვასწავლის: “ნუ განსჯით შეხედულებით, არამედ სამარ-
თლიანი მსჯავრით განსაჯეთ“ (იოანე, თავი 7, მუხლი 24).

ამრიგად, ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონცეფციისაგან
განსხვავებით ბუნებითი სამართლის თეორიას აქვს თავისი გნოსეოლ-

ოგიური წანამძღვრები, სახელდობრ, სამართლებრივი ცხოვრების მთლიანი პროცესის ხელოვნური გათიშვა, კონკრეტული იურიდიული ემპირიიდან სამართლებრივ აბსტრაქციამდე ზეალსვლის პროცესის ერთიანობის უარყოფა, კონკრეტული სოციალურ-სამართლებრივი ფაქტების გაუფასურება და მათი ავტონომიური ნორმატიულობის უგულვებელყოფა.

სამართლის აზრი არ გამოიყვანება ე.წ. ბუნებითი სამართლის ნორმიდან, ვინაიდან, ჩვენი აზრით, არ არსებობს სამართლის მზა იდეები. სამართლის აზრი მუდმივად იბადება ინდივიდუალური ნორმის გამომუშავების შედეგად ნორმატიული ფაქტის, პრეცედენტული და პოზიტიური სამართლის ნორმების შეჯერების პროცესში. ამ თვალსაზრისით სამართლის აზრს აქვს “ბლანკეტური” შინაარსი და იგი სამართლის აზრის წვდომის პროცესში კონკრეტული შინაარსით ივსება.

მაგრამ ბუნებრივად იბადება სამართლის სუბიექტების თვითნებური სამართალ შემოქმედების საშიშროება. ერთი შეხედვით, თუკი სამართლის სუბიექტს არ გააჩნია ქცევის ერთიანი, ფუნდამენტური ორიენტირი, მას შეუძლია თვითნებურად “თხზას” სამართალი. ჩვენ ვეცადეთ დაგვესაბუთებინა აზრი იმის შესახებ, რომ “მართალი სამართლის ქმნა” არ შეუძლია არც პოზიტიური სამართლის ნორმას, არც ნორმატიულ ფაქტებს და არც პრეცედენტულ სამართალს. კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ სამართლის სფეროში სამართლის შემფარდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს სამი ორიენტირით: კანონით, ნორმატიული ფაქტით და პრეცედენტული ნორმით, უფრო სწორად, ამ სამ ფაქტორს ერთმანეთთან უნდა აჯერებდეს.

ამრიგად, სამართლის აზრის წვდომა არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ანარქიული თვითნებობა. საკანონმდებლო სამართალი, ნორმატიული ფაქტები და პრეცედენტული ნორმები მხოლოდ ურთიერთქმედების პროცესში, ბუნებრივი გზით უზრუნველყოფს სამართლის აზრის ნორმალურ წვდომას, გზას უღობავს თვითნებობას.

სამართლის იდეის წვდომის პროცესი ობიექტურადაც შემოსაზღვრულია. სამართლის იმ აზრის წვდომა შესაძლებელი, რომელიც მოცემული საზოგადოების წევრების მიერ თავიანთი არსის შემეცნების დონის შესაბამისია, ე.ი. სამართლის წვდომის ფარგლები მოცემული საზოგადოების მიერ მიღწეული თავისუფლების შეგნების დონით განისაზღვრება. გარდა ამისა, რამდენადაც სამართლის სუ-

ბიექტი თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში წარმოგვიდგენია როგორც თავის ისტორიულ ტერიტორიაზე მოსახლე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერის შვილი. ამდენად, სამართლის აზრის წვდომა კოსმოპოლიტური ტიპის აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ, საბოლოო ჯამში, ამ ერის სულის ემანაციაა.

სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ სხვადასხვა ერებს შეიძლება ჰქონდეთ და ნამდვილად აქვთ მსგავსი მოქმედი სამართლის სისტემები (მაგალითად, რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა), მაგრამ ამ ქვეყნების მართლწესრიგი არ შეიძლება იყოს და არც არის იდენტური, არამედ თითოეულის “სამართლებრივ ყოფას“ შესამჩნევი კონტრასტები ახასიათებს. ამას განაპირობებს სამართლის აზრის წვდომის სხვადასხვა სტილი, რაც, თავის მხრივ, ეროვნული სულის განსხვავებული სტრუქტურის შედეგია.

კონცეფტუალური თვალსაზრისით ორი ქვეყნის მოქმედი სამართალი შეიძლება ერთ სამართლებრივ ოჯახში შედიოდეს, მაგრამ ისინი განსხვავდებოდნენ სამართლის განხორციელების შედეგით – მართლწესრიგის სტრუქტურით. ეს სინამდვილეში ყოველთვის ასეა.

ორი ქვეყნის პოზიტიური სამართლის მსგავსება შეიძლება ერთ-ერთის მიერ მეორის დაპყრობის გამო პოზიტიური სამართლის თავსმოხვევის შედეგი იყოს. მიუხედავად ამისა, ამ ორი ქვეყნის მართლწესრიგი განსხვავებული იქნება, რადგან დაპყრობილი ერის სულისათვის უცხო თავსმოხვეული პოზიტიური სამართალი. პოზიტიური სამართლის რეცეფცია მისი თავისუფალი მიღების შედეგი უნდა იყოს (ერის სულთან მისადაგების გზით) და არა ტლანქი ძალისა. ეროვნული ცნობიერება წინ ეღობება უცხო ნორმატიულ სტრუქტურებს და ცდილობს ეროვნული ასპექტები შეუნარჩუნოს სამართლის აზრის წვდომას. უფრო მეტი, თუ სამართლის აზრის დამოუკიდებელი წვდომა გამტკიცებულია რელიგიური დოგმებით, მაშინ უცხო პოზიტიური სამართალი არათუ მართლწესრიგში არ აღწევს, არამედ ოფიციალურად მიუღებელი ხდება. ასე მაგალითად, სამართლის აზრის წვდომის რელიგიურმა ასპექტმა არ დაუშვა რომის სამართლის შეღწევა მუსულმანურ სამყაროში, ისევე, როგორც ანალოგიური ფაქტორები წინ აღუდგნენ მუსლიმანური რელიგიური სამართლის (შარიათის) გავრცელებას ოსმანთა იმპერიის მიერ დროებით დაპყრობილ ქრისტიანულ მოსახლეობაში.¹

¹ დაწერილებით იხ. ბ. სავანელი: სამართლისა და მართლწესრიგის თანაფარდობა სამართლის აზრის წვდომის თვალსაზრისით. სადოქტორო დისერტაციის თეზისები. თბ. 1992 წ.

სამართლისა და მართლწესრიგის ურთიერთგამომრიცხავი, მსოფ-
ლიო პრაქტიკისათვის კუროზული სიტუაცია შექმნა მარქსისტულ-
ლენინურ იდეოლოგიაზე ჩამოყალიბებულმა საბჭოთა სამართალმა.
იგი ერთი შეხედვით, რომანულ-გერმანული ტიპის სამართლის ნაირ-
სახეობად წარმოგვიდგება, მაგრამ როგორც კი გადავალთ საბჭოთა
მართლწესრიგის ანალიზზე, მაშინვე წინ გადაიშლება ფორმით აღ-
მოსავლური ტიპის აბსოლუტური მონარქია, ხოლო შინაარსით იმ-
პერიული სტრუქტურა. რამ შექმნა მსოფლიო პრაქტიკისათვის უპ-
რეცედენტო სიტუაცია – ფორმითა და შინაარსით ერთმანეთის სრუ-
ლიად შეუსაბამო პოზიტიური სამართლისა და მართლწესრიგის თანა-
არსებობა? კომუნისტურმა იდეოლოგიამ, როგორც რელიგიური აზ-
როვნების ულტრამემარჯვენე ნაირსახეობამ, რომელმაც ადამიანის
პიროვნული თავისუფლების იდეა დაუმორჩილა დამონებული მასის
დაპროგრამებულ ფანატიკურ მისწრაფებას მატერიალური დოვ-
ლათით გავსებულ, განსხვავებულ ენებზე მოუბარ ხალხთა “ბაბილონის
გოდოლის“ მშენებლობას, რის გამოც ადამიანის პიროვნების არსებობა
სამართლებრივად დაუცველი გახდა, მართლწესრიგი აქცია არა სამა-
რთლის აზრის წვედომის განსახიერებად, არამედ დილექტანტ პარტო-
კრატთა და ასეთივე მოსამართლეთაგან სამართლის ღირებულებების
დამახინჯებული ინტერპრეტაციის სფეროდ. ეს ხდებოდა ადამიანის
ინდივიდუალობის დათრგუნვის მიზნით. პარტოკრატთა პოზიტიური
სამართალი, მოსამართლის თავისუფალი სამართალ შემოქმედება და
საზოგადოებაში არსებული იმანენტური ნორმატიული წესრიგი
გამოთიშა მართლწესრიგის ფორმირების პროცესიდან და მისი აღ-
გილი თვითონ დაიკავა, მოახდინა ერების სამართლებრივი ყოფის პო-
ლიტიზაცია რუსული ყაიდის ბიუროკრატთა ელიტარული ინტერე-
სების უზრუნველსაყოფად და რუსული “ჩექმის“ ბატონობის შესანარ-
ჩუნებლად. გარეგნულად დემოკრატიული კონსტიტუციის ფარდის
უკან ჩამოყალიბდა დესპოტური ტიპის მართლწესრიგი. საბჭოთა
კონსტიტუციებში ჩაწერილი მოქალაქის ძირითადი უფლებები და
თავისუფლებანი იმთავითვე ფიქცია იყო, რადგან პიროვნება უფლება-
უნარიანობის გარეშე აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, რომ ს.ნ. ბრატუს-
მა და ე.ა. ფლეიშიცმა საბჭოთა მოქალაქის უფლებაუნარიანობა სამა-
რთლიანად მიიჩნიეს პირის აბსტრაქტულ შესაძლებლობად და “ბლან-
კეტურ“ ცნებად. ჩვენ ვეცადეთ გაგვევითარებინა ეს იდეა და ნმ-იან
წლებში ვამტკიცებდით, რომ საბჭოთა მოქალაქე ფაქტობრივად და

იურიდიულად მოკლებული იყო უფლებაუნარიანობას, რადგან ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განსახორციელებლად სინამდვილეში არ განაგებდა კონკრეტული უფლებების ისეთ კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფდა კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების რეალურ განხორციელებას სამართლის შესაბამისი დარგებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. კონსტიტუციაში ფიქსირებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს მამუდ აქვთ იურიდიული ძალა, როდესაც უზრუნველყოფილია უფლებაუნარიანობით ანუ უფლებით ჰქონდეთ კონკრეტული უფლება-მოვალეობები, როგორც ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელების პირობა.¹

იხ. ჩვენი ნაშრომი: „საბჭოთა საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობის იურიდიული ფორმები“, თბ., 1969.

პერსპექტივები

1. სახელმწიფოს განვითარების

ტენდენციები

სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფცია ხელისუფლებას განიხილავს როგორც სამართლის იდეის განხორციელების უმთავრეს საშუალებას, ხოლო თავად სამართალს – როგორც ხელისუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესის მართვის მეტოდს. ამ აზრით სამართალს აკისრია ხელისუფლების შეზღუდვის, შეკავების და მოდოფიცირების ფუნქცია. სახელმწიფოს ეს ფუნქცია ორიენტირებულია ინდივიდის და საზოგადოების დაცვაზე, რაც სამ ასპექტში ვლინდება.

პირველი ასპექტი შემდეგია. ფ. შტალის სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი მოქმედების დადგენილი საზღვრების დაცვას იმ მიზნით, რომ მისი ორგანოები არ შეიჭრნენ მოქალაქეთა თავისუფლების სფეროში. სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა თითოეული ადამიანის ინდივიდუალური სასიცოცხლო სივრცის უზრუნველყოფა, რაც ემყარება ინდივიდუალურ ინტერესთა პლურალიზმს, როგორც ცალკეული პიროვნების და მთლიანად საზოგადოების პროგრესული განვითარების პირობას.

პიროვნებასთან სახელმწიფოს ურთიერთობის მეორე ასპექტი არა ინდივიდუალური, არამედ სოციალურია, რაც გულისხმობს სოლიდარიზმის (კონსესუსის) უზრუნველყოფას, ადამიანებს შორის კონფლიქტების დაძლევას, როგორც ცალკეული პიროვნების და მთლიანად საზოგადოების პროგრესული განვითარების პირობას.

პიროვნებასთან სახელმწიფოს ურთიერთობის მესამე ასპექტი ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალურიც და სოციალურიცაა, უფრო ზუსტად, ზეინდივიდუალურ-ზესოციალურია, რაც გულისხმობს პიროვნების აღიარებას პოლიტიკის სუბიექტად და არა ობიექტად.

სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის საფუძვლად აღიარებულია კანტისეული პრინციპი, რომლის თანახმადაც თითოეული

ადამიანის თავისუფლება უნდა თანაარსებობდეს ყველას თავისუფლებასთან საყოველთაო კანონის შესაბამისად.

ამ თვალსაზრისით, კონსტიტუცია განიხილება როგორც ზღუდე, რომელიც ადამიანს იცავს სახელმწიფოსაგან, როგორც სახელმწიფოს შემზღუდავი სამართალი. აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს ფუნქციონირების უზენაესი შემზღუდავი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს ართმევს უფლებას შეცვალოს თავისი საქმიანობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი.

სახელმწიფოს საქმიანობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმირება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა უზრუნველყოფისაკენ, რომლის პირველი პრინციპია განსაზღვრულ ურთიერთობათა დაცვა სახელმწიფოს მხრივ ჩარევისაგან და მათ კერძო ხელშეუხებელ სფეროდ აღიარება. ეს კი გულისხმობს, რომ ამ სფეროში პიროვნებას აქვს სახელმწიფოსაგან, მისი ორგანოების ან სხვა ნებისმიერი პირისაგან დამცავი საჯარო უფლებები ამ სფეროში შეღწევის აღკვეთის მიზნით. საჯარო უფლებების გარანტირებული გამოვლენაა პიროვნების უფლება სასამართლოში გაასაჩივროს ხელისუფლების ყველა აქცია და მოითხოვოს ზიანის საჯარო-სამართლებრივი კომპენსაცია, აგრეთვე სხვა არასასურველი შედეგების აცილება. ამ უფლების ხასიათი პრინციპულად გამორიცხავს სახელმწიფოს უფლებას, სოციალური მიზანშეწონილობის საბაბით, შეაღწიოს პიროვნების კერძო სფეროში. საქმე ისაა, რომ ინდივიდუალური უფლებების ოდნავი რელატივაცია და ადამიანის უფლებების კოლექტივის ინტერესებისადმი დაქვემდებარება ქმნის ნოყიერ ნიადაგს სახელმწიფო ტოტალიტალიზმისა და პიროვნების ინდივიდუალობის ნიველირებისათვის.

პერსპექტივაში ადამიანის უფლება-თავისუფლებათა რეალური და ეფექტიანი დაცვის თვალსაზრისით სახელმწიფო მოიაზრება არა როგორც საზოგადოების პარალელური (ან მასთან დაპირისპირებული) სუბიექტი, არამედ როგორც მისი ნაწილი (საზოგადოებრივი ინსტიტუტი), რომლის ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ სასამართლოში. საქმე ისაა, რომ სოციუმის უნებლიე, ფარული შეღწევა ადამიანის კერძო სფეროში და პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მომსახურების მუდმივად გაფართოებადი მოთხოვნილება აძნელებს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფას, რაც იწვევს მემარცხენე ლიბერალიზმის მიმდევართა გადახრას რადიკალუ-

რი პოზიციისაკენ კერძო სფეროს აბსოლუტური დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნით, ხოლო იურისპრუდენციაში სვამს კერძოსადმი საჯარო სამართლის დაქვემდებარების, ადამიანთა უფლება-თავისუფლებებისადმი სახელმწიფოს დამორჩილების, საზოგადოებისაგან მისი დამოკიდებულების გაზრდის აუცილებლობის საკითხებს. ამ შემთხვევაში საუბარია იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებზე, რომლებიც მიმართული არიან იქითკენ, რომ საკანონმდებლო, აღმსრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ურთიერთქმედების პროცესში სწორედ იქნეს განსაზღვრული ერის საერთო ინტერესი (იხ. პარაგრაფი “სახელმწიფოს ფუნქციები”). ერის საერთო ინტერესი არის მისი წევრების ძირითადი უფლება-თავისუფლებები მათ მთლიანობასა და ერთიანობაში.

ადამიანის ძირითადი უფლებათავისუფლებანი ზესახელმწიფო და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებია. ძირითადი უფლება-თავისუფლებანი სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტები კი არ არის, არამედ ამ უკანასკნელის ზრუნვისა და დაცვის ობიექტია. ზრუნვასა და დაცვაში არ იგულისხმება მხოლოდ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტიების შექმნა, არამედ სამართლებრივი, უფრო ზუსტად პროცესუალური გარანტიები. სამართლებრივი (პროცესუალური) გარანტიებია: კანონის უზენაესობა, ხელისუფლებათა განცალკევება და საკონსტიტუციო კონტროლი. აქედან გამომდინარე, “უკუკავშირის პრინციპის“ წესით ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებანი ფაქტობრივად ბოჭავს, ზღუდავს სამივე ხელისუფლებას, ასახიერებენ სამართლის უზენაესობას.

ჯერ კიდევ კანტი მიუთითებდა, რომ სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე დაუშვებელია. მაგრამ სახელმწიფოს სამართლიანობას უზრუნველყოფს არა სამართლებრივი პრიციპები, არამედ სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიულობა.

ამ ტრიადაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ფორმას. ჯერ ერთი, მისი პრიორიტეტული მდგომარეობა სხვა სოციალურ ფენომენებზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკაზე სამართლის პრიმატის ასახვაა. მეორეც, პარლამენტი – საკანონმდებლო საქმიანობაში, მთავრობა – აღმსრულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში, სამოქალაქო სასამართლოები – პრეცედენტული ნორმების გამომუშავებისას არცთუ იშვიათად არღვევენ ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებებს, რისი გამოსწორებაც მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ძალუძს.

სწორედ ხელისუფლებათა განცალკევება ქმნის მათზე ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას.

სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ასეთი დაპირისპირება ეფუძნება იმ პოსტულატს, რომ ინდივიდის თავისუფლება პრინციპში შეუზღუდავია, მაშინ როდესაც სახელმწიფოს თავისუფლება შეზღუდულია. სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის თავისუფლების სფეროში ჩარევის ერთადერთი ფორმა არის კანონზე დამყარებული ჩარევა და ისიც ისეთ კანონზე, რომლის მიღება ზუსტად განსაზღვრულ, დემოკრატიულ პროცედურას ექვემდებარება, ე.ი. ისეთ პროცედურას, რომელიც ისევ და ისევ ძირითად უფლება-თავისუფლებათა “მოჯადოებულ წრეშია” მოქცეული. ამრიგად, სამართლებრივ სახელმწიფოში აქცენტი გადატანილია იმ ბოროტებაზე, რომელიც ხელისუფლებამ შეიძლება მიაყენოს ადამიანს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკურ რეალობას არსებითად ქმნიან არა აბსტრაქტული სოციალური ინსტიტუტები, არამედ ნორმატიული სისტემები. ასეთ თეორიულ მოდელს ვუწოდებთ ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმს, რომელიც სახელმწიფოს ბიუროკრატიზაციის დაძლევის ერთადერთი საშუალება და პოლიტიკურ მართვაზე გადასვლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. მართვის პოლიტიკურ ფორმაზე გადასვლა მოასწავებს ბიუროკრატიის დასასრულის დასაწყისს. საქმე ეხება პასუხისმგებლობის მკვეთრად განსხვავებულ, ერთმანეთის გამომრიცხავ ტიპებს. ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელია თავისი უწყების მიმართ დეპერსონალიზებული პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა სოციალურ ინტერესთა კონფლიქტების მიღმა და პასუხისმგებლობა როგორც ოფიციალური ვალდებულება; პოლიტიკოსს კი აქვს პერსონალური და ინდუვიდუალური პასუხისმგებლობა იმ საქმიანობისა და ბრძოლის გამო, რომელსაც ის აწარმოებს, პასუხისმგებლობა, რომელსაც ზემოაღნიშნულის გამო საჯარო-სამართლებრივი ხასიათი აქვს. ბიუროკრატიზებული პოლიტიკა არის არა პოლიტიკა, არამედ ჩაკეტილი სისტემა, მექანიზმია შესასვლელისა და გასასვლელის გარეშე, სადაც გამორიცხულია სამართალ შემოქმედება, რაიმე პროგრესი ახალი ნორმატიული მოდელების შესაქმნელად, საერთოდ, სამართლებრივი ცხოვრება, რომ არაფერი ვთქვათ სამოქალაქო საზოგადოებაზე.

ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმს გარკვეულად ეხმიანება მ. ვებერის პოლიტიკური სისტემის მოდელი, რომლისთვისაც ოპტიმალური პოლიტიკური სისტემაა ბრიტანული პარლამენტარიზმისა

და გერმანული რაიხსპრეზიდენტის კომბინაცია, რაც გამორიცხავს როგორც “საპარლამენტო აბსოლუტიზმს“, ისე პრეზიდენტის “ავტოკრატიზმს“, რომ არაფერი ვთქვათ კომუნისტური ტიპის ნომენკლატურის მიერ ხელისუფლების უზურპაციაზე.

ყველა ზემოაღნიშნული შეეხება სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკურ ასპექტს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური მხარე. რამდენად უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფო საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სათანადო დონეს, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვას? ამ თვალსაზრისით ითვლება, რომ დასავლეთში ჩამოყალიბდა სამი ტიპის სახელმწიფო. პირობითად მას უწოდებენ: ეკონომიკური დაცვის, სოციალური უსაფრთხოების, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოებს.

ეკონომიკური დაცვის სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს შეადგენს მესაკუთრეთა დაცვა ბაზრის სტიქიურობისაგან და შემოსავლების გადანაწილების მოთხოვნა. ამ ტიპის სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ძირითადი ადგილი არ უკავია საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ პროგრამებს. უკანასკნელთა სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია საკუთრების ფორმირების სტაბილურობისა და სამართლებრივი დაცვის სიმყარეზე. ითვლება, რომ ასეთი სახელმწიფო შექმნილია აშშ-ში.

სოციალური უსაფრთხოების სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტირებულ ეროვნულ მინიმუმს და, ამავე დროს, თითოეულის უნარს, მიიღოს მინიმუმზე გაცილებით მეტი. მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპია ხელი შეუწყოს არა იმას, რაც სურს უმრავლესობას, არამედ იმას, რასაც საჭიროებს უმცირესობა. ასეთ სახელმწიფოდ ითვლება დიდი ბრიტანეთი.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო არ იფარგლება გარანტირებული ეროვნული მინიმუმით. იგი ცდილობს, გაათანაბროს ადამიანთა შანსები და შესაძლებლობები, ზღვარი დაუდოს უთანასწორობას. ამ მიზნით დამკვიდრებულია “სახელმწიფო დემოკრატია“, რაც ზღუდავს მეწარმეთა უზომო გამდიდრებას. ითვლება, რომ ასეთი სახელმწიფო შექმნილია ნიდერლანდებში.

დასავლეთში ფართო გავრცელება პოვა გერმანული პოლიტოლოგის - კ. ნოზიკის თეორიამ “მინიმალური სახელმწიფოს“ შესახებ. იგი ადამიანის თავისუფლების მაქსიმალური გაფართოებისა და სახელმწიფოს ძალაუფლების მინიმუმაციის მომხრეა. მის შეხედულებას საფუძვლად უდევს “ბუნებრივი მდგომარეობის“ კონცეფცია, რომლის

თანახმადაც ინდივიდის თავიდანვე აქვს ძირითადი უფლებები, რომელთა გასხვისება შეუძლებელია როგორც სხვა პირთა, ისე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ შეხედულების უმნიშვნელოვანეს ელემენტად ითვლება “ოპტიმისტური ანთროპოლოგია“, რომლის თანახმადაც ადამიანი კეთილია, და თუ სახელმწიფო მას ხელს არ უშლის სოციალური ცხოვრება ნორმალურად მიდის. სახელმწიფოს აქტიურობა დასაშვებია მხოლოდ ერთ – მართლმსაჯულების სფეროში, სადაც პროფესიონალი მოსამართლე მოვალეა აქტიურად დაიცვას ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა.

დასავლეთში ასევე გავრცელებულია საპირისპირო თეორია, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოებას მოითხოვს იმ მიზნით, რომ ინდივიდის თავისუფლება გარკვეულად შეიზღუდოს სოციალური სხვა წევრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად. ამ თეორიას საფუძვლად უდევს პოსტულატი იმის შესახებ, რომ ადამიანი ცოდვილია, ზნედაცემული და აგრესიული, რის გამოც საჭიროა მისი მოთოკვა და ცხოვრების შეძლებისადაგვარად დეტალური რეგულირება.

ამ ორი საპირისპირო თეორიიდან შეიძლება მესამე მოსაზრების ჩამოყალიბება. ერთის მხრივ, ადამიანი ბუნებით აგრესიული და ვერაგია, ამიტომ საჭიროა მისი ჰუმანიზება “ზომიერი“ სახელმწიფო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების გზით. მეორეს მხრივ, ლაგამამოდებული და თავისუფლება შეზღუდული ადამიანი უფრო აგრესიული და ვერაგი გახდება, ხოლო მთლიანად საზოგადოება ტოტალური მტრობის და შუღლის მორევში ჩაიძირება. ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება ლენინურ-სტალინური რუსული იმპერია. მესამე მხრივ, სახელმწიფოს უზომო შესუსტება ავტომატურად გამოიწვევს კლანური ტიპის დაჯგუფებების გამრავლებას, ხოლო პოლიტიკურ ასპექტში ბიუროკრატიის კლანჭებიდან გათავისუფლებული ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მოხვდება პარტიული, პროფკავშირული და სხვა ჯგუფური ინტერესების მფლობელთა მარწუხებში. ამ თვალსაზრისით, შესანარჩუნებელია დღევანდელი ევროპის “ბუნებრივი მდგომარეობა“, როდესაც გაწონასწორებულია სახელმწიფო სტრუქტურა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ურთიერთობა, რომლებიც ზღუდავენ ერთმანეთის ძალაუფლებას, რის შედეგადაც ინდივიდი რჩება მოგებული.

სწორედ აქ ისახება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თანაფარდობის აქტუალურობა, რაც სათავეს იღებს უფრო ზოგა-

დი პრობლემებიდან თანასწორობისა და თავისუფლების თანაფარ-
დობის შესახებ.

თანასწორობამ დათრგუნა თავისუფლება. ეს არის XXI საუკუნეში
დასავლეთის მიერ დასაძლევე პრობლემა, რომელიც მემკვიდრეობით
დატოვა XX საუკუნემ. დასავლეთში სახელმწიფოს მხრიდან სოცია-
ლური (ფართო აზრით) თანასწორობისათვის მამობრივმა ზრუნვამ
პიროვნებას დაუკარგა ინდივიდუალური აქტიურობის ინტერესი, სა-
ხელმწიფოს სამეურვეო ფუნქციების გაფართოებამ თავისებური დეს-
პოტიზმის ფორმა მიიღო, რადგან მოსახლეობა აქცია “მთვლემარე
მასად“, რომლის უმთავრესი ფუნქციაა მოხმარება. ამ პროცესს დასავე-
ლეთში “დემოკრატიულ კონტრრევოლუციას“ უწოდებენ. იურიდ-
იულ ენაზე კი აქ საუბარია ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფ-
ლებათა მიერ უფლებაუნარიანობის დათრგუნვაზე.

დასავლეთის პოლიტოლოგთა აზრით, ამ კრიზისული მდგომარეო-
ბიდან გამოსავალი თვით სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებს
შორის კონკურენციის პროვოცირებაშია. ასეთი კონკურენციის ატმო-
სფერო შეიძლება შექმნან სხვადასხვა სამოქალაქო ასოციაციებმა,
როგორცაა: სამეცნიერო, პედაგოგიური, რელიგიური, მუნიციპალუ-
რი, ფემინისტური, პროფესიული და სხვა გაერთიანებები. თუმცა ისინი
უპირატესად დაკავებულნი “პატარა“ საქმეებით არიან, მაგრამ ერ-
თიანობაში ქმნიან ისეთ ფსიქოსოციალურ ატმოსფეროს, რომელიც
ხელს უწყობს თავისუფალი აზრის კულტივირებას და აღკვეთავს
უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე. ამრიგად, პლურალისტუ-
რი, თვითორგანიზებადი და თვითმართვადი სამოქალაქო საზოგადოება
არის გლობალური დემოკრატიის განუყოფელი პირობა, ადამიანის
ძირითად უფლება-თავისუფლებათა დაცვის ბასტიონი.

მაგრამ ხშირად ისმის საკითხი დემოკრატიის სისუსტის, სიმყი-
ფის, ზოგჯერ “სინაზის“ შესახებაც კი. დემოკრატია, სწორედ იმი-
ტომ, რომ ის დემოკრატიაა, ქმნის ანტიდემოკრატიული ძალების თავისუფალი აღზევების პირობებს. მხედველობაში გვაქვს არა ანტიდე-
მოკრატიული პარტიების გამრავლება და გაძლიერება (ისინი დე-
მოკრატიას არ ემუქრებიან, პირიქით გულისხმობენ მას), არამედ სრუ-
ლიად ოფიციალური სტრუქტურები, რომელთა მიმართ კონტროლ-
ის შესუსტებამ შეიძლება გამოიწვიოს ბოლშევიზმის რენაიმაცია.
ასეთებია: სამხედრო უწყებები, საიდუმლო პოლიციური სამსახური
და საერთაშორისო კორპორაციები, რომელთა მოქმედების არე სა-
ხელმწიფოს საზღვრებით არ იფარგლება. მათ ემატება არაოფიცია-

ლური სამხედრო დაჯგუფებები, კერძო საიდუმლო სამსახურები, რომლებიც ერთმანეთში შეზრდილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მაფიებს ემსახურებიან. ბიუროკრატიასთან მათმა შერწყმამ შეიძლება გამოიწვიოს (და ამის სიმპტომები აშკარად შეიმჩნევა) ნეობოლშევიზმის დამყარება ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე.

მაქს ვებერი ჯერ კიდევ 70 წლის წინ აფრთხილებდა კაცობრიობას: მსოფლიოს ემუქრება არა იმდენად პროლეტარიატის, არამედ ბიუროკრატების დაქტატურა. დიდი ფილოსოფოსის წინასწარმეტყველება ახდა: პროლეტარიატის დიქტატურის მაგივრად მსოფლიოს ერთ მეოთხედზე გაბატონდა კომუნისტი ბიუროკრატების დიქტატურა, მისი უკიდურესი პარტოკრატიული მმართველობის ფორმით, და ისიც როგორც რუსეთის იმპერიის შენარჩუნების და გამტკიცების საშუალება. მათ გამოიმუშავეს ღირებულებით ორიენტირები, რაც უზრუნველყოფდა მათ და მათი შთამომავლობის მუდმივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად ზომიერ და მდგრად კეთილდღეობას. ეს ღირებულებითი ორიენტირები ძირითადად ემყარებოდნენ მკაცრი ურთიერთდაქვემდებარების პატერნალისტურ პრინციპებს, რომლითაც იუღინთებოდა მთელი სახელმწიფო მექანიზმი.

ამ პრინციპებს ბიუროკრატიული ფენა მეთოდურად ნერგავდა ცხოვრებაში მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ძვირად ღირებული, მაგრამ ეფექტური საშუალებების მთელი კასკადით, რის გამოც საზოგადოების წევრები, თავის მხრივ, იმისათვის, რომ უბრალოდ ეარსებათ, იძულებულნი იყვნენ მიეღოთ ეს პრინციპი, ეაზროვნათ და ემოქმედათ ისე, როგორც გარეგნულად ამას აკეთებდა ბიუროკრატია.

ამის შედეგად, ფაქტიურად ბიუროკრატის მიერ გამოიმუშაებულმა ნორმებმა თანდათანობით გამოდევნეს ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმები და მათი ადგილი დაიკავეს, ზოლო ეს უკანასკნელნი იქცნენ პირველთა რეალიზაციის საშუალებად. ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების განხორციელება იმ შემთხვევაში განიხილებოდა როგორც ეფექტური, როდესაც ისინი უზრუნველყოფდნენ ბიუროკრატიული მანქანის გაპოხიერებას.

ასეთი იყო კომუნისტური საზოგადოება, ასეთი არის პოსტკომუნისტური საზოგადოებები ყოფილ საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკა. კომუნისტებმა ისეთი მძლავრი ბიუროკრატიული მუხტი ჩადეს საზოგადოებაში, რომ ინერცია საკმოდ სიცოცხლისუნარიანი

აღმოჩნდა. ამ სისტემამ დაამკვიდრა მონური ფსიქოლოგია, გაამრავლა დილექტანტები, პროფესიონალიზმს დაუკარგა მიმზიდველობა.

2. გლობალიზაცია და სამართალი

დასავლეთში ამჟამად ფორმირებადი ახალი სამართლებრივი დოქტრინის ასპექტში აქ განხილულია თანამედროვეობის უძირითადესი პრობლემები: „გლობალიზაცია“ და „პლურალიზმი“, „გლობალური სამართალი“ და „სახელმწიფო სამართალი“, „სამართლებრივი მონიზმი“ და „ნორმატიული პლურალიზმი“. ამ დაპირისპირებულ მიმართულებებს შორის მზარდი დაძაბულობის ფონზე იკვეთება სამართლის უნივერსალური დარგი ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი, როგორც ხელისუფლების მოქმედების ძირითადი ნორმა და ერთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ხალხებს შორის ერთადერთი საერთო სალაპარაკო ენა.

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიშსხვრა რუსეთის საბჭოთა იმპერია და კაცობრიობამ განიცადა ღრმა ცვლილებები. როდესაც დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებთ იმას, რაც აღმოსავლეთ ევროპამ გადაიტანა კომუნისტური დიქტატურის დროს და მისი ნგრევის შედეგად, აშკარად ვამჩნევთ განსხვავებას მომხდარის შეფასებაში გუშინ და დღეს.

ურთიერთობის საერთაშორისო სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ორპოლუსიანი მსოფლიოს შემდეგ, აშკარად გამჭვირვალე, უფრო ურთიერთდამოკიდებული და გაცილებით დინამიკური გახდა.

ამიტომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის კლასიკური გაგება და მისი მომავალი დღეს კითხვის ქვეშ დგას, არა მარტო აკადემიურ წრეებში, არამედ რეალ – პოლიტიკოსთა შორის. ეროვნული სახელმწიფოს აბსტრაქტულად გააზრება, როგორც გარკვეულ სამართლებრივ საზღვრებში ფუნქციონირებადი სუვერენული ხელისუფლებისა, განიხილება როგორც ანაქრონიზმი. ერთის მხრივ, ორი საშინელი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილებამ, „სუვერენული“ დიქტატორული, აგრესიული რეჟიმების წარმოქმნის აღკვეთის საერთაშორისო მექანიზმის არარსებობამ, ქვეყნებს შორის უთანასწორობამ, უმაღლეს თანამდებობის პირთა კორუფციის არნახულმა მასშტაბებმა, რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა და ტერორიზმმა, და მეორე მხრივ,

ხალხების და ადამიანთა სულ უფრო მზარდმა გლობალურმა ურთიერთდამოკიდებულებამ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, მკვეთრად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა პროფილი და მოითხოვა საერთაშორისო სამართლის დემონტაჟი. ეს ტენდენციები ნათლად მიუთითებს იმას, რომ გლობალიზაცია დროის მოთხოვნა და ობიექტური კანონზომიერებაა.

გლობალიზაცია არის კაცობრიობის რთული, მაგრამ პროგრესული განვითარების მთავარი პერსპექტივა, რადგან ასეთი გლობალიზაციის უმთავრესი ღირებულება არის კულტურებს შორის დიალოგი, რაც პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების დაძლევის და პრევენციის გარანტიაა. ასეთ დიალოგს შეუძლია შექმნას წონასწორობა მსოფლიოში. მეორე მხრივ, გლობალიზაციამ წარმოშვა ნეგატიური მოვლენებიც: ეკონომიკური დანაშაულების გლობალიზაცია და კაპიტალის კონცენტრაცია ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, კორუფციის ინტერნაციონალიზაცია, ქსენოფობიის და ნაციონალისტური რიტორიკის ეპიდემია, ორი რელიგიური მიმართულებების ფუნდამენტალიზაცია და რელიგიური ტერორიზმის გლობალიზაცია, რაც ბუნებრივად ითხოვს სამართლებრივ ჩარჩოებს და მოწესრიგებას გლობალურ დონეზე, მაგრამ არა გლობალური “იუდეური თუ ისლამური“ მთავრობის შექმნის გზით და ეროვნული სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმით, არამედ ადამიანის უფლებების სამართლის გლობალიზაციით.

გლობალიზაცია დასაშვებია მხოლოდ ადამიანის უფლებათა სფეროში. ადამიანის უფლებები ემსახურება როგორც საერთო საკაცობრიო იდეალებს, ისე ერების კულტურული მრავალფეროვნების და თავისთავადობის განვითარებას, და, ამავე დროს, არის ზემოაღნიშნული ნეგატიური შედეგების დაძლევის ყველაზე ეფექტური საშუალება.

ამრიგად, საუბარია ადამიანის უფლებების არა ინტერნაციონალიზაციაზე, არამედ ტრანსნაციონალიზაციაზე მათი გლობალიზაციის პერსპექტივით. ამ პროცესის დამადასტურებელი კონკრეტული სიმპტომებია:

მიგრანტთა, ლტოლვილთა და ადგილნაცვალთა უფლებების ტრანსნაციონალიზაცია;

უმცირესობათა უფლებების ტრანსნაციონალიზაცია;

მკვიდრი ხალხების უფლებების ტრანსნაციონალიზაცია;

ყველა ადამიანის უფლებების ტრანსნაციონალიზაცია;

კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის ობიექტებზე ადამიანის უფლებების ტრანსნაციონალიზაცია.¹

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა გლობალიზაცია უნდა იქცეს ერთა თანამეგობრობის, მათ შორის ხელისუფლების რეალური პოლიტიკის უზენაეს ნორმად და თანამდებობის პირთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად. ფაქტია, რომ ადამიანის უფლებებმა წაშალეს ზღვარი საერთაშორისო სამართალსა და შიდა სახელმწიფო სამართალს შორის. ეს ფაქტი დაადასტურა ვენაში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ თავის დასკვნით დოკუმენტში “ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა”, რომელიც აღიარებული იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წყაროდ.

გლობალიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული როგორც კოსმოპოლიტიზმი, რადგან გაჩნდა შანსი, რომ კაცობრიობამ შეასრულოს გიგანტური პროგრამა ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციისა საერთაშორისო საპარლამენტო მმართველობის კონფედერაციულ ფორმად, და ამ გზით გამოიყვანოს ხალხები საერთაშორისო არენაზე, ადამიანი დე-იურედ აქციოს სამართლის უნივერსალურ სუბიექტად. ეს ძალუძთ ეროვნულ და ტრანსეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ერთადერთი კრიტერიუმით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით და არა ხელისუფლებაში მოსვლის დაუოკებელი წყურვილით. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სამთავრობო ორგანიზაციების ძირეული რეფორმა. ეს ეხება გაეროს, ევროკავშირს, ევროსაბჭოს, პან-აფრიკულ და პან-ამერიკულ, და სხვა სამთავრობათაშორისო სტრუქტურებს, რადგან ზოგიერთი მათგანის ბიუროკრატიზაციამ არნახული მასშტაბები მიიღო.

ამრიგად, საუბარია პოლიტიკის დეგლობალიზაციაზე და ადამიანის უფლებათა გლობალიზაციაზე. არადა, თანამედროვე მსოფლიოს დღემდე უცნობი პრობლემების სამართლებრივმა მოუგვარებლობამ

¹ ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები საჯარო უფლებებია, ანუ საუბარია ხელისუფლების მიმართ საჯარო უფლებების ტრანსნაციონალიზაციაზე. პარალელურად მსოფლიოში მიმდინარებს კრძო უფლებების ტრანსნაციონალიზაციის პროცესი მათი გლობალიზაციის მიმართულებით. ამ პროცესის კატალიზატორები არიან: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა დონორი ორგანიზაციები. კრძო უფლებების ტრანსნაციონალიზაციამ გამოიწვია ანტიგლობალიზატა სრულიად სამართლიანი პროტესტი ევროკავშირის ქვეყნებში.

შეიძლება რეალურად მიგვიყვანოს “გლობალურ ანარქიამდე“, მილტონის ჯოჯოხეთის დედაქალაქამდე, პანდომინიუმამდე, რომელიც სრულიად აღარ დაექვემდებარება რაიმე კონტროლს.

ამ პრობლემათა შორის პირველ ადგილზეა ისლამოფობიასა და იუდაფობიას და არა ისლამსა და იუდაიზმს, შორის დაპირისპირების მოხსნა, რომელიც თანდათან იღებს გლობალურ სახეს. დღეს ისლამოფობია არა მარტო ჯანყდება იუდაფობიას წინააღმდეგ, არამედ “ხელს უწყობს“ მას, აძლიერებს იუდაფობიას და პირიქით. საერთოდ კი, გასარკვევია, იუდაფობიამ ხომ არ შექმნა ისლამოფობია მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთა სულიერი კონსოლიდაციის გასაძლიერებლად და ეკონომიკური ბატონობის შესანარჩუნებლად?! დღეს ამის უტყუარი ნიმუშია, პალესტინა. ახლო აღმოსავლეთის არაბები 50 წელიწადზე მეტია ჯვარცმულნი არიან სიონისტების მიერ, მიუხედავად ათეულობით რეზოლუციისა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ. უფრო სავარაუდოა, რომ იუდაფობიამ დაბადა მონსტრი – ისლამოფობია, რომლისაგანაც ზარალდება სრულიად უდანაშაულო ქრისტიანული დიასპორა. ხარკი, რომელსაც უხდის კაცობრიობა ებრაელობას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეუდარებლად მცირეა იმ პლანეტურ კატასტროფასთან, რომლის წინაშეც დღეს გვაყენებს ისრაელის მთავრობა. ამრიგად, საფრთხეშია პლანეტაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის ყველა უფლება ერთად აღებული, ანუ მთლიანად კაცობრიობა. თუმცა უკანასკნელ დროს შეიმჩნევა ოდნავი პროგრესი.

თანამედროვე იუდაფობისათვის და ისლამოფობიისათვის საერთოა ის, რომ ორივე იბრძვის სუვერენული ეროვნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რითაც ხელყოფენ ეროვნული კულტურების უნიკალურობას, რასაც საბოლოოდ მივყავართ ერების გაქრობამდე და ერთი ერის ან ერთი რელიგიის განუსაზღვრელ ბატონობამდე. თითოეული თავს არიდებს სამოქალაქო საზოგადოებას და აკნინებს ეროვნული მოქალაქეობის უფლებების მნიშვნელობას. ორივე ქმნის თანამეგობრობას, დამყარებულს “სისხლით ნათესაობაზე“, განსაკუთრებულობასა და მიუტყეველობაზე, უპირატესობას ანიჭებს რა გლობალურ ტრიბალიზმს ან დესპოტურ პატერნალიზმს. ამიტომ ისინი შეიძლება განხილული იქნან როგორც ფაშიზმის თანამედროვე ნაირსახეობები. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველს მივყავართ გლობალურ ბაზრამდე, რომლისთვის უცხოა თანაგრძნობა და ზრუნვა, მეორეს კი – გლობალურ გვაროვნულ თემურ წყობილებამდე, რო-

მელიც დესპოტიზმს და მმართველობის ავტოკრატიულ ფორმას ეფუძნება. ორივე შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი განიხილება როგორც მომხმარებელი, კოლექტივში გათქვეფილი და ჩაკარგული არსება. “ეს გაკვეთილი უკვე გაიარეს “საბჭოთა“ ხალხებმა“. სწორედ შენიშნა რეუი დებრემ: “ამერიკულმა მონოკულტურამ და ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა შეიძლება კაცობრიობას თავს მოახვიოს სამწუხარო მომავალი ისეთი მსოფლიოს სახით, რომელშიც პლანეტა გარდაიქმნება გლობალურ სუპერმარკეტად, სადაც ადამიანებს შეეძლებათ ცალსახა არჩევანი გააკეთონ ადგილობრივ აიათოლასა და კოკა-კოლას შორის“.¹ მაგრამ ეს საშიშროება არაფერია იმასთან, რაც შეიძლება მოყვეს დღევანდელ დაპირისპირებას იუდაფობიას და ისლამოფობიას შორის.

ერთი ცხადია, მათი გლობალური დაპირისპირება კატასტროფამდე მიიყვანს მსოფლიოს, რადგან მასში ჩათრეული აღმოჩნდება ქრისტიანული სამყარო.

საქართველოში მდგომარეობას ამძიმებს ე.წ. დაპირისპირება “რუსულ“ და “ამერიკულ“ არჩევანს შორის. საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას ან ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობენ რუსეთის ან ამერიკის სპეცსამსახურებთან და სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზით. ერთნი თავგამოდებით ლანძღავენ ამერიკას, მეორენი რუსეთს. ამ დროს ორივე ერთი პიროვნების გამყიდველი ორჯონიკიძის ნაირსახეობაა. ჩვენთვის დამლუპველია ორიენტაცია ერთ რომელიმე ქვეყანაზე. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა გვკარნახობს, აქცენტი გადავიტანოთ რაც მთავარია ჩვენთავე და პარალელურად ევროპის კავშირზე, რადგან ევროკავშირი არ არის საბჭოთა კავშირი, ის არ არის იმპერია, მას არა აქვს პოლიტიკური ანდა ეკონომიკური ბატონობის ზრახვები... ამ დროს კი, ცენტრში ზოგიერთი მაღალი რანგის პოლიტიკოსი, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს, ფარულად უშვებს რუსეთის ბატონობის აღორძინებას იმ დარჩენილ ტერიტორიებზე, რომლებიც არ არის ოკუპირებული რუსეთის მიერ. მათთვის პრორუსული “მთავრობები“ აფხაზეთში და სამაჩაბლოში არის გარდამავალი მთავრობის მოდელი დანარჩენი საქართველოსათვის. ფედერალიზაცია დალუპავს საქართველოს!

¹ The New York Times. 1997 January 2. p. H1

ამიტომ დროა, რეალურად მოვშალოთ რუსეთის მიერ აჭედელი ფანჯარა ევროპისაკენ და დავუბრუნდეთ წინაპრების მიერ ნაოცნებარ ჩვენს ოჯახს – ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სივრცეს, რომლის ფორმირებაში საქართველოს საგრძნობი წვლილი მიუძღვის.

და მაინც, კონკრეტულად როგორ დავუკავშირდეთ მსოფლიოს, რომელიც გაერთიანებულია ბაზრებით, მაგრამ დანარჩენში მკვეთრად დანაწევრებული?

გლობალიზაციაზე ორიენტირებული მთავრობით? ასეთი მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა გლობალური ბაზრის მიერ “ნაყიდი მთავრობა”, რომელიც მოემსახურება გლობალურ მაფიას.

საერთაშორისო სამართლით? საერთაშორისო სამართალი ფაქტიურად სხვა არაფერია თუ არა ეროვნული სახელმწიფოების ბიუროკრატიების აკუმულაცია საერთაშორისო დონეზე, რომელიც უფრო მეტად დაშორდა შესაბამისი ხალხების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მისწრაფებებს, და იქცა ანაქრონიზმად თანამედროვეობის გლობალური პრობლემების ფონზე. აშშ-ის კოლონიალისტური ინტერვენცია ავღანეთში და ერაყში გაეროს სრული იგნორირებით სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიოს კატასტროფის დასასრულის დასაწყისი. ფიგურალურად შენიშნეს გლობალიზაციის აღიარებულმა სპეციალისტებმა – ბენჯამინ ბარბერმა და რიჩარდ ბატისტონიმ: “საერთაშორისო სამართლს არა თუ კბენა, ყეფაც კი არ შეუძლია”.¹

როგორი თანაფარდობაა გლობალიზაციასა და სამართალს შორის? ტერმინი “გლობალიზაცია” ასახავს პროცესებს, რომლებიც აერთიანებს მსოფლიო ეკონომიკას, ეკოლოგიურ სისტემას, საინფორმაციო კავშირებს, ისევე, როგორც აყალიბებენ მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოებას და მსოფლიოს მოქალაქეობას პერსპექტივაში, აკავშირებენ მსოფლიოს ყველა ადამიანს სამართლებრივად.

ამ პროცესების ტენდენციაა შეიქმნას უფლება – მოვალეებით ანუ სამართლებრივად უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული და გაწონასწორებული მსოფლიო. მაგრამ ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ გარდაუვალად ვმოდრობთ ერთიანი მსოფლიო მთავრობისაკენ. თუმცა გლობალიზაციის პროცესი ასუსტებს სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობას, მაგრ-

¹ Benjamina Barber and Richard Battistoni, Education for Democracy, Kendall-Hunt Publishing Co., 1993, p.13.

ამ მისი ზემოქმედება ყოველთვის არ არის მიმართული ცენტრალიზაციისაკენ ან ფართო კავშირის შექმნის, და ან კომოგენიზაციისაკენ, არამედ ორიენტირებულია კოორდინაციასა და თანამშრომლობაზე მომავალი საერთაშორისო საპარლამენტო მართველობის პერსპექტივით.

ამ პროცესების საყოველთაო აღიარებამ ხელი შეუწყო ახალი აკადემიური ინდუსტრიის, “გლობალიზაციის თეორიის” ჩამოყალიბებას. კერძოდ, “ეკონომიკაში გლობალიზაცია ნიშნავს ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას და კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობების გაფართოებას. საერთაშორისო ურთიერთობებში ყურადღება ფოკუსირებულია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებასა და დემოკრატიაზე ორიენტირებული გლობალური პოლიტიკის განვითარებაზე. სოციოლოგიაში ზრუნვის საგანია საყოველთაო სოციალური დაცულობა და “მსოფლიო საზოგადოების” კონვერგენცია. კულტუროლოგიურ სწავლებებში აქცენტი გადატანილია გლობალურ კავშირებსა და ზნეობრივ სტანდარტებზე. ისტორიის მეცნიერებაში შესწავლის უმთავრესი საგანია “გლობალური ისტორიის” კონცეპტუალიზება.¹

დღეს უკვე ფართოდაა აღიარებული, რომ ურთიერთობანი, რომლებიც ტრადიციულად ფოკუსირებული იყო ეროვნულ სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთობებზე, “საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობანი”, საგრძნობლად გაფართოვდა, მოიცვა საზღვრებგარეშე არასახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი ე.წ. “ტრანსნაციონალური სამართლებრივი ურთიერთობანი” და მზარდი გლობალური სისტემები, “გლობალური სამართლებრივი ურთიერთობანი”. აქ მოყვანილი სამგანზომილებიანი გააზრება სქემატურია. რა თქმა უნდა, ურთიერთობათა სივრცე გაცილებით ფართო და რთულია.

ამრიგად გამოვყოფთ ისეთ პრობლემურ ფენომენებს, რომლებიც უცხოა ცივილიზაციის ისტორიისათვის ფართომასშტაბიანი ასპექტით: ისლამოფობია და იუდაფობია, ევროკავშირი და ნატო, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო ტერორიზმი და ნარკოტიზმი, ინტერნეტი და იმეილი, გლობალური დათბობა და ოზონის შრის გათხელება, უმრავლესობანი და უმცირესობანი, მსოფლიო ეკონომიკის მონოპოლიზაცია და უკიდურესი სილატაკე, ემნესტი ინტერნეიშენალი და გრინპისი, კოკა - კოლა

¹ Jan Nederweert Picters, Globalization as Hybridization, in M. Featherstone, S. Lash and R. Robertson, Global Modernities, 1995, p.77

და მაკდონალდსი, განუახლებადი ბუნებრივი რესურსების უკონტროლო ექსპლოატაცია და ვუალირებული ნეოკოლონიალიზმი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციები და ქალთა ტრანსნაციონალური კავშირები, “შავი აფრიკა“ და “ყვითელი აზია“, კათოლიკური ეკლესია და მართლმადიდებლობა, რუსოფობია და ამერიკანოფობია, ეთნიკური კონფლიქტები და ადგილნაცვალთა დიდი ტალღა, და ყველა აღნიშნული რეალიების ურთიერთკვეთა და სინთეზი.

ამრიგად, “გლობალიზაცია, არის მრავალსახოვანი და გაუწონასწორებელი პროცესი, რომელიც სავსეა დაძაბულობით და წინააღმდეგობებით აღნიშნულ ფენომენებს შორის. მაგრამ ეს არ არის ანარქიული პროცესი. ის ასახავს ურთიერთობებს პერიფერიულ და სემი-პერიფერიულ გაერთიანებებს შორის“,¹ თუმცა იმანენტურად ითხოვს სამართლებრივ ყალიბს, ნორმირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, გლობალიზაცია ფუნდამენტურ გამოწვევას უყენებს სამართლის თანამედროვე თეორიას. ეს გამოწვევა ოპერირებს ძირითადად, სანტოსის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ორი მიმართულებით: ლოკალიზებული გლობალიზმის და გლობალიზებული ლოკალიზმის მიმართულებით.

პირველი მიმართულების მიხედვით სახელმწიფო სამართალს აღარ ძალუძს იარსებოს გარე, მათ შორის, საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპების რეცეფციის გარეშე. ამ პროცესის თვალნათელი მაგალითებია ადამიანის საყოველთაო უფლებების სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუდმივად გაფართოებადი ზემოქმედება საერთაშორისო და შიდასამართლებრივ ურთიერთობებზე სახელმწიფოსა და სამართლის სხვა სუბიექტებს შორის. დღეს უკვე ფართოდ აღიარებულია ფაქტი იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ანუ “სახელმწიფოთაშორისო“ სამართალს აღარ ძალუძს ადეკვატურად ასახოს და მოაწესრიგოს ისეთი პრობლემები, როგორიც არის გარემო, საერთაშორისო დანაშაულები, ადამიანის საყოველთაო უფლებები გლობალურ დონეზე და ბევრი ის ზემოხსენებული პრობლემური ფენომენი, რომელიც სრულიად უცნობია კაცობრიობის ისტორიისათვის.

¹ Boaventura de Santos, Towards a New Common Sense of Law, Science and Politics in Paradigmatic Transition, 1995, p.262. ბ.სანტოსი უპირისპირებს ერთმანეთს ორ დაწყვილებულ ტენდენციას, ერთის მხრივ, ლოკალიზებულ გლობალიზმს და გლობალიზებულ ლოკალიზმს, და მეორეს მხრივ, კოსმოპოლიტიზმს და კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, იხ. იქვე, 263-265.

მეორე მხრივ, რეგიონალურ დონეზე ახალი სამართლებრივი წესრიგები (მართლწესრიგები) ვითარდება სწრაფად. მაგალითად, ევროპის კავშირი არის the most salient from our vantagepoint. უდავო ფაქტია, რომ ევროკავშირის სამართალი, როგორც იურიდიული ფენომენი, აშკარად ფუნქციონირებს საერთაშორისო სამართლის მიღმა და გარეშე. დღეს სამართლის თანამედროვე თეორიის უმთავრესი თემაა სამართლის და სახელმწიფოს განკერძოებულობა, სამართლის მზარდი განკერძოებულობა სახელმწიფოსაგან და მასზე სამართლის გადამწყვეტი ზემოქმედება.

“Ius Humanitatis“, “Transnational lex Mercatoria“, ისლამური სამართალი, ტრანსაციონალური ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის საყოველთაო უფლებების სამართალი და სხვა სამართლებრივი წესრიგები, ტრანსნაციონალური “მართლწესრიგები“ არის უტყუარი საბუთი სამართლის ახალი, დამოუკიდებელი და უფრო ღრმა კატეგორიის არსებობისა, რომლის სახელია “არასახელმწიფო სამართალი“. თეოპოლიტიკურ ასპექტში, სამართლის მთლიანად, განსაკუთრებით, “არასახელმწიფო სამართლის“ უნივერსალიზაცია უზრუნველყოფს დემოკრატიის გლობალიზაციას მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრიობის უნივერსალიზაციას მივყავართ მსოფლიოს გლობალურ ბიუროკრატიზაციასთან, და ბოლოს, გლობალურ დესპოტიზმთან. ამასთან, გლობალიზაცია არა არის ცალმხრივი პროცესი. მე ხაზს ვუსვამ ურთიერთკონფლიქტურ ტენდენციებს:

- სამართლის ჰომოგენიზაცია და სამართლებრივი მრავალფეროვნება;

- თანამედროვე სამართლის პოლიტიზაცია და პოსტმოდერნისტული პერიოდის სამართლებრივი პოლუცია.

ამ სამ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესს აქვს თავისი გამოხატულება, რასაც შეიძლება ეწოდოს სამართლებრივი პლურალიზმი, მათ შორის ცალკე აღებულ სამართლებრივ სისტემაში. ასეთი გაგებით ცალკე აღებული სამართლებრივი სისტემა არის განუმეორებელი გამა ამ სამი დაწვევილებული პროცესისა, რის შედეგად თითოეული სამართლებრივი სისტემა იძენს ინდივიდუალობას, ხოლო გლობალური მასშტაბით ვიღებთ სამართლებრივი სისტემების პლურალიზმს.

ლოკალურ დონეზე, სამართლებრივი პლურალიზმი ერთი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მოიცავს სამართლებრივი ნორმების და სამართლებრივი წესრიგების სამართლებრივ სისტემას, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვნებით. ამ აზრით, სამართლებრივი სისტემის

პლურალიზმი შედგება სახელმწიფო და არასახელმწიფო ნორმებისა და წესრიგებისაგან.¹

სამართლებრივი პლურალიზმი ეფუძნება იდეას, რომ არსებობს მრავალი რეალური სამართლებრივი სივრცე, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია მათ შესახებ ჩვენი ცოდნისაგან. მაგალითად, პოსტ – დამოუკიდებელ ტანზანიაში ისლამი, ჰინდუიზმი და ჩვეულებითი სამართალი ოფიციალურად იყო აღიარებული როგორც ტანზანიის სამართლის წყაროები. უფრო მეტი, სამართლის ეს წყაროები მოქმედებდნენ ადგილობრივი კანონმდებლობის პარალელურად “მსგავსი სიტუაციაა სულანში, ტანგანიკასა და სხვა პოსტ – ბრიტანულ ქვეყნებში“.

ევროპის სამართალმა შეძლო მოეხდინა საკანონმდებლო სამართლის და პრეცედენტული სამართლის შეხამება, რითაც უარი თქვა როგორც გლობალურ სამართალზე, ისე საერთაშორისო სამართალზე, რადგან შეუგუა ერთმანეთს სამართლებრივ პლურალიზმი ანუ სამართლებრივი მრავალფეროვნება და საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივი პრინციპები ანუ სამართლებრივი ერთფეროვნება.

სამართლებრივი პლურალიზმი ერთი ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში ერთსა და იმავე დროის მონაკვეთსა და სივრცეში გულისხმობს როგორც მრავალწესრიგიანი სოციალური ინსტიტუტების თანაარსებობას, ისე განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციების და სამართლის წყაროების აღიარებას.

დღესდღეობით არა მარტო სამართლებრივი პლურალიზმი, არამედ სახელმწიფო სამართლის პლურალიზმიც აღიარებულია როგორც ფაქტი თითქმის ყველა ქვეყანაში.

და მაინც, სამართლებრივი პლურალიზმი უფრო მეტად ასოცირდება “არასახელმწიფო სამართალთან“, რომელსაც უფრო მეტად მისდევენ და იცავენ შესაბამისი “არასახელმწიფო“ ჯგუფის წევრები, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურები საუბარია, ნორმატიული ფაქტების სამყაროზე.²

¹ ბიძინა სავანელი, სამართლისა და მართლწესრიგის თანაფარდობა სამართლის აზრის წვდომის თვალსაზრისით. სადოქტორო დისერტაციის თეზისები, თბილისი, 1992.

² ქართული სამართლის მეცნიერებაში სამართლებრივი პლურალიზმის იდეა პირველმა განათარა საქართველოში სამართლის თეორიის ფუძემდებელმა, „წითელი პროფესორების“ მეცადინეობით დახვრეტილმა პროფ. გიორგი ნანეიშვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ (1928).

სამართლებრივი პლურალიზმის დღევანდელი გაგება ეხმიანება სამართლის სოციოლოგიის მამამთავრის ევგენი ერლიხის “ჭეშმარი-ტი სამართლის” მოძღვრებას და “სამართლის მოქმედების” თეორი-ის პიონერის კარლ ლეველინის თეორიას.

ამრიგად, სამართლებრივი პლურალიზმის თეორია არის არა მარ-ტო მნიშვნელოვანი ნაბიჯი “რეალიზმისაკენ”, არამედ იმ იდეის სრუ-ლი დეკორონაცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ფლობს სამარ-თლის შემოქმედების მონოპოლიას. აქედან გამომდინარე, სამართლის ფუნდამენტური ფუნქცია იყოს კონფლიქტების პერევენციის და დავეების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური საშუალება, განხილული უნდა იქნას, უპირველეს ყოვლისა “არასახელმწიფო სამართლის” დონეზე ერთი ქვეყნის ჩარჩოებში, განსაკუთრებით, კერძო სამართლ-ის დონეზე.

უფრო მოკლედ და კონკრეტულად, ზემოაღნიშნული ფაქტიუ-რი მდგომარეობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ადამიან-ის ყოველდღიური ცხოვრება და მოღვაწეობა იშლება ნორმატული პლუ-რალიზმის სივრცეში. ამ ფაქტის უგულვებელყოფა ნიშნავს ტლანქ ზეწოლას ადამიანის ბუნებაზე, ხოლო რეალ – პოლიტიკაში დიქტა-ტურამდე მიყვავართ.

აქ იკვეთება განსხვავება სამართალსა და მართლწესრიგს შორის. სამართალი აერთიანებს, ხოლო მართლწესრიგი აცალკევებს. ეს არის მუდ-მივი ბუნებრივი დიალექტიკური პროცესი. სამართალი მონისტურია, მართლწესრიგი კი პლურალისტური. ამოცანა მათი დაახლოება, მათი ერთი საბოლოო მიზნისაკენ წარმართვაა. ეს საბოლოო მიზანი ადამიანია.

ჯერ კიდევ იერემია ბენტამი განიხილავდა თავს მსოფლიოს მოქა-ლაქედ.¹ სწორედ ადამიანი, და არა სახელმწიფო და ხალხი, არის სამართლის უნივერსალური სუბიექტი. ადამიანის ამ თვისების დაცვ-ის უზრუნველმყოფი ძალა ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამარ-თალია, როგორც “კაცობრიობის ერთადერთი საერთო სალაპარაკო ენა”. (იხ. ვენის 1993 წლის დეკლარაცია).

ამ თვალსაზრისით, მონიზმი და პლურალიზმი არის ერთიანი პროცესი, რომელიც აყალიბებს სამართლის ახალ სინთეზურ იერარ-ქიულ სისტემას მსოფლიო მასშტაბით. ასეთი სისტემის მწვერვალი “Grundnorm” არის ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი.

¹ Mary Mack, Jeremy Bentham: The Odyssey of Ideas (1992)

კელზენმა სამართლის ყველა ნაციონალური სისტემა გააერთიანა საერთაშორისო სამართლის ქვეშ. ჩვენ კი ვაერთიანებთ საერთაშორისო სამართალს და შიგასახელმწიფო სამართალს ერთი უნივერსალური სამართლის ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის ქვეშ, ვიყენებთ რა კელზენ-მერკლის “საფეხუროვან” თეორიას, როგორც ფორმას. ამ ფორმის შინაარსი არის ადამიანის ბუნებითი უფლებები, რომლის რეფლექსიას და ემანაციას უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი სამართალი “საკანონმდებლო, პრეცედენტული თუ ჩვეულებითი”. ადამიანის ბუნებითი უფლებები ანიჭებს აზრს ადამიანის სიცოცხლეს პლანეტაზე.¹ შესაბამისად, ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი წარმოადგენს სამართლის უნივერსალურ თეორიას გლობალურ პერსპექტივაში.

¹ ნაშრომის ეს ნაწილი 2001 წლის 7 მაისს დავასრულე. 11 სექტემბერს კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. არადა, 1993 წლის ბოლოს ტელევიზიით განაცხადე: “გაელენის სფეროების დღევანდელი გადანაწილება უღლეურია, მოჩვენებითია, რადგან აღმოსავლური “რენესანსი” ისლამური ფუნდამენტალიზმის ფარაჯაში მარშით გაივლის მსოფლიოს. ამის პირველი და სერიოზული ნიშანი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაა, უახლოეს მომავალში... ჩრდილო კავკასია და შემდეგ – 38-ე პარალელის გაყოლებით... თუ დასავლეთსა და რუსეთს სურთ თავიცი და ცივილიზაციაც გადაარჩინონ, მით უმეტეს რუსულ მესიანიზმს ამის პრეტენზია აქვს, მათ მთელი თავისი ძალისხმევა ფართო ფრონტით უნდა მიმართონ აღმოსავლეთის დეფუნდამენტალიზაციის და ქრისტიანული ქვეყნების კონსოლიდაციისაკენ, რადგან ქრისტიანობა ზედმეტად მიმტვევებელი აღმოჩნდა”. (იგივე, იხ. ბ.საჟანელი. ბრძოლა უფლებისათვის, კრებულში – “სამართლის რეფორმა საქართველოში”. თსუ-ს გამომცემლობა, 1994, გვ.23)

და აქციათ დაბადა რეაქცია: აშშ-ი, ისრაელის რეჟიმის ერთადერთი თავაპოდებული დამცველი, 11 სექტემბერს გახადა ენთოგამოუთქმელი, ბარბაროსული აქტის სამიზნე 38 (!) პარალელზე, რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე ათასი სრულიად უდანაშაულო ადამიანი. არადა, იგრძნობა, რომ კაცობრიობა ივიწყებს 11 სექტემბერს. ვაშინგტონი, ნიუ იორკი და მადრიდი 38-ე პარალელის სივრცეში მღებარებენ.

ფრთხილად! ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი 38-ე პარალელზე გადის.

3. სამართალი, რელიგია, ეკოლოგია

“უმალესი ღირებულებანი უცხოა მასებისათვის, და ღღეს, როდესაც მთელი მსოფლიო იმყოფება ცდომილებაში, როგორღა შემიძლია გავუძღვე მას, თუმცა კი ვიცი ჭეშმარი-ტი გზა? და მე თუ ვიცი, რომ არ შემიძლია და მაინც ვცდილობ მიუაღწიო წარმატებას, ხომ არ ვეჭმნი ამით კიდევ ერთი ცდომილების წყაროს? ხომ არ სჯობს თავი დაეანებო ბრძოლას? მაგრამ თუ მე არა, მაშენ?”

ჩუჟან-ძი (IV ს. ჩვენს ერამდე).

ჩვენი პლანეტა ავადა და მისი სიმპტომური მკურნალობა უშედეგოა. უნდა მოიძებნოს ავადმყოფობის სიღრმისეული მიზეზები, რომლებიც დაილეკა ტვინის არაცნობიერ შრეებში ადამიანის ძნელადმართვადი აგრესიული მიდრეკილებების სოციალურ სტერეოტიპად ჩამოყალიბების შედეგად. საუბარია ანთროპოლოგიურ კატასტროფაზე, იმ გარემოებაზე, რომ ადამიანი “ადამიანად” ვერა და ვერ ჩამოყალიბდა, რომ არსებითად იგი წარმოადგენს მოდიფიცირებულ ცხოველს.

კაცობრიობის პროგრესული წარმომადგენლები ცდილობდნენ იდეოლოგიური მითებით შეელამაზებინათ ადამიანთა საზოგადოების ფასადი, გარეგნულად მაინც შეეცვალათ ვამპირის სახე. ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მაღალზნეობრივ ბრძენკაცთა კეთილშობილური ცდა სხვადასხვა რელიგიური სისტემების შეთხზვის გზით სოციალური კავშირების ჰუმანიზებისა, უშედეგო აღმოჩნდა: ღმერთის მიწიერმა “წარმომადგენლებმა”, ღმერთის ნების დამამკვიდრებლებმა ვერ დაარწმუნეს ადამიანი, რომ ის არ არის სამყაროს ცენტრი, რომ სამყაროს ენერგია ღმერთშია აკუმულირებული.

ადამიანი განუდგა ღმერთს, დაივიწყა, რომ ღმერთს არ მიუნიჭებია ბუნებაზე ბატონობის უფლება, რომ ეს მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა. ადამიანმა დაიწყო ღმერთის ფუნქციების შესრულება: შეუდგა ახალი სამყაროს მშენებლობას ისე, რომ არ შეუსწავლია “საამშენებლო მასალის” სიმკვრივე და გამძლეობა. ასეთი თვითნებობის გასამართლებლად ადამიანმა შექმნა ადამიანი-ღმერთის სახე, ღმერთს ადამიანის იერი, გამომეტყველება და გარეგნობა მისცა.

შექმნა რა ადამიანი-ღმერთი, ადამიანმა მოახდინა თავისი გონების ობიექტივირება და ამ გზით გარემომცველი ბუნებისა და მთლიანად

სამყაროს კოლონიზაცია, თავი წარმოიდგინა სამყაროს ცენტრად, რადგან მის შემქმნელად თავისი მსგავსი არსება აღიარა. უფრო მეტი, „თავხედობა“ იქამდეც კი მივიდა, რომ მოისურვა ადამიანის ახალი სახეობის შექმნა „გენური ინჟინერიის“ მეთოდის გამოყენებით, რითაც სცადა ღმერთის ადგილის სრული ოკუპაცია, მაშინ როდესაც თვით იგი, ისევე, როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, „გენური ინჟინერიის“ შედეგია (რამდენად სრულყოფილი – ეს სხვა საკითხია). კაცობრიობის ტრაგედის სათავე ისაა, რომ მან დაივიწყა ღმერთი და მთელი ყურადღება ძეღმერთზე გადაიტანა.

აქედან იღებს სათავეს ადამიანის ყველა ცოდვა. ადამიანი დიდი ხანია არ არის ღმერთის მოშიში, რადგან მისი აზრით ძეღმერთი მიმტევებულია. ადამიანი ცოდვის ჩადენის შემდეგ მიმართავს ძეღმერთს და ითხოვს შეწყალებას, მეორე წუთსავე ჩადის მეორე ცოდვას და ასე უსასრულოდ. საბოლოო ჯამში ადამიან-ღმერთზე ორიენტირებულმა რელიგიებმა ვერ იხსნა კაცობრიობა, რადგან ადამიანს ამპარტავნობა ქედმალლობა და სიზარმაცე გამოუმუშავა. ასეთი რელიგიები ვერ დაეხმარა ადამიანს გაერღვია ბარბაროსული ყოფიერების ჯებირი. ადამიანი გაორდა. ერთი მხრივ, იგი შეიგრძნობს აშკარა უპირატესობას ყველა მისთვის ცნობილ არსებასთან თუ მოვლენასთან შედარებით პლანეტაზე, მეორე მხრივ, გარემომცველი ბუნების შემეცნების პროცესში რწმუნდება სამყაროს უსასრულობასა და შეუცნობლობაში, და რაც უფრო ღრმად იჭრება სამყაროს მოვლენათა არსში, მით უფრო ეუფლება ამოების გრძნობა. უფრო მეტი, ზღვარდაუდებელმა ნების თავისუფლებამ კაცობრიობა მე-20 საუკუნეში რამდენჯერმე მიიყვანა პლანეტური ხასიათის კატასტროფის პირას, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისში მას დაემატა გლობალური ეკოლოგიური კრიზისი და სიონიზმის გამძვინვარება, რომელიც პროგრესულად ღრმავდება. თავისუფალი ნება თვითნებობად იქცა. 11 სექტემბერი იყო თუ არა პროვოცირებული, ეს მიუკერძოებელი და კომპეტენტური გამოძიების საქმეა, მაგრამ ფაქტია, რომ გაეროს მიერ აშშ-ის არასანქცირებული „კუმანტარული ინტერვენცია“ ერაყში და ხელისუფლების ძალადობრივი გადატრიალება პლანეტური კატასტროფის დასასრულის დასაწყისის პირველი სიმპტომია.

ამის გამო, ზიანი, რომელიც ადამიანმა ბუნებას, აქედან გამომდინარე თავის თავს მიაყენა, განუზომლად დიდია, ვიდრე ის სიკეთე, რომელიც ბუნებაში შეიტანა. მთელი ტრაგედია ის არის, რომ დისბალანსი კასტროფულად იზრდება. ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულება ადამი-

ანზე, როგორც ზნეობრივ და თავისუფალ არსებაზე, რომელსაც შემდგომში გარიგებითი ცივილიზაცია აფუჭებს, მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული იუდეურ-ქრისტიანული შეხედულებებისაგან, რომელიც ადამიანს განიხილავს როგორც ზნედაცემულ არსებას, რომელსაც ეკლესიის მეშვეობით სჭირდება ცოდვების მონანიება და გადარჩენა.

სწორედ ამიტომ, ეკოლოგიური ეთიკის მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა აკრიტიკებს სიონიზმს (და არა იუდაიზმს) იმის გამო, რომ მან დასაბამი მისცა ფილოსოფიას, რომელიც ამართლებს ადამიანის ყოველგვარ ქმედებას ბუნების მიმართ. ამ მეცნიერთათვის მიუღებელია იუდაიზმის ზოგიერთი პრინციპი:

1. ღმერთმა შექმნა ადამიანი სახით თვისით;
2. ღმერთმა მიანიჭა ადამიანს უფლება იბატონოს ბუნებაზე;
3. ღმერთმა მიანიჭა ადამიანს უფლება გარდაქმნას ბუნება;
4. ღმერთმა შექმნა იერარქია: ღმერთი, ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, თევზი, ქვეწარმავალი და ბოლოს უსულო ბუნება;
5. რამდენადაც ღმერთმა შექმნა თავისი მსგავსი არსება, ამიტომ ყველაფერი დანარჩენი არასრულყოფილია;
6. ადამიანი არის დედამიწაზე ბუნების არსებობის გარანტი, ყველაფერი დანარჩენი არის საშუალება ადამიანის მიერ ბუნების რაციონალური გარდაქმნისათვის;
7. და ბოლოს, ადამიანის გარემომცველი ბუნება გამოცხადებულია ღმერთის - იეღოვას მტრად ¹.

ეკოლოგიური ეთიკის მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა ასევე აკრიტიკებს ქრისტიანობას იმის გამო, რომ მან მექანიკურად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გადმოიღო იუდაიზმის ზემოაღნიშნული პოსტულატები.

ამავე დროს, ეკოლოგიური ეთიკის მეცნიერების წარმომადგენლები ადამიანისაგან ბუნების დასაცავად დღევანდელ მოძრაობას უკავშირებენ ქრისტეს წინარე ძველ ბერძნულ, რომაულ მითოსს და ფილოსოფიას, და მათში ნახულობენ დასავლური ცივილიზაციის სათავეებს. სხვათა შორის, მხედველობაში აქვთ: მილეთის იდეოლოგია ცოცხალი კოსმოსის შესახებ, ჰერაკლიტეს იდეები ბუნებრივი პრო-

მარქსიზმი შეიძლება განვიხილოთ იუდაიზმის ნაირსახეობად, ოღონდ ღმერთის გარეშე. ღმერთის ადგილი მარქსმა პროლეტარიატს მიუჩინა. წარგადასული მკრეხელობაა, დამეთანხმებით! არა და, გარემომცველი ბუნება ადამიანის მეგობარია, ხოლო ადამიანი - ბუნების მტერი, მაშასადამე თავის თავის.

ცესების ონტოლოგიის შესახებ, პითაგორას აზრები ადამიანის და ცხოველთა ნათესაობის შესახებ. მათთვის მიუღებელია ადამიანის გარემომცველი ბუნების შეფასება, როგორც პასიურის და ქაოსურის. მტკიცება, რომ თითქოს ადამიანს შეაქვს წესრიგი ბუნებაში, არის პროფანაცია. სხვათა შორის, “კოსმოსი” ბერძნული სიტყვაა და წესრიგს ნიშნავს.

ეკოლოგების მიერ შემუშავებულ მსოფლიოს გადარჩენის გეგმას, მისი გულწრფელი აღიარებისა და უთუო შესრულების შემთხვევაში, შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს სიტუაცია პლანეტაზე, მაგრამ როგორც ვხედავთ ეს იმედი არარეალურია. ბოროტების ფესვი სათავეს ასევე იღებს პოლიტიკური ინერციიდან, რომელიც ყოველთვის იტყუებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკურ ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელს ვიწრო ნაციონალიზმისა და რელიგიური სეპარატიზმის უძირო ჭაობში. მსოფლიო ბატონობის მათი ახლომხედველი ეგოიზმი მაგონებს რუსოს ერთ იგავს: “ხუთი მშვიერი მონადირე ჩასაფრდა ჩირგვებში ირემის მოლოდინში. გამოჩნდა მსხვილი ირემი, რომელიც პირდაპირ მათკენ მოემართებოდა. უცებ იქვე ბუჩქიდან გამოხტა პატარა კურდღელი, მას ერთ-ერთმა მონადირემ ესროლა, კურდღელი გადარჩა, ხოლო ირემი დაფრთხა და გაიქცა. მონადირეები დარჩნენ მშვივრები...”

მოსაზრება იმის შესახებ, რომ პლანეტაზე არსებული ნებისმიერი უსულო და სულიერი არსება, დროში თუ სივრცეში განფენილი ნებისმიერი ობიექტი, დედამიწის პირის ქვემოთ თუ ზევით არსებული ენერჯიამატარებელი (გარდა ადამიანისა) თითქოს წარმოდგენდეს ადამიანის კუთვნილებას, ღმერთის მიერ მხოლოდ ადამიანისათვის ნაბოძებ ფასეულობას, არის მაენე, დამანგრეველი, მკრეხელური.

ასეთ შემთხვევაში ადამიანი ნამდვილად წარმოგვიდგება როგორც უნივერსალური მხეცი – იგი ყველას ჭამს, მას არაფერ არ ჭამს, იგი ყველაფერს ანადგურებს, მაგრამ მისი განადგურება არაფერს, გარდა თვით ადამიანისა, არ შეუძლია. მაშინ როდესაც პლანეტის შიგნით, პლანეტის ზედაპირზე და პლანეტის გარეთ მყოფი ნებისმიერი არსება, ობიექტი თუ ენერჯია თანაბრად ეკუთვნის ყველას და ყველაფერს. სამყაროს ნებისმიერი ნაწილი სამყაროს სხვა ნაწილების საკუთრებაშია და, იმავე დროს, არის ამ სხვა ნაწილების მესაკუთრე. ესაა ბუნების ჰარმონია, საიდანაც ადამიანი ამოვარდნილია.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ზოოპარკის შესასვლელში ჩამოკიდებული სარკის ქვეშ წარწერაა: “შეჩერდით, ჩაიხედეთ ამ სარკეში და თქვენ დაინახავთ ყველაზე ბოროტ არსებას,

რომელიც ანგრევს იმას, რაც თვითონ არ შეუქმნია“. მართლაც, თუ ყველა სხვა ცოცხალი არსება “მკაცრად“ ჩართულია მიზეზშედეგობრივი კავშირების ჯაჭვში, ადამიანი ამ ჯაჭვიდან ამოვარდნილია ისე, რომ არსობრივად უპირისპირდება, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს, როგორც ბუნების ნაწილს. თავისუფალი ნება სასარგებლო, “მომგებიანი“ მხოლოდ ცალკეული ადამიანისათვის გამოდგა, მაგრამ საბოლოო ჯამში მხოლოდ საზიანო ბუნებისათვის და კაცობრიობისათვის, ე.ი. თითოეული ადამიანისათვის.

ღმერთთან დაპირისპირებულ ადამიანს ე. ფრომმა “ბუნების სიმახინჯე“ უწოდა, და მართლაც ყველა არსებისათვის იმთავითვე მკაცრად განსაზღვრულია არსებობისათვის ბრძოლის სივრცე და ობიექტები, მაშინ როდესაც აღნიშნული კომპონენტები ადამიანისათვის ზღვარდაუდებელია, მას შეუძლია გაანადგუროს ყველა და ყველაფერი, რაზეც კი პრაქტიკულად ხელი მიუწვდება, იმისდა მიუხედავად, სჭირდება ეს თუ არა მას. ბუნებაში არსებულ სიკვდილ-სიცოცხლის ბალანსში ადამიანს დისბალანსი შეაქვს.

ნიცშემ და კიერკეგორმა ყურადღება მიაქციეს იმ პარადოქსულ ფაქტს, რომ ადამიანთა უმრავლესობა უარს ამბობს იმ თავისუფლების გამოყენებაზე, რომელიც მას და მთლიანად საზოგადოებას სარგებლობას მოუტანდა, და პირიქით, უარს არ ამბობს იმ ინსტინქტებზე, რომლებიც წამიერი თუ წუთიერი სიამოვნების მომგვრელია, მაგრამ საბოლოო ჯამში საზიანოა, ზოგჯერ კი მომაკვდინებელიც მისთვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. ე. ფრომის სიტყვებით: “ადამიანი გაურბის თავისუფლებას“ – ეს არის მეოცე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი შემადრწუნებელი აღმოჩენა.

თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოებისათვის სასარგებლო მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილების ოპტიმალური, მისაღები და ეფექტური საშუალებები, რომლებიც აკუმულირებულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლება-თავისუფლებებში, უცხოა ფილისტერისათვის, სამაგიეროდ მას იზიდავს საარსებო საშუალებათა და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების არაცივილიზებული, ზოგჯერ კი ველური ფორმები, დაწყებული ტყის მთელი მასივების განადგურებიდან სპორტის სასტიკ სახეობებამდე, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ადამიანი “ხორცის უნივერსალური მჭამელი“ არსებაა.

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება-თავისუფლებების მინიმალური პროპაგანდის არარსებობის გამოც მკვეთრად იმატა სისას-

ტიკემ. ადამიანი დაშორდა თავის არსს, ადამიანის არსი კი მდგომარეობს მის არაცნობიერ სწრაფვაში, დასძლიოს თავისი ბანალური არსებობა დროში და გაიჭრას ტრანსცენდენტულ (უდროო) ყოფიერებაში.

ადამიანი არსებით აგრესიული არ არის, ის გახდა აგრესიული, გამოუმუშავდა მიდრეკილება სისასტიკისაკენ, როგორც შეძენილი რეფლექსი. ბუნებისათვის უცხოა სისასტიკე, რადგან სისასტიკეს არ გააჩნია ფილოგენეტიკური პროგრამა, არ ემსახურება ბიოლოგიური ადაპტაციის მოთხოვნილებას. მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით შეუძლია ჩაიდინოს მხოლოდ ადამიანმა, მხოლოდ იგი შეიძლება იყოს საღისტი და ნეკროფილი. ამიტომ ამბობენ, რომ მხოლოდ ადამიანია მკვლელი.

თვით ფროიდმაც კი თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში შეცვალა თავისი ამოსავალი პოზიცია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიცოცხლე იმართება არა ორი ინსტინქტით – შიმშილითა და სექსით, არამედ ორი ვნებით – სიყვარულით და აგრესიულობით, და ეს ორი ვნება ემსახურება ფიზიოლოგიურ გადარჩენას. ეს ორი ვნება აბალანსებს ურთიერთობას “სიცოცხლესა“ და “სიკვდილს“ შორის. ჩვენი აზრით, ამ ბალანსს არღვევენ შეუზღუდავი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ინსტიტუტები, ისინი ხელს უწყობენ უსამართლობის დამკვიდრებას, შეუზღუდავი ხელისუფლებისაკენ სწრაფვას, სისასტიკეს, ინდიფერენტიზმს, ბიუროკრატიზმს, ნარცისიზმს, მლიქვნელობას, დეპერსონალიზაციას, ამკვიდრებენ არა სამართლის, არამედ კანონის დიქტატურას, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ტოტალიზმამდე, გლობალური მასშტაბების აგრესიულობამდე.

ამ პროცესის დამადასტურებელი პარადოქსული სტატისტიკა მოკვავს ცნობილ მკვლევარს – კრაიტს: ევროპის კონტინენტზე შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვმა მეთხუთმეტე საუკუნეში შეადგინა 45, მეთექვსმეტე საუკუნეში – 87, მე-17 საუკუნეში – 239, მე-18 საუკუნეში – 751, მე-19 საუკუნეში – 781, მე-20 საუკუნეში – 892. ასეთი საგანგაშო სტატისტიკა დაადასტურეს სხვა მკვლევრებმაც. ამრიგად, რაც მაღალია ცივილიზაციის დონე, მით მეტია კონფლიქტები და პირიქით. საოცარია და ღრმად დამაფიქრებელი...

დებულება იმის შესახებ, რომ საზოგადოებას არ შეუძლია იცხოვროს მაკონტროლებელი ხელმძღვანელების გარეშე – წმინდაწყლის მითია, რაც უარყოფილია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს პარტიკულარური სოციალური სისტემებით, რომლებიც მშვენიერ-

ად ფუნქციონირებენ ყოველგვარი იერარქიის გარეშე. ერთადერთი სტრუქტურა, რაც შეიძლება შენარჩუნებული იქნას, ეს ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტებია.

ამრიგად, თავისუფლების გაგება, როგორც მხოლოდ სამყაროს გარდაქმნისაკენ სწრაფვა, სატანის “შემოქმედების” შედეგია.

სად არის გამოსავალი? უპირველეს ყოვლისა, ღმერთს უნდა ჩამოვაშოროთ ადამიანის სახე, რადგან ჯერ არავის უნახავს სამყაროს შემოქმედი. წარუმატებელი შიში ადამიანი-ღმერთის წინაშე უნდა შეიცვალოს შიშით ბუნების წინაშე. გამოსავალი ეკოლოგიური რელიგიის შექმნაშია. უნდა გაიფანტოს ილუზია იმის შესახებ, რომ მხოლოდ ადამიანია უმაღლესი ენერჯის მატარებელი. ასეთი თვისება კაცობრიობამ ოფიციალურად უნდა მიანიჭოს იმ მოვლენებს, რომლებიც ასეთ ენერჯიას ფლობენ, და რომელთაგან თვით ადამიანი იღებს სასიცოცხლო და საარსებო ენერჯიას. ესენია: მზე, მიწა და წყალი. ამრიგად, საუბარია პირველყოფილი რელიგიის ახალ, ცივილიზებულ ფორმაში აღორძინებაზე, რომელსაც ჩვენ ეკოლოგიურ რელიგიას ვუწოდებთ. მისი ძირითადი მიზანია გლობალური მასშტაბით “აზროვნების ეკოლოგიზაცია” მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაითრგუნოს ადამიანში მისთვის დამღუპველი ქედმაღლობა და სიზარმაცე.

ადამიანს შეუძლია თქვას: “მე ვარ ის, რაც უნდა ვიყო”, ღმერთი ამბობს: – “მე ვარ ის, რაც ვარ”. ადამიანი არასდროს “არაა”, ის ყოველთვის “ქმნადია” და სასრულია, ღმერთი მარადიულია და უსასრულოა. ღმერთი არის ძირითადი ნორმა, რომლისგანაც სათავეს იღებდა, იღებს და მიიღებს “არსებულის არსებობა”. სიცოცხლის შემოქმედი არის ზეგონიერი არსება – ღმერთი, ეს უდავოა, მაგრამ რატომ ვათავსებთ მას ადამიანის სხეულში და მის საზღვრებში?

რელიგიის ჩვენეული გაგება საფუძველშივე ხსნის წინააღმდეგობას ძირითად რელიგიურ სისტემებს შორის, თითოეული რელიგიის ფარგლებში სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის, იმთავითვე სკობს მრავალი ღმერთის არსებობის დაშვების შესაძლებლობასაც კი. პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა რელიგიურმა ცენტრებმა შეთანხმებულად უნდა დაამკვიდროს ერთი ღმერთის არსებობის იდეოლოგია. რელიგიური სეპარატიზმი – აი, დღევანდელი ტრაგიკული სინამდვილე და ადამიანთა მოდგმის დაღუპვის რეალური “შანსი”.

რელიგია არის ადამიანისა და სამყაროს კავშირი უპირობო საწყისთან, რომელსაც ობიექტურად არსებულის ყველა წერტილი თანაბარი სხივებით უერთდება. ამ ფენომენის რეალობის უარყოფა გაპირობებულია იმით, რომ ადამიანთა ყოფა გათიშულია და დაპირისპირებულია. ამ გათიშულობისა და დაპირისპირებულობის ძირითადი მიზეზი პოლიტიკაა, უფრო ზუსტად, პოლიტიკოსთა ელიტა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკას მიიჩნევს ჭეშმარიტ ყოფიერებად და ტრიალებს პოლიტიკური იდეოლოგიის „მოჯადოებულ წრეში“, გამოდევნის რა ამ წრიდან ყოველგვარ ზნეობრივსა და სამართლებრივს. ამას ემატება ხელისუფლებისათვის ბრძოლის ავექტირებული ყინი, სახელმწიფოებრიობის გაღმერთება და მასში ადამიანთა კეთილდღეობის საწყისის ძებნა.

დღევანდელი პოლიტიკური „ღირებულებები“ წარმართული ხანიდან იღებს სათავეს: კეისარი ღმერთად აღიარებს, პიტლერს და სტალინს თაყვანი სცეს როგორც ღმერთებს, სახელმწიფოს მინიჭებს ეკლესიის სტატუსი, ხოლო ერთი უფუნქციოდ დატოვებს. განა ეს არ არის მკრეხელობის უმაღლესი ინსტანცია? ნ. ბერდიაევმა ასე დაახასიათა რუსული ტოტალიტარიზმი: „რუსული მოძალადე სახელმწიფოებრიობა არის ორგანიზებული ბოროტება, ღვთაებრივი კანონების ორგანიზებული გათელვა. რევოლუციამ ვერ მოწყვიტა პოლიტიკა მარადიული ღირებულებებისაგან, შეძლევ კი ყველა ღირებულება დაუქვემდებარა პოლიტიკას, ადამიანის ფიზიკური განადგურება აღიარა კაცობრიობის ნათელი მომავლის საშუალებად. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა იგივე მხეცის სახე“. პოლიტიკოსებმა უფრო ზუსტად, პოლიტიკანებმა, ვერა და ვერ გაითავისეს მარტივი ჭეშმარიტება, რომ რაციონალური გზით შეუძლებელია კაცობრიობის მოწყობა ღმერთის გარეშე და ღმერთის საპირისპიროდ, ადამიანის სრული გაუპიროვნებლობა.

მხოლოდ რელიგია კლავს ადამიანში პირველყოფილი მხეცის სტერეოტიპს და საზრისს აძლევს ადამიანის და სამყაროს ყოფას და ყოფნას, ამოჰყავს ადამიანი და სამყარო სიცარიელის უფსკრულიდან მაშინ, როდესაც სახელმწიფოს გაღმერთებას მივყავართ სატანიზმის ნამდვილ კულტთან.

რატომ ირწმუნა ა. აინშტაინმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ღმერთი? მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ შეძლო შეექმნა სამყაროს მათემატიკური მოდელი. სამყარო უსასრულოა, ამიტომ შეუცნობადი. ის არის ღმერთი!... ეს ღებულება უნებურად დაასაბუთეს

ჯერ ასტრონომებმა, შემდეგ კი ფიზიკოსებმა: მათ დაამტკიცეს მუდმივად გაფართოებადი სამყაროს თეორია. ასევე დასაბუთდა, რომ არსებითად ადამიანი “არ ფართოვდება“, მისი ფსიქოფიზიკური და სულიერი მოცემულობა მუდმივია, რადგან არ შეუძლია თავისი თავიდან “გამოსვლა“. მას არ შესწევს უნარი მინიმალური დოზით მაინც ჩაერთოს სამყაროს გაფართოების პროცესში. ამიტომ ადამიანი ორიენტირებული უნდა იყოს არა თავის თავზე, არამედ ბუნებაზე და მხოლოდ მისი მეშვეობით – საკუთარ თავზე.

აქ იკვეთება საზრისის წვდომის პრობლემა, ადამიანის ბუნებაში “ყოფნის“ პრობლემა. ადამიანი განიხილება არა იმდენად ადამიანთა საზოგადოების წევრი, არამედ როგორც ბუნების მოვლენათა ოჯახის წევრი და მხოლოდ ამ კუთხით ისმება ადამიანის ყოფიერების საზრისის წვდომის საკითხი, ადამიანის ბუნებაში და არა მის გარეთ “ყოფნის“ პრობლემა, ადამიანის გააზრება ბუნების მექანიზმის ერთ-ერთ აგრეგატად. ერთი სიტყვით, ისმის ადამიანის დერაციონალიზაციის საკითხი, მისი მდგომარეობის გარკვევა ბუნებაში და ბუნებისა – მასში. პირველს სწავლობს საბუნებისმეტყველო, ხოლო მეორეს – ჰუმანიტარული მეცნიერებანი.

მიზანი ერთია, დავაბრუნოთ ადამიანი ბუნებაში! მაშინ რა ვუყოთ ადამიანის თავისუფალ ნებას, დავრთვუნოთ იგი?! არა, მაგრამ ადამიანი უნდა გავათავისუფლოთ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებას ანიჭებს ბუნება, ეკოლოგიის ნორმები, “ეკოლოგიური კოდექსი“. ნებისმიერი სოციალური საკითხის გადაწყვეტისას ჩვენ თითოეულ შემთხვევაში უნდა ვახდენდეთ “აპელირებას“ ეკოლოგიის ნორმებთან, ე.ი. ამა თუ იმ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით ვაფასებდეთ, რამდენად გამოსადეგია იგი არა ადამიანისათვის, არამედ ბუნებისათვის, მათ შორის, ადამიანისთვის, როგორც ბუნების ნაწილისთვისაც. ფორმულა “არ ავ-ნო“ შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: “ის, რაც მავნეა ბუნებისათვის, მავნეა ადამიანისათვის, ხოლო ის, რაც მავნეა ადამიანისათვის, ყოველთვის არ არის მავნე ბუნებისათვის“. იბადება კითხვა: ვინ უნდა იყოს “კანონმდებელი“ ეკოლოგიაში? უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, ფართო პროფილის ექსპერტი-ეკოლოგი. ექსპერტი-ეკოლოგები ხელისუფლების ატრიბუტიკით უნდა აღიჭურვონ.

ცენტრალური საკითხი, რომელიც ყველა შემთხვევაში ისმის, ერთია: როგორ “უნდა“ იქცეოდეს ადამიანი ბუნების მიმართ? ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი სიტყვა ეკოლოგიურ სამართალს ეკუთვნის, ე.ი. იმ

სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს ფიზიკური თუ იურიდიული პირების ურთიერთობას ბუნების ობიექტებთან. ამ თვალსაზრისით ეკოლოგიურ სამართალს სიცოცხლე-შემოქმედებითი მუხტი შემოაქვს, რადგან ორიენტირებულია ადამიანისა და ბუნების ინტეგრაციაზე, მათი ურთიერთობის ჰარმონიზაციაზე, იურიდიული ერთად — ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის რეგულირებაზე.

სამართალი აწესრიგებს რა ადამიანის მოქმედებას ბუნების მიმართ, გარკვეული აზრით არეგულირებს „ბუნების“ უკუქმედებას ადამიანზე. ამ თვალსაზრისით ეკოლოგიურ სამართალს არსებითი კორექტივი შეაქვს სამართლის, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებლის გაგებაში. ფართო აზრით სამართალი აწესრიგებს ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობას, რადგან ბუნებაში ჩადებულია საზრისი ღმერთის მიერ და ამ საზრისის წვდომისაკენ არის მიმართული ადამიანის სული.

უდავოა, რომ რელიგიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა და ახდენს ადამიანის გაადამიანურებაში, მაგრამ კაცობრიობის ისტორია რჩება დანაშაულებრივი. მწარე სინამდვილეა ლ. ტოლსტოის სიტყვები: „განა ჩვენ არ ვართ მოვლენილი ამ ქვეყანაზე იმისათვის, რომ გვძულდეს ერთმანეთი და ამიტომ ვაწამოთ თავი და სხვები?“ ბოროტების ფესვები უნდა ვეძებოთ არა სოციალურ სტრუქტურებში, პოლიტიკურ რეჟიმებში ან სიკეთეთა უსამართლო განაწილებაში, არამედ ადამიანის დასახინჩრებულ სულში.

ბოროტი ძალების მიერ ინდივიდზე ერთხელ მიწეპებული და შემდგომ მათ მიერვე მრავალჯერ განმეორებადი იარლიყი წარმოშობს სტერეოტიპს. სისტემად ქცეული ეს პროსაბჭოური იდეოლოგიური მოდელი ამახინჯებს ადამიანების და შემდეგ მთელი საზოგადოების მენტალიტეტს, ხელისუფლებაში და ელიტაში მოდინ კაცებად ხელოვნურად აღიარებული არაკაცები, ხოლო კაცები ცხადდებიან არაკაცებად. მათ ემატებათ ეშმაკისთვის სულმიყიდული ზოგიერთი განათლებული მანქურთი, რომელიც გარეგნულად აფერადებს ქვეყნის პოლიტიკურ ფასადს.

ზოგიერთი ხელისუფალის სიცრუე და ორპირობა ხდება სოციალური თანაცხოვრების ნორმა. არსებობის შენარჩუნების მიზნით საზოგადოების ქვედა ფენები ითავსებენ ამ ნორმას, აქცევენ თავიან-

თი ყოველდღიური ქცევის მოდელად. ასე ყალიბდება დანაშაულებრივი საზოგადოება, და ამიტომ გაურბის ადამიანი თავისუფლებას!

ამიტომ, სანამ დავიწყებდეთ ფიქრს იმაზე, თუ როგორ გადავარჩინოთ ბუნება, თავი დავაღწიოთ შიმშილს, ომებს და სტიქიას, მანამ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გავიაზროთ – როგორ უნდა გავაადამიანუროთ ადამიანი, როგორ გავხადოთ იგი არა მარტო შეგნებულნი, არამედ რაც მთავარია, სინდისიერი. ყველაზე საშინელი, რაც კი ელოდება კაცობრიობას, მდგომარეობს არა ატომურ, სითბურ და მისთანა საფრთხეში, არამედ ანთროპოლოგიურ კატასტროფაში, ადამიანში ადამიანურის მოსპობაში, ადამიანის დეკუმანიზაციაში.

თანამედროვე გლობალისტიკაში აღიარებულია, რომ მსოფლიო დღეს იმდენად რთულ მდგომარეობაშია, რომ მისი არსებობის შენარჩუნებისათვის შეუძლებელია ერთი რომელიმე ღირებულებათა სისტემის, იდეოლოგიის ან კულტურის მოდელის გამოყენება. და მაინც, პირველი ნაბიჯი, რომელიც კაცობრიობამ უნდა გადადგას არის ძირითადი რელიგიური მიმდინარეობების ინტეგრაცია, რამეთუ ღმერთი ერთია და განუმეორებელი.

მეორე გზა – ესაა პოლიტიკოსთა უაპელაციო დაქვემდებარება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება-თავისუფლებებისადმი, რაც გულისხმობს კაცობრიობის აზროვნების და ყოფაცხოვრების გლობალურ “ეკოლოგიზაციას”. თუმცა ორთოდოქსული პოლიტიკის მიღმა არის ბევრი იმედის მომცემი გარღვევის ნიშნები ამ მიმართულებით, მაგრამ რეალობა არასაიმედო პროგნოზების საფუძველს იძლევა. მზის ენერჯის უტილიზაციის ნოვატორული აღმოჩენები აწყდებიან მსოფლიოს ინდუსტრიული მოგოლების დედამიწაზე არსებული ბუნებრივი რესურსების უკონტროლო ექსპლუატაციის დაუოკებელ სიხარბეს. სოფლის მეურნეობაში ორგანული, ბუნებრივი კომპონენტების კულტივირებას მძაფრი წინააღმდეგობა ელოდება მსოფლიოს აგროსაწარმოო კორპორაციების მხრიდან. ბალანსირებული დეცენტრალიზაციის ახალი იდეები ავადმყოფურად აღიქმება მსოფლიოს სახელმწიფოთა ბიუროკრატიული სტრუქტურების მიერ. აღნიშნული ანტიეკოლოგიური სიტუაცია გლობალური ხასიათისაა და ამიტომ ისინი ხელყოფენ დედამიწის ნებისმიერ წერტილში მცხოვრები ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლება-თავისუფლებებს, აბრკოლებენ ადამიანის უფლებათა შესახებ პაქტების განხორციელებას მსოფლიოს მასშტაბით. ამრიგად, საკითხი ისმის ადამიანის უფ-

ლება-თავისუფლებათა დარღვევის აღკვეთის შესახებ პლანეტარული მასშტაბით, და არა ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან, რადგან ბუნებას საზღვრები არ გააჩნია. ადამიანის მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება-თავისუფლებების დაცვა ცალკეული სახელმწიფოების მიერ თავიანთ საზღვრებში აზრს კარგავს, თუ კი პლანეტაზე არ იქნება შენარჩუნებული სიცოცხლე.

მესამე გზა - ესაა კეთილგონიერების, სამართლიანობის და ზომიერების დამკვიდრება საჯარო და კერძო ცხოვრებაში.

კეთილგონიერება გულისხმობს საჯარო და კერძო სტრუქტურების ორიენტაციას რეალობაზე და რეალობის ზოგიერთი ასპექტის დაძლევის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ეკოლოგიის და გენეტიკის ნორმების დაცვას. კეთილგონიერების დაუძინებელი მტრებია შური და მსუნაგობა, რომლებიც თავის მხრივ წარმოშობენ უსამართლობას როგორც საჯარო და კერძო სტრუქტურების ქცევის წესს, ნორმას. ისინი აქეზებენ ადამიანს მეორე ადამიანის წინააღმდეგ, მოაქცევენ მთელ საზოგადოებას მხოლოდ მატერიალური გამორჩენის მიღების დახშულ წრეში, ახდენენ სულიერების ეროზიას, რაც თავის მხრივ იწვევს ზომიერების გრძნობის დაკარვას. საბოლოოდ ყალიბდება დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც ემყარება მხოლოდ ეგოცენტრიზმის პრინციპს. რა თქმა უნდა, კეთილგონიერება, სამართლიანობა და ზომიერება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი თავი არ გვიყვარდეს. ქრისტიანული მოძღვრება ქადაგებს: “გიყვარდეს სხვა, ისე როგორც თავისი თავი” (არც მეტად, არც ნაკლებად - ბ.ს.).

მეოთხე გზა არის მამაკაცთა მოღვმის აზროვნების “აფროდიტიზაცია“, ანუ მთლიანად საზოგადოების “პერმაფროდიტიზაცია“. არისტოტელეს, რუსთაველის, აქვინატის და დანტეს ნაშრომებში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ მამაკაცურის და ქალურის ჰარმონიული შეთანაწყობა არის რეალობის დაუმახინჯებელი სურათის შექმნის აუცილებელი პირობა, რას ქმნის ადამიანის ადეკვატური ქცევის საფუძველს და გამორიცხავს სოციალურ კატასტროფებს. მეოცე საუკუნის ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებში, განსაკუთრებით კარლ შტერნის ფუნდამენტურ გამოკვლევებში, საკმაო სიღრმით არის დასაბუთებული დანტეს, შექსპირის და გოეთეს, აგრეთ-

ვე უახლესი ისტორიის ბევრი ცნობილი მოღვაწის აზროვნებაში ორი საწყისის იდეალური შეთანაწყობა.

ქალი არ არის მამაკაცის სუროგატი, არა და ჩვენი პატრიარქალური აზროვნება და ყოფა საწინააღმდეგოს ადასტურებს...

კაცობრიობის ისტორია ორ მილიონ წელიწადს ითვლის, მაშინ როდესაც ცივილიზაციის ისტორია მხოლოდ ასორმოც ათასს. ამ ორი მილიონი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა მამაკაცი როგორც მონადირე ანუ მკვლელი, ხოლო ქალი როგორც დედა ანუ მზრუნველი.

მეზუთე გზა არის სამართლის (და არა მხოლოდ კანონის) უზენაესობის დამკვიდრება. სამართალი ორიენტირებულია სოციალურად საშიში კონფლიქტების დაძლევაზე დაპირისპირებულ ინტერესებს, პრიორიტეტებს და პრინციპებს შორის. ამ თვალსაზრისით სამართალი არის ძალის ცივილიზებული ალტერნატივა. იგი მოწოდებულია მოხსნას საშიში წინააღმდეგობა თავისუფლებასა და წესრიგს, თანასწორობასა და უთანასწორობას, ინდივიდუალიზმსა და სოლიდარიზმს შორის. სამართალში აკუმულირებულია კეთილგონიერება, სამართლიანობა და ზომიერება, რადგან მას შეუძლია თითოეული კონფლიქტი წარმართოს მისი განმუხტვისათვის საჭირო არხით. სამართლის არხი არის კომპრომისი. სამართლის უზენაესობის უგულებელყოფას მივეყვართ სისხლიან რევოლუციებამდე, საკონცენტრაციო ბანაკებამდე და ძძათა სასაფლაოებამდე.

რას ემყარება სამართლის ფართო გაგება? მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის – თომას კოლუელის აზრით, “ბუნებაში არსებული ბალანსი გვაძლევს ობიექტურ ნორმატიულ მოდელს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ჩვენი საქმიანობის ფუძემდებელი პრინციპი. ბუნებაში არსებული ბალანსი – ეს არის ამოსავალი და უზენაესი ღირებულება, იგი ბუნებითი სამართალია და არა იმდენად საზოგადოებრივი ხელშეკრულების რეზულტატი. ეს პრინციპი ადამიანისაგან ითხოვს შემდეგს: “შენ უნდა გამოიყენო და აწარმოო ისეთი ენერგეტიკული სისტემები და იმ დოზით, რომლებიც ზუსტად ჯდება ბუნებრივი პროცესების ციკლურ ორგანიზაციაში. ადამიანის მიზნები უნდა იქნეს შეთანხმებული ბუნების ეკოსისტემურ შესაძლებლობებთან”.

ჩვენი ყოფითი აზროვნებისათვის ჯერ კიდევ უცხოა კოპერნიკი, რადგან მიგვაჩნია, რომ სამყაროს ცენტრი დედამიწაა, უფრო სწორად, ადამიანი დედამიწაზე. ასევე, ჯერ კიდევ უცხოა დარვინი, რადგ-

ან ეთვლით, რომ ჩვენ არ ვართ ბუნების ნაწილი, უფრო სწორედ მასზე მალლა ვდგავართ. ეს არის კაცობრიობის ტრაგედია.

სად არის გამოსავალი? თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიაში ორი გზა იკვეთება: ან იუდეურ-ქრისტიანული რელიგია შეიცვალოს დალიზმით, ან მოხდეს ქრისტიანული რელიგიის გაწმენდა სიონიზმის მინარევებისაგან წმ. ფრანცისკო ასიზელის მოძღვრების შესაბამისად. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ორივე მიმართულების თანაარსებობა, უფრო მეტიც, შეხმატკბილება.

სახელმძღვანელო ლიტერატურა

— ნანეიშვილი გიორგი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1927, 1992.

— Surguladze Irodion, Gewalt und Recht. Tiflisi Universitats Litographie. 1925, ან ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ. 2002 (შესავალი და გერმანულიდან თარგმანი შესრულებულია პროფ. ოთარ გამყრელიძის მიერ).

— ვანეიშვილი ალექსანდრე, Kelsen-ის მოძღვრება სამართლის და სახელმწიფოს შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1925.

— Savaneli Bidzina, Jus Cogens Character of International Human Rights Law, Tb. 2003.

— სავანელი ბიძინა, სამართლის და მართლწესრიგის თანაფარდობა სამართლის აზრის წვდომის თვალსაზრისით. სადოქტორო დისერტაცია. თსუ-ს ბიბლიოთეკა. 1992.

— Бидзина Саванели, Правопорядок и юридическая практика. Изд. «Мецниереба», 1982.

— Бидзина Саванели, Юридические формы положения личности в обществе. Изд. «Мецниереба», Тб. 1969.

— სავანელი ბიძინა, იურიდიული მეთოდები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

Philosophy of Law

- Aadams Devid, Philosophical Problems in the Law (Belmont CA 1992)
- Christie George C., Jurisprudence (St. Paul 1973)
- D'Amato Anthony, Analytical Jurisprudence Anthology. (Cincinnati 1996)
- Dias R. W. N., Jurisprudence (3d ed., London 1970)
- Dworkin Ronald, The Philosophy of Law (Oxford 1977)
- Feinberg & Gross, Philosophy of Law (5th ed., Belmont CA 1995)
- Friedrich Carl Joachim, The Philosophy of Law in Historical Perspective (2d ed, Chicago 1963)
- Golding Martin, Philosophy of Law. Englewood Cliffs. (1975)
- Jurisprudence Symposium, 11 Georgia Law Review 5 (1977)
- Lloyd Dennis, The Idea of Law (London 1976)
- Lloyd Lord Hampstead, Introduction to Jurisprudence (3d ed, London 1975)
- Shafer-Landau Russ, Philosophy of Law. Fullerton (1997)

Natural Law

- D'Entreves A.P., *Natural Law* (2d ed. London 1972)
- Finnis John, *Natural Law and Natural Rights* (Oxford 1993)
- Fuller Lon L., *The Morality of Law* (New Haven 1975)
- Perisco Joseph E., *Nuremberg: Infamy on Trial* (NY 1995)
- Weinreb Lloyd L., *Natural Law and Justice* (Cambridge MA 1987)

Positivism

- Bork Robert H., *The Tempting of America* (New York 1990)
- Devlin Patrick, *The Enforcement of Morals* (Oxford 1965)
- Hart H.L.A., *The Concept of Law* (Oxford 1961)
- Hart H.L.A., *Law, Liberty and Morality* (Oxford 1962)
- Hart H.L.A., *Punishment and Responsibility* (Oxford 1973)
- MacCormick Neil, *H.L.A. Hart* (Stanford 1981)
- Posner Richard A., *Overcoming Law* (Cambridge MA 1995)
- Raz Joseph, *The Concept of a Legal System* (Oxford 1973)

Legal Realism

- Cardoza Benjamin N., *The Nature of the Judicial Process* (New Haven 1975)
- Pound Roscoe, *An Introduction to the Philosophy of Law* (New Haven 1975)
- Wasserstrom Richard A., *The Judicial Decision* (Stanford 1961)
- Dworkin Ronald, *Law's Empire* (Cambridge MA 1986)
- Dworkin Ronald, *Freedom's Law* (Cambridge MA 1996)

Pure Theory of Law

- Kelsen Hans, *Pure theory of Law*. Translated by Max Knight. Revised 2nd Edition, 1979
- Kelsen Hans, *General Theory of Law and State*. Facsimile, 1945
- Kelsen Hans, *Communist theory of Law*. Reprinted, January 1988
- Kelsen Hans, *What is the Justice? : Justice, Law, & Politics in the Mirror of Science*. R. 1971
- Kelsen Hans, *Peace Through Law*. Reprinted, 1994
- Kelsen Hans, *General Theory of Norms*. Translated by Michael Hartney. 1991

- Kelsen Hans, Law and Peace in International Relations. 1942
- Kelsen Hans, The Law of the United Nations. 1950
- Kelsen Hans, Principles of International Law, 3rd., ed., 1967
- Kelsen Hans, Society and Nature, A Sociological Inquiry. 1943
- Kelsen Hans, What is Justice? Justice, Law, and Politics in the Mirror of Science, 1971
- Kelsen Hans, Sovereignty and International Law, 48 The Georgetown Law Journal 1960

Political Philosophy and Theory of Law

- Ackerman Bruce A., Social Justice in the Liberal State (New Haven 1980)
- Bickel Alexander M., The Morality of Consent (New Haven 1975)
- Hayek F.A., The Constitution of Liberty (Chicago 1960)
- King & McGilvary, Political and Social Philosophy (New York 1973)
- Mill John Stuart, Utilitarianism, On Liberty and Considerations on Representative Government (London 1972)
- Nozick Robert, Anarchy, State and Utopia (New York 1968)
- Rawls John, A Theory of Justice (Cambridge MA 1971)
- Sabine & Thorson, A History of Political Theory (4th ed. Hinsdale IL 1973)
- Hans-Hermann Hoppe, Democracy: The God that Failed. Studies in the Economics and Politics of Monarchy, Democracy, and Natural Order. New Brunswick, NJ: Transaction Publishers, 2001

Sociology of law

- ALSTON Philip, Human Rights Law, Great Britain, Dartmouth, The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1996
- COTTERRELL Roger, The Sociology of Law: An Introduction, Great Britain, Butterworths, 1992
- COTTERRELL Roger, Law's Community - Legal Theory in Sociological Perspective, USA, Oxford University Press, Oxford Socio-Legal Studies Series, 1996
- COTTERRELL Roger, The Rule of Law in Transition: Revisiting Franz Neumann's Sociology of Legality, Social & Legal Studies, Volume 5, n° 4, December, 1996
- COULSON Noel James, "Muslim Custom and Case-Law", EDGE Ian (ed.),

- The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1996
- FINNIS John, 1996, *Natural Law and Natural Rights*, Hong Kong, Oxford University Press, Clarendon Law Series, 425 p
 - FUNK David A., *Traditional Orthodox Hindu Jurisprudence: Justifying Dharma and Danda*, NANDA Ved P., SINHA Surya Prakash (eds.), *Hindu Law and Legal Theory*, Great Britain, Dartmouth, The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1996
 - GOULET GREENHOUSE Carol J., 1989, *Just in Time: Temporality and the Cultural Legitimation of Law*, The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1992
 - KRYGIER Martin, *Law as a Tradition*, *Law and Philosophy*, n° 5, 1986
 - KYMLICKA Will, *Liberalism, Community and Culture*, Great Britain, Clarendon Press. Oxford, Clarendon Paperbacks, 1989
 - LACEY Nicola, *Community in Legal Theory: Idea, Ideal or Ideology?*, *Studies in Law, Politics and Society*, Vol. 15, 1996
 - LEE Luke T., LAI Whalen W., *The Chinese Conceptions of Law: Confucian, Legalist, and Buddhist*, 1978
 - MacCORMACK G., *Anthropology and Legal Theory*, Great Britain, Dartmouth, The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1992
 - MacCORMICK Neil, *Beyond the Sovereign State*, *The Modern Law Review*, January, Vol. 56, n° 1, 1993
 - MOORE Sally Falk, *Law and Social Change: The Semi-Autonomous Social Field as an Appropriate Subject of Study*, *Law and Society Review*, summer, 1973
 - OST François, *Towards a game theory of law*, Master's course in Legal Theory at the European Academy of Legal Theory in Brussels, 1997
 - PANIKKAR R., *A Dialogue on Human Rights*, *Interculture*, Vol. XVII, n° 2, Cahier 83, 1984
 - NANDA Ved P., SINHA Surya Prakash (eds.), *Hindu Law and Legal Theory*, Great Britain, Dartmouth, The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1996
 - De SOUSA SANTOS Boaventura, *Law - A Map of Misreading: Toward a Postmodern Conception of Law*, *Journal of Law and Society*, n° 14, 1987
 - De SOUSA SANTOS Boaventura, *Toward a New Common Sense - Law*,

Science and Politics in the Paradigmatic Transition, New York-London, Routledge, The Law Series, 1995

- **VANDERLINDEN Jacques, Return to Legal Pluralism: Twenty Years Later, Journal of Legal Pluralism and Unofficial Law, n° 28, 1989**
- **WEISS Bernard, Interpretation in Islamic Law: The Theory of Jik had, Great Britain, Dartmouth, The International Library of Essays in Law and Legal Theory Series, 1996**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქ. ჩაკვეტაძე

გადაეცა წარმოებას 15.07.2009 წ. ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 25.07.2009 წ. ქალაქის ზომა
60X84 1/16, გარნიტურა ღუმბაძე ნაბეჭდი თაბახი
20,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,6. ტირაჟი
100 ეგზ.